ყოველკვირეული

# ალია

N26/754/ 27 ივნისი -3 ივლისი 2016 წ PRESS ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## ლარი თამაშობს, ხალხი ზარალობს, ხოლო ეკონომიკის მინისტრი – დიმიტრი ქუმსიშვილი ლადაობს

14



ეკონომიკის ექსპერტები „ალიასთან“ სკანდალურ ვერსიებზე ალაპარაკდნენ!

ამ ქვეყანაში ხალხი 25 წელია „ანძრევს“, მაგრამ მაინც ყველაფერი თქვენთვის გამოდის... 2012-შიც „განძრიეთ“, როგორც შეგვეძლო, გვეგონა, გვეშველებოდა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის „წყალობით“ ისევ თქვენ და თქვენნაირებს გეშველათ...

24



## ეს წულუკიანისთვისაც და სერგეენკოსთვის პოლიტიკურ აღსასრულს და ჩაქვესკნელებას ნიშნავს!

25



## „საქართველოში არიან „ბიძინისტი“ და „მიშისტი“ ქურდები! არჩევნებზე „ბიძინისტი“ ქურდები მიეხმარებიან „ქოცებს“, „მიშისტი“ ქურდები კი – „ნაცებს“!

7



„სამარცხვინოა მინისტრ მღებრიშვილის განცხადება!“



9

## დღეს რა ხდება „ოცნების“ ხელისუფლებაში?

## რა ხდება „იმედზე“ და რა შეფარული გეგმა აქვს ივანიშვილის

18–19

ამბობენ, რომ ნანა ლეჟავას მისვლა „იმედზე“ ამ გეგმის მთავარი ნაწილია!



## „ეს მიუთითებს ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ სიბეცეზე!“

10



## „ალიას“ ჟურნალისტური გამოძიება

20





ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ ეროსი კიწმარიშვილს თავი არ მოუკლავს და ის მოკლეს

„ბიძინა ივანიშვილი რომაა ყველა უსამართლობის სათავე, ამის ფაქტებს წარვუდგენთ ხალხს!

11





## „ქვეყანაში „ბარდაგია“, ხალხო! ბანდიტი სააკაშვილი შეცვალა მეორე ბანდიტმა ივანიშვილმა!“

17



## რა ვერდიქტს გამოუტანენ მაგდა პაპიძეს ნაფიცი მსაჯულები?

30–31



## როგორ უშვებენ მოტყუებით ბორდელებში თურქეთში სამუშაოდ წასულ ქალებს?!

15



## შეუჩიჩხინეთ პროკურატურას, თუ გინდათ, ჩამორთმეული ქონება დაიბრუნოთო



პარლამენტის წევრი გუგული მაღრაძე იმ მოქალაქეებს, რომლებსაც სახელმწიფომ ქონება უკანონოდ ჩამოართვა, ურჩევს, მეტად საჯარო გახადონ თავიანთი საქმეები, რათა შესაბამისი ორგანოები ანგარიშვალდებულნი გახდნენ, დააჩქარონ პროცესები.

– სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულია, თუმცა სახელმწიფო და სასამართლო მტკიცებულებების გარეშე ვერაფერს გახდება. უფრო მეტი საჯაროობა უნდა მისცენ ამ ადამიანებმა ასეთ საქმეებს და ამის შემდეგ უფრო მეტი ვალდებულებაც იქნება გარკვეული ორგანოების მხრიდან, რომ დროზე დაიწყონ გამოძიება. ჩემი რჩევა იქნება იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ქონება ჩამოართვეს, უფრო საჯარო გახადონ საქმეები თუ მათ შესაბამისი მამტკიცებელი დოკუმენტაცია გააჩნიათ, - განაცხადა გუგული მაღრაძემ.

ისეთ საქმეებზე, სადაც საუბარია ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაზე, მე-4 წლის ბოლოსაც არანაირი შედეგი არ ჩანს. საუბარია, კეზერაშვილზე, ადეიშვილზე, რომელზეც მმართველი გუნდი მუდმივად საუბრობდა, მუდმივად აცხადებდნენ, რომ ისინი მონაწილეობდნენ ქონების უკანონო ჩამორთმევაში. მაგალითად, არის სენტა პეტროლიუმის საქმე, სადაც კეზერაშვილის მოადგილემ კეზერაშვილის წინააღმდეგ მისცა ჩვენება პროკურატურაში და არ იძვრის საქმე, იგივე სიტუაციაა ბიზნესმენ შიოლაშვილის საქმეშიც და ასეთი არაერთი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება.

აღნიშნულთან დაკავშირებით გუგული მაღრაძე აცხადებს, რომ პროკურატურაში დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც თავის დროზე იყვნენ და შეიძლება ვიღაც შეხებაშიც იყო ამ საქმეებთან.

– მე არ ვიცი ზუსტად კეზერაშვილის საქმე. პროკურატურაში დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც თავის დროზე იყვნენ და შეიძლება ვიღაც შეხებაშიც იყო ამ საქმეებთან, - აცხადებს გუგული მაღრაძე. (ipress.ge)

● **ზარმაცები ყოფილხართ, ხალხო, ვისაც „ნაცებმა" ქონება წაგართვეს, თქვენ კი არ იძვრით, არ ხმაურობთ, პროკურატურას იასაულივით არ ადგახართ თავზე და არ დასძახით: გამოიძიეთ ჩემი საქმე, გამოიძიეთ ჩემი საქმე.**

**დიახაც, სულ თქვენი ბრალია ყველაფერი, რომ დროულად არ ხდება სამართლიანობის აღდგენა, თორემ აგერ, დაწყებულია პროცესი, მაგრამ მტკიცებულებები არ არსებობსო.**

**გალმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო, კი გექნებათ გაგონილი...**

## ეს კი მაგარი გასათვალისწინებელი მაგალითი მოგვცა „ქართულმა ოცნებამ"...



„ქართული ოცნების" კანდიდატი, რომელიც კორცხელის შუალედურ არჩევნებში დამარცხდა, დაკავებული პოზიციიდაც გაათავისუფლეს. ამირან ლაგვილავას სოფელ ზედაეწერის კოლეჯის დირექტორის თანამდებობა ეკავა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიზეზი აუდიტის დასკვნა გახდა, თუმცა თავად ლაგვილავა ფაქტს უარყოფს და გათავისუფლებას არჩევნებში წაგებას უკავშირებს, რასაც უარყოფს ვიცეპრემიერი კახა კალაძე.

– თუ ადამიანი ვერ ასრულებს, არ ასრულებს, დანაშაულს ჩადის, ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, გუნდის წევრია თუ არა, კანონის წინაშე ჩვენ ყველა ვართ თანასწორუფლებიანი. ჩვენ ვაშენებთ ასეთ სახელმწიფოს და ასეთ ქვეყანას, - განაცხადა კახა კალაძემ. (ნიუპოსტი)

● **როცა ვინმეზე იმედებს ამყარებ, მაგრამ ვერ ამართლებს, რა უნდა უქნა? დიახ — უნდა მოიშორო და „ოცნებაც" ზუსტად ასე მოიქცა.**

**ჰოდა, ჩათვალეთ, რომ „ქართულმა ოცნებამ" გადასარევი მაგალითი მოგვცა — იმედებს ვამყარებდით, მაგრამ ვერ გაგვიმართლეს. მაშ, რა უნდა ვქნათ? დიახაც, უნდა მოვიშოროთ!!!**

**ისე, კანდიდატად როცა ასახელებდნენ, თავიდანვე არ იცოდნენ, რომ „ვერ ასრულებდა, არ ასრულებდა და დანაშაულს ჩადიოდა"? თუმცა, რა, პირველი შემთხვევაა, როცა „ქართული ოცნება" კანდიდატში შეცდა? მაშ, რა უნდა ვქნათ? პასუხი იხილეთ აქვე...**

## „ქოცები" აქვე მაინც ადიან, სოლოლაკში, ჭკუა რომ დაარიგონ, „ნაცებს" კი ოდესაში უწევთ სირბილი



საპარლამენტო უმცირესობის წევრები, უკრაინაში, ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ხვდებიან.

არსებული ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის" წევრები ოდესის გუბერნატორთან ქვეყნის მასშტაბით მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატებს ათანხმებენ. (pia.ge)

● **იცით, რა სხვაობაა „ქართული ოცნებისა" და „ნაციონალური მოძრაობის" წევრებს შორის? პრინციპში, არავითარი — ორივე პარტია ერთ ადამიანზეა დამოკიდებული — „ქოცები" ივანიშვილზე, „ნაცები" — სააკაშვილზე.**

**ერთადერთი სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ „ქართული ოცნების" წარმომადგენლები აქვე აირბენენ ხოლმე ჭკუა რომ დაარიგონ, სოლოლაკში, ჩემო ბატონო, აი, „ნაციონალური მოძრაობის" წევრები კი ამხელა გზას გადიან, ოდესას აკითხავენ და ჩამოდიან მერე ბელადთან შეხვედრით გაცისკროვნებულები.**

**საბოლოო ჯამში კი ქვეყნისთვის სასარგებლო მაინც არაფერი კეთდება...**

## ჯორჯ სოროსი ევროკავშირის დაშლას წინასწარმეტყველებს



ამერიკელი მილიარდერი ჯორჯ სოროსი აცხადებს, რომ BRexit-ის შემდეგ ევროკავშირის დაშლა ფაქტობრივად, გარდაუვალია. ამასთან, იგი წევრ სახელმწიფოებს ურჩევს, გაერთიანება ახალ პრინციპებსა და პირობებზე გადააწყონ.

– ამჟამად ის კატასტროფული სცენარი, რომლისაც ასე გვეშინოდა, რეალობად იქცა და ევროკავშირის დაშლის შეუქცევადი პროცესი დაიწყო. გაერთიანებაში დაგროვდა ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა, რაც ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოთა დაშორებას. ეს არა მარტო დევნილების საკითხის გამო მოხდა. დაძაბულობა არსებობს ევროზონის ქვეყანა-კრედიტორებსა და ქვეყანა-მოვალეებს შორის, რომელთა პოზიციებიც რადიკალურად განსხვავდება, - აცხადებს ბიზნესმენი და ევროპას გაერთიანების რეკონსტრუქციისაკენ მოუწოდებს. (ნიუპოსტი)

## სიღნაღში ჩეხი ტურისტი გააუპატიურეს... დაზარალებულს ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებაო




სამართალდამცავებმა სიღნაღში ჩეხი ტურისტი გოგონას გაუპატიურების ბრალდებით ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს.

როგორც შსს-ში განმარტავენ, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

შს სამინისტროს პრესსსამსახურის ინფორმაციით, ჩატარებულია შესაბამისი ექსპერტიზები და გამოძიება შედეგს ელოდება.

როგორც „კახეთის საინფორმაციო ცენტრი" წერს, ტურისტი ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საოჯახო სასტუმროში გააუპატიურეს, სადაც ღამის გასათევად დაბინავდა.

საქმეს სიღნაღის პოლიცია იძიებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულს 8 წლამდე სასჯელი ელის. (ნიუპოსტი)

● **საშინელი ამბავია, დასაგმობი და მოძალადე კი — უმკაცრესად დასასჯელი, თუმცა თუ არის დამნაშავე, რასაკვირველია.**

**საქმე ის არის, რომ როგორც ექიმი ამბობს, რომელმაც ჩეხი გოგონას მდგომარეობა შეისწავლა, მას ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა. ადგილობრივები კი ამბობენ, რომ ინციდენტში მონაწილეები საშინლად მთვრალები იყვნენ.**

**მოკლედ, რაღაც თითქოს ისე ვერ არის — გაუპატიურების მსხვერპლს ძალადობის კვალი როგორ არ უნდა ჰქონდეს? ნუ, არის მეორე მომენტიც — უმწეო მდგომარეობის გამოყენება, რაც რა თქმა უნდა, ასევე ძალადობაა და დამნაშავე ბუნებრივია, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.**

**ასეა თუ ისე, საშინელი ფაქტი მოხდა, ყოვლად მიუღებელი და სამარცხვინო!!!**

## სია მზად ჰქონიათ — სულ მალე „ოცნება" ახალ ზღაპრებს მოგვიყვება



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, მაჟორიტარების კანდიდატები და ასევე, სიის შემადგენლობა შეჯერებულია, ინფორმაცია კი ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება:

– რაც შეეხება სიებს, მაჟორიტარების წარდგენას - ყველაფერს აქვს თავისი დრო. უახლოეს მომავალში ცნობილი იქნება ოფიციალურად საარჩევნო კამპანიის დაწყებაც, ცნობილი იქნება სიები, მაჟორიტარობის კანდიდატები რაიონებში. ეს ყველაფერი იქნება საარჩევნო კამპანიიის ნაწილი და უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის, - განაცხადა კალაძემ. (ნიუპოსტი)

● **ხეირის მომტანი იქნება-თქო ამათი საარჩევნო კამპანია, როგორ უნდა გითხრათ, როცა ხელისუფლებაში ყოფნით ვერ გაამართლეს ხალხის მოლოდინი, მაგრამ მაინც შეგვიძლია ერთი ციცქნა დადებითის გამოდნობა — ჩაურთეთ ბავშვებს ძილის წინ მათი გამოსვლები, შესანიშნავ ზღაპრებს მოისმენენ...**

## ჩხირი კედელს — ნანუაშვილი მღვდლის „პრობლემით" დაინტერესდა



სახალხო დამცველი იმ ინფორმაციას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც, ლანჩხუთში პოლიციამ სასულიერო პირი სასტიკად ცემა. ომბუდსმენი საგანგებო განცხადებას ავრცელებს სადაც ნათქვამია:

– საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს პროკურატურას, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება და უზრუნველყოს სასულიერო პირის უსაფრთხოება. გამოძიების პროცესში არ დაუშვას პოლიციის იმ თანამშრომლების მონაწილეობა, რომელთა მიმართაც არსებობს ძალადობის ვარაუდი, - ნათქვამია განცხადებაში. (პირველი რადიო)

● **ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ არის ამ ამბავში დამნაშავე — ვინ რას ამბობს, ვერ გეტყვით, მაგრამ ყოვლად დაუჯერებელია, პოლიციელმა, თანაც პატრულმა, თანაც ათმა პატრულმა მღვდელი გალახოს. ჰოდა, სულ ტყუილად ირჯება ნანუაშვილი, ან პირიქით — ძალიან კარგად ხვდება ძაღლის თავი სადაა დამარხული და იმიტომაც აქტიურობს.**

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



– არის აქ ვინმე? — იკითხა 2030 წელს ევროკავშირში შესულმა უკრაინამ.

– კი, აქ ვართ, აქ, - უპასუხეს საქართველომ, თურქეთმა და ალბანეთმა...

ვის გაუხარდა პირველ რიგში დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება ევროკავშირის დატოვების შესახებ და რუსეთს. ყოველ შემთხვევაში, ცინცხალი „შუტკები“ ბლომად შეგხვდებათ რუსულ საიტებზე და...

ა, ბატონო, კიდევ ერთი:

– საქართველომ ევროკავშირში შესვლა გადაწყვიტა. გაიგეს ეს ამბავი დიდ ბრიტანეთში და მიხვდნენ, რომ დროა, იქიდან გამოიქცნენ...

ჰო, ალბათ, ბევრი არ მოელოდა ასეთი შედეგით თუ დასრულდებოდა რეფერენდუმი ნისლიან ალბიონზე, მაგრამ სურათი ასეთია და როგორც ამბობენ, წინ გვარიანი რყევა-ცვლილებებია მოსალოდნელი, მით უმეტეს, ბრიტანელების მაგალითით შეგულიანებულმა სხვა ევროპელებმაც მოითხოვეს, ჩვენც გავიქცეთ ევროკავშირიდანო.

ამ ფონზე კი ჩვენს ქვეყანაში რა ხდება? სიღნაღში ევროპელი ტურისტი გააუპატიურეს, სასულიერო პირმა პატრულს აგინა, ლარი ისევ დაადგა მოუსავლეთის გზას...

ვნახოთ, აბა, რა იყო გასულ კვირაში ისეთი, გამორჩეული და აღნიშვნის ღირსი რომაა:



# საქართველომ ევროკავშირში შესვლა გადაწყვიტა. გაიგეს ეს ამბავი დიდ ბრიტანეთში და მიხვდნენ, რომ დროა, იქიდან გამოიქცნენ...



**● ინდიელებმა არ მიაქციეს ყურადღება დევნილების ნაკადს ევროპიდან... ახლა ისინი რეზერვაციებში ცხოვრობენ**

ბრიტანელების გადაწყვეტილების ერთ-ერთ მიზეზად ისიც დასახელდა, დევნილების მიღებისგან დაიღალა ხალხიო... უცნაური კია, ევროპელები ხომ საოცარი, რაღაც გრანდიოზულად ტოლერანტმიმტევებლები არიან და გამწარებული და სიკვდილს გამოქცეული ადამიანების მიღებაზე ასე გადარევა იქნებოდა?!..

სხვათა შორის, ჩვენთან ბევრი კითხულობს – აგერ, ბრიტანეთი გამოიქცა ევროკავშირიდან, ფრანგებსაც აქვთ იგივე სურვილი, გერმანელებსაც, სლოვაკებსაც და ჩვენ სადღა ვეტენებითო?

მე თუ ვინმე მკითხავს, ვუპასუხებ, რომ ჯერ ერთი, ევროპას კი არ ვეტენებით, რუსეთისგან გავრბივართ, მეორე – ევროპელობა მაინცდამაინც კონკრეტული კავშირის წევრობა ხომ არ არის, ეს ოხერი?!

დიახ, ევროპას კი არ ვეტენებით, რუსეთისგან გავრბივართ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ სირბილში ფეხს თუ წამოვკრავთ რამეს და ძირს გავიშხლართებით, კაციშვილი არ მოიძებნება, რომელიც მოვა, დასისხლიანებულ მუხლებს მოგვიშუშებს და გზის გაგრძელებაში დაგვეხმარება.

აბა, რა უნდა ვქნათ? ეეჰ, „ჩორტ ივო ზნაეტ“!

უი, არა, დიდმა ილიამ ხომ თქვა – ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო? მაგრამ სადღა გვყავს აბა, დიდი ილია ან მისი მსგავსი?

არა, კაცო, ეგენი არ ითვლებიან – ერთი სოლოლაკში რომ ზის და მეორე – ოდესაში, რომელი დიდი ილია ან ერთია ან მეორე?!

**● ლარს რომ ენა ჰქონდეს, „ოცნებას“ გემოზე აგინებდა!**

გასული კვირის მონაცემებით, 1 „აშუშუ“ დოლარი ლამის 2,30 ლარი გახდა, მაგრამ მთავრობისგან კვლავაც ძველ სიმღერას ვისმენთ – ნუ ნერვიულობთ, თორემ ეს ისევ ლარზე ახდენს უარყოფით გავლენასო.

ქადაგიძეს ხომ დღეში სამჯერ აწვედნენ მიწაში ჭამის წინ და ჭამის მერე, ეგ არის ყველაფერში დამნაშავე, ეგ ანადგურებს ჩვენს ეროვნულ ვალუტასო, მაგრამ ამ ახალი პრეზიდენტის პირობებშიც რომ სანერვიულოდ გაგვიხდა საქმე, რა წყალში გადავვარდეთ?!

ეს მთავრობის „გამპრავებელი“ ექსპერტებიც რომ რაღაც სისულელეებს არახუნებენ, უფრო მეტად გასაგიჟებელია. ჰო, პანიკა არ უნდა დათესონ, ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ შუბლის ძარღვი და ეგეთი რამეები ცოტათი მაინც ხომ უნდა ახსოვდეთ? ჰკითხონ, ერთი, ბანკების სესხებით გატანჯულ მოქალაქეებს, აძლევს მთავრობა საშუალებას, მშვიდად იყვნენ და არ ინერვიულონ?!

**● სასულიერო პირიც ადამიანია — ჯიპიც უნდა ჰყავდეს, ბოლო თაობის მობილურითაც უნდა რეკავდეს, „სტო გრამიც“ უნდა ხუხოს, მაგრამ...**

სიმთვრალეში აბსოლუტურად ყველას დაგვიშვია შეცდომა, რომელიც ფხიზელ ჭკუაზე, ჰაიმეეე, როგორ გვინანია, მაგრამ...

ეეჰ, ძალიან ბევრი რამე გაცილებით მარტივი იქნებოდა, რომ არ არსებობდეს ეს ოხერი სიტყვა „მაგრამ“, მაგრამ არსებობს და რა ვქნათ?

სხვათა შორის, „შუსუსუც“ ძალიან და უფრო მეტად ცუდადაც კი მოიქცა, როცა არქიმანდრით გაბრიელ კახელიშვილთან დაკავშირებული ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი არ გაავრცელა – გიორგი მღებრიშვილმა, ისაო, არის რაღაც ისეთი, რისი გამოქვეყნებაც არ შეიძლებაო.

ჰმ, მსუბუქად რომ ვთქვათ, ძალიან გასაკვირია, როცა ამას ამბობს იმ უწყების ხელმძღვანელი, შინაგან საქმეთა სამინისტრო რომ ჰქვია.

რა გამოდის, კანონი ყველასთვის არ კანონობს? და რატომ?!

ერთი შეხედვით, მიზეზი თითქოს კეთილშობილურია – ეკლესიის მსახურებს კიდევ ერთხელ აიგდებდნენ აბუჩად ისინი, ვინც მუდმივად ჩასაფრებულია და შანსს არ უშვებს ხელიდან, გესლი ანთხიოს, მაგრამ (აი, ისევ ეს „მაგრამ“) უარესი რაღაც მოხდა, გაცილებით უარესი: გამოვიდა, რომ სასულიერო პირმა იცრუა და უფრო მეტიც – ცრუობს მთელი ეპარქია, რომლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ შუბლი შემთხვევით მიარტყა მანქანის კარსო, შს სამინისტრო კი ამტკიცებდა, თავად მიიყენა თვითდაზიანებებიო...

რატომ ვაძლევ თავს ამდენის თქმის უფლებას და იმოტომ, რომ მეც მჭირდებით, მამებო, ძალიან მჭირდებით და ჩემზე მეტად სჭირდებით უამრავ ადამიანს, მაგრამ!!!..

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

## facebook

**მიშა გომიაშვილი:**



არ ვიცი....

გნებავთ ღია წერილი დაარქვით, გნებავთ დახურული ელვა დეპეშა... ეს ჩემი წუხილი და სატკივარია და დარწმუნებული ვარ არა მარტო ჩემი. ეს ჩვენი ქვეყნის და განსაკუთრებით ჩვენი ქალაქის ტკივილია.... ეს სამყაროს დასასრულის ან დასაწყისია ან კიდევ უარესი, დასასრულის ბოლო ეტაპია.....

მავანს და მავანს ჰგონია, რომ აპოკალიფსი ერთ მშვენიერ დღეს 13სთ და 47წთ-ზე დაიწყება. ეს ასე არ არის. ჩვენს ქვეყანაში აპოკალიფსი დიდი ხანია დაწყებულია... გადაყევით ერთმანეთის ჭამას, ქიშპობას, საარჩევნო კამპანიებს..... რა გინდათ? ვისი მეთაურები გინდათ გახდეთ? არაქართველების? უცხო ტომის? გადამთიელებმა რასაც საუკუნეების მანძილზე ხმლით და ომით ვერ მიაღწიეს, ახლა სხვა გზა გამონახეს, სხვანაირედ ,,გვიშვებიან'' ყოველგვარი ხმლის და ომის გარეშე..... ქართველი სტუმრთმოყვარე ერია, მაგრამ სამწუხაროდ ზოგბა ეს სტუმართმოყვარეობა ბოროტად გამოიყენა და იქამდე მივედით , რომ საკუთარ ქალაქში თვითონ ვიქეცით სტუმრებად.....

ასე რამ დაგაბრმავათ ? მარტო მე ვამჩნევ და ვხედავ რაც ჩვენს ქალაქში ხდება? 15-16-17 წლის ქართველი გოგონები, ქართული გენოფონდი, რომლებიც დედები უნდა გახდნენ და საქართველოს შვილები გაუჩინონ, თურქების, ირანელების და კიდევ ათასი ჩამოთესლილის ხასები გახდნენ. მარტო მე ვხედავ ამას მთელ ქალაქი ბორდელებით რომ გაივსო ? რა ხდება...... ნუთუ ჩვენი ქალაქის მესვეურები ამას ვერ ამჩნევენ? იქნებ ფეხებზე გკიდიათ? ან იქნებ წილში ზიხართ და თვალები გენაბებათ? .... ძალიან არ მინდა ასე ვიფიქრო! არაფრით არ მინდა! მაგრამ ფაქტი ჯიუტია!

ქართველ კაცს ქუჩაში ლუდის დალევისთვის 200 ლარიან ჯარიმას რომ უწერთ და ერთი მასტირკა პლანის მოწევაზე ციხეზე უშვებთ ..... ამას კანონი მოითხოვს! და თუ ქართველ ახალგაზრდა გოგონებს გადამთიელები გვიბახებენ ეს კანონიერია ხომ....? მაინც და მაინც სახლებში უნდა შემოგივარდნენ და ცოლ-შვილი გაგიბახონ, რომ ერთი ადგილი გაანძრიოთ? როგორც ჩანს თქვენთვის მთავარია გახდეთ მინისტრები, დეპუტატები, პრემიერები, პრეზიდენტები და რა ქვეყნისა იქნებით არ გაინტერესებთ...... და საქართველო, რომ საქარტველო აღარ იქნება......

არ გემუქრებით, ღმერთმა დამიფაროს, მე მხოლო ჩემი ქვეყნის სიყვარული მალაპარაკებს..... უბრალოდ გაფრთხილებთ, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე, გონს მოეგეთ! და გთხოვთ, მიხედეთ ამ პრობლემას, თან ძალიან მალე! ეს დღეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე რისთვისაც თქვენ,, იბრძვით'', ერთმანეთს ლაფს ასხავთ, ნაცები, ქოცები და კიდევ ათასი რამ.... ვინ მოიგონა ეს იდიოტობა? ჩვენ ხომ ქართველები ვართ! მოვეფეროთ და მოვუაროთ ჩვენს საქართველოს! რისთვის გინდათ ეს მოგება და გამარჯვება? ჯიბეები რომ დაისუქოთ და მერე აქედან დაახვიოთ?... და ვის უტოვებთ ქვეყანას? ამათ? ამ გადამთიელებს?..... უკან დაგრჩებათ თქვენი ადგილებიც და ყველაფერიც. გონს მოეგეთ! ეს ჩემი თხოვნაც არის და გაფრთხილებაც. ჩემნაირად ძალიან ბევრი ქართველი ფიქრობს და არა მარტო ქართველი, არამედ აქ მაცხოვრებელი სხვა ეროვნების წარმომადგენელიც. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენ ავიღოთ ჩვენს თავზე ამ პრობლემის მოგვარება და გადაწყვეტა, მაშინ ძალიან ცუდად დამთავრდება ყველაფერი და პირველ რიგში თქვენთვის. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ისტორიულად ქართველი კაცის გენეტიკური მოვალეობაა მანდილოსნის დაცვა და გაფრთხილება, რამეთუ ის მომავალი ქართველი დედაა!

## facebook



**ირაკლი კაკაბაძე:**

ბრიტანეთის გადაწყვეტილებამ ევროკავშირის დატოვების შესახებ შეიძლება გამოიწვიოს შოტლანდიის მიერ გაერთიანებული სამეფოს დატოვებ. შოტლანდიის პრემიერი აცხადებს რომ შოტლანდიაში ხელმეორედ ჩატარდება რეფერენდუმი ბრიტანეთის სამეფოს შემადგენლობიდან გამოსვლის თაობაზე. ბრექსიტმა უკვე საკმაოდ ნეგატიური შედეგები მოიტანა დედოფალი ელისაბედის გაერთიანებული სამეფოსთვის.

## ნარმანია ჩუღურეთის რაიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით დაინტერესდა



თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, მოადგილე გიორგი ლილუაშვილთან, ჩუღურეთის გამგებელ ზურაბ ჩიკვილაძესთან და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, ჩუღურეთის რაიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა. აჭარის ქ. №10-ში 5600კვ.მ ფართობზე მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, ხოლო თანადაფინანსებული პროექტების ფარგლებში, საცხოვრებელი კორპუსის გამაგრებითი სამუშაოების პროექტი უახლოეს პერიოდში მომზადდება. სამუშაოები 2017 წელს დაიწყება.

თბილისი მერი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათ ის პროექტები გააცნო, რომლებიც ჩუღურეთის რაიონში წლის ბოლომდე განხორციელდება.

– მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ჩუღურეთის რაიონში გაკეთდა ბავშვთა სპორტული მოედანი, კეთილმოეწყო რამდენიმე სკვერი და დაიგო გზა. მოგვარდა ის პრობლემები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო. დღეს ჩვენ ვხვდებით მოსახლეობას, რათა ამ უბანში წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ ვისაუბროთ და პროექტები მათთან ერთად დავგეგმოთ, რათა ეტაპობრივად მოვაგვაროთ ყველა ის საკითხი, რაც მოსახლეობას აწუხებს, - განაცხადა თბილისის მერმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სააკაშვილმა ევროპა პუტინისტებად და რუსეთუმეებად მონათლა

„ევროპის ქვეყნებისთვის ახალი პერიოდი იწყება“, - ასე ეხმაურება სააკაშვილი დიდ ბრიტანეთში ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით ჩატარებული რეფერნდუმის შედეგებს და განცხადებას ავრცელებს:

– რეფერენდუმის შემდეგ გაირკვა, რომ დიდი ბრიტანეთი ტოვებს ევროკავშირს, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის ქვეყნებისთვის ახალი პერიოდი იწყება. ახალი პერიოდი იწყება იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებსაც ევროკავშირთან დაახლოება სურთ.

ჩვენ დიდი გაურკვევლობის პერიოდში შევდივართ. ეს არის მოლაპარაკებებისა და შეთქმულებების პერიოდი, მთელი ევროპის მასშტაბით. ვინც ევროკავშირში დარჩა, შეეცდება, მოილაპარაკოს მასთან, ვისთანაც ეს არ შეიძლება. მაგალითად პუტინთან, რათა მოახდინონ სიტუაციის დესტაბილიზაცია. ეს ყველაფერი უკრაინისთვის ძალიან სახიფათოა, ბევრ არასასიამოვნო სიურპრიზს უნდა ველოდოთ.

საშინელებაა, როცა ვფიქრობ, რა ბინძური გარიგებები შეიძლება მომზადდეს პუტინთან, რამდენიმე წამყვანი გერმანელი, ფრანგი და იტალიელი პოლიტიკოსის მიერ. რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელება, რა თქმა უნდა, პრეზიდენტ პოროშენკოს პოლიტიკური



გამარჯვებაა, მაგრამ დღეს, ისე როგორც არასდროს, მობილიზება და რეფორმების დაწყებაა საჭირო. ნამდვილი რეფორმების გატარების შემთხვევაში უკრაინა მთელი ევროპისთვის ძლიერი მაგნიტი გახდება, - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. (რეპორტიორი)

● **საქართველოს აღარც ახსენებს, თუ ხედავთ? არა, თუ დაგვივიწყა და თავი დაგვანება, მაგას არაფერი სჯობს, მაგრამ მხოლოდ უკრაინისთვის იქნება პუტინის გაძლიერება დამღუპველი? რომ ჰკითხო, საქართველოზე ფიქრითაა გასავათებული!.. მოკლედ, მიშისტებო, აღარ უნდიხართ თქვენს ბელად, აღარ ფიქრობს საქართველოზე და რაც მალე შეეგუებით ამას, მით იოლად გადაიტანთ ელდას, რომელიც ციხეში მისი ხილვით იქნება გამოწვეული, ეს კი აუცილებლად მოხდება!**

# „$m^2$ თამარაშვილზე“ — კომპლექსის მშენებლობა დაგეგმილზე ორ თვე-ნახევრით ადრე დასრულდა



დეველოპერულმა კომპანია $m^2$-მა თამარაშვილის ქუჩის №6-ში ახალი საცხოვრებელი კომპლექსი გახსნა. ენერგოეფექტური კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილზე ორ თვე-ნახევრით ადრე დასრულდა და მესაკუთრეები ბინაში გადასვლას ძალიან მალე შეძლებენ.

„$m^2$ თამარაშვილზე“ 270-ბინიანი კომპლექსია, რომელიც 2 ცხრამეტსართულიანი კორპუსისგან შედგება. თითოეულ ბინას ფასადზე გახსნილი ვიტრაჟული კარ-ფანჯარა და აივანი აქვს. პროექტი, ასევე, გამწვანებული გარემოთი – მრავალწლოვანი ნარგავებითა და კორპუსის გვერდით სპეციალურად მოწყობილი სკვერით გამოირჩევა. კომპლექსს საკუთარი დაცვის, დასუფთავებისა და გამწვანების სამსახური ეყოლება, რომელთა მომსახურებაც მობინადრეებისთვის ერთი წლის განმავლობაში უფასო იქნება. დამატებითი უსაფრთხოების მიზნით კი, საერთაშორისო სტანდარტების მქონე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემითაა აღჭურვილი, მათ შორის, სადარბაზოებში დამონტაჟებული ხანძარმედეგი კარით.

საცხოვრებელი კომპლექსი ენერგოეფექტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მობინადრეები 23 პროცენტამდე კომუნალური გადასახადების დაზოგვას შეძლებენ. მესაკუთრეებს შესაძლებლობა ექნებათ, მათი მოთხოვნების შესაბამისად, სრულად გარემონტებულ ბინებში პირდაპირ საცხოვრებლად გადავიდნენ. მცხოვრებლებს სახლში იტალიური სამზარეულო დახვდებათ, ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მფლობელს საშუალება ჰქონდა, ინტერიერის დიზაინი და სარემონტო მასალები თავად შეერჩია.

„ჩვენ ყოველთვის მოხარული ვართ, როდესაც თბილისში ახალი ობიექტები იხსნება. პირველ რიგში $m^2$-ის გუნდს წარმატებას ვულოცავ. დარწმუნებული ვარ, ახალი, მშენებარე და უკვე აშენებული პროექტები ერთ-ერთი თითით საჩვენებელია თბილისში. თბილისის ეკონომიკაში ნებისმიერ ახალ ობიექტსა და ინვესტირებას, რომელიც ადამიანებისთვის დასაქმებასა და შემოსავლებს ნიშნავს, მივესალმებით. $m^2$ ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორი და დამსაქმებელია. პროექტის ძირითად მიმართულებებს გავეცანით და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კომპანია გამოირჩევა, როგორც ტრენდის შემქმნელი იმ კუთხით, რომ კორპუსი ენერგოეფექტურია, რაც ბევრისთვის კარგი მაგალითია, რომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტად განვითარდნენ.



$m^2$, ასევე, გამოირჩევა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეს კორპუსები შშმ პირებისთვის ადაპტირებულია. ეს თბილისის მერიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლუსია, რადგან ჩვენ 3-წლიანი ადაპტირების პროგრამა გვაქვს, რომელიც როგორც ობიექტების, ასევე ბევრი ინფრასტრუქტურის ადაპტირებას მოიცავს.

ზოგადად, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე თბილისის ეკონომიკაშიც პოზიტიური ძვრები შეინიშნება. პირველი კვარტალი მაღალი საინვესტიციო აქტივობით გამოირჩეოდა. დაახლოებით 237 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა მხოლოდ თბილისში, ეს დაახლოებით 3-ჯერ მეტია, ვიდრე 2015 წლის პირველ კვარტალში. ეს რიცხვები მიუთითებს იმაზე, რომ გარკვეული ეკონომიკური აქტივობა შეინიშნება. თბილისის მერია ცდილობს, რომ ბიზნესთან მიმართებით მოქნილი იყოს და მინდა დღეს $m^2$-ის თანამშრომლებს კიდევ ერთხელ მივულოცო დღევანდელი დღე, მინდა ასევე მივულოცო თბილისელებს, რადგან მათ საშუალება აქვთ, საცხოვრებელი გარემო გაიუმჯობესონ და თითით საჩვენებელ კორპუსში ჰქონდეთ სახლი“, – განაცხადა თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძემ.

მნიშვნელოვანია, რომ „$m^2$ თამარაშვილზე“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სრულიად ადაპტირებულია. კომპლექსში ქართული ხმოვანი ლიფტებია დამონტაჟებული.

$m^2$-მა ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის დაწყების შესახებ 2014 წლის ივლისში განაცხადა. სამშენებლო სამუშაოები კი, იმავე წლის აგვისტოში დაიწყო და 22 თვეს გაგრძელდა. აღნიშნული პროექტი საერთაშორისო საფინანსო კომპანია (IFC) და კანადის მთავრობის მიერაა დაფინანსებული. დაფინანსების საერთო მოცულობამ 14 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც 4 მილიონი აშშ დოლარი კანადის მთავრობამ უშუალოდ ენერგოეფექტური მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობის მიზნით გამოყო. გაყიდვების მაღალმა ტემპმა კომპანიას სესხის ვადაზე ადრე დაფარვის საშუალება მისცა.

„ჩვენმა კომპანიამ თამარაშვილის ქუჩის კომპლექსის მშენებლობა 2 წლის წინათ დაიწყო და მოხარული ვარ, გითხრათ, რომ ვაგრძელებთ ჩვენს ტრადიციას და ეს შესანიშნავი კომპლექსი ვადაზე ადრე დავასრულეთ. $m^2$-მა ამ ორი კორპუსის მშენებლობაში 21 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა და აღნიშნულ კომპლექსში ბინების 75 პროცენტი უკვე გაყიდულია. ბინების გადაცემას ივლისში დავიწყებთ და მეპატრონეებს თანდათანობით შევასახლებთ. დიდ მადლობას ვუხდი $m^2$-ის მთელ გუნდს. პირველ რიგში, იმ ხალხს, ვინც ამ კონკრეტულ ობიექტზე მუშაობდა, ვინც მუხლჩაუხრელად იშრომა, რომ კომპლექსი მეპატრონეებს ვადაზე ადრე ჩაბარებოდათ. ასევე, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს კონტრაქტორს, სამშენებლო კომპანია „ანაგს“, რომელმაც ეს ორი კორპუსი აგვიშენა, მადლობა ყველა პარტნიორ კომპანიას გაწეული თანადგომისთვის. ამ პროექტს ფინანსურად გვერდში უდგას საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და კანადის მთავრობა, რომლებმაც კომპლექსის მშენებლობა დააფინანსეს. „საქართველოს ბანკმა“ იპოთეკური სესხები გასცა და კლიენტებს ბინების შეძენის საშუალება მისცა, ამისთვის დიდი მადლობა. მოგეხსენებათ, გარდა „საქართველოს ბანკისა“, „თიბისი ბანკთან“ და „რესპუბლიკა ბანკთანაც“ ვთანამშრომლობთ. ასე რომ, ვისაც ბინის შეძენა სურს, ამ სამი ბანკიდან იპოთეკური სესხისთვის ნებისმიერის არჩევა შეუძლია“, – აღნიშნა $m^2$-ის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბურდილაძემ.

ამ დროისთვის კომპლექსში ბინების 75 პროცენტი გაყიდულია. „$m^2$ თამარაშვილზე“ კომპანიის მიერ განხორციელებული მეხუთე წარმატებული პროექტია.

**დარინა ქამადაძე**

# მსგავსება მათი გარჩევის შეუძლებლობის დონემდე? სასამართლო გადაწყვეტს, შესაძლებელია თუ არა „მალბორო“ აგერიოთ „არარატში“

**მოწევა საზიანოა ჯანმრთელობისთვის, მაგრამ თუ თქვენ ხართ დამოკიდებული ამ მავნე ჩვევაზე — აგერევათ კი ერთმანეთში „მალბოროსა“ და „არარატის“ სიგარეტები?**

**კომპანია Philip Morris Brands Sarl-მა ჩათვალა, რომ ეს შესაძლებელია. მას შემდეგ, რაც დაინახა „არარატის“ სიგარეტის კოლოფის დიზაინსა და თავის „მალბოროს“ დიზაინს შორის მსგავსება, მან მიმართა მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს სარჩელით შპს „გრანდ ტაბაკ“ (იმპორტიორი) და შპს „პოკომაკის“ (დედაქალაქში ცნობილი მაღაზია „არმენიას“ მფლობელი) წინააღმდეგ. მოსარჩელე ითხოვს, აიკრძალოს რუსეთის ტერიტორიაზე „არარატის“ სავაჭრო ნიშნის გამოყენება, ამოღებულ და განადგურებულ იქნას ამ სიგარეტის ყველა კოლოფი და მათ დაეკისროთ ზარალის ანაზღაურება 5 მილიონი რუსული რუბლის ოდენობით. მისი მტკიცებით, სავაჭრო ნიშნები „მსგავსია მათი გარჩევის შეუძლებლობის დონემდე“.**




### სხვადასხვანაირი სამკუთხედები

იმ მაღაზიასთან, სადაც სასამართლოში მიმართვამდე მსოფლიოში კარგად ცნობილი მარკის უფლების მფლობელმა განახორციელა საკონტროლო შესყიდვა, მან შეძლო შეთანხმების მიღწევა – მათ გააფორმეს სამომრიგებლო შეთანხმება. ახლა სავაჭრო საწარმო „არარატის“ მარკის სიგარეტს აღარ გაყიდის. თუმცა, დასრულებულ სასამართლო სხდომაზე მეორე მოპასუხე, აგრეთვე, საქმეში მონაწილე მესამე პირები (სიგარეტის მწარმოებელი – კომპანია „გრანდ ტობაკო“ და სავაჭრო მარკის მფლობელი – „ინტერნეიშნლ მასის ტაბაკ“) მას არ დაეთანხმნენ, მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც გამოიტანა გადაწყვეტილება მის დამტკიცებაზე.

სამომრიგებლო შეთანხმების ხელმოწერით, „პოკომაკმა“ აღიარა „არარატისა“ და „მალბოროს“ სიგარეტების შეფუთვის დიზაინის „მსგავსება მათი გარჩევის შეუძლებლობის დონემდე“. მწარმოებელი, სავაჭრო ნიშნის უფლების მფლობელი და იმპორტიორი ერთხმად ამტკიცებენ საწინააღმდეგოს: ასეთი მსგავსება არ არსებობს.

**„მალბოროს“ კოლოფზე გამოსახულია ერთი სამკუთხედი, რომელსაც სავაჭრო ნიშნის აღწერილობაში ეწოდება „სახურავი“. „არარატზე“ ასეთი ფიგურა, რა თქმა უნდა, ორია, რადგანაც ის სომხეთის ცნობილი მთის — არარატის მწვერვალის სიმბოლოა. პირველ შემთხვევაში გამოყენებულია წითელი ფერი, ხოლო მეორეში — ლურჯი. შრიფტიც განსხვავებულია, არაფერი რომ არ ვთქვათ სახელწოდებაზე.**

ადრე მოპასუხის მიერ წარმოდგენილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტის დასკვნის საპასუხოდ, რომელიც ადასტურებს მის პოზიციას, მოსარჩელემ ბოლო სხდომაზე წარმოადგინა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის რუსული ცენტრის საწინააღმდეგო დასკვნა. ამასთანავე, მან არ წარმოადგინა სოცკვლევის ჩატარების დამადასტურებელი საბუთები – გამოკითხვის ფურცლები, ანკეტები ან ინტერნეტ-გამოკითხვის ნოტარიულად დამოწმებული სქრინშოტები.

სასამართლოს ჯერ კიდევ მოუწევს იმის დადგენა, რომელ დასკვნას დაუჯეროს, ან/და დანიშნოს თავისი ექსპერტიზა. რადგანაც სამომრიგებლო შეთანხმების დამტკიცება არ ნიშნავს, რომ სასამართლო ეთანხმება მხარეთა მოსაზრებებს, რომელთაგან ერთ-ერთი (მაღაზია) დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ხელმძღვანელობდა მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებებით.

### საქმეს არ ეხება

სხდომის პროცესში თავი იჩინა კიდევ ერთმა საკითხმა. მოსარჩელე ისევ დაჟინებით მოითხოვდა, რომ სასამართლოს ფედერალური საბაჟო სამსახურიდან გამოეთხოვა სომხეთიდან მწარმოებლის მიერ სიგარეტების მოწოდების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია, რომელთა მიღება მას დამოუკიდებლად არ შეეძლო, იმ მიზეზით, რომ საბაჟო იცავს კომერციულ საიდუმლოებას.

სასამართლომ უარი განაცხადა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რადგანაც მიიჩნია, რომ ეს საქმეს არ ეხებოდა. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: დასავლეთის კომპანიის წარმომადგენლებს ასე დაჟინებით რისთვის სჭირდებოდათ, გამოყენებინათ სასამართლო დახურული კარის გასაღებად?

მათი ახსნა-განმარტებები, თითქოს ამით მათ უნდოდათ გაერკვიათ, რა ზარალი მიაყენა მათ კომპანიას „არარატის“ სიგარეტის რეალიზაციამ, გამოიყურებოდა არადამაჯერებლად, რადგანაც მათ თვითონ აღიარეს, **რომ გაყიდვებზე ზეგავლენას ახდენს უამრავი ფაქტორი და პირდაპირი პარალელების გავლება არ არის სწორი.**

მოსმენები გაგრძელდება აგვისტოში და როგორც ჩანს, მეტ სამომრიგებლო შეთანხმებას ვეღარ ვიხილავთ, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ მონაწილეებს მოუწოდა, საქმე მორიგებით დაესრულებინათ. მოპასუხე და მესამე პირები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ Philip Morris Brands Sarl პრეტენზიები არამართლზომიერია და ზიანს აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას. არც მოსარჩელე აპირებს კომპრომისზე წასვლას. ხოლო კონკურენცია თამბაქოს ბაზარზე, როგორც ექსპერტები ამბობენ, ძალზე მკაცრია.

### სხვათა შორის

სიგარეტის მწარმოებელმა სასამართლოს წარმოუდგინა ლიბანისა და ტაივანის სასამართლოების გადაწყვეტილებები, სადაც მიმდინარეობდა ანალოგიური მოსმენები – Philip Morris Brands Sarl-მა ორივე სასამართლო წააგო. ამასთანავე, წარმოადგინა ერევნის ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებაც, რომელმაც განიხილა „მალბოროს“ სავაჭრო მარკის უფლების მფლობელის სარჩელი სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების სააგენტოს მიმართ, სადაც მოსარჩელე მოითხოვდა, რომ სასამართლოს გაეუქმებინა „არარატის“ სიგარეტების სავაჭრო ნიშნის რეგისტრაცია. სასამართლომ მთლიანად უარყო ეს სარჩელი. ახლა კი თავისი სავაჭრო ნიშნის მსგავსებას სომხეთის მწარმოებლის სავაჭრო ნიშანთან „მათი გარჩევის შეუძლებლობის დონემდე“ იგივე მოსარჩელე ცდილობს, მოსკოვში დაამტკიცოს.

# კომპანია Stadler-ი ორსართულიან მატარებელთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

**„საქართველოს რკინიგზის“ მიერ ორსართულიანი მატარებლის შეძენასთან დაკავშირებით, მედიასა და სოციალურ ქსელში გავრცელებულ მცდარ მოსაზრებას, რომელიც Stadler KISS-ის მატარებლის საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურაზე (მათ შორის გვირაბები) თავსებადობას შეეხება, შვეიცარიული კომპანია Stadler სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია:**

„ჩვენი პროდუქტის, მოცემულ შემთხვევაში, Stadler KISS-ის 1520 მმ-იან ლიანდაგზე საოპერაციოდ დაშვება განისაზღვრება ГОСТ 9238-83-ით „ნაგებობათა და რკინიგზის 1520 (1524 მმ) სივრცის მოძრავი შემადგენლობის მიახლოების გაბარიტები". აღნიშნული ГОСТ განსაზღვრავს მაქსიმალურად დასაშვებ ზომებს მატარებლებისთვის და მიახლოებისას მინიმალურად დასაშვებ ზომებს ისეთი ნაგებობებისთვის, როგორიც არის გვირაბები, ხიდები და ბაქნები. მოძრავი შემადგენლობებისთვის არსებობს სამი ძირითადი გაბარიტი (T, 1-T, BM), რომელთაგანაც „T" ყველაზე მოცულობითია. ხელოვნურ ნაგებობებთან მიახლოებისთვისაც არსებობს ზუსტად ანალოგიური კლასიფიკაციები, შესაბამისი რეზერვის გათვალისწინებით, რათა მოძრავი შემადგენლობა არ შეეხოს ნაგებობებს, მათ შორის საქართველოს რკინიგზაზე არსებულ გვირაბებს და სხვა ხელოვნურ ნაგებობებს.



საქართველოს რკინიგზის მიერ შეძენილი „Stadler KISS“ მატარებლები შეესაბამება „T" გაბარიტს და ის შემოწმებულია არა მხოლოდ ნახაზების შედარებით, არამედ პრაქტიკული გაზომვის გზითაც.

საგულისხმოა, რომ შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებამდე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობა შემოწმებული და დადასტურებულია გერმანიის რკინიგზის (Deutsche Bahn AG – DB international) შესაბამისი ექსპერტების მიერ და გაცემულია დადებითი დასკვნა.

მგზავრთა განსათავსებლად მეორე სართულის მოწყობა დასაშვებია, ვინაიდან ძველი, ერთსართულიანი მატარებლები არ გამოიყენებენ გაბარიტის სრულ სიმაღლეს, ხოლო ორსართულიანი „Stadler KISS“ მატარებელი ვერც კი ავსებს „T" გაბარიტს.

ორსართულიანი ელექტრო „KISS“ მატარებლები, რომლებიც საქართველოს რკინიგზისთვისაა განკუთვნილი, შვეიცარიელი ინჟინრების მიერ არის შემუშავებული, რა დროსაც მათ შვეიცარიის, გერმანიის, ავსტრიისა და ლუქსემბურგის, ანუ ევროპელი დამკვეთებისთვის დამზადებული, მსგავსი კონსტრუქციის მატარებლები შექმნეს".

პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ყოფილი პრემიერის, ვანო მერაბიშვილის საქმეზე ცუდად ნამუშევარია, რადგან მას საქმეების ნახევარი ვერ დაუმტკიცდა...

– თქვენ მერაბიშვილს პოლიტპატიმრად არ მიიჩნევთ, თუმცა, ნაციონალები ამბობენ, რომ სტრასბურგის სასამართლომ ის დაადასტურა, რის თაობაზეც ევროპელი ლიდერები საერთაშორისო ტრიბუნებიდან საუბრობენ. ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ხართ და გეცოდინებათ, ევროპაში მერაბიშვილზე როგორც პოლიტპატიმარზე ისე საუბრობენ?

- დიახ, ვიღაცეები აცხადებენ, რომ ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარია. როცა „ევროპის სახალხო პარტიის“ თავმჯდომარედ აგრამუნტი აირჩიეს, მან პირველივე გამოსვლის დროს თქვა, რომ ვანო პოლიტპატიმარია, რაც აბსოლუტური სისულელე იყო. ეს სტრასბურგის სასამართლოს რომ ეთქვა, მას განვიხილავდით, თუმცა, დიახ, „სახალხო პარტიაში“ ამბობენ, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არიან. არ დაგავიწყდეთ, რომ აგრამუნტი ერთი წლით ადრე ამტკიცებდა, რომ ტერმინი - პოლიტპატიმარი იდიოტობაა. ჩვენს წინაშეა სრული ფარისევლობა და „ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამა, რომელიც მათთან ერთად რაღაცის მიღწევას ცდილობენ. გასაგებია, რომ „სახალხო პარტიას“ „ნაციონალური მოძრაობა“ მოსწონს, რადგან მისი პარტიაა. სხვა მეგობარი პარტიები გვყავს, რომლებიც მერაბიშვილს პოლიპატიმრად არ აღიარებენ.

– ქართული მართლმსაჯულება ვანო მერაბიშვილს სისხლის სამართლის საქმეებს ედავება, სახელმწიფოს კი, მისთვის კომპენსაციის გადახდა მოუწევს. ეს ბედის ირონია არ არის?

- ბედის ირონიაა ის, რომ ამერიკაში ასპროცენტიანი განგსტერი - ალ კაპონე მხოლოდ იმიტომ დაიჭირეს, რომ გადასახადები დამალა. ბედის ირონია იყო ის, რომ მას წლების მანძილზე ვერ აპატიმრებდნენ. ამიტომ, საქართველოში პროკურატურამ ცოტა უფრო კარგად უნდა იმუშაოს. რა თქმა უნდა, მერაბიშვილთან ცუდად არის ნამუშევარი, მას საქმეების ნახევარი ვერ დაუმტკიცდა. ახალაიას, მერაბიშვილსა და უგულავას გაც-



## „მურუსიძეს ცოტა ხნის წინ თვალი მოვკარი, თვალებს ძალიან მიბრიალებდა და რა ვქნა, ტყუილს ვერ ვიტყვი, მისი გამოსწორების არ მჯერა!“

### »» „რესპუბლიკური პარტია“

ილებით მეტი დანაშაული აქვთ ჩადენილი, ვიდრე ის, რაც დაუმტკიცდათ. სამივე შემთხვევაში, ჩვენმა სისტემამ ცუდად იმუშავა და წინასწარი პატიმრობის ვადებში დარღვევებია. ეს არ მიკვირს, რადგან ეს მემკვიდრეობა მივიღეთ... მერაბიშვილი ვის უნდა დაეჭირა? - ისევ მერაბიშვილს. მთავარ პროკურატურაში ახალია ვინმე თუ რა? - გასაგებია, რომ მათ საკუთარი თავის წინააღმდეგ მუშაობა გაუჭირდათ. ეს საყვედური უნდა მიიღონ. რამდენი მოსამართლეც არ უნდა იყოს, ნებისმიერი საქმის განხილვას დანიშნავენ და სულ სკანდალია. მოსამართლე ბინას დედისგან ქირაობს. ეს კანონიერია თუ არა, არა მაინტერესებს, რადგან ზნეობრივად ხომ ვიცით, რაც არის? ხომ ვიცით, რომ სახელმწიფოს ფული მოპარა? ასეთი მოსამართლე არ უნდა იყოს, მაგრამ ეტყობა, სხვას ვერ პოულობენ. ან მურუსიძის მსგავსად, წარსულიდან საშინელი, შავი ლაქა მოგვყვება და როგორ უნდა გამოსწორდეს, არ ვიცი. ცოტა ხნის წინ, მას თვალი მოვკარი, თვალებს ძალიან მიბრიალებდა და რა ვქნა, ტყუილს ვერ ვიტყვი, მისი გამოსწორების არ მჯერა...

*for.ge*

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

**თამარ ივერი:**

**ქართული საოპერო ხელოვნების სასწაული ფეიერვერკი:ბოლო 2თვეში სამი პირველი პრემია: სალომე ჯიქია მონიუშკოს კონკურსი,ოთარ ჯორჯიკია გალინა ვიშნევსკაიას კონკურსი,ნანა ძიძიგური ვერდის ხმები.....ასეთი ტალანტების კასკადი და ფუფუნება არამცთუ არც ერთ ჩვენს მეზობელ ქვეყანას,არამედ არც ერთ აღმოსავლეთის ქვეყანას არ აქვს და მერე რა....ბრუნდებიან ისინი საკუთარ ქვეყანაში სადაც ოპერის თეატრი პრაქტიკულად დაკეტილია!!კი...მისი კარები ღიაა,შენობა ღიაა მაგრამ თავად ოპერის თეატრი კი....ვთვლი რომ ჯერ კიდევ დაკეტილი.იმისთვის რომ რაღაც როლს ელირსნონ ..2-3და 4 თვე უნდა ელოდონ როდის დაიდგმება ან აღდგება რაიმე უკვე კარგად ნაცნობი და გადათელილი პროდუქცია(ისიც მხოლოდ 2-3 სპექტაკლით),როდის იქნება მასში რაიმე მისი ხმისთვის შესაფერისი ან თვეების განმავლობაში უყურონ თეატრის დირექტორის ტელეარხებზე თვითპიარს და სადირიჟორო პულტთან მის ტინგიცს რაღაც "გაურკვეველი გემოს" და ჟანრის ღონისძიებებზე.**

**პრაქტიკულად ეს ტალანტები სახლში ზიან!!!!**

**ზიან და თუ ქვეყნიდან გაქცევით თავს არ უშველეს...მათ ქვეყანაში....სრული დაბლაგვება უწერიათ.და თუ კიდევ ვინმეს ორი აზრი აქვს თეატრის დირექტორის (არა)პროფესიონალიზმზე და (არა)კომპეტენციაზე,ძირეულ და სისტემური ცვლების აუცილებლობაზე...დაგვისაბუთოს "ფლიზ"!**

**ჩვენი მეზობელი ქვეყნები,ასეთი უზარმაზარი პოტენციით,მსოფლიო დონის საოპერო თეატრს შექმნიდნენ და თვით,სტრატეგიულად,მათი სახელმწიფოს პრიორიტეტი და "სავიზიტო ბარათი" იქნებოდა ოპერის თეატრი და არა ისეთი სულთმობრძავი, მუსკომედიად და ფილარმონიის ფილიალად,პატარა კაცის პირად "გასართობ ცენტრად" ქცეული და დაჩოქილი როგორადაც ის ჩვენთან აქციეს!!!**



*გელა ზედელაშვილი*
*555 48-48-61*



## რატომ მიდიან ქართველი პოლიტიკოსები „ენდიაიში“ სასაუბროდ, რომელიც თავად აყალბებს სოცკვლევებს და მოსახლეობა არ ენდობა?



**„მემარცხენე ალიანსის“ ლიდერები, კახა ძაგანია და იოსებ შატბერაშვილი ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის („ენდიაი“) ხელმძღვანელს, ლორა თორნტონს შეხვდნენ. როგორც კახა ძაგანია ამბობს „ალიასთან“ საუბარში, მათ ამ ორგანიზაციისგან მოითხოვეს საპარლამენტო არჩევნებისთვის დამკვირვებელთა მაქსიმალური რაოდენობის მობილიზება, რათა პროცესი არ გაყალბდეს. რატომ მიდიან ქართველი პოლიტიკოსები იმ ორგანიზაციაში სასაუბროდ, რომელიც თავად აყალბებს სოციოლოგიურ კვლევებს და ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არც კი ენდობა? რატომ სთხოვენ დამკვირვებლების გამოგზავნას იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, რომელსაც სახელი აქვს გატეხილი და არც კი ვიცით, იგივე დამკვირვებლების ხელით რა მონაცემები ან შეფასებები დაიდება? ამაზე „ალიას“ კახა ძაგანია პასუხობს:**

– ჩვენ მივიღეთ დაპირება, რომ ქალბატონი ლორა თორნტონი ჩამოიყვანს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან დამკვირვებლებს, ანუ ჩამოვლენ ერთი თვით ადრეც და ჩამოვლენ 8 ოქტომბრისთვისაც. სხვათაშორის, თორნტონი თვითონაც დაგვეთანხმა, რომ მართლაც არსებობს რაღაც არეულობის გეგმა. ჩვენ მას პირდაპირ დავუსახელეთ „ნაცმოძრაობა“, ნათელაშვილი და სხვები, რომლებიც თითქოს სიტყვის თავისუფლებისთვის იბრძვიან. ჩვენ ჩამოვუთვალეთ ფაქტობრივი გარემოებები – სატელევიზიო გამოსვლები და საგაზეთო მასალები. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამონათქვამები. ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, თუ საარჩევნო უბნების 30 პროცენტი გაბათილდება, ანუ პროცესი ჩაიშლება, არჩევნები ცხადდება არალეგიტიმურად. „ენდიაი“ კი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ ის მაინც გამოხატავს ამერიკის სახელმწიფოს ინტერესებს. ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ კრიტიკულ მომენტში დაიკავებს სწორ პოზიციას. მათ აქვთ ინფორმაცია სპეცსამსახურებიდან და ვინ რას ამზადებს, ძალიან კარგად იციან. ქალბატონ ლორას არ გაკვირვებია, რაც ვუთხარით და რა ინფორმაციაც მივაწოდეთ.

**— არ შეახსენეთ, რომ მათ მიერ ჩატარებული კვლევები მთლად სანდო არ არის?**

– რა თქმა უნდა, ვუთხარით, რომ მათ საქმე აქვთ ისეთ ქართულ ჯგუფებთან, რომლებიც არიან დაახლოებული „ნაცმოძრაობასთან“. შევთავაზეთ, შეეცვალათ... პირდაპირ დავუსახელეთ, ერთი ორგანიზაციის დირექტორი არის გოჩა ცქიტიშვილი, „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. მეორე ჯგუფს ხელმძღვანელობს ლევან თარხნიშვილის მეუღლე. ჩვენ ვურჩიეთ, ეს კვლევები დაუკვეთონ უფრო ობიექტურ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

**— რა, მაგათ არ იციან, ვის უკვეთავენ კვლევებს?**

– რა თქმა უნდა, იციან, მაგრამ ჩვენ გვითხრეს, შემდეგ კვლევებში სხვებს შევარჩევთო. არჩევნების წინ აპირებენ გამოქვეყნებას და ვნახავთ, როგორ შეარჩევენ სხვებს. ეს პირობა რამდენად შესრულდება, სხვა საკითხია. თუმცა დარწმუნებული ვარ, პირველი ნაწილი, რაც ეხება დამკვირვებლებს, ეს შესრულდება.

### »» „მემარცხენე ალიანსი“

**— „ოცნებამ“ რომ არასაპარლამენტო პარტიებს თითქმის ყველაფერზე უარი გითხრათ და არჩევნების ჩატარებას თავისი დავთრების მიხედვით აპირებს, ამაზე მიაწოდეთ ინფორმაცია?**

– რაც შეეხება საარჩევნო კოდექსს და იმ საკითხებს, თუ რა არ შეასრულა „ქართულმა ოცნებამ“, ეს „ენდიაის“ არ აინტერესებს, არ არის მისი სფერო, რისი გაკეთებაც ამერიკელებს შეუძლიათ, ჩვენ დაჟინებით მხოლოდ ეს მოვითხოვეთ...

# „საქართველოში არიან „ბიძინისტი“ და „მიშისტი“ ქურდები! არჩევნებზე „ბიძინისტი“ ქურდები მიეხმარებიან „ქოცებს“, „მიშისტი“ ქურდები კი — „ნაცებს“!

## ,,სამარცხვინოა მინისტრ მღებრიშვილის განცხადება!“

### »» „პატრიოტთა ალიანსი — გაერთიანებული ოპოზიცია“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა „ალიასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ეროსი კიწმარიშვილის საქმის დახურვა ბევრ კითხვის ნიშანს იწვევს. კახა კუკავა ვარაუდობს, რომ ეროსი კიწმარიშვილი მოკლეს, რაც დაკავშირებულია „რუსთავი 2“-ის საკითხთან. მისი აზრით, პროკურატურას პასუხები უნდა გაეცა ამ ვარაუდისთვის, რადგან ასე არ მოიქცა და გადაწყვეტილება მიიღო ხელისუფლების სასარგებლოდ, მომდევნო ხელისუფლებისთვის ეს იქნება პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხი და კუკავა იმედოვნებს, რომ მომდევნო ხელისუფლება კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეს აუცილებლად გამოიძიებს.

— **თქვენი აზრით, ვისზე გადის მკვლელობის ხაზი, ვინ შეიძლება დამკვეთი ყოფილიყო?**

— ყველას შეუძლია, დაახლოებით წარმოიდგინოს, ვის ინტერესებში შედიოდა ეროსი კიწმარიშვილის ლიკვიდაცია. რატომ მიმაჩნია, რომ მოკლულია, ამაზე ეროსი კიწმარიშვილის ოჯახმაც არაერთხელ მიუთითა, მაგრამ მე ვიტყვი ერთ ძალიან მარტივ არგუმენტს, მაგალითად, რატომ მოკლა მაშინდელმა ხელისუფლებამ ზურაბ ჟვანია, რატომ მიმაჩნდა, რომ გამსახურდია მოკლა შევარდნაძის ხელისუფლებამ და რატომ მიმაჩნია, იგივე ეროსი კიწმარიშვილზე.

ძალიან მარტივი კონტრარგუმენტი მაქვს, თუ ხელისუფლება დამნაშავე არ არის, მაშინ დანიშნოს დამოუკიდებელი პროკურორი, ჩატარდეს დამოუკიდებელი გამოძიება. როგორც კი ხელისუფლება იწყებს მალვას მტკიცებულებების, ლოგიკურად ჩნდება ეჭვი, რა ხდება, რას მალავს? როცა მთავრობა ეჭვმიტანილია დანაშაულში და ამას თავად იძიებს, ბუნებრივია, იქ ჩნდება ეჭვი, რომ საქმე არ არის გამოძიებული.

— **ხელისუფლება ცდილობს სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში საარჩევნო კამპანია წარმართოს, თუმცა ვხედავთ, რომ ეს არ გამოსდის, ამ ვითარებაში ალასანია ითხოვს ე.წ. კაბელების საქმეში ბრალდებულების შეწყალებას. როგორ ფიქრობთ, შეიწყალებს მათ პრეზიდენტი და თუკი ეს აქტი გამოსცა, ნიშნავს თუ არა ეს აღიარებას, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს?**

– მე ამ ადამიანების მიმართ სოლიდარული ვარ, ვისურვებდი, რომ რაც შეიძლება მალე განთავისუფლებულიყვნენ, თუმცა ეს არ იქნება სისტემური გადაწყვეტილება, სისტემური გადაწყვეტილება არის ის, რომ დაკანონდეს დამოუკიდებელი პროკურორის ინსტიტუტი, რასაც დიდი ხანია მოვითხოვ, ასეთ საქმეებს უნდა იძიებდნენ დამოუკიდებელი პროკურორები.

საქართველოში თითქმის ყველამ ყველაფერი ვიცით, ვინ როგორ შოულობს ფულს, ვინ როგორ ატარებს ტენდერებს, ვის რამდენი ფული შეაწერა ამა თუ იმ მინისტრმა, თუ პროკურორმა. ამ ქალაქში არაფერი იმალება, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, აღმოჩნდება, რომ პროკურატურამ არაფერი არ იცის. ეს, რა თქმა უნდა, არანორმალური მოვლენაა, ამიტომაც, ამ სისტემური პრობლემის მოგვარების გადაწყვეტილება არის ის, რომ მე უნდა გავხდე მთავარი პროკურორი და ყველაფერი მოექცევა კანონის ჩარჩოებში.

— **არჩევნების წინ გააქტიურდა კანონიერი ქურდების თემა, ჩვენ მოვისმინეთ ოდესიდან დეპორტირებული ქურდის, მეტსახელად „სვანის“ აღიარებითი ჩვენება, რომ მიხეილ სააკაშვილმა საბოტაჟი მოუწყო ხელისუფლებას მისი დეპორტით. ასევე, გვესმის ქურდების ე.წ. „პაპაშის“, გივია თარგამაძის განცხადებები, რომ ხელისუფლებას არჩევნების წინ ჩამოჰყავს ქურდები მხარდაჭერის მიზნით. ფაქტობრივად, რასაც „ნაცმოძრაობა“ თვითონ აკეთებდა არჩევნების დროს, ის სცენარი უანდერძა „ქართულ ოცნებას“. სად არის რეალობა, რა ინფორმაცია გაქვთ ქურდული სამყაროს გააქტიურებაზე?**

– „კანონიერი ქურდები“ თანამშრომლობენ ორივე ხელისუფლებასთან – „ნაცმოძრაობასთან“ და „ქართულ ოცნებასთან“. ქურდები სამარცხვინოდ მიიჩნევენ, როცა ისინი პოლიტიკაში ერევიან და იყოფიან ბიძინისტებად ან მიშისტებად, ასეთი ქურდები არიან ფარჩაკები. ის, რომ ქურდები ორივე ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ, ამის მტკიცებულებები არსებობს. „ნაცებმა“ გამოაქვეყნეს დოკუმენტები, როგორ თანამშრომლობენ ქურდები „ქოცებთან“ და ახლა „ქოცებმა“ გამოაქვეყნეს მტკიცებულებები, როგორ თანამშრომლობდნენ „ნაცები“ ქურდებთან. საბოლოო ჯამში, მინდა ვთქვა, რომ ორივე ხელისუფლება, მიშასიც და ბიძინასიც, არის კრიმინალური მენტალიტეტის მქონე და ორივე თანამშრომლობს კანონიერ ქურდებთან.

სამარცხვინო იყო მინისტრ მღებრიშვილის განცხადება, როგორ მოიშველია სტატისტიკა, რამდენი ქურდი შემოდიოდა „ნაციონალების“ დროს. მაშინ სისხლის სამართლის საქმე უნდა იყოს აღძრული იმ ჩინოვნიკებზე, ვინც ეგ კანონიერი ქურდები შემოუშვეს. ასევე, უნდა აღიძრას დღევანდელ ჩინოვნიკებზე სისხლის სამართლის საქმე, რომლებმაც ეს ყველაფერი იცოდნენ და რეაგირება არ მოუხდენიათ. ვინაიდან საქართველოში არიან „ბიძინისტი“ და „მიშისტი“ ქურდები, რა თქმა უნდა, არჩევნებზე ისინი გამოყენებული იქნებიან, „ბიძინისტი“ ქურდები მიეხმარებიან „ქოცებს“, „მიშისტი“ ქურდები კი მიეხმარებიან „ნაცებს“.

— **რას უკავშირებთ ტელეკომპანია „იმედში“ წინასაარჩევნოდ საკადრო ცვლილებებს, არის აქ ხელისუფლების ინტერესი?**

– ტელეკომპანია „იმედი“ მუშაობდა ძალიან ცუდად და ხელისუფლებისადმი იყო ლოიალურად განწყობილი, რაც ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნას ჩრდილს აყენებდა, რადგან „იმედი“ არ იყო ჩვეულებრივი კომერციული კომპანია, ასე გადაწყვიტა სიცოცხლეშივე ბადრი პატარკაციშვილმა. გახსოვთ, რომ განაცხადა, „იმედი“ ეკუთვნის ხალხს და არ იყიდება, ის ცდილობდა, ტელეკომპანია „იმედი“ ყოფილიყო სამართლიანი და მიუკერძოებელი. როცა სააკაშვილის ხელისუფლებამ „იმედი“ წაართვა ოჯახს, იქცა „ნაციონალების“ რუპორად, ხოლო 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ, როცა ტელეკომპანია „იმედი“ დაუბრუნდა პატარკაციშვილის ოჯახს, სამწუხაროდ, გახდა უკვე ამ ხელისუფლების რუპორი. მე მინდა პატარკაციშვილის ოჯახს ვთხოვო, გასაგებია, მათ კომერციულ საქმიანობაში არავინ ერევა, მაგრამ მორალურად ჩვენც გვაქვს წვლილი შეტანილი „იმედის“ გადარჩენაში,

„იმედის“ გამო ცხვირ-პირი დაგვამტვრიეს. ახლა ძალიან ულამაზოდ ჩანს, როცა „იმედის“ საინფორმაციო სამსახურს აქვს დირექტივა, რომ კახა კუკავა დაბლოკონ. რაც დრო გადის, უფრო მეტად ვარ აკრძალული რესპონდენტი „იმედისთვის“, ეს არის სირცხვილი ჩემი და იმ ადამიანების მიმართ, ვინც „იმედის“ თავისუფლებისთვის ბრძოლას საკუთარი ჯანმრთელობა შევწირეთ. მე მგონი, ამის გამო პატარკაციშვილის ოჯახი თავს უხერხულად უნდა გრძნობდეს. მე ვარ აკრძალული იმიტომ, რომ ვაკრიტიკებ ხელისუფლებას, გასაგებია, კერძო ტელევიზიაა და მათ სარედაქციო საქმიანობაში ვერავინ ჩაერევა, თუმცა ყველაფერს თავისი ზომა და წონა აქვს.

სავარაუდოდ, მოლაპარაკება ასეთია – ოჯახი არ ჩაერევა „იმედის“ მართვაში, სამაგიეროდ ხელისუფლებას მოსთხოვს დახმარებას, რომ დაუბრუნდეს სხვა ბიზნესაქტივები.

— **თქვენი კურსელი ნიკა გვარამია აჯანყების უფლებით სარგებლობს და ადამიანის უფლებების კონვენციის მიხედვით, აჯანყებას გვიანონსებს.**

– როგორც „ქართული ოცნება“ ფორმალურად ამბობს სიმართლეს, ასევეა „ნაცმოძრაობა“, სინამდვილეში ეს ყველაფერი არის ტყუილი. თუ ადამიანს გაქვს პრინციპი და თვლი, რომ ხალხს აქვს აჯანყების უფლება, მაშინ ეს აზრი უნდა გქონდეს ერთი ხელისუფლების დროსაც, მეორე და მესამე ხელისუფლების დროსაც. წინა ხელისუფლების დროს აჯანყება კი არა, ქუჩაში კარვის გაშლა იყო აკრძალული და ახლა ტანკების გამოყვანაა კანონიერი?!. მე არ მჯერა ამ დებულების გულწრფელობის, ისევე როგორც არ მჯერა „ქოცების“ გულწრფელობის, წინა ხელისუფლების დროს „ქოცებს“ რაც მიაჩნდათ, რომ არასწორი იყო, დღეს ამართლებენ ისევე, როგორც გიგა ბოკერია ამართლებდა ყველაფერს წინა ხელისუფლების დროს. ამიტომ იმათ კი არ უნდა ვედავოთ, რასაც ამბობენ სწორია თუ არა, დღეს „ნაცმოძრაობის“ წევრები ბევრ სიმართლეს ლაპარაკობენ, კონტექსტიდან ამოგლეჯილად რომ აიღო მათი სიტყვები, მაგრამ ეს არის სიყალბე. თვითონ რა და როგორ აწყობთ, ისე ლაპარაკობენ. როცა ხელისუფლებაში იყვნენ, დემოკრატიული არაფერი მოსწონდათ, ახლა ოპოზიციაში არიან და დემოკრატობანას თამაში დაიწყეს.

ღმერთმა ნუ ქნას და ხელისუფლებაში რომ „ნაციონალები“ მობრუნდნენ, უარესს იზამენ. იგივე შემიძლია ვთქვა „ქართულ ოცნებაზე“. როცა ოპოზიციაში იყვნენ, თავისუფალ არჩევნებზე, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაზე და დემოკრატიაზე ლაღადებდნენ, ახლა კი მიაჩნიათ, რომ ამის დრო არ არის. აგერ „ეროვნული ფორუმი“ ოპოზიციაში რომ გადმოვიდა, გაეხსნათ გონება და უკვე დემოკრატიას უჭერენ მხარს.

ამიტომ მთელი ეს მასა, „ქართული ოცნება“, „ნაცმოძრაობა“ და მათი სატელიტები, ჩემთვის არის ერთი დიდი უპრინციპო მასა და არანაირი აზრი არ აქვს მათი გამონათქვამების გაანალიზებას. ისინი სახელმწიფოებრივად კი არ აზროვნებენ და იმას კი არ ამბობენ, რა არის სახელმწიფოსთვის კარგი, არამედ, რაც მათ პარტიას აწყობს, იმას ლაპარაკობენ.

— **ვინ იქნება თქვენი კონკურენტი გლდანში მაჟორიტარულ არჩევნებზე „ქართული ოცნებიდან“?**

– როგორც მითხრეს, ჩემი კონკურენტი იქნება პიროვნება, რომელიც კენჭს იყრიდა „ნაციონალური მოძრაობიდან“, ეს გახლავთ თემურ გოცირიძე. მითხრეს, რომ „ქართულ ოცნებაში“ გადასულა, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია, არ ვიცი...

,,იმედის“ გამო ცხვირ-პირი დაგვამტვრიეს და ახლა ძალიან უხერხულია მათი მხრიდან, რომ კახა კუკავას ბლოკავენ“



,,ეროვნული ფორუმი“ ოპოზიციაში რომ გადმოვიდა, გაეხსნათ გონება და უკვე დემოკრატიას უჭერენ მხარს“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## facebook



**სოსო მანჯავიძე:**

ერთმა მეგობარმა მომწერა ახლა, ადვოკატია და იცის რასაც ამბობს: "ამ მთავრობის დამხობა თუ მოხდება, ეს სწორედ პროკურორების ხელით იქნება. ეს ხალხი არიან იდეური ნაცები. დნმ რომ გაუსინჯო, ხუთიანს უპოვნი იმაშიც. ეს პ რ ო კ უ რ ო რ ე ბ ი იმართებიან,აშკარად ეტყობათ ,რომ სიტუაციის არევა უნდათ.დღეს ერთ პროკურორს რომ დავედევნე ახლაც გარბის მგონია. პირდაპირი მნიშვნელობით გეუბნები. გამოვეკიდე და გამექცა. მთელი სიღნაღი გავატარებინე სირბილით და მიშას მონას ძახილით. არ ვარო, კი არ უთქვია იმ ნაბოზარს." ერთი იმ ადამიანების თავში ჩამახედა,ვისაც ეგონა,რომ ხალხი,ვინც ნახევარი საქართველო ხელის აუკანკალებლად გაამწესა ციხეში, გამოსწორდებოდა. სასაცილოა,სატირალი რომ არ იყოს. ცნობისათვის: პროკურორები ირჩეოდნენ ნაცმოძრაობის აქტივისტებიდან მთელი 6 წელი, ვინც ყველაზე მეტად გამოიჩენდა თავს, ის მოსამართლედ გადაყავდათ. ასე ააწყო მთელი ეს არაადამიანური სისტემა გარეწარმა სააკაშვილმა. სამწუხაროდ არაფერს არ მიეცა შეფასება,როგორც ყოველთვის ხდებოდა და ხდება ჩვენში.

## facebook



**ნინო ჯღარკავა:**

წინასწარ ,,გვაპარებენ, ,ოპოზიციური პარტიის ,,რუპორები, ოცნება არჩევნებს გააყალბებსოო,რომ მერე რევოლუცია დაგეგმონ,იქვე იმასაც აჟღერებენ ამ ,,უნიათოებს,, კორცხელში გაყალბების შნოც არ ქონდათ და ხმები 3-ჯერ დათვალესოო,ხოდა ჩამოყალიბდით თუ უნიათოები არიან და ვერ აყალბებენ შემოდგომაზე გოგორიშვილი მოყავთ ხმის დამთვლელად?ისეთი აჯაფსანდალი გაქვთ ატეხილი ოპოზიციაში,ვინ ვის ეკვრებით და ვინ ვისთან ჯდებით გადაბორროტებულები,რომ ხმა კი არა ოჯახში შესაშვებები აღარ ხართ:)))) ნუ ოცნებობთ,არც რევოლუცია გამოვა და არც თქვენი ბლოკებ-ალიანსები გაამართლებს, ასეა ეს და თუ არა გჯერათ შევერკინოთ ,,ფეოლა,, 8 ოქტომბერს:)))))))))))))))

facebook



**ბონდო მძინარაშვილი:**

თქვენ ვინ ხართ?

(ნამდვილი ისტორია)

ნიუ-იორკში (აშშ), კენედის სახელობის აეროპორტში ჟურნალისტი ატარებდა გამოკითხვას თემაზე: "რა არის თქვენი აზრით ყველაზე ცუდი ამ ქვეყნად?" ადამიანები განსხვავებულ პასუხებს იძლეოდნენ: ომი, სიღარიბე, ღალატი, ავადმყოფობა და ა. შ.

სწორედ ამ დროს აეროპორტში იმყოფებოდა კორეელი ბერი, ძენის უდიდესი ოსტატი, ძენ კვან უმის საერთაშორისო ძენ-სკოლის დამაარსებელი სუნგ სანი (დე სონ სა ნიმი). ჟურნალისტმა დაინახა სუნგ სანის ბუდისტური ჩაცმულობა, მივიდა მასთან და იგივე კითხვით მიმართა:

— თქვენი აზრით რა არის ყველაზე ცუდი ამ ქვეყნად?

თუმცა ძენის ოსტატმა მას შემხვედრი კითხვა დაუსვა:

— თქვენ ვინ ხართ?

— მე ჯონ სმიტი ვარ, — უპასუხა ჟურნალისტმა.

— არა, ეს სახელი და გვარია, მაგრამ თქვენ ვინ ხართ? — კვლავ შეეკითხა სუნგ სანი.

— მე ვარ ტელეჟურნალისტი, — უფრო დააკონკრეტა ჟურნალისტმა ჯონ სმიტმა.

— არა, ეს პროფესიაა, მაგრამ თქვენ ვინ ხართ? — ჩაეძია ბერი.

— მე ადამიანი ვარ, ბოლოს და ბოლოს, — მთლად დაიბნა ტელეჟურნალისტი.

— არა, ეს თქვენი ბიოლოგიური სახეობაა, მაგრამ თქვენ ვინ ხართ? — უფრო კონკრეტულ პასუხს ითხოვდა სუნგ სანი.

ტელეჟურნალისტი ჯონ სმიტი მიხვდა, თუ რა ჰქონდა ბერს მხედველობაში და შეცბა, რადგან პასუხი ვეღარ მოიფიქრა.

ბერმა კი აღნიშნა:

— სწორედ ეს არის ყველაზე ცუდი ამ ქვეყნად, როცა არ იცით ვინ ხართ.

facebook



**თეა თუთ-ბერიძე:**

რაფალიანცის მკვლელობა, კიწმარიშვილის მკვლელობა, შალვა თათუხაშვილის მკვლელობა, ეს მინიმუმ ის სამი საქმეა, რომელზედაც აუცილებლად აგებენ პასუხს არა მხოლოდ დამკვეთები და შემსრულებლები, არამედ პროკურორები და პროკურატურის ის წარმომადგენლები, რომელთა მითითებითაც ამ საქმეების გამოძიება არ მომხდარა რეალურად!!!

Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში • Facebook ჯიბეში

# „აი, ეს უბედურება დაემართა „ქართულ ოცნებას“!

## „თუ ფიქრობენ, რომ კოჭი სამაგათოდ დაჯდა, ძალიან შემცდარან“







გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**დიდი ბრიტანეთის გასვლამ ევროკავშირიდან საქართველოში ბევრი გაახარა და ბევრიც დაამწუხრა. ყოველ შემთხვევაში, უფრო გამძაფრდა იდეოლოგიური დაპირისპირება და შეიძლება ითქვას, ზიზღიც კი ე.წ. რუსეთუმეებსა და პროდასავლელებს შორის. თუ ხელისუფლება ამ ფაქტს სათავისოდ იყენებს და ვიცე-პრემიერ ქუმსიშვილის პირით ლარის გაუფასურების პრობლემას ბრიტანეთს აბრალებს, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა კაციტაძე „ალიასთან“ საუბარში სხვა ვერსიაზე საუბრობს:**

– ბრიტანეთს რომ აბრალებენ ლარის კურსის დაცემას, ეს არის ძალიან არასერიოზული. მე მიკვირს, როგორ ჰყოფნის ჭკუა ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს, ასეთი რამ განაცხადოს? ძალიან კარგად მახსოვს, დაახლოებით 20 დღის წინ სავალუტო ჯიხურებში ლარის კურსი ჩამოვიდა 2,10-ზე და შემდეგ ყოველდღიურად ისევ დაიწყო გაუფასურება. სად იყო მაშინ ბრიტანეთი და რეფერენდუმი? სამი კვირაა, მიდის რეგრესი...

როდესაც ლარმა გამყარება დაიწყო, ხელისუფლების წევრები ასახელებდნენ სწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ტურისტების შემოდინებას, ინვესტიციების მოზიდვას და ასე შემდეგ. ვერ გავიგე, ბოლო დღეებში ეს ყველაფერი აირია, ტურისტებმა ბოიკოტი გამოგვიცხადეს თუ რა?! ვწუხვარ, რომ ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე, ბატონი ქუმსიშვილი ასეთ რაღაცას ლაპარაკობს. ეს არის არასწორი დამოკიდებულება საკუთარი მოსახლეობისადმი, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ასეთი განმარტებები მაშინვე იჩენს ხოლმე თავს. ეს, ერთი მხრივ, გახლავთ არაპროფესიონალიზმის ბრალი, ხოლო მეორე მხრივ – საერთოდ დილეტანტიზმის ბრალია პოლიტიკის ჭრილში. შეიძლება პროფესიონალად ითვლები ეკონომიკაში, ჯანდაცვაში ან აგრარულ სფეროში, მაგრამ, თუ დილეტანტი ხარ პოლიტიკაში, აქ უკვე იწყება ის უბედურება, რასაც დღეს ვხედავთ. სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ მასობრივად ახასიათებს ეს უბედურება – მსგავსი დილეტანტიზმი.

**— ბატონო მამუკა, საქართველოში არც ადრე იყო ნამეტანი ოპტიმიზმი ევროკავშირისა და ნატოს მიმართ, მაგრამ ახლა უკვე გაჩნდა დიდი კითხვის ნიშანი: რატომ ვაპირებთ შესვლას იქ, საიდანაც გარბიან?**

– თუ საქართველოში პრორუსული პოლიტიკის მომხრეებს ჰგონიათ, რომ ბრიტანეთის გასვლით, ჟარგონით ვიტყვი, კოჭი სამაგათოდ დაჯდა, ძალიან შემცდარან. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ ფაქტს წინასაარჩევნოდ გამოიყენებს, ევროკავშირიდან ხალხი გარბის, ჩვენ სად მივდივართო, ასევე, ძალიან შემცდარა. ასეთების გასაგონად ვაცხადებ: ჯერ ერთი, ეს იყო ერთი ქვეყნის გადაწყვეტილება, სადაც ხმების რაოდენობა ნახევარი ნახევარზე გაიყო და უკმაყოფილება გრძელდება; მეორე – ეს არ მომხდარა ეკონომიკური პრობლემების გამო, ეს თემა არ მომწიფებულა. აქ იყო მსოფლიო პოლიტიკის ნაკარნახევი მომენტები – ბოლო პერიოდში ევროპის ბევრმა სახელმწიფომ დაიწყო რუსეთთან ენის მოჩლექით საუბარი და ასეთმა დამოკიდებულებამაც შეასრულა მნიშვნელოვანი როლი. ასეც რომ იყოს, სხვა არგუმენტებიც რომ არსებობდეს, ეს იმას არ ნიშნავს, არიქა, ევროკავშირი დაიშალა და უპერსპექტივო გახდა.

ვინც დღეს აცხადებს, ევროკავშირიდან სახელმწიფოები გარბიან, ჩვენ იქ რა გვინდაო, ხომ არ დააკონკრეტებს, საით უნდა წავიდეს საქართველო? მეორე კავშირზე ხომ არ მიგვითითებენ ე.წ. სკეპტიკოსები, შემთხვევით ასეთი ცენტრი ევრაზიული კავშირი ხომ არ არის?

წინასაარჩევნო ახმაურებაში პრორუსული მძაფრი პოლიტიკა ხომ არ გამოიკვეთა, ამიტომ ხომ არ არიან აღფრთოვანებულები ბრიტანეთის გადაწყვეტილებით? მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ: რატომ რცხვენიათ პიროვნებებს და პარტიებს იმის თქმა, რომ მათთვის საქართველოს მომავალი რუსეთზეა მიბმული? ახლა გამოდიან და ჩახლართულად ლაპარაკობენ, ჩვენ არც ერთი ვართ და არც მეორე, ჩვენ პროქართულები ვართო. ასეთი რამე მსოფლიოში არ არსებობს, არ შეიძლება, იძახო პროქართული, პროსომხური, პროკამბოჯური და ასე შემდეგ. დედამიწაზე არსებობს ორი ძირითადი პოლუსი, ეს არის რუსეთი და მის გარშემო შემოკრებილი სახელმწიფოების წყება, მეორე – ნატო და ევროკავშირი. არ უნდა ახლა ამას მიკიბულ-მოკიბული საუბარი არც პოლიტიკოსისთვის, არც ჟურნალისტისთვის, არც პოლიტოლოგისთვის და არავისთვის! ვიცი, ბრიტანეთის ამბავი წინასაარჩევნოდ ჩვენთან აუცილებლად იქნება ბევრისთვის ლაიტმოტივი და

ყველას, ვისაც საბჭოთა კავშირი, ნამგალი, ურო, წითელი დროშები, ჰიმნი, პიონერები ელანდება, უნდა დაოკდეს. ეს გახლავთ ნოსტალგიის საგანი და ნიშნავს გზას წარსულისკენ, სიბნელისკენ და არა პროგრესისკენ, ანუ გზა რუსეთისკენ. ამ გზას შეიძლება თეორიულად ჰქონდეს არსებობის უფლება, ჩემი ნება რომ იყოს, არც არსებობის უფლებას მივცემდი, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ ეს არის მტრობისა და ღალატის პოლიტიკა. მინდა, ერთმორწმუნეობის არგუმენტების მომშველიებლებს გავაგონო:

სად დაინახეთ რუსეთის მართლმადიდებლური სიყვარული ჩვენს მიმართ? ისტორიის რომელ მონაკვეთზე გამოაჩინა რუსეთმა საქართველოს მიმართ დიდი სიყვარული? დღეს მთავარია სალაფავი და სალაფავს გადაგებული ადამიანების რიტორიკა ისმის საქართველოში, რასაც, სამწუხაროდ, პოლიტიკად ნათლავენ. ახლა მიდის ქირქილი ევროკავშირზე, ბრიტანეთის გადაწყვეტილებაზე და ბევრს გაუჩნდა იმედი, რომ ხვალ მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოვა. მე ჩემს თავს ვუსურვებ – ღმერთმა არ მაცხოვროს იმ საქართველოში, სადაც მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოვა!

**— თუმცა, საქართველოში არსებობს გაჭირვებულთა ფენა, ვისთვისაც მზე საერთოდ აღარ ამოდის.**

– მესმის, კარგად მესმის და იმასაც ვხედავ, როგორ სარგებლობენ ასეთ ფენაზე ბოროტად. აი, სწორედ აქ დგება ყველა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ვერა და ვერ მოახერხეს, შეემცირებინათ სილატაკე ქვეყანაში. როდესაც გაჭირვებული ადამიანი ხედავს, რომ არაფერს არ უკეთებ, უცებ შემოდის რიტორიკა: გახსოვს, საბჭოთა პერიოდში 37 მანეთად რომ დავფრინავდით? ახლა ახალი იდეაც გაჩნდა, რუსულ პენსიებს მიიღებთო.

დღეს ვიღაც მოპოლიტიკოსო ელემენტები სარგებლობენ ადამიანების გაჭირვებით და უბედურებით, ისინი ცდილობენ, სხვის უბედურებაზე ააგონ თავიანთი კეთილდღეობა... ყველაზე საინტერესო ის არის, რომ

ე.წ. პროქართველები დაიწყებენ ხოლმე რუსეთზე ლაპარაკს, დასავლეთის ლანძღვას და ამ დროს მათი შვილები ევროპის უნივერსიტეტებში სწავლობენ, თვითონ დასასვენებლად ევროპაში დადიან, ტანზე ვერაფერს უნახავ რუსულს, არც ერთი არ დადის „ჟიგულით“

**»» „ახალი მემარჯვენეები“**

და „ვოლგით“, ოღონდ პოლიტიკა უნდათ პრორუსული. ვერ გავიგე, თუ ყველაფერი დასავლური კარგია, მაშინ რატომ მივიწევთ ამ რეგრესისკენ? ასწავლონ თავიანთ შვილებს გორკში, როსტოვში, ნოვოსიბირსკში, თუნდაც პეტერბურგსა და მოსკოვში, ნუ გარბიან ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში.

**— რატომ იქცევიან ასე?**

– იმიტომ, მათთვის მთავარი სალაფავია, რუსი ამ პოლიტიკისთვის იხდის სალაფავს. რუსეთიდან მიღებული ფულით ასწავლიან თავიანთ შვილებს ევროპის უნივერსიტეტებში, ისვენებენ, მკურნალობენ და ასე შემდეგ! ეს ასეა... თუ ასე არ არის, მაშინ დავინტერესდეთ, თქვენც დაინტერესდით, ვის რა ორიენტაცია აქვს საკუთარი თავისთვის და რა ორიენტაცია აქვს პოლიტიკაში, ანუ რას ჭიკჭიკებს!

**— თქვენ რას აპირებთ არჩევნებისთვის, ბოლოს და ბოლოს, ვისთან ერთიანდებით?**

– შევქმნით ბლოკს, რომელიც დაახლოებით შეასრულებს მესამე პოლუსის როლს.

**— ვისთან უნდა გაერთიანდეთ, რომ მესამე პოლუსად ჩამოყალიბდეთ?**

– ჩვენ გვექნება ორი მიმართულება, საგარეო პოლიტიკა ისეთი, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ, საშინაო – ეს არ იქნება ეკლექტური გაერთიანება, როგორიც „ქართული ოცნებაა“, სადაც ვერ გაიგებ, ვინ რას ფიქრობს. აქამდე ყველა შემთხვევაში მხოლოდ პიროვნების გარშემო იკრიბებოდნენ, ჯერ შევარდნაძის გარშემო, მერე სააკაშვილის გარშემო, ბოლოს კი ივანიშვილის გარშემო. ყველა შემთხვევაში ასეთი გაერთიანება არის დამანგრეველი, პოლიტიკურ ბლოკს უნდა ჰქონდეს ღირებულებითი, ფასეულობითი და იდეოლოგიური ფუნდამენტი. საქართველოში არიან ძალები, რომლებსაც აქვთ დასავლური ორიენტაცია, ასეთები უნდა შევიდნენ პარლამენტში, ჩვენ ამაზე ვმუშაობთ, გვაქვს საკმაოდ ინტენსიური საუბრები. ახლაც მქონდა ორი შეხვედრა. მაგრამ ამ ეტაპზე ვერ დავასახელებ, ეს გახდება ცნობილი დაახლოებით ერთ კვირაში.

**— ფიქრია ჩიხრაძე ხომ არ ტოვებს თანამდებობას, ხომ არ შემოგიერთდებათ არჩევნებისთვის?**

– არა, ფიქრია ჩიხრაძე არ დატოვებს პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობას, ის რჩება იქ, სადაც არის.

# დღეს რა ხდება „ოცნების“ ხელისუფლებაში?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**როგორ გადაანაწილეს რესურსები წინასაარჩევნოდ სასამართლო სისტემასა და პროკურატურაში? რატომ წახალისდა ქვეყანაში კორუფცია?**

**„ალიას“ ადვოკატი ზურა ჯორბენაძე ესაუბრა:**

**„ესენი არიან ზუსტად ოთხ წელზე მორგებული ადამიანები, რომლებიც ზუსტად იმიტომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, რომ ამ ხნის განმავლობაში, რაც შეიძლება მეტი ფული აკეთონ“**



**„ლევან მურუსიძე ხელისუფლებისთვის არის კოზირი, რომელიც საარჩევნო შედეგებს „გააპრავებს“ სააპელაციო სასამართლოში“**

**„მთავარი პროკურორის მოადგილე, გაბიტაშვილი დათო საყვარელიძის დეიდაშვილია. რატომ ჰგონია ვინმეს, რომ დათო საყვარელიძის დეიდაშვილი რომელიმე „ნაციონალს“ პასუხისგებაში მისცემს?!“**

> – სასამართლო სისტემა უკვე კარგადაა გამზადებული წინასაარჩევნოდ. ყველა დონეზე გადალაგებულია ურთიერთობები და დაკომპლექტებული არიან „ოცნების“ სანდო კადრებით.

ისე, რომ, როგორც კი ხელისუფლებას დასჭირდება სასამართლოს გზით საარჩევნო პროცესების „გაპრავება“, ყველაფერი მზადყოფნაში იყოს.

**— რას გულისხმობს ეს გადალაგება?**

– მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში, მურუსიძის ხელდასხმით დანიშნულები არიან ისეთი მოსამართლეები, რომლებიც უსიტყვოდ გაატარებენ ყველანაირ მითითებას. მეტსაც გეტყვით,

> მაგისტრანტ მოსამართლედ დაინიშნა კოპალიანი. კოპალიანი და რამდენიმე „კოპალიანი“, რომელიც მურუსიძის კლანში მოიაზრებიან, იმუშავებენ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამავე კლანში ველოდებით თამაზ ურთმელიძესაც,

რომელიც უკვე გასული იყო გასაუბრებაზე. როგორც მე ვიცი, ადმინისტრაციულ კოლეგიაში უპირებენ დანიშვნას...

რაც შეეხება პროკურატურას, კანონში კი უწერიათ, რომ არ უნდა ერეოდეს პოლიტიკურ პროცესებში, ეკრძალებათ პოლიტიკური საქმიანობა, მაგრამ გააჩნია, „ქარი რომელი მხრიდან უბერავს“.

> ამ ეტაპზე, პროკურატურა, პოლიტიკის სრული გავლენის ქვეშაა, მაგრამ კოჰაბიტაცია ისე ღრმადაა ფესვგადგმული, რომ საკმარისია, ზედა ეშელონებში ძალიან ოდნავ შეიცვალოს სიტუაცია და პროკურატურა ისევ „ნაციონალების“ სასარგებლოდ დაუკრავს.

**— მოლაშვილის საქმე ისევ წამოწია პროკურატურამ. რას ემსახურება ეს აქტივობა და გადაჰყვება თუ არა ამ საქმეს ლევან მურუსიძე?**

> – ევროპის სასამართლომ სულხან მოლაშვილის განაჩენში დაადგინა, რომ სულხან მოლაშვილისთვის განაჩენის გამომტანი პირი, არ შეესაბამება სამოსამართლეო სტანდარტს და სულხან მოლაშვილის მიმართ, დაირღვა სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. ეს მოსამართლე ლევან მურუსიძეა. ევროპის სასამართლო ვერც დაწერდა პირდაპირ, მურუსიძე დასაჭერიაო,

მან გააკეთა მთავარი – გასცა რეკომენდაცია და თქვა, რომ ლევან მურუსიძის მოსამართლეობა ეჭვს იწვევს. ამ თემის წამოწევაც წინასაარჩევნოდ არის ჩვეულებრივი პიარის ნაწილი, რომ აი, ჩვენ ვიძიებთ დიდ და რეზონანსულ საქმეებსო. რეალურად, სიზმარშიც კი არავინ დაიჯეროს, რომ მურუსიძეს ვინმე თანამდებობიდან გადააყენებს და დასჯის, მით უმეტეს, როცა არჩევნებამდე 4 თვეა დარჩენილი. ლევან მურუსიძე, ხელისუფლებისთვის არის კოზირი, რომელიც საარჩევნო შედეგებს „გააპრავებს“ სააპელაციო სასამართლოში.

> ეს ყველაფერი არის საჩვენებელი ფაფხური, რომ თითქოს პროკურატურა რაღაცას აკეთებს. ან რას უნდა ველოდოთ იმ პროკურატურისგან, სადაც მთავარი პროკურორის მოადგილე, გაბიტაშვილი დათო საყვარელიძის დეიდაშვილია. რატომ ჰგონია ვინმეს, რომ დათო საყვარელიძის დეიდაშვილი რომელიმე „ნაციონალს“ პასუხისგებაში მისცემს?! ადეიშვილს მისცემს პასუხისგებაში დათო საყვარელიძის დეიდაშვილი, რომელიც მისივე გამოზრდილია?!

ამავდროულად, ძალიან ცუდად შემოტრიალდა ეროსი კიწმარიშვილის საქმე. ეს არის არასრულყოფილი გამოძიება. ამ კაცს თავი რომ არ მოუკლავს, ეს ძალიან მარტივია, ლოგიკაში არ ჯდება ეს საქმე – ყველა დამეთანხმება ამაში, ვინც კი ოდნავ მაინც იცნობს ადამიანის ფსიქოლოგიას და ეს საკითხი ახლა, რაიმეთი ხომ უნდა გადაფარონ?!

**— რაც შეეხება კორუფციას საჯარო უწყებებში. მარტო ბოლო კვირაში, ორ უწყებაში, საერთო ჯამში, 5 ადამიანის მიერ ჩადენილი შესაძლო კორუფციის ფაქტი გამოვლინდა. რა ხდება?**

– კორუფცია მარტო ქრთამის აღება არ არის. ნებისმიერი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება კორუფციაა, რაც გულისხმობს გარკვეული ბიზნესების ლობირებას და სანათესაოსთვის რაღაც

### სახელისუფლებო კორუფცია

პრივილეგიების მინიჭებას.

> შევარდნაძის დროს ძალიან ჩვეულებრივი მოვლენა იყო კორუფცია. ჰქონდათ ძალიან დაბალი ხელფასი – 40-დან 70 ლარამდე და მათ რომ კორუფციაშია არ გაესვარათ ხელი, მშივრები დაიხოცებოდნენ. სააკაშვილის დროს შეიქმნა მაღალი დონის კორუფცია – რასაც ელიტურ კორუფციას ეძახდნენ. მიშა რომ ამბობდა, კორუფციას ვებრძვითო, რეალურად კორუფციას ებრძოდნენ საშუალო და დაბალ დონეზე,

რომ ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის არ ყოფილიყო თვალშისაცემი, ხოლო მაღალ დონეზე კორუფცია მძვინვარებდა. მაგალითისაც მოვიყვან, რა დონის კორუფციაც იყო – საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი რომ შემოიღეს, მაშინ, პროკურატურაში შეიქმნა რაღაც ფონდები, რომელთაც დაარქვეს „სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდები“ და მოქალაქეებისგან ტერორის გზით ამოღებული ფული, ამ ფონდების გავლით, მიდიოდა გაურკვეველი მიმართულებით. დღემდე არ არავინ იცის, ვის ჯიბეში მიდიოდა ის თანხები.

> დღეს რა ხდება „ოცნების“ ხელისუფლებაში? – ყველა იერარქიის დაკომპლექტება მოხდა არა კვალიფიკაციის მიხედვით, არამედ ნეპოტიზმის პრინციპით, რომლის უკანაც დგას მაღალი ნდობა. ისინი ერთმანეთს ძალიან ენდობიან და ეს მაღალი ნდობა ყველაზე აუცილებელია ფულის საკეთებლად. შესაბამისად, დაიწყო ფულის გათეთრება, ტენდერებს აგებინებენ 2-3 დღის დაფუძნებულ ორგანიზაციებს და ა.შ.

ესენი არიან ზუსტად ოთხ წელზე მორგებული ადამიანები, რომლებიც ზუსტად იმიტომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, რომ ამ ხნის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი ფული აკეთონ.

> ახლა უკვე ის პერიოდია, როცა ხედავენ, რომ გადის ოთხი წელი, ვერც ვერავინ ჰპირდება მათ, რომ კვლავ ხელისუფლებაში დარჩებიან. მოკლედ, მათ ნაწილობრივ ასე აისრულეს საკუთარი ოცნებები და დარჩენილ დროში დანარჩენი ოცნებების ასრულებასაც აგრძელებენ.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

## facebook



**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

ამბავი მინდა მოგიყვეთ. რატომღაც მგონია უნდა იცოდეთ.

მამაჩემმა 2006 წელს იყიდა თბილისის ზღვაზე მიწა და ააშენა სახლი. მისი და თბილისის ზღვის ისტორია ცნობილია. ყველა დასცინოდა მანდ მიწას რატომ ყიდულობო:) ის ამტკიცებდა რომ ტერტორია როდესმე მიმზედველი გახდებოდა. სახლშიც ბევრი წინააღმდეგობა ქონდა, მაგრამ თავისი გაიტანა. მოკლედ, ზურიკო და დაჯი ( ჩემი მშობლები) სიბერისთვის სამოთხეს წლებია, აგურ-აგურ აშენებენ თბილისის გარეუბანში. ერთხელაც ჟურნალისტმა ნანა ლეჟავამ მოამზადა სიუჟეტი, თბილისის ზღვაზე კოდუამ აგარაკი აიშენაო. ვრცელი ზღაპარი მიუძღვნა ამ ამბავს. მამაჩემმა დაურეკა, იმიტომ რომ მას პირადად იცნობდა, კიევში ნარინჯისფერი რევოლუციის დროს როგორც ჩემთვის, ისე ნანასთვის მოჰქონდა თერმოსით ყავა. ყინვები იყო მაშინ უკრაინაში და ცხელ ყავას სულ სხვა ფასი ქონდა.. მოკლედ, დაურეკა ზურიკომ და უთხრა. შვილო, ჩემია ეს სახლი. რა მიჭირს სხვის სახლში ვიცხოვროო. მოდი, განახებ საბუთებს, როდის ვიყიდე მიწა, როდის დავიწყე სახლის მშენებლობაო. ნანა დაპირდა მოვალ აუცილებლადო. პირობა პირობად დარჩა, მაგრამ ამას ვინ დაეძებს. იმავე ადგილას მივიდა და მეორედ გააკეთა რეპორტაჟი იგივე პათოსით. თითქოს, სახლი ერეკლე კოდუას ეკუთვნოდა.ჩემი ძმა რომ დააკავეს ხომ გახსოვთ. სახლიდან აიყვანეს. სპეცრაზმი ისე შევიდა გეგონება ტერორისტს იჭერდნენ. დედაჩემი ამიტომაც იყო ნაწყენი. ვერ გაიგო რატომ იყო აუცილებელი ნიღბიანები აყვანის დროს. ირაკლი საქართველოში არ იყო და შესაბამისად ვერანაირ ინფორმაციას ვერ ვიგებდი. უფრო მართალი ვიქნები თუ ვიტყვი რომ ინფორმაცია აგვიანებდა. მოკლედ, მიშკას ამბავი კი იცით, იჯდა გლდანში მაგრამ ეს სხვა თემაა. ნანა ლეჟავამ გააკეთა რეპორტაჟი, თითქოს მიშკა ქუჩაში აიყვანეს, ვისოლის ოფისთან სადაც თითქოს ერეკლე კოდუა მივარდა ამას როგორ ბედავთო. ამ ამბავს ტყუილში არ ჩავუთვლიდი რომ არა ერთი დეტალი. ჩემმა ოჯახმა როდესაც გაიგო, რეპორტაჟის გასაკეთებლად ნანას გადაცემა იყო მისული , კარები გაუღეს და მოუყვნენ რეალობას. მიშკა სახლიდან როგორ გაიყვანეს, სპეც.რაზმი როგორ მივიდა. ყველა დეტალი მოკლედ.. ნანა ლეჟავა რომ ამ ყველაფერს ფარულად წერდა სხვა თემაა, პრობლემა იმაშია რომ მაინც ტყუილი თქვა. მამალი ტყული თან. ანუ, რაც ჩემი ოჯახის წევრებმა უთხრეს უბრალოდ დამალა. მახსოვს მისი კომენტარი ბესლანში რომ დააკავეს. ისეთი რაღაც დამალევინეს აღარაფერი მახსოვსო და ამიტომაც არ მიკვირს. იმიტომ რომ ეს არის გოგო, რომელმაც შეიძლება ყველაფერი იკადროს. არ გეგონოთ ეს წყენა პირადი იყოს. წარმოგიდგენიათ რამდენი სიუჟეტი გაკეთებულა ჩემს ყოფილ მეუღლეზე? მიშკაზე სხვებმაც გააკეთეს რეპორტაჟი, მაგრამ როდესმე, რამე მითქვამს კოლეგებზე? არასოდეს. იმიტომ რომ ჟურნალისტებიც ვცდებით ხანდახან. წყარო ჩვენც გვატყუებს, მაგრამ როცა მეორე მხარე კომენტარს გაძლევს და არ აჩვენებ, მალავ და მაინც ტყუილის ტირაჟირებას აკეთებ, მხოლოდ ოროსანი ჟურნალისტი არ ხარ. უბრალოდ საშიში ადამიანი ხარ, რომელიც ყველაფერს იკადრებ. აი ასეთი გოგო დანიშნეს იმედის საინფორმაციო სამსახურის უფროსად და იცით რატომ? მაია თაბაგარი არასოდეს იკადრებდა იმას, რასაც ნანა ლეჟავა იკადრებს. ესე იგი უნდათ ტყუილი, ტყუილი და მხოლოდ ტყუილი. არაფერი ტყუილის გარდა. ამას კიდევ ბევრი არ იკადრებს ქართულ მედიაში.

» მხილება

# „ეს მიუთითებს ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ სიბეცეზე!“




დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


**„პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრი“ „ალიას“ წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგს აცნობს. როგორც ორგანიზაციაში ამბობენ, ამხელენ ყველა იმ პირს, რომლებსაც პოლიტიკური პარტიები სიაში განათლების მიმართულების ხელმძღვანელად მიიყვანენ.**

**„ალიას“ „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი, დათო ფერაძე ესაუბრა:**

– წლებია, ვაკვირდები და მონიტორინგს ვაწარმოებ, რა ხედვა აქვთ პოლიტიკურ სუბიექტებს განათლების სეგმენტთან დაკავშირებით. იგივეს ვაგრძელებ ამ საარჩევნოდაც და სამწუხაროდ,

> ვერ დაგისახელებთ ვერც ერთ პოლიტიკურ ძალას, ვერც სამთავრობოს და ვერც ოპოზიციურს, რომელიც სიღრმისეულად ხედავს ამ პრობლემას.

ამის პარალელურად, ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკური ძალები, ნაცვლად იმისა, პროფესიონალები წარმოაჩინონ და მათთან ითანამშრომლონ, „პრაფანი“ ადამიანების რეანიმაციას ეწევიან.

**— მაგალითად?**

> – მაგალითისთვის, შემიძლია დავასახელო „თავისუფალი დემოკრატები“ და მათი ლიდერი. ის რაც მათ ჩაიდინეს ალუდა გოგლიჩიძის პარტიაში მიყვანით, იყო ერთ-ერთი სამარცხვინო ფაქტი და პოლიტიკური აფიორა.

**— რატომ, რა წარსული აქვს ასეთი ამ ადამიანს, ან რას წყვეტს ამ ერთი ადამიანის პარტიაში მიყვანა, მით უმეტეს, როცა შიდაპარტიულ ამბავზეა საუბარი?!**

– გოგლიჩიძის რეანიმაცია არის სირცხვილი. ეს არის ადამიანი, რომელთან ბრძოლითაც დავიწყე განათლების სისტემის მანკიერებათა აქტიური კრიტიკა. ბევრს ახსოვს ალბათ, ეს პერიოდი, როდესაც მე განათლების სამინისტროსთან აქციას ვაწყობდი და ვითხოვდი ნეპოტიზმის სახელმწიფო რანგში ამყვანი გოგლიჩიძის თანამდებობიდან გადაყენებას და მის პასუხისგებაში მიცემას.

> იმ პერიოდში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი იყო გიორგი მარგველაშვილი, ხოლო მისი მოადგილე – ალუდა გოგლიჩიძე. მე შევაგროვე უამრავი ფაქტი და მტკიცებულება და ახლაც ხელთ მაქვს, როგორი ნეპოტიზმით, ჩაწყობებით ჩატარდა განათლების სამინისტროს რესურსცენტრების უფროსთა შესარჩევი კონკურსი... ამ დავიდარაბაში, ამ სიყალბეში განზე იდგა მარგველაშვილი.

ის მართალია, არ ერეოდა ამ ფარსში, მაგრამ ეს ჩაურევლობაც დანაშაულია. როდესაც მინისტრი ხარ და დარღვევებზე არ რეაგირებ და ამას არაფრად თვლი, ეს ცალკე თემაა. სამაგიეროდ, სიტუაციას მართავდნენ მაშინდელი მოადგილე თამარ სანიკიძე და, ასევე, მოადგილე გოგლიჩიძე. თუმცა, მთავარი ფიგურა სწორედ გოგლიჩიძე იყო. სწორედ მასთან მიდიოდა „ჩაწყობები“. მე მას პირადად შევხვდი და ვუთხარი კიდეც, რასაც აკეთებდა და იმდენად არაგუნდური და არაკოლეგიალური იყო, რომ მან ეს პროცესები სხვებს გადააბრალა. ეს ჩანაწერი დღემდე მაქვს. მარტო ეს არ არის.

> როდესაც „ნაციონალები“ მოვიდნენ ხელისუფლებაში, როგორც მე ვიცი, არ ჩამოსცილებია ვანო მერაბიშვილის დედის „კარს“ ახალციხეში. ამ კარზე მაშინ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა. ვანოს დედაზე ბევრი იყო დამოკიდებული. ჰოდა, ამ ატალახებული კარის შემდეგ ალუდა გოგლიჩიძე მალევე გახდა თბილისის 42-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

აქ მის ფინანსურ საქმიანობასთან ძალიან ბევრი კითხვა არსებობდა და არსებობს დღესაც. მოდიოდა ინფორმაცია, რომ ის ჩართული იყო ცალკეულ ფინანსურ მაქინაციებშიც. მე რამდენჯერმე მოვითხოვე ამ სკოლიდან საჯარო ინფორმაცია, მაგრამ ვერ მივიღე. ეს ცალკე დანაშაულია. აღსანიშნავია, რომ მას ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა მინისტრ შაშკინთან და როგორც ჩანს, ამ ურთიერთობითაც სარგებლობდა და ალბათ, ამით ახერხებდა კვალის დაფარვას.

**— და „ოცნების“ მთავრობაში როგორ აღმოჩნდა?**

– ეს „თვითმოძრავი ჭურების“ უნარია. მედროვე ადამიანები ამას ადვილად ახერხებენ და ძალიან კარგად იცის ყველამ, ეს მთავრობა სავსე რომ არის ასეთი მედროვეებით. წარმოიდგინეთ, შაშკინისდროინდელი დირექტორი, შაშკინთან დაახლოებული ადამიანი უცებ ფერისცვალებას განიცდის და განათლების მინისტრის მოადგილე ხდება. თან ერთვება ისეთ მასშტაბურ ნეპოტიზმში, რომელზეც უკვე ვისაუბრე.



> **„ძალიან კარგად იცის ყველამ, ეს მთავრობა სავსე რომ არის ასეთი მედროვეებით. წარმოიდგინეთ, შაშკინისდროინდელი დირექტორი, შაშკინთან დაახლოებული ადამიანი უცებ ფერისცვალებას განიცდის და განათლების მინისტრის მოადგილე ხდება“**

> ძალიან საინტერესოა ისიც, რომ კარიერული კეთილდღეობისთვის მან არ დაინდო თავისი ყოფილი საახლობლო და კოლეგა ადამიანებიც. პირიქით, ხელიც შეუწყო მათ დევნას. მაგალითად, 51-ე სკოლის ყოფილ დირექტორს, დავით ლაგვილავას თუ გავიხსენებთ, ამაში ნათლად დავრწმუნდებით.

გოგლიჩიძე, რომელიც, დიდი ალბათობით, თავად იყო საეჭვო ფინანსური მაქინატორი, გამოდის და ყოფილ თანაგუნდელზე ამბობს, რომ ადგილი ჰქონდა „მსხვილ დარღვევებს და არა ხარვეზებსო“. საზოგადოებამ მეტ-ნაკლებად იცის, რომ ამ ადამიანს სწორედ გოგლიჩიძის მოადგილეობის დროს შეუკერეს საქმე და გააძევეს სკოლიდან. მოგვიანებით კი ლაგვილავა სასამართლომ გაამართლა. მაგრამ რად გინდა, გავიდა ხანი და გოგლიჩიძეს ახალ თანამდებობაზე ვხედავთ. ის გახდა ვიცე-მერი, ანუ ნარმანიას მოადგილე. თუმცა, იქიდანაც მალე გაათავისუფლეს. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, თანამშრომლობის მხრივ, ძალიან რთულია და პრობლემური. იმდენად ერთვება აფიორებში, რომ ეს ნეპოტისტი მთავრობაც კი გაოცებული რჩებოდა ხოლმე.

**— ირაკლი ალასანია რით მოხიბლა?**

> – ალბათ, „დააბოლა“ ალასანია, რომ, რადგან მოადგილე იყო, პედაგოგებსა და სკოლებზე მიუწვდება ხელი და რომ ამ ელექტორატზე იმუშავებს. არადა, ამ სისტემაში გოგლიჩიძის დანახვაც არავის უნდა. თუ „დაბოლდა“, ეს მიუთითებს ალასანიას არამიზანმიმართულებაზე, არაგამჭრიახობაზე, პოლიტიკურ სიბეცეზე. გოგლიჩიძე არის ალასანიას „გვამიზაციის“ დასაწყისი

და საერთოდ, ყველა ის პოლიტიკური ძალა თუ პოლიტიკური პარტია, რომელიც გოგლიჩიძისნაირ მედროვეებს სახედ და „მეტრად“ გამოაცხადებს, ვინც ასეთებთან შეიკვრება, უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ ძალას ქვეყანა არ ვანდოთ და არ მივცეთ ხმა... როდესაც ალუდა გოგლიჩიძისნაირ ნეპოტისტს ხედავ პოლიტიკურ სუბიექტთან და ეს სუბიექტი გეუბნება, რომ ევროპული ძალაა, რომ სამართლიანობისთვის იბრძოლებს, რომ ქვეყანას მოემსახურება – ეს უკვე დაცინვაა. უსამართლობით უნდა ებრძოლოს უსამართლობას?

> მე გავაგრძელებ ამ სეგმენტის მონიტორინგს და ყველა იმ ადამიანს ვამხელ, რომლებსაც ისედაც მიწასთან გასწორებულ განათლების სისტემას მეტ საფრთხეს შეუქმნის პერსპექტივაში.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

facebook



**დემურ გიორხელიძე**

ერთ ა ნ ბ ა ნ უ რ რამეზე [ჩემი მოსაზრება]: "პირტიტველა მერცხალა სალი ბიჭები ახალგაზრდა ასაკისანი ბუნებრივი მისწრაფებით ნამდვილი ცოდნის დაუფლებისაკენ უნდა ისწრაფვოდენ დაკიდევ - საპირისპირო სქესის ლამაზი წარმომადგენლებისაკენ - ეს ბუნებრივი მდომარეობაა! აი, სახელმწიფოს მართვა მათ ასაკში, ბიუროკრატული მანერების ათვისება, შემსრულებლებად და ყველაფერზე ხელმომწერ ტიპებად ჩამოყალიბება არაბუნებრივია და ახალგაზრდა ასაკში სახელმწიფოს უმაღლეს მმართველობაში მონაწილეობა, როცა საერთოდ არ გაგეგება რა როგორაა ადამიანთა საზოგადოებებში აწყობილი, - დიდი მავნებლობაა საკუთარი თავის წინაშე [წინა ხელისუფლება ამის მაგალითია... ტრადიცია გრძელდება ახლაც!]. მაგრამ ჩვენში უყვართ "პირტიტველა მერცხალა ბიჭები" თანამდებობებზე, რომლის სიმძიმეც მათ სრესს და ანადგურებს, - ისინი შემაძრწუნებლად უბადრუკად და საცოდავად გამოიყურებიან მაღალ თანამდებობებზე... სამაგიეროდ, ყველა სიმახინჯეს საოცარი სისწრაფით ითვისებენ...

facebook



**ჯონდი ბაღათურია:**

პრეზიდენტის ბოლოდროინდელი ”მოძრაობები” ტოვებს შთაბეჭდილებას რომ ის და მისი გარემოცვა ვანო მერაბიშვილის (და შესაძლოა გიგი უგულავასაც ), არჩევნებამდე შეწყალების პერსპექტივას განიხილავს როგორც ჩანს ამ ეტაპზე საკითხის ირგვლივ შექმნილი ვითარების, რისკების შესწავლა და ანალიზი, მიმდინარეობს ...

პარალერულად, რისკების შემცირების მიზნით, ცდილობენ ნიადაგის შემზადებას, ერთგვარი ”კეთილსაიმედო” გარემოს შექმნას, ქვეყნის გარეთაც და შიგნითაც ...

ეს მოსაზრება კიდევ უფრო გააძლიერა პრეზიდენტის დღევანდელმა შეხვედრა კახა კახიშვილთან ...

ამ თემაზე, რუსთავი 2-ის მიერ ატეხილი ისტერიკაც და ეს შეხვედრაც ”შეწყალებისწინა რიტუალის” ნაწილია აშკარად ...

Facebook ამბები

facebook



**გიგი თარგამაძე:**

1. კმაყოფილი ვარ, რომ ეს კონკრეტული ქურდი საბოლოოდ დააკავეს. თბილისის აეროპორტში ლაღად გამოსული ადამიანის ღამით ბალახებში სპეცრაზმით დაკავება დამაჯერებლად არ გამოიყურებოდა. ორად-ორი ვერსიაა აეროპორტში არდაკავებისა - გაუგონარი ქმედების, საზღვრებზე ვიდეოკონტროლის გაუქმების შემდეგ პიროვნების ფეისკონტროლით ინდენტიფიკაციის შეუძლებლობაზე დამყნობილი უნიათობა, ან, მაინც, წინასწარი გარიგება. ხოლო დაპატიმრების აუცილებლობა საზოგადოების აღშფოთებამ გამოიწვია. დაკავება არ ნიშნავს, რომ მას საბოლოოდ ციხეში ჩასვამენ - ბოლო პერიოდში პროკურატურის მეცადინეობით, დაშლილი საქმეებით სასამართლოს რამოდენიმე ქურდის დარბაზიდან გათავისუფლება მოუწია, მიუხედავად იქვე გაკეთებული აღიარებისა ქურდობის თაობაზე. ბოლო მაგალითი - სოხუმიდან გადმოსული გვასალიას გათავისუფლება ზუგდიდის სასამართლოს მიერ;

2. ის სომხეთში გადადიოდა, რაც მოწმობს ჩემს მიერ ნათქვამს, რომ ერევანში მოქმედებს ყველაზე დიდი ცენტრი, სადაც ქურდები შაქრო კალაშოვის მეთაურობით ემზადებიან ოქტომბრის არჩევნებისთვის;

3. ბიძინას დაკომპლექსებული შსს ხელმძღვანელობა გამართულად ვერ თანამშრომლობს უკრაინის შსს-სთან იქ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მუშაობის გამო;

4. მოწოდებაზე, რომ მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადო და შსს-ს ინფორმაცია შევატყობინო, არ მივუგებ, ვირო მადლიო. პირიქით, ვინაიდან მთელი მსოფლიოს საწინააღმდეგოდ ფეისბუკს ღია წყაროდ ვერ აღიქვამენ, მივმართავ შემხვედრი წინადადებით - გამომიყონ მეკავშირე ოფიცერი, რომელთანაც მუდმივ კავშირზე ვიქნები და დავტვირთავ ინფორმაციით. თუ ამასაც ითაკილებენ, ყოველ ჯერზე დავრეკავ 112-ში. ამას შევასრულებ. შემდგომი თვეებისთვის ჩვენების სახით შსს-ს დავუტოვე ვრცელი ინფორმაცია. თანაც, ყოველგვარი ჩასაფრების გარეშე, გვარსახელებით, რომლებსაც ჯერ არ ვასაჯაროებ. ჯერ სამუშაოდ ეს ეყოფად.

შემდეგ დავუმატებ. დამატებით კითხვებზე მომმართონ, არ დავიზარებ მოქალაქეობრივი ვალის მოხდას;

5. რაც შეეხება მინისტრის რექციას თანამშრომლობის შეთავაზებაზე - შეგახსენებთ, კვირიკაშვილის წარდგენისას მას გავაცანი პოლიციის პოლკოვნიკის ზაზა ჭაიას წინადადება, ჩაერთოთ ის რაფაელიანცის საქმის გამოძიებაში და უზრუნველყოფდა საქმის 2-3 კვირაში გახსნას. კვირიკაშვილმა იქვე დარბაზში გადამამისამართა მღებრიშვილთან, რომელმაც, ჯერ, მადლობის მაგიერ ცინიკურად განაცხადა, ჭაიას დავკითხავო, შემდეგ კი ეს თემა დაივიწყა. წინადადება ძალაშია და სანამ ამ საქმესაც კიწმარიშვილის საქმესავით დახურავდეთ, მოიწვიეთ პოლკოვნიკი ჭაია და გახსენით საქმე.

6. ნუ ითვალთმაქცებთ და საქმეს არ მოგაკლებთ.

# „ბიძინა ივანიშვილი რომაა ყველა უსამართლობის სათავე, ამის ფაქტებს წარვუდგენთ ხალხს!

**ივანიშვილი კი არ აცნობიერებს პრობლემას, როგორც ობიექტურად არსებულ რეალობას, ის მიიჩნევს, რომ პრობლემას ქმნის მედია**

»» „ნაციონალური მოძრაობა“

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



**„რუსთავი 2“-ის ადვოკატმა იურისტმა ზაზა ბიბილაშვილმა კამპანია წამოიწყო სახელად — „ანგარიში ივანიშვილს“. ბიბილაშვილი, თანამოაზრეებთან ერთად, „ოცნების“ ხელისუფლების პერიოდში არსებული, გახმაურებული თუ გაუხმაურებელი ე.წ. შეკერილი საქმეების ერთად თავმოყრასა და საზოგადოებისთვის წინასაარჩევნოდ წარდგენას აპირებს.**

**მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი „ალიასთან“ საუბარში** ბოზას გამორიცხავდა, მაშინ, ბუნებრივია, ამ კამპანიის საჭიროებაც არ იქნებოდა.

**— ვისთან ერთად ახორციელებთ ამ კამპანიას? რომელიმე პარტიის მხარდაჭერით?**

– ამ შემთხვევაში, როგორც მოქალაქე და როგორც ადვოკატი ვახორციელებ აქტივობას, ჩემთან ერთად არიან კამპანიაში ჩართული რამდენიმე არასამთავრობო და უბრალოდ აქტიური მოქალაქეები. ამას არც პარტიული სარჩული აქვს და არც კონკრეტული პოლიტიკური პარტიის დისკრედიტაციის მიზანი. მე იმ ცოდნას, რომელიც გამაჩნია, როგორც ადვოკატს, თუნაჯანყებები და სახალხო დემონსტრაციები კი მე არ მიხსენებია არც ერთხელ, არც სასამართლოში და არც სასამართლოს გარეთ.

**— სხვათა შორის, კვირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ეროსი კიწმარიშვილის საქმის დახურვა, პროკურატურის საბოლოო დასკვნის მიხედვით, „რუსთავი 2“-ის თანადამფუძნებელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. როგორც იურისტს, რა ვერსიები გაქვთ?**

– პროკურატურის სტანდარტი იმდენად დაბალია, პროკურატურა იმდენად პოლიტიზებულია, უბრალოდ, არანაირი სანვილი აცხადებენ, რომ სათქმელი არაფერი აქვთ. თქვენ ვერ ნახავთ ერთ ადამიანსაც კი საქართველოში, ვისთვისაც პროკურატურის გამოძიება ამ საკითხის ირგვლივ დამაჯერებელია. ოჯახმაც გააკეთა ამაზე განცხადება და საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც, პრინციპში, ცხადია ის ბუნდოვანება, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს... ბუნებრივია, არადამაჯერებელია თვითმკვლელობის ვერსია. მეორე მხრივ, თუ თავიდან ბოლომდე ვნახავთ იმ პრესკონფერ-






**ირწმუნება და აცხადებს, რომ ეს კამპანია რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან კავშირში არაა, შეგახსენებთ, რომ 16-წლიანი იურიდიული სტაჟის ბიბილაშვილი 2013 წლიდან „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრია.**

**— გასაგებია, რომ 4 წლის მანძილზე ბევრი არასწორი გადაწყვეტილება მიიღო „ოცნებამ“, ბევრს აქვს კვლავ უსამართლობისა და დაუცველობის შეგრძნება, მაგრამ თავად ივანიშვილისგან რას ელით? არა მგონია, რამე შეცვალოს ამ კამპანიამ და მაშინ რა აზრი აქვს თქვენს აქტივობას?**

> – ივანიშვილი ამას რომ ვერ გაიგებს, ეს იმთავითვე ნათელია და მისთვის არაა განკუთვნილი. საზოგადოების ინფორმირებისთვისაა, ვინაიდან ამ ფაქტების სიმრავლე და მასშტაბურობა განაპირობებს იმას, რომ საზოგადოებას, უბრალოდ, ავიწყდება ის, რაც მოხდა ერთი წლის წინათ, 2-3 წლის წინათ.

არიან ადამიანები, რომლებიც უსამართლობის მსხვერპლნი იყვნენ 2-3 წლის წინათ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ რომ დრო გავიდა და მათი ამბავი დავიწყებულია, ეს ორმაგი უსამართლობაა მათ მიმართ. ამიტომ ეს ფაქტები გვინდა ერთად შევკრიბოთ და ხალხს წარვუდგინოთ, და არა ივანიშვილს. ბუნებრივია, ივანიშვილი ამას არ გაითვალისწინებს, მას რომ ამის სურვილი ჰქონდეს და ღირებულებები გააჩნდეს ისეთი, რომელიც ამ ფაქტების არსებდაც იმ ფაქტების, რომელიც ჩემს ხელთაა, გამოვიყენებ ამ კამპანიის ფარგლებში.

**— ანუ მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს აღრიცხავთ, სადაც თვლით, რომ სახელმწიფო იყო მხარე? უკვე გახმაურებული საქმეებიც შევა ანგარიშში, თუ მხოლოდ გაუხმაურებელი ფაქტების გამომზეურების ინტერესი გაქვთ?**

– ყველაფერს აღვრიცხავთ, რასაც მოვასწრებთ. ვეცდებით, მაქსიმალურად სრული იყოს ანგარიში, რომელსაც ოქტომბერში წარვადგენთ. იმას, თუ როგორ შევაგროვებთ, მოგახსენებთ: ნაწილი იქნება საჯარო წყაროებიდან, რაც უკვე გაშუქდა, ამას ჩვენი ძალებით მოვიძიებთ და რაც ახლა მიმდინარეობს, მასაც შევკრებთ..

**— თქვენს განცხადებაში უსამართლო გადაწყვეტილებათა ნუსხაში, პირველ რიგში, ნახსენები იყო „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული სასამართლო პროცესები, კამპანიის დაწყებაც სწორედ ახლა გადაწყვიტეთ, ივანიშვილი მუდმივად ამბობს, რომ სწორედ აღნიშნული ტელეკომპანია წარმოაჩენს გაბუქებულად მოსახლეობის ჩაგრულ ხვედრს. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, ეს კამპანია ხომ არაა კავშირში „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან? ნიშანდობლივია, რომ გვარამიას მხრიდან ნახსენები იყო აჯანყების ორგანიზების უფლებაც, თქვენი აქტივობაც, სავარაუდოდ, კრიტიკული მასის მომზადებისკენაა მიმართული...**

– „რუსთავი 2“-ის პრობლემაც არის, რა თქმა უნდა. დოობა მის მიერ წარმოებულ გამოძიებას არ აქვს.

> პროკურატურის დეპოლიტიზება კი არა, ზეპოლიტიზება მოხდა. დღეს პროკურატურა უფრო პოლიტიზებულია, ვიდრე ოდესმე. კარგად გახსოვთ, ალბათ, ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანა კონკრეტული პოლიტიკური მიზნით, ჯერ თქვეს, რომ ამას ადგილი არ ჰქონია, შემდეგ თქვეს, რომ თურმე ფირები არ არსებობს და ა.შ. ახლა კი იწყებენ ვითომ გამოძიებას.

კიწმარიშვილის საქმე რომ ერთეული შემთხვევა იყოს, მაშინ შეიძლება ოდნავი დამაჯერებლობა მაინც ჰქონოდა პროკურატურის გამოძიების შედეგს. მაგრამ ერთიანი ტენდენციაა, ერთიანი ხაზი, რომ ყველა ის საკითხი, რომელშიც ხელისუფლების ინტერესი იკვეთება, წყდება უაღრესად არადამაჯერებლად.

> რაც შეეხება კონკრეტულად ეროსი კიწმარიშვილის თემას, თქვენ გახსოვთ, რომ ეს იყო ადამიანი, რომელიც პირდაპირ ამხელდა ცნობილ პრესკონფერენციაზე ივანიშვილს. ერთსაათიანი პრესკონფერენცია გამართა და ძალიან ბევრი ისაუბრა ბიძინა ივანიშვილზე, „რუსთავი 2“-ზე და მის გარშემო არსებულ ინტერესებზე. პირდაპირ თქვა, რომ „როცა ივანიშვილი საუბრობს „რუსთავი 2“-ზე, მან თვალებში უნდა ჩამხედოს მე“

და ა.შ. დღეს, როცა გამოძიება ფორმალურად დაიხურა, მთავარი პროკურორი და ივანიშენციას, რომელზეც კიწმარიშვილმა ბევრ დეტალზე ისაუბრა, იქ იკვეთება მთავარი, რომელიც ნებისმიერ გამოძიებაში უნდა ყოფილიყო ქვაკუთხედი და აქ უნდა დაენახა სწორედ პროკურატურას მკვლელობის სავარაუდო მოტივი.

> ახლა რასაც საუბრობენ „რუსთავი 2“-ზე, იმას ველარ ისაუბრებდნენ, ეროსი რომ ცოცხალი იყოს.

**— თქვენს კამპანიას დავუბრუნდეთ. ანუ თვლით, რომ ივანიშვილია არასამართლიანი გამოძიებისა და უსამართლობის სათავე?**

– დიახ, ეს არის პრობლემის სათავე, სამართლებრივადაც და საზოგადოებრივადაც. სათავე იმ მხრივაც, რომ

> ივანიშვილი კი არ აცნობიერებს პრობლემას, როგორც ობიექტურად არსებულ რეალობას, ის მიიჩნევს, რომ პრობლემას ქმნის მედია. ის თვლის, რომ, რომ არა, მაგალითად, „რუსთავი 2“, რომელიც, მისივე განცხადებით, ტონს აძლევს სხვა მედიასაშუალებებს, ეს პრობლემები ან არ იარსებებდა, ან ასეთი სიმძაფრით არ იარსებებდა.

მისთვის საქართველოში სიტუაცია კარგად მიდის და სწორება აქვს აღებული 2030 წელზე, რა დროისთვისაც ჩვენ უფრო კარგად უნდა ვიყოთ. არადა, საქართველო სრულიად სხვა რეალობის წინაშეა, კრახს განიცდის ყველა, მათ შორის სამართლებრივ სფეროშიც. სწორედ ამას შევკრებთ და წარვუდგენთ საზოგადოებას.

facebook



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

გაასაჯაროვეთ კადრები!!!

მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას გაასაჯაროოს გურიაში მამაოსთან დაკავშირებული კადრები. თავიდან როდესაც ვნახე დასისხლიანებული სასულიერო პირის კადრები, ყოველივემ ძალზე მძიმედ იმოქმედა და შესაბამისი რექაციაც მქონდა, მაგრამ როცა შევიტყვე რაც მოხდა მივხვდი საქმე გვაგვს კარბელაშვილის მსგავს ინციდენტთან.

გახსოვთ ალბათ სანამ შსს კადრებს არ გაავრცელებდა ნაცმედია საუბრობდა იმაზე რომ დეპუტატი კარბელაშვილი პოლიციელებმა სცემეს, სინამდვილეში კი ადგილი ჰქონდა თვითდაზიანებებს. ანალოგიური მოხდა ახლაც გურიაში. საგულისხმოა ის ფაქტი რომ საავადმყოფოში მამაოს მხოლოდ რუსთავი 2 კამერა დახვდა და გადაიღო ის სპექტაქლი რომელიც გათამაშებულ იქნა დღეს გამთენისას.

ჩემთვის ყველაზე სამწუხარო ისაა რომ ამ ყველაფერში ჩართული აღმოჩნდა ჩვენი ეკლესიის წარმომადგენელი.

მოვითხოვ დაუყოვნებლივ გაუშვათ კადრები , წინააღმდეგ შემთხვევაში არავიან დაიჯერებს რომ მამაომ თვითდაზიანებები მიიყენა და ამან შეიძლება ქვეყნისათვის მძიმე შედეგი გამოიღოს, რაც გამოხატული იქნება შემდეგში.

1. ჩვენ გვყავს მოძალადე პოლიცია, რომელიც მამოებსაც კი სცემს.

2. ბზარი გაჩნდება ეკლესიის მრავალმილიონიან მრევლსა და სახელმწიფოს შორის.

3. ყოველივეს გამოიყენებს ქვეყნის მტრები და განსაკუთრებით ნაცმოძრაობა.

4. ეს გამოიწვევს არჩევნებში იმ ძალის გამარჯვებას, რომლიც სცენარითაც სავარაუდოდ განვითარდა ყოველივე.

facebook



**ნინო ჭელარკავა:**

შემოახტით ჩემს მატარებელს, სანამ გვიან არ არისოო, მიშას ლოზუნგი გახსოვთ? ხოდა მატარებლის რა გითხრათ, მარა შეახტით აწი მიშას და ირბინეთ აღმა-დაღმა":)))))))))))))

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# „ეს არის ამ ხელისუფლების ხარაკირი!..

## „მე კრიზისს ველოდები, მაგრამ ამ კრიზისის ლიდერი „ნაცმოძრაობა“

**პროკურატურამ ეროსი კიწმარიშვილის საქმე დახურა, თუმცა არავის სჯერა პროკურატურის მტკიცებულებების, რომ კიწმარიშვილმა სიცოცხლე ვალის გამო თვითმკვლელობით დაასრულა. არჩევნების წინ საქმის ასეთ დასრულებას არავინ ელოდა. გია ხუხაშვილი „ალიასთან“ ინტერვიუში კითხვაზე: სჯერა თუ არა, რომ კიწმარიშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და რატომ არ იმუშავა პროკურატურამ სხვა მიმართულებით, პასუხობს:**

– ეროსი კიწმარიშვილს პირადად ვიცნობდი, ის იყო გამოუსწორებელი ოპტიმისტი, არ ვიტყოდი, რომ თვითმკვლელობის ვერსია დაუჯერებელია, მაგრამ... კიწმარიშვილის ხასიათიდან გამომდინარე, ძნელად წარმომიდგენია მისი მხრიდან, რომ თავი მოეკლა. თუმცა, რაც არ უნდა იყოს, ამ ფორმით საქმის დახურვა სერიოზულ ეჭვებს მიჩენს... რა ეჩქარებოდათ, რატომ მაინცდამაინც ახლა, ფართხა-ფურთხით დახურეს ეს თემა, აბსოლუტურად გაუგებარია. რაც მთავარია, ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად დამზარალებელია. ჩვენ ვისმენთ ოჯახის პრეზუმციასაც, მათ არ სჯერათ პროკურატურის ვერსიის,

> ფაქტობრივად, ხელისუფლება თვითდაზიანებას ჩალიჩობს, იქ იყო ზურაბ ჟვანიას დაკიდებული საქმე, ახლა ჰაერში გამოკიდეს კიწმარიშვილის საქმე. თითქოს, ვიღაცა ხელისუფლებას უბიძგებს ისეთი ქმედებებისკენ, რომ წინა ხელისუფლებისა და ამ ხელისუფლების დანაშაულებს შორის ანალოგიები გააადვილოს.

ვფიქრობ, დროა, ხელისუფლებამ საკუთარ თავში ჩაიხედოს, გამოარკვიოს, ვინ ეწევა საბოტაჟს, ან ვინ ჰყავს ასეთი ბრიყვი, რომელიც ასეთ დაუფიქრებელ ნაბიჯებს დგამს. არჩევნების წინ ეს არის ამ ხელისუფლების ხარაკირი, მოეცადათ ოთხი თვე და თუ მაინცდამაინც საქმის დახურვა უნდოდათ, მერე დაეხურათ.

**— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან გვესმოდა, რომ აუცილებლად გახსნიდნენ რეზონანსულ საქმეებს, ზურაბ ჟვანიას საქმე კი საარჩევნო ტექნოლოგიის ნაწილი გახდა. რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება, რომ რეზონანსული საქმეები ლოგიკურ და დამაჯერებელ დასასრულამდე მიიყვანოს?**

– ხელისუფლება მუდმივად საუბრობს წინა რეჟიმის სისტემურ დანაშაულზე, ჩვენ ვხედავთ, რომ, ფაქტობრივად, არავინ არ არის დასჯილი. მეტსაც გეტყვით, არსებობს ისეთი განცდა, რომ იდებული ეს საქმე. ეს ხელისუფლებამ ადგა, არჩევნების წინ საქმე დახურა და ცეცხლზე ნავთი დაასხა. პოლიტიკური კომპონენტი ძალოვანი სტრუქტურებისა მათ გაცილებით უკეთესი ჰქონდათ, ვიდრე ამ ხელისუფლებას. წარმოუდგენელი რამ ხდება ჩემთვის.

**— 2015 წლიდან მოყოლებული გვესმის, რომ „ნაცმოძრაობა“ რევოლუციით იმუქრება, განსაკუთრებით კი ხელისუფლების დამხობის მოწოდება გააქტიურდა არჩევნებამდე, ნიკა გვარამია ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენციას იშველიებს და აჯანყებას აანონსებს... ჩვენ მსგავსი განცხადებები საბურავების შეგროვებიდან დაწყებული, ბევრჯერ მოგვისმენია ორივე მხარისგან, თუმცა დღემდე არაფერი**



**„სამართლიანობის აღდგენისა და რეზონანსული საქმეების გამოძიების პროცესი შევიდა დეპოში“**

**„კობა კობალაძის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა იქნება სუსტი სვლა“**

> ის ადამიანები, ვინც სისტემურ დანაშაულში მონაწილეობდნენ, დღესაც ძალიან კარგად გრძნობენ თავს სხვადასხვა ძალოვან უწყებებში.

ჩვენ ამის არაერთი მაგალითი ვიცით, აქედან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენისა და რეზონანსული საქმეების გამოძიების პროცესი შევიდა დეპოში და მივიღეთ ისეთი სიტუაცია, როცა კარგ შემთხვევაში საქმე არ იყო გამოძიებული, ხოლო ცუდ შემთხვევაში დღევანდელი ხელისუფლების პირობებში გაჩნდა ანალოგია იმ განუკითხაობისა, რაც ხდებოდა სააკაშვილის დროს. არ ვამბობ, რომ ამ ორ ხელისუფლებას შორის ასეთი ანალოგია არსებობს, მაგრამ საქმე ისე მიჰყავთ, გინდა თუ არა, გიბიძგებენ, რომ ანალოგიები დაინახო. მაგალითად, ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით, წლების განმავლობაში გვეუბნებოდნენ, რომ საქმე უახლოეს მომავალში გაიხსნება. წინა ხელისუფლებას, ამ ხელისუფლებისგან განსხვავებით, ეყო ჭკუა და ზურაბ ჟვანიას საქმე დახურულად არ გამოაცხადა, რადგან ისინი ხვდებოდნენ, რომ ჟვანიას საქმის დახურვა მათთვის პოლიტიკურად წამგებიანი იქნებოდა. ამიტომაც ჰქონდათ ჰაერში გამოკ

**მომხდარა. მაინც როგორ ფიქრობთ, ამ ქვეყანაში უახლოეს მომავალში კიდევ მოხდება რევოლუცია?**

– „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან რევოლუციური პროცესების წარმართვას ნამდვილად არ ველოდები იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობას“ ამის გასაკეთებლად რესურსი არ აქვს.

> რევოლუციის ინიციატორი ყოველთვის არის თვითონ ხელისუფლება, რადგან ობიექტური ვითარება უნდა შეიქმნას იმისთვის, რომ ვიღაცამ მოახერხოს საპროტესტო ტალღის რეალიზება და რევოლუციის გზით ხელისუფლების სახლში გაშვება. ობიექტურადაც არ მგონია, რომ ხალხში რევოლუციური განწყობა იყოს, მით უმეტეს, ასეთი საპროტესტო მოძრაობის ლიდერი „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ გახდება, მართალია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ მას ჰყავს ცუდი ხელისუფლება, მაგრამ ასევე თვლის, რომ მას ჰყავს ხელისუფლებაზე უარესი ოპოზიცია „ნაცმოძრაობის“ სახით. აქედან გამომდინარე, კი ბატონო, მე კრიზისს ველოდები, მაგრამ ამ კრიზისის ლიდერი „ნაცმოძრაობა“ ვერ გახდება. ამ ქვეყანაში კრიზისი სულ სხვა ნიშნით განვითარდება.

**ექსპერტი**



**— და რა ტიპის კრიზისს ელოდებით და ვინ ჩაუდგება სათავეში ამ კრიზისის შექმნას, ამჯერად ვინ იხეირებს?**

– ეს არის სამართლიანობის აღდგენის თემა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკა და ზუსტად ის, რომ დღევანდელი ხელისუფლება რაღაც კომპონენტებში დაემსგავსა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას. „ქართულ ოცნებასთან“ ის პრეტენზია კი არ არის, რომ უფრო უარესად იქცევიან, ვიდრე „ნაციონალები“, არამედ ემსგავსებიან მათ. შესაბამისად, საპროტესტო განწყობების ლიდერი „ნაცმოძრაობა“ ნამდვილად ვერ გახდება.

**— საქართველო პრორუსული განწყობების გაძლიერების წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბრიტანეთმა დატოვა ევროზონა, ევროკავშირიდან გასვლის მსურველები არიან სხვა ქვეყნებიც, ხომ არ ფიქრობთ, რომ ევროსკეპტიკოსთა რიცხვი საქართველოში გაიზრდება და ამით ისარგებლებს რუსეთი. არჩევნებში კი შესაძლოა, ვიხილოთ გამარჯვებული პრორუსული პარტიები. ასეა?**

– სისტემა, რომელიც სამყაროს უდიდეს ნაწილს მართავდა, ვხედავთ, რომ მთლიანობაში ველარ მუშაობს და ის საჭიროებს სერიოზულ ტრანსფორმაციას, ამის გამოვლინება არ არის მხოლოდ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა, იგივე ტრამპის მაგალითი ამაზე მეტყველებს შტატებში, ასეულობით წლის მანძილზე რომ მართავდა შტატებს, ის სისტემა აბსოლუტურად ამოვარდნილია და ვხედავთ, რომ მთლიანად სამყაროში დიდი ცვლილებები მიმდინარეობს. ეს არის ისტორიული კანონზომიერება და ასეთი რაღაცები შემთხვევით არ ხდება. არც ტრამპია შემთხვევითი ფიგურა და არც ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლაა შემთხვევითი მოვლენა. ჩემი აზრით, ბრიუსელმა თავი უნდა დაანებოს საბჭოთა კავშირისმაგვარი სისტემის

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

facebook

**ირინა სარიშვილი:**

დღეს ლარის კურსს გადავხედე, ჩავაანალიზე და მივხვდი რომ მარტო ბრიტანეთზე დარდის ბრალი არაა რაც ხდება, აშკარად ახლო მომავალში იტალიაზე და ესპანეთზეც რეაგირებს წინასწარ...

ძალიან მგრძნობიარეა ჩვენი ლარი და ეგ გული დაღუპავს რა ?



შექმნას და უნდა დაუბრუნდეს იმ სქემას, რითაც დაიწყო ევროკავშირმა ფუნქციონირება, კეთილდღეობა და ფასეულობები. სამყაროში ძალის ცენტრობის ამბიცია უნდა დაივიწყოს და სუვერენული ქვეყნების გაერთიანების პრინციპს უნდა დაუბრუნდეს, რომლის მთავარი ამოცანაა კეთილდღეობა და ფასეულობათა სისტემა.

რაც შეეხება საქართველოს, რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან სერიოზული დარტყმა ევროკავშირისთვის და სერიოზული რისკი ჩნდება, რომ მივიღოთ ჯაჭვური რეაქცია, ეს ყველაფერი ბრიტანეთით არ დასრულდეს და სხვა ქვეყნებმაც დააფიქსირონ სურვილი ევროკავშირიდან გასვ-

მაგრამ ეს არის ძალიან მყიფე, რადგან ასეთი ფორსირებული გაერთიანების პირობებში ჩვენ შეიძლება უკვე აღმოვჩნდეთ ისეთ გაერთიანებაში, რომელიც ძალიან დასუსტებული იქნება ლონდონთან და სხვა ფრონტის ხაზზე ბრძოლის შედეგად. პრორუსული ძალებისთვის საქართველოში ახლა არის ძალიან ნოყიერი ნიადაგი და არა მხოლოდ საქართველოში, რუსეთი ამ პროცესებიდან ყველაზე მოგებული რჩება, ჩვენ მოქმედებების დიაპაზონი დიდი არ გვაქვს, ევროსკეპტიკური განწყობები საქართველოში გაძლიერდება, ხალხი უკვე კითხვას სვამს – სად მივდივართ, მაშინ, როცა შეიძლება ევროკავშირი დაიშალოს, თამაზ

**საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი კახი კალაძე აცხადებს, რომ ძალიან მალე ცნობილი გახდება „ქართული ოცნების" საარჩევნო სია, რა მოლოდინი გაქვთ? ამ სიაში იქნებიან რადიკალურად განსხვავებული სახეები?**

– არ ველოდები, რომ „ქართული ოცნების" ახალი საარჩევნო სია იქნება პრინციპულად უკეთესი იმაზე, რაც გვაქვს, რადგან მათ არ გააჩნიათ ინტელექტუალური ზრდის პოტენციალი, პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდებისთვის არ არის მიზიდულობის ცენტრი „ქართული ოცნება", არც ძველი სახეები არიან დაინტერესებული, რომ ჩაიჩოჩონ და ახალი სახეები გაუშვან წინ. საარჩევნო სიის ფორმირება, როგორც ყოველთვის,

ექსპერტი



მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ კობალაძის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა იქნება სუსტი სვლა, კობალაძის განვლილ გზაში შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი პოლიტიკური სისუსტეები, რასაც ოპონენტები სათავისოდ გამოიყენებენ. არ ვამბობ, რომ მას დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ ის იყო მეომარი და ვფიქრობ, რომ მის მინისტრობას ჩვენი დასავლელი პარტნიორები მაინცდამაინც კარგი თვალით არ შეხედავენ. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ კობალაძე არის ერთ-ერთი გამორჩეული სამხედრო საქართველოში.

# წარმოუდგენელი რამ ხდება"

## ვერ გახდება. ამ ქვეყანაში კრიზისი სულ სხვა ნიშნით განვითარდება"



**„წინა ხელისუფლებას, ამ ხელისუფლებისგან განსხვავებით, ეყო ჭკუა და ზურაბ ჟვანიას საქმე დახურულად არ გამოაცხადა, რადგან ისინი ხვდებოდნენ, რომ ჟვანიას საქმის დახურვა მათთვის პოლიტიკურად წამგებიანი იქნებოდა"**

ლისა და რეალურადაც გადადგან ნაბიჯები, რაც, ბუნებრივია, ჩვენს ევროპერსპექტივას საბოლოოდ უფრო ბუნდოვანს გახდის.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საქართველოში სკეპტიკურ განწყობებს გააძლიერებს, ჩვენ ვიმყოფებით რთულ ვითარებაში,

ბრიუსელს აქვს ორი არჩევანი, ან დააკონსერვოს ევროგაერთიანება, ღიად და გამჭვირვალედ თქვას უარი ახალი წევრი ქვეყნების მიღებაზე, რაც, ფაქტობრივად, ჩვენთვის კარის დახურვას ნიშნავს, რაც კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს ანტიევროპულ განწყობებს საქართველოში, ან არის სცენარის მეორე განვითარება, ბრიუსელს აქვს შესაძლებლობა, დაამტკიცოს, რომ ევროკავშირი არის კარგი მოდელი, ევროკავშირმა დაიწყოს ცივი ომი ლონდონთან და დაანახოს ბრიტანეთს, რომ ევროკავშირის გარეშე ისინი ეკონომიკურად დასუსტდებიან და მოახდინოს ფორსირება ევროკავშირის გაფართოების,

დაამტკიცოს, რომ ევროკავშირი არის საუკეთესო მოდელი. თუ ამ გზით წავა ბრიუსელი, ჩვენ შეიძლება გაგვეხსნას შესაძლებლობები,

მეჭიაურმა კარგად იხუმრა, – ის დრო დადგება, ევროკავშირში აღარავინ დაგვხვდებაო. მის ამ გზავნილში არის გარკვეული ლოგიკა, ევროპა გადალახავს თუ არა ამ კრიზისს, გარანტირებული არ არის. თუ დაინახეს, რომ ევროკავშირიდან გასვლით ბრიტანეთი არ დაზარალდება, ჩათვალეთ, რომ ძალიან ბევრი ქვეყანა მოინდომებს ევროკავშირის დატოვებას.

ბრიტანეთის შემდეგ ეს შეიძლება იყოს საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები. როცა თქვენ მეკითხებით, გაძლიერდება თუ არა ამ ფონზე პრორუსული განწყობა, მინდა განმარტება გავაკეთო, რომ ანტიდასავლური განწყობა პრორუსულში არ უნდა კონვერტირდეს, ამას ჩვენ პროდასავლელები გვტენიან. ვინც სკეპტიკურად უყურებს დასავლეთს, ის აუცილებლად პრორუსია და სინამდვილეში, ასე არ არის. მე შეიძლება არც რუსეთი მომწონდეს და არც დასავლეთი, როგორც მოქალაქეს, ამის უფლება მაქვს. ამიტომ, მე დავარქმევდი ანტიდასავლური განწყობების გაძლიერებას და არა პრორუსული ძალების.

**— „ქართული ოცნების"** ძნელია, რადგან ნაძირალები და კარიერისტები ყოველთვის, პირველ რიგში, დგებიან იმ კართან, სადაც საარჩევნო სია ფორმირდება.

**— მიუხედავად იმისა, რომ „რესპუბლიკელები" დარწმუნებულები არიან საკუთარი მინისტრების ხელშეუხებლობაში, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ვარშავის სამიტის შემდეგ დატოვებს პოსტს და უკვე საუბარია, რომ მის ადგილს დაიკავებს კობა კობალაძე, რა იცით ამის შესახებ?**

– ლოგიკურია, რომ ვარშავის სამიტამდე თავდაცვის მინისტრი არ გადამდგარიყო, მაგრამ სამიტის შემდეგ

უახლოეს დღეებში ეს საკითხი უნდა გადაწყდეს, ხიდაშელი და სხვა „რესპუბლიკელი" მინისტრები პოსტებიდან უნდა წავიდნენ, სხვა შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ კურიოზულ ვითარებას, თუ, რა თქმა უნდა, ისევ კოალიციას არ აპირებენ. რაც შეეხება კობა კობალაძის თავდაცვის სავარაუდო მინისტრობას, ამ საკითხს სკეპტიკურად ვუყურებ ბევრი მიზეზის გამო,

თუმცა არ დავიწყებ ამ მიზეზების დასახელებას, ამ პიროვნების მიმართ არანაირი პრეტენზია არ

**— რას უკავშირებთ ტელეკომპანია „იმედში" საკადრო ცვლილებებს, ხედავთ ხელისუფლების ინტერესს და ხელის ფათურს?**

– მე არ ვხედავ აქ ხელისუფლების ჩარევას, პირიქით, ვხედავ, რომ ვიღაცა სთავაზობს ამ ხელისუფლებას განსაკუთრებულ ლოიალობას, ამით რაღაც სხვა პრობლემების დალაგება უნდათ. ეს ჩემთვის განსაკუთრებულად გულდასაწყვეტია... „იმედი" რომ დღეს რეალურ პატრონს დაუბრუნდა, ამ საკითხში სერიოზული წვლილი მაქვს შეტანილი, ეს გავაკეთე მაშინ ერთადერთი მიზნით, რომ „იმედი" ყოფილიყო დამოუკიდებელი არხი. ეს გავაკეთე ბადრის ხსოვნის პატივსაცემად და არა სხვა მიზნით. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხელისუფლების დაინტერესება ნაკლებია, იქ უფრო სხვა პროცესები მიდის, ვინც დღეს აკონტროლებს „იმედს", ის ამას აკეთებს უხარისხო სახით და საკმაოდ უხარისხოდ უცხადებს ლოიალობას ხელისუფლებას, პირდაპირ თეთრი ძაფით კერავს და ეს მეტყველებს ერთ რამეზე, რა კატეგორიის ხალხთან გვაქვს საქმე „იმედის" მხრიდან. „იმედის" ხელმძღვანელობიდან ვიღაც სთავაზობთ ხელისუფლებას ზედმეტ ლოიალობას, რომ მიიღოს მისგან დივიდენდები. რა არის ეს დივიდენდი? არანაირი პირადული, მხოლოდ ბიზნესი.

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

### ზაზა ბიბილაშვილი:



ზუსტად საათი და 20 წუთია ვდგავართ საპასპორტო კონტროლის რიგში ლისაბონის აეროპორტში. თავიდან, 10 ფანჯრიდან მუშაობდა მხოლოდ 4. რამდენიმე წუთის წინ, ამ ოთხიდან სამმა ფარდული დახურა და "პერერივზე" გავიდა. ჩემს უკან დაახლოებით 1500 კაცია. რიგი არ იძვრის, მაგრამ ეგ არაფერი - მთავარია, "მშრომელთა უფლებები" დაცულია!



### დავით ლილუაშვილი

დავით ბერძენიშვილი - „ამ მოწვევის პარლამენტმა სიმართლეს, ევროპულობას გაუსწორა თვალი და ჩვენ მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა მიუხედავად შავრაზმული შემოტევებისა."

. . .

გააჩუმეთ ეს კაცი!!!

რა შავრაზმული შემოტევები, რის შავრაზმული შემოტევები?! არა, ვის გულისხმობს ეს სუბიექტი?!!! ჩვენს საპატრიარქოს და სასულიერო პირებს?! თუ ჩვენს საამაყო ინტელიგენციას?! ან იქნებ იმ არასამთავრობოებსა და უფლებადამცველებს ვინც ყოველთვის ვიდექით სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესების დაცვის სადარაჯოზე?!




### ცოტნე გამსახურდია

"იგი (საუბარია არქიმანდრიტ გაბრიელის ინციდენტზე –რედ), ასევე, თხოვნით მიმართავს საზოგადოებას, ნუ მოძებნიან ამ სიტუაციაში მტყუან-მართალს, რადგან აღნიშნული მხოლოდ კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევს, რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მრწამს და მორალს," – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

ნუ განიკითხავთო, რა :)) სიმართლის გარკვევა ქრისტიანულ მორალს ეწინააღმდეგება თურმე, ამათი მამა ქუნემ! ასე არ არკვევდენ მტყუან-მართალს და მხარში ედგენ ბანდიტებს, ქურდებს, ჯალათებს, ოკუპანტებს, ქვეყნის მტრებს და მყვლეფავებს ;)

მოკლედ, მეზარება ახლა ანალიზი: თუნდაც ეს პატარა განცხადება გვაჩვენებს, რა დიდ ბოროტებასთან გვაქვს საქმე დღევანდელი ეკლესიის სახით...

პ.ს. არც როდის ბრწყინავდენ ზნეობით, დარწმუნებული ვარ, მაგრამ ეს ბოლო ნამეტანია უკვე...

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ლარი თამაშობს, ეროვნული ბანკიც თამაშობს, ფინანსთა სამინისტროც თამაშობს, ხალხი ზარალობს, ხოლო ეკონომიკის მინისტრი – დიმიტრი ქუმსიშვილი ლადაობს. ლარის კურსი ორი-სამი დღის წინ დოლართან მიმართებაში იყო 2,19, ბოლო დღეებში კი ავარდა 2,30-2,32-ზე. ეს მაშინ, როცა ტურისტული სეზონი, ჰა და ჰა, ძალაში შედის და საარჩევნო მარათონიც დაიწყო. დიმიტრი ქუმსიშვილი ლარის გაუფასურების ფაქტს ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას უკავშირებს:

„ბრიტანეთის გასვლამ გამოიწვია ევროს შესუსტება და დოლარის გამყარება, რაც თავისთავად აისახა ჩვენს ვალუტაზე“.

**— რას უნდა ველოდოთ?**

– რაც უფრო მეტი ლარის ხარჯვა წავა, მით უფრო გაუფასურდება. თუ ეროვნულმა ბანკმა დოლართან მიმართებაში ბალანსი არ დაიცვა, რასაკვირველია, უნდა ველოდოთ უარესს.

როგორც კი ლარმა გაუფასურება დაიწყო, სადღაც 15-20 მილიონი დოლარი უნდა გამოეტანათ, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავეს. ეტყობა, ფიქრობენ, კვარტალი დასრულდება და ლარი თავისით დაუბრუნდება ძველ ნიშნულს.

**— ახლა ვიღაცა გაკეთდება, ვისაც დოლარი აქვს, გაყიდის, მერე იყიდის, ისევ გაყიდის და ეგრე, რააა... ჩვენ რა დავაშავეთ, რომ ორ-სამ დღეში ამდენი უნდა ვიზარალოთ?**

– კი, ამას აქვს ახსნა, მაგრამ – დიახ, ფაქტობრივად, ერთი კაცის გამოცვლამ ამინდი ვერ შეცვალა. ლარის კურსი რომ არ იყოს ასეთი მერყევი, მისი დადგენა უნდა ხდებოდეს საბაზრო მეთოდებით, ანუ ეს უნდა იყოს დაკავშირებული ეკონომიკურ პროცესებთან. პარლამენტი ეროვნულ ბანკს განუსაზღვრავს მიმართულებებს, ფულად-საკრედიტო ხაზით რაღაცას აკეთებს, მაგრამ სავალუტო პოლიტიკაზე საერთოდ ხელი აქვს აღებული, არ ასრულებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

**— თქვენი აზრით, როცა ეროვნული ბანკი პერიოდულად 10 მილიონ დოლარს იღებდა მიმოქცევიდან და არეზერვებდა, ეს იყო ზრუნვა ეკონომიკაზე, ლარზე თუ დოლარზე?**

– არა, ეროვნულ ბანკს ლარის კურსი არ ადარდებს, რაც 2015 წელს დაიხარჯა რეზერვებიდან, იმას იბრუნებს.

## გვიშველის რამე?!

რაც შეეხება საქართველოს, პირდაპირ გეტყვით, აქ ხდება გაუგონარი დანაშაული. ეროვნულ ვალუტებს არ ახასიათებს ასეთი არც უაზრო დაცემა და არც გამყარება, რადგან ფულის მოძრაობას ცოტა სხვანაირი სპეციფიკა აქვს. როდესაც შენს ფინანსურ მდგომარეობას მიანდობ „ბლუმბერგის“ ბირჟაზე მოვაჭრე ორ ბანკს და ეროვნულ ბანკს არ გააჩნია კანონით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რაზე უნდა ვილაპარაკოთ?

**— ბატონო დემურ, ამიხსენით, ამჯერად ეროვნული ბანკის დანაშაული რაში მდგომარეობს?**

# ლარი თამაშობს, ხალხი ზარალობს, ხოლო ეკონომიკის მინისტრი — დიმიტრი ქუმსიშვილი ლადაობს

## რა ელის გაუფასურებულ ლარს?







### ეკონომიკის ექსპერტები „ალიასთან“ სკანდალურ ვერსიებზე ალაპარაკდნენ!

**უკაცრავად, თუ ევრო შესუსტდა და დოლარი გამყარდა ევროსთან მიმართებაში, რა შუაშია ლარი, ჩვენ რა, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაზე ვართ მიბმული თუ ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე? როგორც ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ამბობს „ალიასთან“, ქუმსიშვილი ან ვერ ერკვევა სიტუაციაში, ან კიდევ აშკარად გვატყუებს:**

– კატეგორიულად არ ვეთანხმები ქუმსიშვილს, დიდი ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან რატომ უნდა აისახოს უარყოფითად ლარზე? არა, ძმაო, ჩვენ საერთოდ არ გვაქვს ურთიერთობა ევროსთან, ჩვენთან არის გაგანია დოლარიზაცია და რაც ახლა ხდება, არის წმინდა წყლის შიდა პრობლემა: ჯერ ტურისტული სეზონი არ არის ძალაში შესული, ახლა კვარტალის ბოლოა და ფული იხარჯება როგორც ბიუჯეტიდან, ისე სარეზერვო ფონდებიდან. ნახევარი წელიწადი მთავრდება, რაც ხარჯებია გასაწევი, გადის და ეს ძალიან დიდ როლს თამაშობს. გარდა ამისა, უკვე დაიწყო წინასაარჩევნო პერიოდი, პარტიები ხსნიან ოფისებს, აგროვებენ ხელმოწერებს, ამაში ჯერ ბევრი არა, მაგრამ მაინც იხარჯება ფული, ისე არავინ არაფერს გააკეთებს. რასაკვირველია, ამან გაცვლით კურსზე იმოქმედა.

**— როცა ხალხს ბანკებთან აქვს ურთიერთობა, ძალიან ძნელია ასეთი მკვეთრი ცვლილებების გადატანა, თუნდაც ეს ფასებზე არ მოქმედებდეს. ჩვენ არ ვიცით, ხვალ რა იქნება. მაშინ რატომღა იღებს ეროვნული ბანკი დოლარს მიმოქცევიდან, რატომ ყიდულობს პერიოდულად 10 მილიონს? ახლა პირიქით უნდა აკეთებდეს, მაგრამ ხმას არავინ იღებს.**

– კი, მე ამას ვაბრალებ ეროვნული ბანკის უყურადღებობას, როცა ლარის გაცვლითი კურსი მყარდებოდა, დოლარს ყიდულობდა, ახლა პირიქით უნდა მოქცეულიყო, გასაყიდად გამოეტანა და გაუფასურებას თავიდან ავიცილებდით. შეიძლება თვის ბოლოს გამოიტანონ კიდეც. ერთი რამ ცხადია, ლარი უფრო მეტი გამოდის სივრცეში, ვიდრე დოლარი.

როგორც ვხედავთ, ამ მომენტში ეროვნული ბანკი არაფერს აკეთებს. ბოლოს და ბოლოს, ფინანსთა სამინისტროს აქვს ინფორმაცია, რა ხარჯვითი პროცესები მიდის სამინისტროებისა თუ სხვა უწყებების მიერ და ეს უნდა გაეთვალისწინებინა ეროვნულ ბანკს.

ისედაც კარგად იცის ყველამ, რომ კვარტალის ბოლოს ნაშთები ყოველთვის იხარჯება და რაღაც ღონისძიებაა გასატარებელი. ვიმეორებ: ეს არის ან უყურადღებობის, ან კიდევ გულგრილობის ბრალი, მეტი არაფერი ხდება, არავითარი ბრიტანეთი და არავითარი ბესარაბია.

**ფაქტობრივად, იგივეს ამბობს ეკონომიკის ექსპერტი, ლია ელიავა „ალიასთან“ და ამ ყველაფერში ადანაშაულებს ისევ ეროვნულ ბანკს და შესაბამისად, ხელისუფლებას. მისი თქმით, გიორგი ქადაგიძის წასვლით სიტუაცია არ შეცვლილა და ჩვენ ვრჩებით იგივე საშიშროების წინაშე:**

– ქუმსიშვილს ნაწილობრივ ვეთანხმები, რაც ბრიტანეთში მოხდა, ამან გამოიწვია არა ეკონომიკური ვარდნა, არამედ ფსიქოზი ბიზნესწრეებში. ამიტომ ლარის გაუფასურება დაკავშირებულია წმინდა წყლის სპეკულაციურ პროცესთან, ანუ ნევროზულ მდგომარეობასთან. რასაკვირველია, პანიკა ჩვენს ბიზნესმენებსაც გადმოედოთ, განსაკუთრებით, უცხოელებს, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ და დაიწყეს დოლარის გადარიცხვები, ფულის გატანა. კომერციულ ბანკებს უკვე გაუჩნდათ მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე.

ჩვენი უბედურება მდგომარეობს შემდეგში: როდესაც ეროვნულ ბანკში ახალი პრეზიდენტი, კობა გვენეტაძე დანიშნეს, მან პირდაპირ განაცხადა, მოსახლეობა უნდა შეეჩვიოს ლარის კურსის მერყეობას და მყისიერ ვარდნასო. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულმა ბანკმა ხელი დაიბანა ლარის მხარდაჭერისგან და ბედის ანაბარა მიატოვა.

**— თქვენ ამბობთ, რომ ისევ ქადაგიძის კურსი გრძელდება?**

– ნაწილობრივ უკვე შეავსო კიდეც რეზერვები, მაგრამ რაში გვჭირდება, თუკი გაჭირვების დროს არ გამოვიყენებთ?

**— ახლა უნდა გამოეყენებინათ?**

– რა თქმა უნდა, ეროვნულმა ბანკმა რამდენიმე დღით ადრე იცის, რა პროცესები შეიძლება წავიდეს. კომერციული ბანკებისთვის უნდა მიეყიდათ სავალუტო რეზერვები და მორჩა, კურსი ასე უცებ არ გაიქცეოდა, გაჩერდებოდა. თავის დროზე ეროვნულ ბანკს რომ დაეხარჯა 1 მილიარდი დოლარი, ასეთ დღეში არ აღმოვჩნდებოდით, ლარი გაუფასურდებოდა, სულ რაღაც, 10-15 პროცენტით.

**— ქალბატონო ლია, გვენეტაძე ხომ ამ ხელისუფლების კაცია, რატომ ატარებს ისევ ქადაგიძის კურსს?**

– მე არ ვიცი, ვინ ვისი კაცია და საერთოდ, ეროვნული ბანკი ვის ხელშია.

**— ანუ რა გამოდის, ისევ ის უნდა დაგვემართოს, რაც შარშან დაგვემართა?**

– უკვე დაგვემართა, 2015 წლის კრიზისი ყველაზე მწარე საქართველოში იყო და ისევ იქით მივდივართ. სანამ ლარის კურსი დამოკიდებულია ქვეყანაში უცხოური ვალუტის „სეირნობასთან“, მუდმივად ვიქნებით ამ დღეში! მთელი ქვეყანა ნერვიულობს, ბიზნესი პანიკაშია, ეროვნული ბანკის მესვეურები კიდევ სხედან ჩუმად, აქვთ მაღალი ხელფასები და არ აინტერესებთ ეკონომიკა. აი, ეს არის ჩვენი ქვეყნის ტრაგედია!

**ეკონომიკის კიდევ ერთი ექსპერტი, რომელიც ეროვნული ბანკის დანაშაულებრივ საქმიანობაზე ლაპარაკობს „ალიასთან“, დემურ გიორხელიძე გახლავთ. მისი თქმით, ჩვენ რომ ნორმალური ქვეყანა ვიყოთ, დღეს ეროვნულ ბანკში პროკურატურა უნდა იყოს შესული და კრიმინალურ სქემებს იძიებდეს, ხოლო ზოგიერთი უკვე ციხეშიც უნდა იჯდეს:**

– აქ არაფერ შუაშია ბრიტანელების გადაწყვეტილება, ეს არ არის საპანიკო საქმე, ამ ხალხმა მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება და აკეთებს იმ პოლიტიკის კორექციას, რაც ჩამოყალიბდა ბოლო 25 წლის განმავლობაში.

– ეროვნული ბანკი ზის და „ბლუმბერგის“ ბირჟის დამთავრების შემდეგ კრებს ტრანზაქციის რაოდენობას და გამოჰყავს ლარის კურსი. ჯერ ერთი, როდემდე უნდა ბატონობდეს უტვინობა, რით ვერ გაიგეს, რომ კურსს არეგულირებს ბაზარი? ქვეყანაში არის ფულის შიმშილი, მახინჯი ინფრასტრუქტურა და ამიტომაც ვერ ვითარდება ეკონომიკა. ყველაფერი ჩამოკიდებულია ე.წ. კომერციულ ბანკებზე, რომლებიც ლატაკ ქვეყანაში ნახულობენ ფანტასტიკურ მოგებას.

ფული გამყარებული ან გაუფასურებული კი არა, უნდა იყოს სტაბილური და ირხეოდეს თავისი წონასწორობის ირგვლივ. ლარი რა დონეზე იქნება დაჭერილი, ამას განსაზღვრავს ეკონომიკური მდგომარეობა.

**— მაშინ რა გამოდის, ისევ ფულის კეთება დაიწყო ვიღაცამ?**

– ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესები არის კრიმინალი. ჩვენ რასაც ახლა ვხედავთ, ცოტა დალაგებული სახელმწიფო რომ გვქონდეს, პროკურატურა აღძრავდა სისხლის სამართლის საქმეს და მოსამართლე გამოიტანდა განაჩენს. ეს არის აშკარა ბანდიტიზმი, როცა ადამიანებს დღისით-მზისით აშკარად ძარცვავენ. დათვალეთ, ამ პროცედურების შემდეგ ვინ იხეირებს!

**— თქვენი უახლოესი პროგნოზი როგორია?**

– პროგნოზი არ არსებობს, ეს არის ხელოვნური პროცესი, რასაც ხელს უწყობს მოუწესრიგებელი მდგომარეობა. ქვეყანა ჩამოკიდებულია იმპორტზე, არ გაგვაჩნია სტაბილური შემოსავლები, მცირეა ექსპორტი და სანამ არ გაიმიჯნება ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის პარამეტრები, მანამდე გვექნება ასეთი ქაოსი, ანუ სამარცხვინო მდგომარეობა. როცა ფულზე არსებობს გავლენები, ვისაც უნდა ააგდებს, ვისაც უნდა დააგდებს, ამას ხან გამყარებას უწოდებენ, ხან კიდევ გაუფასურებას. თუ ლარი მყარდებოდა, ახლა რაღამ დასცა? ადამიანებმა ხელში ჩაიგდეს ფანტასტიკური ინსტრუმენტი ფულის კეთებისა და აკეთებენ კიდეც!

## Facebook ამბები



**გერონტი აშორდია:**

რამდენი მშიერია ამ ქვეყანაზე და რამდენი კიდევ გახდება ასეთი, ყველას ჰგონია, კანონი აღსრულდება და ...ამ დროს, ბესელია, ძიძიგური, საგანელიძე და სხვა მეორადი დეპუტატები ე.წ. დუტის პლაშებს და რაღაც სხვა წესით გასაბერი ქურთუკების წარმოებით აღორძინებულ ქვეყანაზე გველაპარაკებიან. იქნებ ისიც განგვიმარტონ, სად და რატო წაიღეს სხვისი ქონება და წილები, ან რატომ დატოვეს ადმინისტრაციულ ორგანოებში ეს სადისტები და რა აიღეს ამაში? ისიც უნდა განმარტონ, რას ჰქვია სადისტებისათვის მიცემული პირობა, მე მომეცი და მაგის(დაზარელებულის) დედაცო?



**დაჩი ცაგურია:**

მიშისტანში ახალი ტყუილი გამოიგონეს :) თურმე გვირაბში არ ეტევა ჩვენი ახალი მატარებელი და რუსების დასახმარებლად გვიყიდია შვეიცარიული კომპანია შტადლერისგან ფანტასტიური მატარებლები:))) რა ნიჭიერები არიან?! აშკარად კლასი დაუვარდათ. ებიჭო რამე ცოტა გრძევადიანი და ჭკუასთან ახლოს ტყუილები მაინც მოიფიქრეთ




**ნიკა გვარამია:**

ევროკავშირმა დაკარგა ბრიტანეთი, ბრიტანეთი დაკარგავს შოტლანდიას, რომელიც, თავის მხრივ, ევროკავშირის ახალი წევრი გახდება.

ლაურა აბრამია
591 97-67-09



ცოტა ხნის წინ ჩემთვის ცნობილი გახდა სკანდალური ისტორია, რომელიც თურმე საქართველოდან თურქეთში სამუშაოდ ჩასულ ქალებს ხშირად ემართებათ. ისინი დამსაქმებელს, სტამბულის მოქალაქეს – ვინმე მზია ჩაჩუას აქედანვე, ტურისტული სააგენტოების დახმარებით უკავშირდებიან. მზია ჩაჩუა კი თურქეთში მყოფი და ნამყოფი უამრავი ადამიანის მტკიცებით, ვინმე ჟანასთან ერთად, აქედან ჩასული ქალების უმრავლესობის „სარფიანად“ დასაქმებას ცდილობს. თავშივე ვამბობთ, „ალია“ არაფერს ამტკიცებს. ჩვენ მხოლოდ იმ ამბავს გიყვებით, რაც აქედან ჩასულ ორ ახალგაზრდა ქალს შეემთხვა. ეს მასალა ეს მასალა კი ორიოდე კვირით ორი მიზეზის გამო გავაჩერე – ის ქალბატონები მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ თურქეთიდან და ტრეფიკინგში დადანაშაულებულ, ე.წ. დამსაქმებელ მზია ჩაჩუაზე ინფორმაციები შემეგროვებინა. აგერ არის ინტერნეტი, სატელევიზიო არქივი, სადაც მზია ჩაჩუაზე სკანდალური ინფორმაციები იძებნება. მართლაც საოცრებაა, რომ ჯერ კიდევ წლების წინათ ტრეფიკინგში მხილებული ქალბატონი მზია კარგა ხანია ჩრდილშია გადასული, ის აღარავის ახსოვს და თურმე ძველებურ საქმეს უფრო აქტიურად აგრძელებს!!! თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება, გუგლში მისი სახელი და გვარი ჩაწეროს და თავად დარწმუნდება. ახლა კი ის წერილი, რომელიც, როგორც თავშივე გითხარით, ორიოდე კვირის წინ გადო, ის ნადირობდა ახალგაზრდა ქალებზე. ამის შესახებ დაახლოებით ორი წლის წინათ სატელევიზიო სიუჟეტიც გასულა და მთელი ამბები. როგორც კი სტამბულში ჩავედით, იქ დაგვხვდა ეს მზია და ვინმე ჟანა, პირდაპირ ჩვენთან მოვიდნენ და ცდილობდნენ ჩვენს დამარტოხელებას. მართლაც ეჭვი შეგვეპარა, მას სასწრაფოდ სურდა ჩვენი გემზე დასმა, ყური მოვკარით, რომ ეს გემი ბულგარეთში მიემგზავრებოდა. რომ ვკითხე, სად მიგყავართ-თქო, გვიპასუხა, კუნძულია აქვე, კონკრეტულად „ჩანაკალა“, იქ გიშვებთ. თუ არ მოგეწონებათ სამუშაო, მალევე უკან დაგაბრუნებთო. ამ დროს შემოგვეხვივნენ უცხო ადამიანები, ქართველები, აუტეხეს ყვირილი, სად მიგყავს ეს გოგოები, თავი დაანებე ამათო. მოკლედ, რომ იტყვიან, ხელიდან ძლივს

## ტრეფიკინგი

ადმინისტრატორების, ჭურჭლის მრეცხავებისა თუ დამლაგებლების, მოლარე ოპერატორებისა და მრავალი სხვა პროფილით, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ...“

მოკლედ, თბილისის ცენტრალურ უბანში ამ სააგენტოს მივაკითხე. შესასვლელში რამდენიმე ქალი იცდიდა, ერთს იქვე ხელშეკრულებას უფორმებდნენ, ერთი რუსულენოვანი ქალბატონი თურქეთში სამუშაოდ წასვლაზე აწარმოებდა მოლაპარაკებას მთავართან. შემდეგ მე შევედი, ჯერ ინფორმაცია ვითხოვე, წასვლა მინდა და მაინტერესებს, როგორ ხდება კონკრეტულად თურქეთში თქვენი მეშვეობით დასაქმება-მეთქი. ქალბატონმა ამიხსნა, რომ დამაკავ-

# როგორ უშვებენ მოტყუებით ბორდელებში თურქეთში სამუშაოდ წასულ ქალებს?!



**„წინასწარ იციან, რომელი რეისით მოდიან გამოუცდელი, ახალგაზრდა გოგოები და აქსარაიაში ავტოსადგურში ხვდებიან... ეს ჟანა მათ მოტყუებით ყიდის ბორდელებში ან კონკრეტულ თურქ მამაკაცებზე, რომლისგანაც იღებს გასამრჯელოს“**

დაახლოებით ორი კვირის წინ უნდა გამომგვექვეყნებინა, თუმცა ეს ქალბატონები მაშინ ჯერ კიდევ თურქეთში იმყოფებოდნენ და თავი შეიკავეს ვინაობების დაკონკრეტებისგან. მხოლოდ ის სააგენტო დამისახელეს, რომელმაც ისინი თურქეთში გაგზავნა. მე სიტუაციის გასარკვევად მათ ვესტუმრე და ჩემი ვიზიტის შემდეგ, როგორც გაირკვა, მათ აქედან დაუკავშირდა იმ სააგენტოს წარმომადგენელი, მუქარის შემცველი წერილები მისწერა „ფეისბუკის“ მეშვეობით, ის ასევე იმუქრებოდა ჩემი მისამართითაც, თუ გავბედავდი და მათი საქმიანობის შესახებ დავწერდი. არადა, როცა ერთი მხარე მეორეს ადანაშაულებს რაიმეში, იმ მეორე მხარესაც ხომ უნდა მოუსმინო, რატომ ახტა, დახტა და გადაირია ამ სააგენტოს „დირექტორშა“? ერთ ჩემს კოლეგასაც დაარეკვინა ჩემთან. ვამზადე, მაგრამ არ გამოგვიქვეყნებია.

**რამდენიმე ხნის წინ შოკისმომგვრელი ამბავი შეემთხვა ორ ქართველ ქალს, რომლებიც სააგენტოს მეშვეობით დასაქმებისთვის გაემგზავრნენ სტამბულში და იქ ჩასულები მეორე დღეს შველას ითხოვდნენ. მათი ახლობლები კი „ალიაში“ დაგვიკავშირდნენ.**

**აი რას ყვებოდა ახლობლებთან ერთ-ერთი:**

– აქედან ფირმამ გაგვაგზავნა, რა თქმა უნდა, სრული გარანტიით, რომ იქ დაგვხვდებოდა პიროვნება, რომელიც პირდაპირ დაგვასაქმებდა ოჯახში ან ჩვენთვის მისაღებ სამუშაოზე. ჩვენს ბედად, მგზავრობისას წამოგვცდა, ვინ იქნებოდა ჩვენი დამსაქმებელი, ვინმე მზია ჩაჩუა, სტამბულის მოქალაქე, სწორედ გზაში გავიგეთ, რომ ეს ქალი არ იყო სანდო, გამოგლიჯეს ჩვენი თავები. მერე სასწრაფოდ დავუკავშირდით ჩემი დაქალის ნათესავს, რომელიც სტამბულში ცხოვრობს და იმან შეგვიფარა, ახლა ჩვენი ძალებით ვეძებთ შესაფერის სამსახურს.

იმ სააგენტოს, რომელმაც ეს ქალბატონები თურქეთში გაამგზავრა, სარეკლამო ბუკლეტში უწერია:

„თბილისის საოჯახო პერსონალის საკადრო ცენტრი... გთავაზობთ პერსონალის ოპერატიულ და პროფესიონალურ დონეზე შერჩევას, როგორც საოჯახო პერსონალის (ძიძების, გუვერნანტების, ოჯახში დამხმარეების, მოხუცისა და ავადმყოფების მომვლელების, პერსონალური მძღოლების, საკარმიდამო ნაკვეთში ოჯახური წყვილების) სახით, ასევე სასტუმრო/რესტორნებისა და მაღაზიების ქსელისთვის, მენეჯერების შირებდნენ დამსაქმებელს თურქეთში. იმის მიხედვით, რა შემეძლო, შემირჩევდნენ სამუშაოს. შემდეგ ვკითხე, დამსაქმებლები ვინ არიან-მეთქი. ბევრნი არიანო. მზია ჩაჩუაზე რას მეტყვით-მეთქი და მერე პირდაპირ ვუთხარი, სინამდვილეში რა მიზნით მივედი მათთან. შემდეგ ასეთი სახის დიალოგი გაიმართა ჩვენ შორის:

— **ჩვენ მოგვაწოდეს ინფორმაცია და შემდეგ სტამბულში მყოფმა არაერთმა ქართველმა დაგვიდასტურა, რომ მზია ჩაჩუა და ვინმე ჟანა, კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში არიან შემჩნეულნი. კერძოდ, პროსტიტუციის მიზნით გაურკვეველი მიმართულებით გზავნიან აქედან ჩასულ ქალებს...**

– არ არის სწორი, დაახლოებით 2 წელია, მზიასთან ვთანამშრომლობთ და ჩვენ მსგავსი არაფერი გაგვიგია,

გაგრძელება მეთექვსმეტე გვ.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook



**ვალერი კვარაცხელია** - მას შემდეგ რაც მის პოსტს „დედა რუსეთი გვიხმობს" უარყოფითი გამოხმაურება მოყვა, წერს:

ფურუნკული გასკდა

აქ რა ამბავი ამტყდარა, ეს რა "დემოკრატიული" ყიჟინა აუტეხავს "ცრუ"- ს და "ფბრ"-ის აგენტურას?!

ევროკავშირი რატომ დაინგრა, იცით? ამგვარი ნახირის მოშენების გამო, "პატრიოტული" გრძნობების გამოხატვას მხოლოდ დედის გინებით რომ ახერხებს!

მე თქვენ დედებს არ შეგაგინებთ, მაგრამ მათთვის რომ მეცალოს, სათაოდ გავწკეპლავდი თქვენი გაზრდისთვის. ისე, ცოტა ეჭვიც კი მეპარება იმაში, დედის გაზრდილი კი არა, დედის გაჩენილი თუ ხართ, საერთოდ. მე მგონია, რომ ამერიკულ ლაბორატორიებში გამოჩეკილი ხელოვნური ვირთხები უფრო ხართ, ვიდრე დედის მიერ გაჩენილი და აღზრდილი ადამიანები.

მესმის, რომ სხეული გეწვით (აბა, სული სად გაქვთ?), დასავლეთის მიერ თქვენთვის გადმოგდებული ვიგინდარული გასამრჯელოს დაკარგის შიშით. ევროკავშირი დაგენგრათ, ნატო მალე დაინგრევათ. ამერიკა აქედან გუდა-ნაბადს აიკრავს და რუსეთი კიდევ ფეისბუქზე ვილაცისთვის დედის შეგინებაში ფულს არ გადაგიხდით. რუსეთმა, დიდი-დიდი, ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა შემოგთავაზოთ, მაგრამ თქვენ არც შრომა შეგიძლიათ და არც - აზროვნება. თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ყარდეთ, ვინაიდან თქვენ ხორცისგან, სულისგან და სისხლისგან კი არ შედგებით, თავიდან ბოლომდე ჩირქის გროვა ხართ, - ფურუნკული, რომელიც გასკდა!

არა უშავს, რუსეთიდან ხარისხიან სადეზინფექციო საშუალებებს შემოვიტანთ და გადაგრეცხავთ...



**დემურ გიორხელიძე:**

პირველი ემოციების შემდეგ

რაზე საუბრობენ ევროპაში?!

ძალიან საღ რამეზე:

ვერც ბრიტანეთი წავა სადმე და ვერც სხვა ქვეყანა,

ვინც მომავალში შეიძლება გავიდეს ევროკავშირიდან -

დგება სხვა ფაზა ურთიერთობებისა -

ეს არის ძალიან ღრმა კ ო ო პ ე რ ა ც ი ი ს ფაზა,

რომელსაც არ სჭირდება რაღაც ერთ სახელმწიფო წარმონაქმნში ანდა ევროკავშირის მაგვარ ზედმეტად ბიუროკრატიზირებულ და უმართავ არაეფექტურ გაერთიანებაში ყოფნა...

ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ უფრო კოოპერირებული იქნება ევროპასთან, რადგან ამას მისი ეკონომიკური ინტერესები და უსაფრთხოება მოითხოვს...

ამასთან.

ბრიტანეთი არასდროს იყო კონტინენტური ევროპის წევრი -

იგი ყოველთვის ცალკე იყო. ამიტომ არაფერი მოულოდნელი

არ მომხდარა... დგება დიდი ცვლილებების ეპოქა...

საქართველოს უაზრო ფრაზეოლოგიაში და უაზრო მისწრაფებებში ყოფნას უჯობს საკუთარი ქვეყნის გაძლიერებაზე იფიქროს და ევროპასთან და ცივილიზებულ სამყაროსთან ღრმა კოოპერაციაზე...

კოოპერაცია გაცილებით მნიშვნელოვანია და ბევრის მომცემი, ვიდრე სსრ კავშირის ასოციაციებით მუქთად ყოფნის სურვილით თავშესაფარის ძებნა ევროკავშირი იქნება ეს თუ რომელიმე სხვა კავშირი...

საკუთარი ქვეყნის მოდერნიზაცია და განვითარება, -

აი, ერთადერთი ღირსეული და სალი მიზანი!

გვაქვს ამის უნარი და ძალა?!

გამოჩნდება!

მოვინდომებთ, - განვვითარდებით და

საღ ძალიან კარგ ქვეყნად ჩამოვყალიბდებით!

არ მოვინდომებთ?!

რა ჭაობშიც ვართ მალე უარეს ჭაობში ვიქნებით!

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

Facebook ამბები



**მაია ნიკოლეიშვილი** -კიწმარიშვილის საქმეზე:

ჩემი მსჯელობები ეხება მხოლოდ სამედიცინო ექსპერტიზას და ექსპერიმენტს!

ექსპერტი არ იმკითხავებს "არაბუნებრივ","არარეალურ" პოზებზე, ვინაიდან ექსპერტიზა მთავრდება იქ, სადაც მთავრდება კვალი (ამ შემთხვევაში ნივთიერი მტკიცებულება).

გამოძიების შედეგების კრიტიკა ან დათანხმება ჩემი საქმე არ არის (და არც ინტერესი!).

ყველამ თავისი საქმე აკეთოს ..



**ჩიორა თაქთაქიშვილი:**

ძალიან მიხარია, რომ დღეს უამრავი ჩემი ფრენდი წერს ბრექსიტზე ფეისბუქზე! ეს ნიშნავს, რომ ევროპა ჩვენი სახლია!

დღევანდელი რეფერენდუმის შედეგი - ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მხარდაჭერა - მოულოდნელი ნამდვილად არ იყო! და ამის გამო რუსული პროპაგანდის სპეკულირება ევროკავშირის დაშლაზე უბრალოდ აბსურდია.

მაგრამ ვშიშობ, რომ ბრიტანეთის გასვლა ხელს კი არ შეუწყობს ევროკავშირს, გადახედოს თავის ზებიუროკრატიულ, შემზღუდველ და ტექნოკრატიული მმართველობის ფორმას, არამედ უფრო პირიქით! ეს ძალიან სამწუხაროა.

საუბარი არც ღირს იმაზე, რომ ეს ეს გადაწყვეტილება რამეთი ევროპული ღირებულებების/ფასეულობების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია: ეს ჩვეულებრივი აბსურდია!

დარწმუნებული ვარ, ბრიტანეთი ამის მერე უფრო გააქტიურდება საერთაშორისო სცენაზე, როგორც ევროპული ღირებულებების და ინტერესების დამცველი დამოუკიდებელი აქტორი.

მეთხუთმეტე გვერდიდან

არც არავის მოუმართავს პრეტენზიით. თუ ეს ფაქტები დადასტურდება, ჩვენ შევწყვეტთ ამ ადამიანთან თანამშრომლობას. მზია ჩაჩუასთან, ჩვენ გარდა, სხვა ბევრი სააგენტოც თანამშრომლობს. არ ვიცი, თქვენ თუ ამ დღეებში მომხდარზე გაიგეთ, ის ქალბატონები ჩვენ აქედანვე დავაკავშირეთ მზია ჩაჩუას, სკაიპითაც ისაუბრეს. რაც მათ ააგორეს, მათი მხრიდან პროვოკაციაა. რა უნდოდათ, ვერ გავიგეთ, თვითონვე არ იყვნენ ჩამოყალიბებული. ვერ გავიგეთ, რა









უნდოდათ...

**— რას ნიშნავს, ვერ გაიგეთ, რა უნდოდათ?**

– იცით, რა? თქვენ პირადად იცნობთ ამ გოგოებს თუ იმათზეა საუბარი, ვისზეც მე ვფიქრობ? იცით, როგორი თამამად ჩაცმულები იყვნენ? ცოტა სხვა შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, მზიამაც ის თქვა, რომ დავინახე, ისეთებს ჰგავდნენო და...

**— ანუ, თუ ისეთებს ჰგავდნენ, ე.ი. ისინი მზიას სხვა მიმართულებით უნდა დაესაქმებინა? რა მზია ჩაჩუას საქმეა, ვინ რას ჩაიცვამს?**

– მერე რა, ისინი ნახავდნენ, რა სამსახური იყო, ანუ სასტუმროზე იყო საუბარი, თუ არ მოეწონებოდათ, ჩვენი ყველაფერი იცოდნენ, ნომრები, სკაიპი და რა, ვერ დაგვიკავშირდებოდნენ?

**— არა, ასე არაა, ქალბატონო, მე რომ ვყოფილიყავი, მეც დავინტერესდებოდი, მით უფრო, თუ იქ მყოფი 20 კაციდან 18 მეტყოდა: ამ ქალს არ გაჰყვეთ, ის ქალებს ყიდისო. სანამ თქვენამდე მოვიდოდი, სტამბულში ველაპარაკე ქართველებს და ყველამ დამიდასტურა, რომ მზია ჩაჩუა, ასევე, ვიღაც ჟანა, ქალებს სხვა მიმართულებითაც ყიდიან. თუ ასეთი სერიოზული სააგენტო ხართ, ვალდებულები ხართ, იცოდეთ, ვისთან თანამშრომლობთ...**

– არ არის მართალი, და თუ მართალია და მზიაზე მტკიცებულებები გაქვთ, მაჩვენეთ, ან იმ კონკრეტულ ქალებზე გაქვთ ფაქტი? იქნებ ტყუილია? არავინ არავის არ ყიდის, საიდან მოიტანეთ...

**— მე ვერ და არ დაგიდებთ მტკიცებულებებს მზია ჩაჩუაზე, არც ის მგონია, ვინმე რამეს იგონებდეს, თუ მართლა არ იცით და არ მონაწილეობთ ამაში, თქვენს ინტერესებშია, იცოდეთ, ვინ არიან რეალურად თქვენი დამსაქმებლები, პირდაპირ ვალდებულები ხართ...**

**მოკლედ, სააგენტოში ყოფნის შემდეგ ერთი ის ეჭვი გამიმყარდა, რომ შეიძლება აქედან ჰქონდა მზია ჩაჩუას „ნაკოლი“. თურმე სააგენტოს კლიენტი, როგორც ქალბატონმა სააგენტოს თანამშრომელმა გაუსვა ხაზი, ზედმეტად გამომწვევად ჩაცმული წასულა და აბა, რა უნდა ექნა მზიასო — ასე გამოუვიდა მისდაუნებურად, ასე წასვლა როგორ შეიძლებოდაო, აბა? ამათი ლოგიკით, თურქეთში სამუშაოდ წამსვლელებმა სხეული მაქსიმალურად უნდა დაიფარონ სამოსით, რომ მზია ჩაჩუასნაირმა დამსაქმებელმა სამოსის და სტილის მიხედვით არ დააკვალიფიციროს და სადმე ბორდელში არ უკრას თავი.**

**აი, რას გვიყვება ერთ-ერთი ქართველი, ნინო, რომელიც ამჟამად სტამბულში ოჯახში მუშაობს, მანვე მოგვაწოდა ფოტომასალა სტამბულის ავტოსადგურიდან.**

– მზიასა და ჟანას შესახებ ბევრმა იცის, მზია საშიში ქალია. თუმცა მთლად ღიად ვერ ბედავს ახლა, სამართალთან პრობლემები რომ ჰქონდა, ალბათ, იმიტომ, მაგრამ ისეთი „ზახოდები“ აქვს, თუ ვინმე თვალში მოუვიდა, ყველანაირად ცდილობს, სათავისოდ გამოიყენოს.

**— ეს რას ნიშნავს?**

– სავარაუდოდ, მათ იციან, რომელ რეისზე ახალი და გამოუცდელი ვინ მოემგზავრება, ასევე, ცოტა ვულგარულებს არჩევენ. საქართველოდანვე აქვთ ინფორმაცია. თუ ახალგაზრდა და ლამაზია, ხომ საერთოდ ნადირობენ, ჟანა არის ერთი ამაზრზენი დამსაქმებელი ქალი, აქ იყო აქსარაიაში, სტამბულში ერთ-ერთი უბანია, ანუ ყველა რჯულის ხალხი სადაცაა და აქვე, ამ უბანშია ავტოსადგური, სადაც ჩამოდიან საქართველოდან ავტობუსები და ჟანაც 24 საათის განმავლობაში აქ არის. ამბობენ, რომ ამას ჰყავს ვიღაც თურქი უფროსი, რომელიც ზურგს უმაგრებს. ვისთანაც სხვანაირად არ გასდის, ოჯახებსა და ფაბრიკებში ასაქმებს, ხოლო ვისთანაც გასდის, ყიდის ბორდელებში ან კონკრეტულ თურქ მამაკაცებზე, რომლისგანაც იღებს გასამრჯელოს. ეს დანამდვილებით ვიცი, რადგან დაახლოებით ორი წლის წინათ დააპატიმრეს და დეპორტით გამოუშვეს საქართველოში, მერე ისევ ჩამოვიდა. დაწერეთ, რაც გითხარით, რადგან ზუსტად ვიცი ეგ ამბავი და აქ ბევრმა იცის...

**— მზია ჩაჩუაზე რას მეტყვით?**

– მზიაზე აქ ვინ არ იცის, ქმარი ჰყავს თურქი და ერთად მოქმედებენ, მზიას ეს თურქი ქმარი მფარველობს, მზია ძალით ვერ ბედავს მთლად, რომ კაცს მიგყიდოს, მაგრამ ტკბილი ენით იცის შებმა, ჩვეულებრივად მეტყველებს ქართულად. როგორც აქ ვუყურებთ, ჩვენი საელჩო არაფერში ერევა. ჩვენ ვიცით და მათ არ იციან განა, ამ სადგურზე რა ხდება? ამ ხალხის უკან სერიოზული ძალა დგას მზია ჩაჩუასთან და ჟანასთან ერთად, ქართველი მამაკაციცაა ჩართული, სახელად კაკო...

**არავისთვის უცხო არ არის ისიც, რომ საქართველოდან ჩასული უამრავი მანდილოსანი თურქეთში პროსტიტუციას ეწევა, ასეთები სპეციალურად ჩამოდიანო, მიყვება ადამიანი,** რომელიც წლებია, სტამბულში ოჯახში მომვლელად მუშაობს.

### ტრეფიკინგი

**რომელიც წლებია, სტამბულში ოჯახში მომვლელად მუშაობს.**

**ლელა:**

– ისინი, აქსარაია რომ ჰქვია, იმ უბანში ირევიან ხოლმე და ყოვლად სამარცხვინოდ, დაუფარავად ვაჭრობენ სხეულით. აქ არიან უკრაინიდან, რუსეთიდან და საქართველოდან ჩამოსული ქალები. ტყუილია, რომ ამბობენ, თითქოს თურქეთში ვინმე ძალით რამეს გაკადრებს, პირიქით, თურქი უფრო დაგიცავს, ვიდრე ბევრი ქართველი. ასეთები ყველა ვიღაცასთან არის გარიგებული ფულზე და მაშინვე გაგყიდის, თუ ამის საშუალება მიეცა. მზიასა და ჟანაზე მთელმა სტამბულმა იცის, რა, თქვენ პირველად გაიგეთ? ჰოდა, მათ ვიღაც უმაგრებთ აქ ზურგს.

**ამჯერად შეგნებულად არ ვასახელებ არც იმ სააგენტოს და არც იმ რესპონდენტს, ბოლოს რომ მიხვდა, რა სისულელეები ილაპარაკა, რომელმაც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მზია ჩაჩუაზე ტყუილია ყველაფერიო. კი მაგრამ, ქალბატონო, მაშ, რატომ ატეხეთ რეკვები თუ ჩემთან თუ იმ გოგოებთან?**

ეჭვგარეშეა, საქართველოს წარმომადგენლობამ თურქეთში და ელჩმა ირაკლი კოპლატაძემ ეს ყველაფერი იცის, თუმცა, როგორც იქ მყოფი ქართველები ამბობენ, ისინი მათ არაფერში ეხმარებიან და მათი კარი ასეთი გაჭირვებულებისთვის და დაუცველებისთვის დაკეტილია. აბა, რისთვის არიან იქ? რას აკეთებენ და რატომ სარგებლობენ ამხელა დიპლომატიური სტატუსით? „ალია“ ამ თემაზე აგრძელებს მუშაობას და დავბეჭდავთ ყველა ამბავს, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლთ უკავშირდებათ. ვამხელთ თურქეთში ჩვენს წარმომადგენლობას უნიათობაში და სახალხოდ გამოვაქვეყნებთ ყველა მოძალადის ვინაობას, რათა აქედან უცხოეთში სამუშაოს საძებნელად წასული ქართველები ასეთ მახეში არ აღმოჩნდნენ.

Facebook ამბები



**გია ნოდია:**

გერმანიაში ვარ. ვახშამზე სერიოზული და "სვეცკი" ქალბატონის წინ აღმოჩნდი. მერე გავიგე, რომ ქალაქის ყოფილი მერის ცოლია. რომ შეიტყო, საქართველოდან ვარ, თანაგრძნობით მკითხა, ვიტანჯებით თუ არა ამერიკის გავლენის ქვეშ. რომ ვუთხარი, სადაა ამერიკის გავლენა, ობამას უყურადღებობით და უგავლენობით უფრო ვიტანჯებით, მთლად არ ელოდა. მერე უკრაინაზე გადავიდა ლაპარაკი, გამოთქვა ღრმა შინაგანი რწმენა, რომ უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუცია ამერიკის ორგანიზებული იყო, და რუსეთიც უპასუხებდა, რას იზამდა. უკრაინის აღმოსავლეთში პრობლემებიც უკრაინელების ბრალია. რომ შემატყო, რომ ყველაფერში დიამეტრალურად საპირისპირო აზრი მქონდა, ბოდიშები მიხადა, პროვოცატივე რაღაცეები ვთქვიო. დახვეწილი, სვეცკი ქალი იყო.

ესაა გერმანიის ელიტა პუტინის მესიჯ-ბოქსით. ყველა ასე არ ფიქრობს, მაგრამ ბევრი გავლენიანი ადამიანი.

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



ბოლო დროს ავტობუსის კონტროლიორების რისხვა სტუდენტებს ატყდებათ, დაჯარიმებულია დაახლოებით 28 ათასი სტუდენტი.

რამდენიმე სტუდენტის დაჯარიმების ფაქტს თავად შევესწარი.

კონტროლიორს რამდენიმე კითხვით მივმართე, თუმცა მან განაცხადა, რომ მუშაობაში ხელს ვუშლიდი და პატრულს გამოიძახებდა:

– თუ თავს არ დამანებებთ, პატრულს გამოვიძახებ...

– გამოიძახეთ, რას ვაშავებ, შეკითხვის დასმა დანაშაულია? ფიქრობთ, რომ სწორად იქცევით?

– არც თქვენ იქცევით სწორად, ჩვენ მართალი ვართ, ჯარიმა იმიტომ გამოვწერეთ, რომ სხვა ბილეთით ცი... ახლა კონტროლიორი მეუბნება, რომ ვატყუებ, ეს ბილეთი ამ ავტობუსის არააო, პედაგოგი ქალი ვარ და ტყუილი არასოდეს მითქვამს, ბევრი ჩხუბისა და კამათის შემდეგ ჯარიმა აღარ დაუწერიათ...

ახლა კონტროლიორთან მივედი:

— **რამდენად სამართლიანად აჯარიმებთ მგზავრებს, რამდენიმე შემთხვევას თავად შევესწარი.**

– თქვენ ხელს მიშლით და საპატრულო ეკიპაჟს გამოვიძახებ, რადგანაც ხელს გვიშლით მუშაობაში...

— **არა, არ გიშლით, მე შემთხვევა დავაფიქსირე...**

– თქვენ ვინა ხართ?

— **ჟურნალისტი ვარ...**

– გვაჩვენეთ საბუთი...

საბუთი ვაჩვენე, წართმევას შეეცადა, ხელიდან გამოვგლიჯე საბუთი და ამ დროს დიქტოფონი ძირს დამილი კანონი წააკითხა; რომ მოქალაქე ავტობუსში ასვლისთანავე ბილეთს იღებს, არაა გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც მგზავრი ხალხმრავლობის გამო სალარომდე ვერ აღწევს...

კანონში, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული და პრემიერ-მინისტრის ხელმოწერილია, 2014 წლის 3 იანვარს გამოიცა, სადაც მითითებულია, რომ მგზავრი, რომელიც კონტროლიორს სამგზავრო ბილეთის მოთხოვნის დროს ბილეთს ვერ წარუდგენს, სამართალდარღვევათა 130-ე მუხლით დაჯარიმდება, კონტროლიორს უფლება აქვს, მგზავრი სამგზავრო ავტობუსიდან ჩამოიყვანოს და საჯარიმო ქვითარი შეუდგინოს.

### ვისთვის – ჯარიმა, ვისთვის – პრემია

საურავი დაეკისრო. ეს იმ ფონზე, როდესაც უსახსრობის გამო ძალიან ბევრ სტუდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული და ამას ემატება ჯარიმები, რომელიც უკანონოდ აქვთ დაკისრებული. მგზავრების 95% უკანონოდ არის დაჯარიმებული. სტუდენტების უყურადღებობით სარგებლობენ კონტროლიორები. ტრანსპორტის სამსახურმა კონტროლიორებს ტრენინგები უნდა ჩაუტაროს, რათა მათ შეურაცხყოფა არ მიაყენონ თუნდაც უბილეთო მგზავრს. სწორედ სოციალურად დაუცველი ადამიანები მგზავრობენ უბილეთოდ და სჯობია, ჯარიმის ნაცვლად, მათ ბილეთის აღების საშუალება მისცენ. გაითვალისწინონ ისიც, რომ ბილეთი შეიძლება გადაგდებული აქვთ.

# „ქვეყანაში „ბარდაგია“, ხალხო! ბანდიტი სააკაშვილი შეცვალა მეორე ბანდიტმა ივანიშვილმა!“



**„28 ათასი სტუდენტია დაჯარიმებული და რაღაზე ვლაპარაკობთ? ქვეყანაში ქაოსია!“**



აიღეს და არა იმით, რაც უნდა გამოეყენებინათ.

– ბილეთი ხომ აიღეს?

– აიღეს, მაგრამ, არასწორად...

– როგორ არასწორად?

– თავი დაგვანებეთ...

– თქვენი სახელი?

ამ დროს კონტროლიორი გარბის...

**თათია, სტუდენტი:**

– ბილეთი ავიღე და რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ბილეთით ავიღებთ? კონტროლიორმა ჯარიმა დამიწერა, მაგრამ ხელი არ მოვაწერე. რაღაც ცარიელ ბლანკზე დაბეჭდილი ფურცელი ჰქონდა, სადაც ეწერა, რომ თუ 5-ლარიან ჯარიმას არ გადავიხდი, ჯარიმა 75 ლარით გაიზრდება.

სტუდენტები კონტროლიორს დაედევნენ, სამგზავრო ბარათების უკან დაბრუნებას სთხოვდნენ, თუმცა კონტროლიორმა ბარათი არ დაუბრუნათ და მეორე გაჩერებისკენ ფეხით წავიდა, თან ტელეფონზე რეკავდა...

**მეორე შემთხვევა:**

ავტობუსი გაჩერდა, ჩამოვიდა ქალბატონი, ცოტა გაიარა, ბილეთი იქვე, ქუჩაში დააგდო, კონტროლიორი გამოეკიდა და ქალბატონს ბილეთი მოსთხოვა. ქალბატონმა გადაგდებული ბილეთი მოძებნა და კონტროლიორს მიუტანა.

**ეს ქალბატონი პედაგოგი აღმოჩნდა, თინათინ სივსივაძე:**

– ახლა ჩამოვედი ავტობუსიდან, ბილეთი ხელიდან ძირს დამივარდა, ცოტა რომ გავიარე, კონტროლიორი გამომეკიდა და ბილეთი მომთხოვა, მოვბრუნდი, მოვძებნე, ბედად ძირს დავარდნილი ვიპოვე და მივევარდა...

— **თქვენც გვაჩვენეთ თქვენი საბუთი, გვითხარით სახელი და გვარი!**

ამ დროს კონტროლიორმა თავისი „ბეიჯი“ მეორე მხარეს გადააბრუნა, რომ მისი სახელი და გვარი არ წამეკითხა... თან კამერა ჩართო, მერე კი უკანმოუხედავად გაიქცა... ამ კონტროლიორის სურათის გადაღება მოვახერხე...

სხვა ავტობუსში ვზივარ და კონტროლიორის ხმა მესმის, ახალგაზრდა კონტროლიორი მამაკაცი სტუდენტ გოგონას ემუქრება: ჩამოდი ავტობუსიდან, თორემ 500-ლარიან ჯარიმას გამოგიწერ, სტუდენტი გოგონა ხმამაღლა ყვირის და კონტროლიორზე გადაცემული სტუდენტური ბილეთის უკან დაბრუნებას ითხოვს (რომელიც ბილეთის ასაღებად მიაწოდა, რადგან ავტობუსის წინა სალონში ხალხმრავლობის გამო ვერ გადმოდიოდა). შეიქნა ერთი აჟიოტაჟი, კონტროლიორი ავტობუსის მძღოლს წასვლის უფლებას არ აძლევს. ბოლოს, კონტროლიორმა სტუდენტი გოგონა ავტობუსიდან მაინც ჩამოიყვანა და ჯარიმის დაწერა დაიწყო. სტუდენტს მოქალაქეები გამოესარჩლნენ, ზოგი ცხელ ხაზზე დარეკვას ურჩევდა, ზოგი გასაჩივრებას. მეც ჩაწერა დავიწყე, რამაც ეს კონტროლიორი გააღიზიანა და ჩამწერის გამორთვა მომთხოვა, მე კი შეახსენე, რომ ჟურნალისტი ვიყავი... ეს კონტროლიორიც საპატრულო ეკიპაჟის გამოძახებით დამემუქრა, თუმცა საპატრულო ეკიპაჟი არც მას გამოუძახებია. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ეს კონტროლიორი რევაზ ტორონჯაძე აღმოჩნდა. ინტერვიუს ჩაწერა არ ისურვა, თუმცა აცხადებდა, რომ სამართლიანად იქცეოდა და სტუდენტს პარლამენტის მიერ მიღებუ-

მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ კონტროლიორი არ აცლის მგზავრს ბილეთის აღებას? ამაზე კონტროლიორ ტორონჯაძეს ასეთი პასუხი აქვს:

– რა უნდა ვაცალო, თუნდაც ერთ გაჩერებაზე, რატომ ვერ მოასწრო ბილეთის აღება? მე სამართლიანად ვაჯარიმებ.

სტუდენტი ტირის და ამბობს, რომ უსამართლოდ ექცევა კონტროლიორი.

**დავით ჩაკაბერი, მგზავრი:**

– ოპერის მომღერალი ვარ, რა უკანონობასაც შევესწარი, ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, ისევ სტალინისა და ბერიას დიქტატურა ხომ არ არის? ქვეყანაში „ბარდაგია“, ხალხო, გამსახურდიასა და კოსტავას შემდეგ საქართველოში ნორმალური არავინ მოსულა, ბანდიტი სააკაშვილი შეცვალა მეორე ბანდიტმა ივანიშვილმა... არაფერი შეცვლილა, თითქოსდა, ესენი არიან კანონმორჩილები? 28 ათასი სტუდენტია დაჯარიმებული, რას ლაპარაკობთ, ქვეყანაში ქაოსია...

**მამუკა ტუსკაძე, უფლებადამცველი:**

– 28 ათასი იმდენად ასტრალური ციფრია, რომ ამაზე პასუხი უნდა აგოს ქალაქ თბილისის ტრანსპორტის კომპანიამ და მიიღოს გადაწყვეტილება ჯარიმების ჩამოსაწერად. სხვა გამოსავალი არ არსებობს, რადგან არ შეიძლება სტუდენტებს, ჯარიმის სახით, 50 ან 70 ლარი, ან სხვა

– ზოგჯერ ხდება, როდესაც ხალხმრავლობის გამო, ვერ ახერხებენ ბილეთის დროულად აღებას.

– კონტროლიორებმა უბილეთოების პრევენცია უნდა მოახდინონ და მათ არ უნდა ჰქონდეთ სადამსჯელო ფუნქცია. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ქალაქის ტრანსპორტის სამსახურში უხარისხო და დრომოჭმული სისტემაა, ამიტომაცაა, რომ მხოლოდ ჯარიმებზე არიან ორიენტირებული. ჯარიმების საშუალებით მერიის სამსახურები და თავად კონტროლიორებიც პრემია-დანამატებს იღებენ. რაც უფრო მეტ ჯარიმას გამოუწერენ მოქალაქეებს, უფრო მეტ პრემიებს აიღებენ.

**„ალია“ ქალაქის ტრანსპორტის სამსახურს დაუკავშირდა, გვსურდა, გაგვეგო, რა ხდება მგზავრების ჯარიმების ირგვლივ, მაგრამ ტრანსპორტის სამსახურის უფროსი გიორგი გურგენიძე შვებულებაში აღმოჩნდა, ხოლო ტრანსპორტის სამსახურის უფროსის თანაშემწემ განაცხადა, რომ შესაძლოა, ჯარიმები იწერება, მაგრამ მოქალაქეების საჩივრების საფუძველზე, მათ ჯარიმები ეხსნებათ, მათ შორის პირობითად ვიტყვი, რომ 48 ათას მოქალაქეს, გასაჩივრების შემდეგ, ჯარიმა მოეხსნაო... სხვა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ტრანსპორტის სამსახურის უფროსის თანაშემწემ მერიის პრესსამსახურში გადამამისამართა. მერიის პრესსამსახურმა კი, როგორც ბევრ შემთხვევაში, ახლაც არ გვიპასუხა...**

## facebook



**ზაზა ბიბილაშვილი:**

მეგობრებო, დღეს დავაფუძნეთ საზოგადოებრივი მოძრაობა „ანგარიში ივანიშვილს“.

„ანგარიში ივანიშვილს“ არის საინფორმაციო პროექტი, რომლის მიზანია აღრიცხოს ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური ძალის მიერ პოლიტიკაში მოსვლის დღიდან ჩადენილი ყველა დანაშაული / უკანონობა და მისცეს ამას ერთიანი, სისტემატიზებული ანგარიშის ფორმა, რომელსაც ხალხი წარუდგენს ხელისუფლებას 8 ოქტომბერს.

პროექტის განხორციელების საჭიროება წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულებისა და უკანონობის რაოდენობიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, ერთ დანაშაულს მეორე ფარავს, ერთ უკანონობასა და მავნებლობას მეორე დღესვე სხვა უკანონობა და მავნებლობა გვავიწყებს. მაგალითად, მალე ცოტას თუ ემახსოვრება, როგორ შეწყვიტეს კიწმარიშვილის საქმის გამოძიება, ან როგორ დაგვახიეს თავზე კანონი და მოპარეს რუსთავი 2-ს გასაჩივრებისთვის განკუთვნილი 18 დღე - რადგან ხელისუფლება ახალ-ახალი დანაშაულებით გადაფარავს მათ.

ეს რომ არ მოხდეს, მოძრაობა „ანგარიში ივანიშვილს“ შეაგროვებს და საზოგადოებას პერიოდულად მიაწოდებს ინფორმაციას ყველა მოძიებული საქმის შესახებ, რომელიც უკვე გაშუქდა მედიაში (მაგ., მოსამართლეების, პოლიტიკოსების და ჟურნალისტების უკანონო თვალთვალი, ხელისუფლების მიერ ორგანიზებული და/ან დაუსჯელი ძალადობა - როგორიცაა კორცხელი, 8 თებერვალი და 17 მაისი, ბენდუქიძის უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმება და მისი ქვეყნიდან გაძევება, პანორამა, საყდრისი, ლაგვილავა, თათუხაშვილი, რაფალიანცი, ქირია და ასობით სხვა საქმე).

ჩვენ ასევე აღვრიცხავთ ფაქტებს, რომლებიც ყოველდღიურად ხდება ჩვენს გარშემო, მაგრამ ვერ აღწევს ფართო საზოგადოების ყურამდე.

მივმართავთ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს - ყველას, ვინც უშუალოდ არ არის მიბმული რეჟიმზე ამა თუ იმ სახის კორუფციული სქემით:

თუ თქვენ ხართ დემორალიზებული პოლიციის ძალადობის ან უმოქმედობის, ზე-პოლიტიზებული პროკურატურის ან სინდისისგან გათავისუფლებული სასამართლოს მსხვერპლი, თუ თქვენ სამსახურიდან გაგათავისუფლეს პოლიტიკური მოტივით, რათა ქართული ოცნების აქტივისტებს, ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ფუფუნებაში ეცხოვრათ თქვენს ხარჯზე, დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე 577 180 180 და მოგვიყევით თქვენი ამბავი.

ერთად წარვუდგინოთ ანგარიში ივანიშვილს!

# რა ხდება „იმედზე“ და რა შეფარული

## ამბობენ, რომ ნანა ლეჟავას მისვლა

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსად, მაია თაბაგარის ნაცვლად, ჟურნალისტი ნანა ლეჟავა დაინიშნა. ნანა ლეჟავა წლების განმავლობაში, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი იყო. ის, ასევე, მუშაობდა სტუდია GNS-ში, სადაც საავტორო გადაცემა „კვირის რეპორტაჟს“ ამზადებდა. „რუსთავი 2“ 2006 წლის სექტემბერში, სხვა ჟურნალისტებთან ერთად, პროტესტის ნიშნად დატოვა, როცა არხის იმჟამინდელმა მფლობელმა, ქიბარ ხალვაშმა გენდირექტორის პოსტიდან ნიკა ტაბატაძე მოხსნა და მის ადგილას გიორგი დავარაშვილი დანიშნა, განთავისუფლებას და მის ადგილას ნანა ლეჟავას დანიშვნას სწორედ ირაკლი რუხაძეს უკავშირებენ.

ნანა ლეჟავას დანიშვნას იმავე დღეს, „იმედის“ პირდაპირ ეთერში თეა სიჭინავა გამოეხმაურა. მისი თქმით, მაია თაბაგარის ნანა ლეჟავათი შეცვლა საინფორმაციოს თანამშრომლებისთვის მოულოდნელი იყო და ამ გადაწყვეტილებამ კითხვები გააჩინა. კი, ბატონი, კითხვები გაჩნდა და ძალიან ბევრიც, მაგრამ მოულოდნელი არ იყო. ჯერ ერთი, მედიაწრეებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ნანა ლეჟავა ან „მაესტროს“ საინფორმაციოს უფროსად უნდა დანიშნულიყო, ან „იმედში“ მნიშვნელოვანი პოსტი უნდა დაეკავებინა. ამ „მნიშვნელოვან პოსტში“, ჩემი აზრით, უპირველესად, სწორედ საინფორმაციო სამსახური იგულისხმებოდა და ეს მე თუ ვიცოდი, „იმედის“ ჟურნალისტებს, წესით, ჩემზე მეტი უნდა სცოდნოდათ მათ ტელევიზიაში მოსალოდნელი სავარაუდო ცვლილების შესახებ. ახლა მეორე. 2014 წელს მაია თაბაგარი რომ დაინიშნა საინფორმაციოს უფროსად, ეს მოსალოდნელი იყო? მახსოვს, არხის ხელმძღვანელობის ამ გადაწყვეტილებას არაერთი ჟურნალისტი გაკვირვებული შეხვდა, არ ელოდნენ. არც მაია თაბაგარის წინამორბედების დანიშვნა ყოფილა ყველასთვის მოსალოდნელი და მისაღები. ბოლოს და ბოლოს, ბადრი პატარკაციშვილმა გიორგი თარგამაძეს დეპუტატის მანდატი დაატოვებინა და „იმედის“ საინფორმაციო სამსახური ჩააბარა, ეს ლამის შოკი იყო და ამის შემდეგ და თანაც „იმედზე“, ვინმეს კიდევ რაიმე საკადრო ცვლილება უკვირს? მოკლედ, საქართველოში და სხვაგანაც, ტელემედიაში ასეა საქმე: ჟურნალისტებს არავინ ეკითხება, ვის დანიშნავენ საინფორმაციოს უფროსად, მენეჯმენტი ამას თავად წყვეტს და თუ ახალი უფროსი ჟურნალისტთა გარკვეული ჯგუფისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ეს ჯგუფი პროტესტის ნიშნად ტოვებს სამსახურს. ისიც, მხოლოდ მცირე ნაწილი, მართლა შეურიგებელი და პრინციპული ჟურნალისტები, ასე რომ, ნანა ლეჟავას მისვლით „იმედზე“ ახალი და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

ნანა ლეჟავას დანიშვნის შემდეგ „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ ჟურნალისტებმა განცხადება გაავრცელეს: „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თანამდებობიდან განთავისუფლდა საინფორმაციო სამსახურის უფროსი მაია თაბაგარი. „ქრონიკის“ თანამშრომლებს მიგვაჩნია, რომ ყოვლად მიუღებელია არსებულ ვითარებაში, წინასაარჩევნო პერიოდში საინფორმაციო სამსახურის უფროსის განთავისუფლება და არ არსებობს რაიმე ობიექტური მიზეზი ასეთი რადიკალური ზომის მისაღებად. მიგვაჩნია, რომ საკადრო ცვლილება წინასაარჩევნო პერიოდში ეჭვქვეშ დააყენებს არხის და მისი თანამშრომლების რეპუტაციას, სანდოობასა და სიტყვის თავისუფლების ხარისხს ტელეკომპანია „იმედში“.

კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, „იმედი“ რამდენიმე ჟურნალისტმა დატოვოს, კერძოდ, თეა სიჭინავამ, თეონა გეგელიამ და სხვებმა. თუმცა, მეეჭვება, რომ არხზე დიდი წასვლა-წამოსვლა მოხდეს. „მაესტროს“ ამბავს შეგახსენებთ. როცა ლევან გაჩეჩილაძე „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა და მისი ძმა, ლევან გაჩეჩილაძე არხის გენდირექტორად დაინიშნა, ჟურნალისტთა უდიდესი ნაწილი ამას პროტესტით შეხვდა, იმუქრებოდნენ, თუ ბაია გადაბაძე არ დარჩებოდა გენდირექტორად და მაკა ასათიანი და მისი ქმარი, კოტე გოგელია – მფლობელებად, სამსახურს დატოვებდნენ. მაშინ ვწერდი, რომ მხოლოდ რამდენიმე ჟურნალისტი შეასრულებს მუქარას, ლევან გაჩეჩილაძე ჟურნალისტებისთვის ხელფასების მომატებას აპირებს და ეს ვითომ პროტესტანტები მას მიუჩოჩდებიან, ბაია გადაბაძესა და ასათიანი-გოგელიას დუეტს გადააგდებენ და სამსახურს არ დატოვებენ-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ჩემი ეს ნათქვამი გამართლდა. „მაესტრო“ გადაცემა „სუბიექტური აზრის“ წამყვანებმა თეონა გეგელიამ, დიანა ტრაპაიძემ და რამდენიმე ჟურნალისტმა დატოვა, დანარჩენებმა მუქარა უკან წაიღეს და დღეს ლევან გაჩეჩილაძეს შესციცინებენ თვალებში.





რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსის, გიორგი არველაძის მეგობარი და პროტეჟე იყო. GNS-ი კი წლების მანძილზე „ნაცმოძრაობასთან“ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური იარაღი გახლდათ.

მაია თაბაგარი „იმედის“ საინფორმაციოს უფროსად 2014 წლის სექტემბერში დაინიშნა, მანამდე თეა სიჭინავას გადაცემა „პოლიტიკის დროს“ პროდიუსერი იყო. ნანა ლეჟავამ მისი ადგილი კი დაიკავა, მაგრამ თაბაგარი, მგონი, დააწინაურეს კიდეც – „იმედის“ გენერალური დირექტორის, გიორგი ბახტაძის კონსულტანტად დაინიშნა. საინფორმაციო სამსახურში ეს ცვლილება მას შემდეგ განხორციელდა, რაც „იმედის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, კომპანია Salford Georgia-ს მფლობელი და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ბიზნესაქტივების განმკარგავი კომპანიის, „ჰანეველ ენდ პარტნერსის“ დირექტორი ირაკლი რუხაძე დაინიშნა. მაია თაბაგარის

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნანა ლეჟავა საკმაოდ მწვავე საინფორმაციო გადაცემის გაკეთებას აპირებს და ბოლო პერიოდის „იმედის“ მონოტონურ, კონფორმისტულ საინფორმაციო პოლიტიკას, რომელსაც რატომღაც ობიექტური და მოუკერძოებელი პოლიტიკა ჰქვია, ბოლოს მოუღებს. ცხადია, ეს რომ გააკეთოს, ჟურნალისტთა საკუთარი გუნდი დასჭირდება, შესაბამისად, არაერთ ჟურნალისტს გაუშვებს საინფორმაციოდან. ვის და როდის გაუშვებს, ეს ჯერ არავინ იცის, მაგრამ დარჩენის უტყუარი გარანტია არავის აქვს. შესაბამისად, ჟურნალისტთა ერთი ნაწილი, რომლებიც თავად თვლიან, რომ ნანა ლეჟავას „ვერ გაუქა-

---

Facebook ამბები



**ნინო ჯღარკავა:**

ვააახ კაცოო, დაეტიეთ სახლებში,ხომ ხედავთ რამხელა აგრესიაა თქვენს მიმართ და რის აჯანყებაოო რა რუსთავიოო,ვერა ხედავთ გძმარავთ:)))))),,მარშალპრესის” ინფორმაციით, გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში “ნაციონალური მოძრაობის” წევრი კობა სუბელიანი სცემეს. შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც სუბელიანი აქტივისტებთან ერთად საქეიფოდ ღვთაების მამათა მონასტრის მიმდებარედ იმყოფებოდა. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მეზობელი მაგიდიდან “ნაციონალური მოძრაობისა” და კობა სუბელიანის მისამართით უარყოფითი მესიჯები გაჟღერდა, რის შემდეგაც შელაპარაკება მოხდა სუბელიანსა და სხვა სუფრაზე მყოფთ შორის. შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.



**ზაზა სიამაშვილი:**

კვირაში ორჯერ მივდი-მოვდივარ ბათუმისკენ, ვუყურებ როგორ აფართოვებენ რკინიგზას, როგორ აღადგინეს სარკინიგზო გადასასვლელები, მოსაცდელი დარბაზები.... რატომ ხართ ასეთი კრეტინები - როგორ ,,მოახერხა" საქართველოს რკინიგზამ და იმაზე მაღალი ვაგონები შემოიყვანა, ვიდრე გვირაბია????? ცოტა ინტელექტი მაინც გაიმდიდრეთ, ზღაპრები იკითხეთ რომ ტყუილებიც ცოტათი მაინც შეეფერებოდეს სინამდვილეს... არა, არა, მაინცდამაინც გინდათ რომ იდიოტები იყოთ..... ხართ და მეტად რატომ ცდილობთ, ეს მაოცებს....



**მალხაზ თოფურია:**

ირაკლი ბათიაშვილის ტელეფონში ნათქვამი სიტყვა ":გამაგრდი:"

8 წლიან თავისუფლების აღკვეთას ნიშნავს და ეთერიდან მოწოდებული გვარამიას და სხვა მსუბუქი ყოფაქცევის მამაკაცების სისხლიან აჯანყებაზე გაკეთებული მოწოდებები დემოკრატიას?ეგრეა ხო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა | United National Movement თქვენ ორმაგ სტანდარტიან დედებს ვთხარე არასტანდარტულად!

---

Facebook ამბები

**ცოტნე გამსახურდია:**

გავრბივარ საქმეზე და დადეთ რა ვინმე ღვთისნიერმა ლინკი იმ სიუჟეტზე, გაგლეჯილმა ღვდელმა რომ თვითდაზიანებები მიიყენა და პატრულს ებლატავა :)))))))))) ცოტა ხასიათზე მოვალ :)))))

ეს პატრულიც მაგარია, რა: საპატრიარქოს პრესმდივანს მიმართეს, მელამ თავის კუდიო... პროკურატურა რისთვის არსებობს? თუ მარტო უბრალო მოკვდავებისთვისაა?

ნეტა იმ მთავრობას მომასწრო, ამ შაავბნელების დედას რომ მოხნავდეს და ხმას კიარა, სახლს გადავუფორმებ :))))



ჩავენ“ და სამსახურის დატოვება მოუწევთ, თადარიგს იჭერენ და ამბობენ, რომ ლეჟავა ტენდენციური იქნება, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ პოლიტიკას გაატარებს და ამიტომ არ გაჩერდებიან მასთან სამუშაოდ. მოკლედ, წინასწარ იქმნიან ალიბის, თუ ლეჟავამ გაშვება დაუპირათ, წასვლას დაასწრებენ, მერე რომ იძახონ, ობიექტური ჟურნალისტები და ვართ, ხელისუფლების მოსალოდნელ დიქტატს გამოვექეცითო, ან, თუ გამოუშვეს, ხელისუფლებისგან დევნილი ჟურნალისტების იმიჯს შეიქმნიან. იმასაც ამბობენ, რომ რამდენიმე ჟურნალისტს, რომელთაც „ნაცმოძრაობის“ მიმართ სიმპათიები აქვთ, „ნაცმოძრაობის“ ლიდერები ამუშავებენ, რომ ლის ოჯახის წევრები „იმედით“ და „მაესტროთი“ არჩევნების პროცესებზე სერიოზული გავლენის მოხდენას აპირებდნენ. თუმცა, მალე კიდევ უფრო მკვეთრად შეიცვალა სურათი. გიორგი გაჩეჩილაძემ „სტუდია „მაესტროს“ 30%-იანი წილი, როგორც თავად აცხადებს, ირაკლი რუხაძისგან ნასესხები ფულით იყიდა, ეს 30% თავის 20%-იან წილს დაუმატა და ამის შემდეგ, 55%-ით გახდა „მაესტროს“ დამფუძნებელი კომპანიის საკონტროლი პაკეტის მფლობელი. გიორგი გაჩეჩილაძე კი აცხადებს, რუხაძეს პროცენტით ვესესხე ეს, 30%-ის საყიდელი ფულიო, მაგრამ მაკა ასათიანის ადვოკატი, გიორგი გვენეტაძე სხვას ამბობს, – რეალურად, ირაკლი რუხაძემ იყიდა წილის ოჯახის დავალებას ასრულებს. ამას თუ რეალობად მივიღებთ, გამოდის, რომ პატარკაციშვილის მემკვიდრეები დღეს უკვე ორ ტელევიზიას აკონტროლებენ – „იმედს“ უშუალოდ და „მაესტროს“ ძმები გაჩეჩილაძეებისა და ირაკლი რუხაძის მეშვეობით. ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს რომ პოლიტიკური ინტერესები ჰქონდეთ და ტელევიზიები ამ მიზნისთვის გამოიყენონ, სრულიად ბუნებრივია. ბოლოს და ბოლოს, ბადრი პატარკაციშვილი ამ ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო და ძალიან რეალური კანდიდატი. მისი დები მზია თოთლაძე და ნანა პატარკაციშვილი კი პარლამენტარები იყვნენ და შესაძლოა, დებს მოუნდათ პოლიტიკაში დაბრუნება.

### »» პიარის სკანდალი

საინფორმაციო პოლიტიკაში პატარკაციშვილების პოლიტიკური ინტერესები იკვეთება, ის კი არა, ამას „იმედსაც“ კი ვერ ვატყობ, მაგრამ შესაძლოა, პატარკაციშვილის მემკვიდრეები დიდ პოლიტიკაში დასამკვიდრებლად ახლო მომავლისთვის ემზადებიან და ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები მათ ამ გეგმაში არც შედის.

„მაესტროს“ დამფუძნებლად გიორგი გაჩეჩილაძის, დირექტორად მისი ძმის მოსვლამ, სხვა ვერსიაც გააჩინა. ახლა კი ნანა ლეჟავას „იმედში“ მისვლამ, ეს ვერსია გაააქტიურა. ადრეც ვწერდით, რომ შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი გაურიგდა პატარკაციშვილის მემკვიდრეებს,

# გეგმა აქვს ივანიშვილის ხელისუფლებას?

## „იმედზე“ ამ გეგმის მთავარი ნაწილია!




ღია პროტესტის ნიშნად დატოვონ არხი. რას ჰპირდებიან მათ სანაცვლოდ, ამას ვერ მოგახსენებთ, თუმცა, „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესის დასკვნით ფაზაში ეს აწყობთ, იტყვიან, რომ ხელისუფლება დამოუკიდებელ ტელევიზიებს ებრძვის, მათი ხელში ჩაგდება უნდა. ეს თამაში „რუსთავი 2“-მა და ბაია გადაბაძემ უკვე ითამაშეს, მაგრამ წააგეს. იმასაც ამბობენ, რომ აბუნტებულია მაია თაბაგარის მომხრე ჟურნალისტთა გუნდი, ისინი სოლიდარობას უცხადებენ თაბაგარს, რაკილა ის მოხსნეს საინფორმაციოს უფროსობიდან, „იმედში“ აღარ დარჩებიან. თუმცა, მეეჭვება, ასე იყოს. თავად მაია თაბაგარს არანაირი პროტესტი არ გამოუხატავს, არხზე დარჩა და მის გამო არავინ არსად წამსვლელი არ უნდა იყოს, ასე მგონია.

ნანა ლეჟავას „იმედში“ მისვლამ ერთი ძველი ვერსია გააცოცხლა. როცა „იმედმა“ „მაესტროს“ სარეკლამო დრო იყიდა, მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს წინასაარჩევნოდ კეთდებოდა. კერძოდ, პატარკაციშვი- ეს 30%, გაჩეჩილაძეზე ფორმალურად არის გადაფორმებულიო. შემდეგ ირაკლი რუხაძისა და მაკა ასათიანის მიმოწერა გამოქვეყნდა – რუხაძე „მაესტროს“ 25%-ში მაკა ასათიანს 7.5 მილიონ დოლარს სთავაზობდა. მოკლედ, რუხაძე თავად იყო დაინტერესებული „მაესტროს“ წილის შეძენით. იმ დროს, როცა არხი გაკოტრების პირას იყო. წამგებიანი ტელევიზიის შეძენა ასეთ გამოცდილ ბიზნესმენს ფინანსური ინტერესებისთვის არა მგონია, დასჭირვებოდა, ხეირს ვერ მოუტანდა. მას, ალბათ, პოლიტიკური ინტერესებისთვის სჭირდებოდა „მაესტროს“ წილი და ამ წილით, დამფუძნებლის სტატუსით, არხზე გავლენას მოახდენდა, ცხადია, პირველ რიგში, მის საინფორმაციო პოლიტიკაზე. ამის შემდეგ ეჭვი არავის ეპარება, რომ „სტუდია მაესტროს“ 30%-ს ირაკლი რუხაძე ფლობს, გიორგი გაჩეჩილაძე კი მისი ფორმალური მფლობელია. საზოგადოებაში არც ის იწვევს ეჭვს, რომ ირაკლი რუხაძე ბადრი პატარკაციშვილის მზია თოთლაძის ქალიშვილი, ხათუნა თოთლაძე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა და შესაძლოა, მისი კარიერული წინსვლისთვის სჭირდებათ ორივე ტელევიზია. ხათუნა თოთლაძეს კი, თუ სერიოზული ამბიციები აქვს პოლიტიკაში, არც გამიკვირდება. სადაც ბიძინა ივანიშვილმა ჯერ პოლიტიკაში სრულიად გამოუცდელი, „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი გააპრემიერმინისტრა, ასევე გამოუცდელი, „ქართუ ბანკის“ დირექტორი გიორგი კვირიკაშვილი ჯერ მინისტრად დანიშნა და შემდეგ მთავრობის მეთაურად, ხათუნა თოთლაძე ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრად და მერე პრემიერად რომ მოგვევლინოს, ნამდვილად არ გავოცდები. მით უფრო, იმავე ირაკლი ღარიბაშვილისგან განსხვავებით, უკვე 2-წლიანი პოლიტიკური გამოცდილება აქვს და ზურგს მილიარდერი ოჯახი უმაგრებს. რა ვიცი, რაც „მაესტროს“ დამფუძნებლები შეეცვალნენ, ჯერ ვერაფერს ვატყობ, რომ ამ არხის თავად არ სურს გამოჩენა და მათი ხელით მოიპოვა „მაესტროზე“ კონტროლი. „სტუდია მაესტროს“ 30%-იან წილში გადახდილი ფული კი, შესაძლოა, არც ირაკლი რუხაძისაა და არც პატარკაციშვილების, ფული ივანიშვილმა გადაიხადა. თუმცა, არც ის გამოვრიცხოთ, რომ ივანიშვილს ერთი თეთრიც არ გადაუხდია, პატარკაციშვილებისა და მისი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა და ფულს პატარკაციშვილები ხარჯავენ. ლოგიკურია – ხათუნა თოთლაძე ივანიშვილის მთავრობის წევრია. „მაესტრო“ კი ივანიშვილს „რუსთავი 2“-ის აგრესიული ანტისახელისუფლებო საინფორმაციო პოლიტიკის დასაბალანსებლად სჭირდებოდა. ამბობენ, რომ ნანა ლეჟავას მისვლა „იმედზე“ ამ გეგმის მთავარი ნაწილია. ახლა უკვე „ქრონიკა“ გახდება „კურიერის“ კონკურენტი.

იმასაც ამბობენ, რომ ნანა ლეჟავა იმიტომ შეირჩა „იმედის“ საინფორმაციოს უფროსად, რომ „რუსთავი 2“-ის ყოფილი ჟურნალისტია და სხვებზე კარგად იცის, როგორ ებრძოლოს მას.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook

**თამაზ ჭეიშვილი:**

მცხეთა მთიანეთის მხარის გუბერნატორს!

დუშეთის რაიონის,დასახლება ფიტავის(თბილისელ) ფერმერებს შეგვექმნა წყლის და გზის პრობლემა.ამის შესახებ „ობიექტივის„ ეთერიდანაც, მოგმართეთ, შაბათს!

წყალიც და გზაც ჩვენი ძალებიუთ და ხარჯებით გავმართ,გამოვიყვანეთ.სტიქიამ ორივე დაგვიზიანა!ჩვენი ძალებით ვერ ალვადგენთ,ვარიანტი არ არის!200 ოჯახს შეგვექმნა დიდი პორობლემა! დაგვეხმარეთ!

ვიდრე არ დაგვეხმარებით,ყოველ შაბათს მოგმართავთ „ობიექტივის„ ეთერიდან!დღეში სამჯერ კი ფეისბუკიდან!

თამაზ ჭეიშვილი - ჭეიაური,ფიტაველების (ყელგამოიწვდილი)თხოვნით!




facebook




**ნიკა გვარამია:**

ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლაო, პროკურატურამ. მიზეზი: რთული ეკონომიური მდგომარეობა: 312 ათასი დოლარი და 120 ათასი ლარი ვალი და დაიპოთეკებული ქონება. ბევრს იცინებდა კაცი, უკიდურესად ტრაგიკული რომ არ იყოს ვითარება. სინამდვილეში, ეროსიმ არა და პროკურატურამ ამ ბრიფინგით ნამდვილად თავი მოიკლა. პს თუ ჩემი მკვლელობაც ასე ახსნა პროკურატურამ, ღიად ვაცხადებ, რომ მე მეტი კრედიტი მაქვს და ყველაფერი ასევე დაიპოთეკებული, მაგრამ თავის მოკვლაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. pps Gogi Gvakharia შენ არ მიგიწვიეს ბრიფინგზე? კინოჩვენებაც იყო

facebook



**დათო გოგიშვილი:**

აი სტანდარტულ, ტიპიურ ქართულ მაზოხისტურ სიტუაციას წარმოგიდგენთ: გოგო მონატაცები რომაა და სახელი გაფუჭებული მაქვს უკვეო, რომ თვლის და საერთოდ რომ არ უყვარს ქმარი და იმ იმედით რომ დარჩება ნაძალადევად ოჯახში, რომ შვილები რომ გაჩნდება და წლები რომ გავა შემიყვარდება ქმარი და ქმარის ოჯახიო. მთელი ცხოვრება რომ ჩხუბში, კინკლაობაში, ეჭვიანობაში თეფშების ლეწვა-მტვრევაში რომ ატარებენ და რომ კითხო უერთმანეთოდ ვერ ძლებენ და ერთმანეთი უყვართ. აი დაახლოებით ეგეთ სიტუაციას არ გაგონებთ ნაცები-რუსთავი2-ის და „ქართული ოცნების„ ურთიერთობა???

facebook



**სანდრო ბრეგაძე:**

აფხაზეთის ტელევიზიის ეთერში აფხაზმა დეპუტატმა თქვა: "მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ დროულად გავთავისუფლდით ქართული გავლენისგან, ახლა საქართველოს შემადგენლობაში რომ ვიმყოფებოდეთ, ისინი ჩვენს ახალგაზრდობას თავს მოახვევდნენ ჰომოსექსუალიზმს. ვის რა ჯანდაბად უნდა აფხაზეთში პედერასტები?!"-------კიდევ ერთი დადასტურება იმისა თუ რატომ არიან ე.წ.ლიბერასტები მოღალატეები.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

Facebook ამბები



**თემურ ბასილია:**

დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგს საგრძნობი გავლენა იქონიებს თანამედროვე პოლიტიკაზე და მნიშვნელოვნად შეცვლის ამჟამად არსებულ მდგომარეობას: 1. დიდი ბრიტანეთის სახით აშშ დაკარგავს ევროგაერთიანებაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ერთგულ მოკავშირეს, 2. გაძლიერდება გერმანიის როლი ევროგაერთიანებაში, 3. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ ევროგაერთიანება უფრო რბილ პოლიტიკას გაატარებს რუსეთის მიმართ. დიდი ალბათობით, ამას საკმაოდ მძიმე შედეგები ექნება უკრაინისთვის; აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კარგად გაიაზროს რა გავლენა ექნება ამ მოვლენას ჩვენს ქვეყანაზე და იმოქმედოს ქვეყნის ინტერესების შესაბამისად ახლად შექმნილი ვითარების გათვალისწინებით ...



**გია გაბრიჭიძე:**

საკმაოდ საინტერესო რამ მოხდა რეფერენდუმის დროს: პროცენტულად ევროკავშირიდან გასვლას ბრიტანელთა უფროსმა თაობამ (კონსერვატორულმა ასაკმა) მისცა ხმა, ხოლო ახალგაზრდებმა (ლიბერალურმა ასაკმა) დარჩენას დაუჭირეს მხარი. არადა ვერ იტყვი, რომ იმ თაობას მოსკოვამდე 37 ფუნტად ნაყიდი ბილეთები ენატრებაო. თანაც ეს ის თაობაა, რომლის დროსაც ევროკავშირი შეიქმნა. ასევე არის მეორე არანაკლებ საინტერესო ფაქტი: წესით ახალგაზრდები უფრო რადიკალურები უნდა იყვნენ და ასე ვთქვათ პატრიოტიზმს, ეროვნულ თვითმყოფადობას დ.ა.შ. უნდა უჭერდნენ მხარს. აქ კი რატომღაც საპირისპირო მოვლენა მოხდა.

---

(თვით) მკვლელობა

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# „ალიას“ ჟურნალისტური

## ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ ეროსი

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება დაასრულა და დასკვნაც გააცნო საზოგადოებას. პროკურატურა გვიმტკიცებს, რომ კიწმარიშვილმა თავი მოიკლა, ხოლო თვითმკვლელობის მოტივად მისი მძიმე ფინანსური მდგომარეობა დაასახელა. პროკურატურის ინფორმაციით, დოკუმენტურად დადგინდა, რომ გარდაცვალების დროს კიწმარიშვილის ოჯახს კერძო პირებთან, ორგანიზაციებთან და ბანკებთან, საერთო ჯამში, ჰქონდა დავალიანება 312 000 აშშ დოლარის და 120 000 ლარის ოდენობით. ეს უკანასკნელი თანხა, მოჩნდა, რომ კიწმარიშვილი მოკლულია, მაშინ პროკურატურის დღევანდელი ხელმძღვანელები, ამ საქმეში ჩართული გამომძიებლები, ძალიან მძიმე დღეში ჩავარდებიან. მეორეც, უცხოელი დეტექტივები არც არის საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ ეროსი კიწმარიშვილი თავს არ მოიკლავდა, მით უფრო, ფინანსური პრობლემების გამო. ამის დამტკიცებას ახლავე შევძლებ. მოდით, ჯერ ის „თეთრი ლაქები“ გავიხსენოთ, რომელთა ერთობლიობა, პრაქტიკულად, ადასტურებს, რომ ეროსი კიწმარიშვილი მოკლეს და პროკურატურის მტკიცებულებას ჯერ საფუძველი გამოვაცალოთ, რომ მან თავი მოიკლა, შემდეგ კი ამ მტკიცებულების მოტივს – თითქოს მან თავი ფინანსური პრობლემების გამო მოიკლა.

მაღაზია „დიანაში“ ეროსი კიწმარიშვილი მეგობართან, პარლამენტის ყოფილ წევრთან, ბადრი ნანეტაშვილთან ერთად მივიდა. ნანეტაშვილი აცხადებს, რომ ეროსის თავდაპირველად იარაღის ყიდვა არ ჰქონდა გადაწყვეტილი, მას სახლში ჰქონდა გაუფორმებელი იარაღი, რომელიც, მისი თქმით, სავარაუდოდ, უშიშროების ყოფილმა მინისტრმა, ვალერი ხაბურძანიამ აჩუქა და ამ იარაღისთვის სურდა ტყვიების შეძენა და ცხადია, მის გაფორმებასაც აპირებდა საკუთარ სახელზე. თუმცა, კიწმარიშვილს მაღაზიაში აუხსნეს, რომ ძველი იარაღის გაფორმებას დიდი დრო დასჭირდებოდა, რადგან მას ბალისტიკური ექსპერტიზა და სხვა პროცედურები უნდა გაევლო, ამის შემდეგ კიწმარიშვილმა ახალი იარაღის რეგისტრაციით დაინტერესდა და ახალი იარაღის შეძენა აზრად არ მოსვლია, სანამ არ დაარწმუნეს, რომ მისი რეგისტრაცია დიდ დროს წაიღებდა. ამის შემდეგ კი ეროსი ყიდულობს „ჩეზე-75“-ს. მართალია, მაღაზიიდან უიარაღო მოდის, მაგრამ ბეს ტოვებს, რომ იარაღი არ გაუყიდონ და იმავე დღეს აკითხავს იარაღის გასაფორმებლად პოლიციის განყოფილებას. იარაღის რეგისტრაციის განყოფილება დაკეტილია, მაგრამ ეროსი მეორე დღეს, ადრიანად მიდის პოლიციის განყოფილებაში და იარაღს აფორმებს, მერე მიდის „დიანაში“, 1750 ლარს იხდის, იარაღი მოაქვს და 14 საათზე უკვე




პროკურატურის განცხადებით, კიწმარიშვილს იმ პირებისა ემართა, რომლებიც გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე ჩართულნი იყვნენ მის საარჩევნო კამპანიაში რუსთავში, სადაც ის ქალაქის მერად იყრიდა კენჭს და დამარცხდა. „ეროსი კიწმარიშვილს არ გააჩნდა საკმარისი შემოსავალი ამ დავალიანების დასაფარად“, – განაცხადა პროკურატურამ, „აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კიწმარიშვილის კომპიუტერში აღმოჩნდა საუბრის ჩანაწერი, რა დროსაც იგი აცხადებს, რომ მას გააჩნია მატერიალური პრობლემები, რის გამოც მიმდინარე პრობლემებსაც ველარ უმკლავდება“, – აცხადებს მთავარი პროკურატურა. შესაბამისად, საქმე გახსნილად გამოაცხადა და პროკურატურის მესვეურნი, ალბათ, ზეიმობენ, რომ ეს საშარო საქმე, დანაშაული, რომელსაც პოლიტიკური მკვლელობის სუნიც უდიოდა, ბოლოს და ბოლოს, მკვლელობიდან 2 წლის თავზე გახსნეს, თუმცა, მეეჭვება, პროკურატურაში საზეიმოდ ჰქონდეთ საქმე. ჯერ ერთი, ეროსი კიწმარიშვილის ოჯახი არ ეთანხმება პროკურატურის დასკვნას, ოჯახის წევრებს არ სჯერათ, რომ მან თავი მოიკლა და გამორიცხული არ არის, ოჯახმა დამოუკიდებელი უცხოელი დეტექტივები დაიქირაოს და მათ საქმე ხელახლა გამოიძიონ. თუ ეს მოხდა და აღ-

ეროსი კიწმარიშვილი 2014 წლის 15 ივნისს ნახეს საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი, საკუთარ ავტომობილში, რომელიც მისავე კუთვნილ ავტოფარეხში იდგა, ვაკეში, ჭავჭავაძის №75-ში. თავდაპირველად ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეროსი მოკლეს, მაგრამ მის ავტომობილში, მოკლულის ფეხებთან იპოვეს „ჩეზე-75“-ის ტიპის პისტოლეტი, რომელიც მისი საკუთრება აღმოჩნდა. შემდგომში კი გამოძიებამ დაადგინა, რომ კიწმარიშვილს ერთადერთი სასიკვდილო ჭრილობა სწორედ ამავე იარაღიდან ჰქონდა მიყენებული, მარჯვენა საფეთქელში. გარდაცვლილს საფეთქელთან იარაღის ლულის ანაბეჭდი, ე.წ. შტანცმარკა, ემჩნეოდა. ტყვიამ ეროსის თავის ქალა ახადა და ის მძღოლის მხარეს კართან, ე.წ. სტოიკაში იპოვეს. „ჩეზე-75“ ეროსი კიწმარიშვილმა სიკვდილის წინა დღეს, 14 ივნისს იყიდა იარაღის მაღაზია „დიანაში“. იყიდა და ამან გააჩინა თავდაპირველად ეჭვი, რომ მან თავი მოიკლა. თუმცა, იარაღის სასწრაფოდ, გარდაცვალების წინა დღით ყიდვა სწორედ რომ საპირისპიროს ამტკიცებს.

### დაკარგული ტყვია

2014 წლის 14 ივნისს იარაღის ყიდვა გადაწყვიტა, შეარჩია „ჩეზე-75“ და მაღაზიაში 100 ლარი დაუტოვა ბეს სახით, რომ სანამ იარაღს გაიფორმებდა, მის მიერ შერჩეული იარაღი არ გაეყიდათ. ეროსი კიწმარიშვილი და ბადრი ნანეტაშვილი იმავე დღეს წავიდნენ ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე პოლიციის განყოფილებაში, მაგრამ იქ უთხრეს, რომ იმ განყოფილებამ, სადაც იარაღის რეგისტრაცია ხდება, 5 წუთის წინ დაასრულა მუშაობა. ამის შემდეგ კიწმარიშვილი და ნანეტაშვილი დაშორდნენ. ეროსიმ მეორე დღესვე, სასწრაფოდ გაიფორმა იარაღი და მაღაზიიდანაც წამოიღო. როგორც კიწმარიშვილის ოჯახის წევრები ამბობენ, მას იარაღის ტარების ნებართვა ჰქონდა, თუმცა, როდის მიიღო ეს ნებართვა, ვერ აკონკრეტებენ. 15 ივნისს, 14 საათზე, როცა მას ბადრი ნანეტაშვილმა დაურეკა, კიწმარიშვილს იარაღი უკვე რეგისტრირებული ჰქონდა და მანქანაში ედო. რაც მოგიყევით, აქედან ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება. ეროსი კიწმარიშვილს რაღაც საფრთხე ემუქრებოდა, სასწრაფოდ სჭირდებოდა იარაღი და აუცილებლად, ტარების უფლებით, მუდამ თან რომ ჰქონოდა, თორემ გაუფორმებელი, რომელსაც ვერ ატარებდა, სახლშიც ჰქონდა. სწორედ ამ მიზნით მივიდა ის იარაღის მაღაზიაში და თავდაპირველად გაფორმებული იარაღის პატრონია – სწორედ ამ დროს დაურეკა მას ბადრი ნანეტაშვილმა და ეროსიმ უთხრა, იარაღი გავიფორმე და ვიყიდე კიდეც, უკვე მე მაქვსო. ეროსი კიწმარიშვილს საფრთხე, სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა და სწორედ ამისთვის სჭირდებოდა იარაღი, რომელსაც თან ატარებდა, გაუფორმებელი სახლშიც ჰქონდა. ასე სწრაფად სწორედ იმიტომ იყიდა, ასე სწრაფად ამიტომაც მოქმედებდა. სხვა დასკვნას აქედან ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ გამოიტანს. ბადრი ნანეტაშვილი პროკურატურამ არაერთგზის დაკითხა და ცხადია, რაც წაიკითხეთ, ამ ამბავს უფრო დეტალურად მოუთხრობდა გამოძიებას. ძალიან საინტერესოა, კითხვები არ გაუჩნდათ ამ საქმეში ჩართულ გამომძიებლებსა და პროკურორებს? და რა პასუხები გასცეს ამ კითხვებს?

ეროსი კიწმარიშვილმა ბადრი ნანეტაშვილს განუცხადა, რომ „ჩეზე-75“-ს საკუთარი ძმისთვის დაბადების დღის საჩუქრად ყიდულობდა. არც ამის მჯერა. ზურა კიწმარიშვილი იარაღის მოყვარული და კოლექციონერია, მაგრამ მას დაბადების დღე 4 ივლისს ჰქონდა, თითქმის 20 დღის შემდეგ და ასე ადრე რა ეჩქარებოდა ეროსის, რომ ძმისთვის იარაღს ყიდულობდა? 3 ივლისს რა, ვერ უყიდდა? ანდა, რატომ იყიდა ასე ადრე, რატომ გაიფორმა საკუთარ სახ-

ელზე, როცა შემდეგ ძმის სახელზე გადაფორმება მოუწევდა? ისეთ პრაგმატულ და საქმიან კაცს, როგორიც ეროსი იყო, ასეთი საქციელი არ მიესადაგებოდა. მას არათუ საათები, წუთებიც კი გათვლილი და დაგეგმილი ჰქონდა მუდამ და ძნელი წარმოსადგენია, ასე მოქცეულიყო, ერთხელ გასაკეთებელი საქმე, ორჯერ სახლაფორთოდ გაეხადა. უბრალოდ, ეროსიმ ბადრი ნანეტაშვილს ტყუილი უთხრა, რომ ძმისთვის საჩუქრად უნდოდა იარაღი. კი, ვინმემ შეიძლება იფიქროს, ეროსი სიურპრიზს უმზადებდა ძმასო. ჯერ ერთი, „ჩეზე-75“ არ არის საკოლექციო იარაღი და მისი ჩუქება ზურა კიწმარიშვილისთვის დიდი ვერაფერი სიურპრიზი იქნებოდა. თუ მაინცდამაინც სიურპრიზი უნგვერდი აუარა, ტრადიციული წესით ვერ გასცა მათ პასუხი და ვითომც ვერ შეამჩნია, გვერდზე გასწია. თუმცა, ეს და სხვა კითხვები ამ საქმის გამომძიებლებს წინ დახვდებათ.

ეროსი კიწმარიშვილმა, ცხადია, 1 ტყვიით მოიკლა თავი, მანქანაში კი „დიანაში“ ნაყიდი ტყვიებიც იყო, როცა იარაღის მჭიდში დარჩენილი და მანქანაში შენახული ტყვიები დათვალა გამოძიებამ, 48 ტყვია გამოვიდა, 1 ტყვია სადღაც გაქრა, 49 უნდა ყოფილიყო. არც ამ 1 ტყვიის ძებნით მოუკლავს ვინმეს თავი და ეს გამოცანაც ამოუხსნელი დარჩა გამოძიებას.

### საეჭვო დეტალები

უკვე მოგახსენეთ, რომ ეროსი კიწმარიშვილი საკუთარ აქედან ეს ერთადერთი ფაქტი, ჩაწეული ფანჯრები არ ეწინააღმდეგება თვითმკვლელობის ვარიანტს, დანარჩენი კი მასთან წინააღმდეგობაში მოდის – გადაჭერილი ღვედიც, დაქოქილი მანქანაც და ჩამოწეული სამზეურებიც.

ეროსი კიწმარიშვილმა გარდაცვალებამდე 1 თვით ადრე პარკინგზე დააყენა სათვალთვალო კამერა, რომელიც იმ ადგილს აფიქსირებდა, სადაც თავად აჩერებდა მანქანას. ამას ზურა კიწმარიშვილიც ადასტურებს. როცა ის გარდაცვლილი იპოვეს, კამერა სხვა მხარეს იყო მოტრიალებული. ბუნებრივია, გაჩნდა ეჭვი, რომ ეს მკვლელმა განზრახ გააკეთა, რადგან ეროსის მანქანის მიდამოებში და მანქანაში არ დაფიქსირებულიყო.

(თვით) მკვლელობა

ერა, რომელსაც დაფიქსირებული ჰქონდა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. მათ შორის ავტოფარეხის შესასვლელის მიმართულებით განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელთა მიხედვითაც გარდაცვალების დღეს 17:00 საათამდე დროის შუალედში ავტოფარეხში შევიდა 10 ავტომანქანა და ორი ფეხით მოსიარულე პირი. ყველა მათგანი დადგენილია და დაკითხულია გამოძიების პროცესში. ესენი არიან კიწმარიშვილის მეზობლები და მათი მომსახურე პერსონალი, რომლებსაც მის გარდაცვალებასთან რაიმე კავშირი არ აქვთ“. – აცხადებს პროკურატურა და ამით ვითომ გვიმტკიცებს, ვინც მკვ-

# გამოძიება

## კიწმარიშვილს თავი არ მოუკლავს და ის მოკლეს





დოდა ეროსის, ზურას დაბადების დღეს, მოულოდნელად, გაუფრთხილებლად მიაყენებდა იარაღის მაღაზიას, ახალ იარაღს ჩაახუტებდა, იმ დღესვე გაუფორმებდა და ეს უფრო სიურპრიზი იქნებოდა ძმისთვის.

იარაღთან ერთად, ეროსიმ 50 ტყვიაც შეიძინა. რამდენადაც ვიცი, ადამიანს თვითმკვლელობისთვის 1 ტყვია სავსებით ჰყოფნის და რაში სჭირდებოდა 50 ტყვია ეროსის? 1 მჭიდი რომ ეყიდა, არ ეყოფოდა თავის მოსაკლავად? აქვე გავიხსენოთ, რომ მას სახლში არარეგისტრირებული იარაღი ჰქონდა. თუ თავის მოკვლა უნდოდა, იმით ვერ მოიკლავდა თავს? არ ჰქონდა ამ იარაღის ტყვიები? იყიდდა. თითქმის 24 საათი რატომ გადადო ეს საქმე – თვითმკვლელობა? რა, განზრახული ჰქონდა, რომ აუცილებლად „ჩეზეთი“ უნდა მოეკლა თავი? თუ ეროსი კიწმარიშვილის ოჯახი მწვავე ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, ეს 1750 ლარი რატომღა გადაყარა ეროსიმ იარაღში, როცა იარაღი სახლში ჰქონდა? ადგებოდა, იმ იარაღით მოიკლავდა თავს და ამ 1750 ლარს პურის ფულად დაუტოვებდა ოჯახს – ეროსი რომ ოჯახზე მზრუნველი კაცი იყო, ეს ყველამ იცის და დავიჯერო, სიკვდილის წინ ასე ეგოისტურად მოიქცა? აი, ამ კითხვებს გამოძიებამ, როგორც ჩანს, „მერსედესში“ იპოვეს გარდაცვლილი. როცა მანქანასთან ამ ფაქტის პირველი თვითმხილველები და შემდეგ პოლიციელები და გამომძიებლები მივიდნენ, მანქანა დაქოქილი იყო, ეროსის ღვედი ჰქონდა გადაჭერილი. მანქანის ფარები ანთებული იყო და ასევე, ჩამოწეული იყო ოთხივე ფანჯარა და ორივე სამზეური. ახლა, იქნებ ვინმემ ამიხსნას. ადამიანი თუ თავის მოკვლას აპირებს და ჯდება მანქანაში მძღოლის ადგილას, როგორ მოიქცევა? ჩემი აზრით, აიღებს იარაღს და მოიკლავს თავს. მორჩა! რაში დასჭირდა ეროსის მანქანის დაქოქვა, ღვედის გადაჭერა და ორივე სამზეურის ჩამოწევა? თავის მხარეს ხომ ჩამოსწია სამზეური და გვერდითიც ჩამოსწია, აი, ასეთ ვითარებაში მოიკლა თავი, პროკურატურის მტკიცებით. ეს არის აბსურდი. ერთადერთი, შესაძლოა, თუ თავის მოკვლას აპირებდა, ფანჯრები ჩაეწია, რადგან ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, ცხადია, უკიდურესად ნერვიულობს, გულისცემა აჩქარებული აქვს და ბუნებრივად სუნთქვა გაიშვიათებული. მანქანაში კი, რომელიც ავტოფარეხში დგას, შესაძლოა, ეროსის ჰაერის უკმარისობა დაემართა და ოთხივე ფანჯარა ჩამოსწია. თანაც, 2014 წლის 15 ივნისს თბილისში საკმაოდ ცხელოდა, +33 გრადუსი იყო სიცხე. აი, დღეს გამოძიება გვეუბნება, ეროსი კიწმარიშვილმა ავტომობილის საკუთარი გასაჩერებელი ადგილი მეზობელს სხვაში გაუცვალა, ახალ ადგილას აჩერებდა მანქანას და კამერა იქით აღარ მიატრიალა, ეროსის მანქანის ძველი ადგილისკენ დარჩა მიტრიალებულიო. დავუშვათ, იმაში მართალია პროკურატურა, რომ ეროსიმ მანქანის სადგომი გაუცვალა. კი, მაგრამ კამერა რატომ აღარ გადაიტანა ისეთ ადგილას, საიდანაც მის ახალ ავტოსადგომს დააფიქსირებდა? როგორ, ტყუილად იყიდა და დააყენა? დაეზარა და იმიტომ არ გადაიტანა? პროკურატურის ეს მტკიცებულება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და მეტსაც გეტყვით. ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების მეორე დღეს თავად ვიყავი იმ ავტოფარეხში, ახლო მანძილიდან დავათვალიერე მანქანაც, კამერაც და იმისთვის, რომ ამ კამერას ეროსის ავტოსადგომი დაეფიქსირებინა, მისი სხვა ადგილას დაყენება საჭირო არ იყო, საკმარისი იყო მისი ეროსის მანქანისკენ მიტრიალება. გამოდის, რომ პროკურატურა აქაც მოიკოჭლებს და მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ დაადგინა, ვინ, როდის და რა მიზნით შეატრიალა კამერა სხვა მხარეს.

„გამოძიების მსვლელობისას, ასევე, გაიშიფრა ყველა ვიდეოკამლელობის დღეს ავტოფარეხში ჩავიდა, ყველა დავკითხეთო. ასე არ არის. კი, ეროსი კიწმარიშვილის სახლის წინ მდებარე თურქეთის საელჩოს კამერები კორპუსის მთელ პერიმეტრს აფიქსირებს, ავტოფარეხის ჩასასვლელსაც და ამ კამერების ჩანაწერები გაშიფრა პროკურატურამ. თუმცა, ავტოფარეხში სხვა გზითაც შეიძლება მოხვედრა: ვაკის ძველი სტუდქალაქიდან ისე მიხვალ კორპუსამდე, ისე შეხვალ ერთ-ერთ სადარბაზოში, რომ ეს კამერები ვერ დაგაფიქსირებს, კამერები ვერ სწვდება ამ სადარბაზოს. ამდენად, პროკურატურის მტკიცება, რომ ავტოფარეხში ჩამსვლელი არავინ გამოჰპარვიათ, სრულიად უსაფუძვლოა. არადა, ძველი სტუდქალაქიდან ავტოფარეხში მოხვედრის ამ გზაზე ხმას არ იღებს პროკურატურა. რატომ? არ აწყობს და იმიტომ. ამ გზით ეროსი კიწმარიშვილი ხომ არ ჩავიდოდა საკუთარ ავტოფარეხში, მისით, შესაძლოა, მკვლელს ესარგებლა, ეს შესაძლო ფაქტი კი თვითმკვლელობის ვარიანტს ძირს აცლის და ამიტომაც დუმს ამაზე პროკურატურა.

კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებაზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. სისხლის შხეფები ეროსი კიწმარიშვილის ხელზე ზემოდან ქვემოთ იყო განფენილი,

გაგრძელება ოცდამეორე გვ.



**თარხან გასვიანი:**

გერლიანი რომ დაიჭირეს კანონიერი ქურდი ასე რატომ გაგიხარდათ???????? მართლა მაინტერესებს, დაგიშავათ რამე??? დაჩაგრული და ბოლმა ხალხი ხართ, ყველაზე უაზრო კანონია 223-ე პრიმა მუხლი(ქურდული ტრადიციები) აზროვნების გამო ადამიანის დაჭერა როგორ შეიძლება??? დაუმტკიცეთ დანაშაული და მერე დაიჭირეთ!!!

მალხაზ თოფურია – გილიოტინა ფრანგი კონსტრუქტორის გვარია, სიცოცხლე თავისივე შექმნილ გილიოტინაზე დაასრულა..... შალვა ნათელაშვილზე გამახსენდა, რომ მოვალ ხელისუფლებაში დახვრეტას აღვადგენო)))



**გიორგი ფოფხაძე:**

ეს ნიკოლა სარკოზი გამაგიჟებს რაა... გამოდის ეხლა ერთ ერთ ფრანგულ არხზე და დაახლოებით ასეთ რამეს ამბობს..არიქაო ევროკავშირი ამ ფორმით როგორითაც ეხლა არსებობს დასაშლელია და ხელახლა შესაქმნელიო, შენგენის ხელშეკრულება ისე არ მუშობს როგორაც თავის დროზე მივიღეთო, კოპენჰაგენის აქტი ფაქტიურად იგნირირებულიაო, ბრიუსელს არავინ კითხავდა წევრი ქვეყნების საქმეებში ცხვირის ჩაყოფას და ეს ფუნქცია თავის თავზე აიღოო.. საზღვრები მოღიავებულია და გაივსო აქაურობა კაცმა რო არ იცის ისეთი ხალხითო, ფულის ერთეული ევრო კაპიკად არ ვარგა და საერთოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემოყვანა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ასეთი სიჩქარით ევროკავშირშიო და... ბეჩააა დედუა ნიკოლა! ეს შენ ხარ თუუუ მელანდება?... მაგ ყველაფერს ამდენი ხანი რო გეჩიჩინებოდნენ ფრანგი ჟურნალისტები და გიჟებს რო ეძახდი და საბოტაჟნიკებს ის შენ იყავი თუუუუ სხვა ნიკოლა სარკოზი იყო?... ახლა აღარ მოგწონს ევრიკავშირი ხოოო?

ოცდამეერთე გვერდიდან

ეს კი იმას ნიშნავს, რომ, როდესაც მისი საფეთქლიდან სისხლმა იფეთქა, ხელი ძირს ჰქონდა დაშვებული. შესაბამისად, მარჯვენა ხელიდან ეროსის არ უსვრია საფეთქელში. თავი რომ მოეკლა, მარჯვენა ხელით ესროლა საფეთქელში ტყვია, მაშინ ეს ხელი ერთიანად დაესვრებოდა, სისხლი ხელზე ან ზემოდან ქვემოთ წამოვიდოდა, ან შედარებით თანაბრად გადანაწილდებოდა ხელზე. ამის შემდეგ გამოძიება კიდევ გვიმტკიცებს, ეს თვითმკვლელობა იყოო. ამით კი იცით, რას გვიმტკიცებს? რომ ადამიანს აქვს მესამე, უხილავი ხელი, რომლითაც შეიძლება თავი მოიკლას და აქამდე კრიმინალისტიკასა და კერძოდ, მკვლელობათა გამოძიებაში დამკვიდრებული ეს აქსიომა, შეიძლება საერთოდ არ მიიღო მხედველობაში. აი, ასეთ აბსურდამდე მივიდა გამოძიება.

პროკურატურის მტკიცებით, ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა „ჩეზე-75“ ტიპის იარაღით, რომელიც მკვლელობის წინა დღეს იარაღის მაღაზია „დიანაში“ შეიძინა. ეროსი იჯდა მძღოლის ადგილას, საფეთქელთან მიიბჯინა იარაღი და გაისროლა, – გვეუბნება გამოძიება. ასეთ შემთხვევაში, იარაღიდან ტყვიის გასროლის ტრაექტორიის თანახმად, ტყვიის მასრა, მანქანის წინა მხარეს უნდა ეპოვათ. ამას კიწმარიშვილი საქმის ექსპერტი-ბალისტიკოსი, ზაზა ალთუნაშვილიც აცხადებს. არადა, მასრა მანქანის უკანა სავარძელზე აღმოჩნდა. ეს ალოგიკური ფაქტი, რომელიც კიწმარიშვილის თვითმკვლელობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, დღემდე ამოუხსნელია, პროკურატურას ამის შესახებ არაფერი უთქვამს. მე ის უფრო მჯერა, რომ ეროსი კიწმარიშვილი მოკლა მანქანის უკანა სავარძელში მჯდომმა ადამიანმა, საფეთქელზე მიაბჯინა იარაღი, მარჯვენა ხელით, იარაღი კი ბუნებრივად ოდნავ უკან იყო გადახრილი და გაისროლა, შესაბამისად, ტყვიის მასრა აღმოჩნდა უკანა სავარძელზე.

ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ ეროსი კიწმარიშვილს თავი არ მოუკლავს, ის მოკლეს. ამას ისიც დავამატოთ, რაც უკვე საქვეყნოდ ცნობილია და მეც არაერთხელ დამიწერია „ალიაში“: ეროსი კიწმარიშვილს ჰქონდა სერიოზული გეგმები პოლიტიკასა და მედიაში, აპირებდა ტელევიზიის დაფუძნებას, საწყის ეტაპზე, მინიმუმ, ტელესტუდიისა. პოლიტიკაში კი, სავარაუდოდ, ირაკლი ოქრუაშვილის „ქართულ პარტიასთან“ ერთად გეგმავდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას. არც ის დაგვავიწყდეს, რომ მან სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, რუსთავის მერად იყარა კენჭი და მრავალწლიანი პოლიტიკური პაუზის შემდეგ, არცთუ ცუდი შედეგი აჩვენა – მესამე ადგილზე გავიდა. მის პოლიტიკურ და მედიაგეგმებზე, იმაზე, რომ ეროსი თავს არ მოიკლავდა და პირიქით, ხალისიანადაც იყო და ბევრის გაკეთებას აპირებდა, მისი ყველა მეგობარი აცხადებს.

მოკლედ, ვერავინ დამაჯერებს, რომ ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა, ის მოკლეს. ჩემი აზრით, გასარკვევი ის არის, ის ავტოფარეხში, საკუთარ მანქანაში მოკლეს თუ სხვაგან და უკვე მოკლული მანქანით მიიყვანეს ავტოფარეხში, ვფიქრობ, არსებული ფაქტების საფუძველზე, ამ კითხვასაც გავცემ პასუხს. შესაძლოა, ეს პასუხი საკამათო იყოს, მაგრამ ფაქტებსა და ლოგიკაზე დაფუძნებული მყარ ვერსიებს შემოგთავაზებთ.

## „ალიას“ ვერსიები და ფაქტები

ეროსი კიწმარიშვილი 13 საათსა და 5 წუთზე გავიდა სახლიდან, ამას ადასტურებს მისი ბინის სართულზე დამონტაჟებული ვიდეოთვალი და ეს პროკურატურამაც განაცხადა. 16 საათსა და 40 წუთზე მას უკვე მკვდარს პოულობენ. სახლიდან ავტოფარეხში ჩასვლას მხოლოდ 5 წუთი სჭირდება. სად იყო ეროსი მთელი 1 საათისა და 40 წუთის განმავლობაში, ეს დაუდგენელია.

გამოძიების მტკიცებით, ის ამ ხნის განმავლობაში მანქანაში იყო მოკლული, შემდეგ კი გია ხევიაშვილმა და სხვა მეგობრებმა იპოვეს. ასეა? არა, მე ვფიქრობ, ეს დრო სრულიად საკმარისია იმისთვის, ეროსი საკუთარი მანქანით წასულიყო სადმე, თბილისშივე, გარკვეულ ადგილას შეხვედროდა ერთ ან რამდენიმე პიროვნებას, მოეკლათ და მერე საკუთარი ავტომობილით მისავე ავტოფარეხში მოეტანათ მისი ცხედარი და იქ დაეტოვებინათ. როგორ დატოვებდა ამ შემთხვევაში მანქანის მძღოლი ავტოფარეხს შეუმჩნევლად? ვაკის ძველი სტუდქალაქისკენ წავიდოდა. აქ გავიხსენოთ, რომ ეროსის მიერ დაყენებული სათვალთვალო კამერა მის ავტოსადგომსა და მანქანას არ აფიქსირებს, შებრუნებულია სხვა მხარეს. ეს უკვე ლოგიკურ ეჭვს აჩენს, რომ საქმე კარგად ორგანიზებულ, წინასწარ დაგეგმილ მკვლელობასთან გვაქვს. აქ ჩნდება ლოგიკური კითხვები? თუ ეროსი კიწმარიშვილმა მანქანით დატოვა ავტოფარეხი, ეზო, ამას თურქეთის საელჩოს კამერები დააფიქსირებდა გამოძიებას ეს ჩანაწერი ნანახი იქნება, მაგრამ რადგან ამის შესახებ გამოძიება ხმას არ იღებს, შესაბამისად, ეროსი კიწმარიშვილის მანქანა არ გამოსულა პარკინგიდან. გამოდის, რომ გამოძიება ცრუობს? ეროსი კიწმარიშვილის მანქანამ დატოვა პარკინგი, ეს მან იცის და ამის შესახებ არაფერს ამბობს? კი, კითხვები ლოგიკურია, მაგრამ არც ჩემი კითხვებია ალოგიკური – რატომ უნდა ვენდო იმ გამოძიებას, რომელმაც ამდენ ფაქტზე (ზოგს ქვემოთ შემოგთავაზებთ) დახუჭა თვალი? კიწმარიშვილის ოჯახი და ოჯახის ადვოკატები არ ენდობიან გამოძიებას და მე რატომ უნდა ვენდო ბრმად? იმდენ რამეზე დახუჭა თვალი, წაუყრუა გამოძიებამ, არც ის გამიკვირდება, რომ ეს დამალოს.

კიდევ ერთი ფაქტი ამ ვერსიის დამაჯერებლობისთვის. მკვლელობის დღეს, 13.05 საათიდან 16.40 საათამდე, როცა დანაშაული მოხდა, არც ეროსი კიწმარიშვილის სადარბაზოს დაცვის თანამშრომელს, არც კორპუსის ძირში არსებული მაღაზიების, სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტების თანამშრომლებს, არ გაუგიათ სროლის ხმა. მოგვიანებით გამოძიებამ ეროსის ავტოსადგომზე, მის ავტომობილში, ზუსტად იმ ვითარებაში, როგორშიც ის გარდაცვლილი იპოვეს, ჩაატარა ექსპერიმენტი, მანქანაში მოახდინა „ჩეზე-75“ ტიპის პისტოლეტიდან გასროლა და სროლის ხმა გაიგეს სადარბაზოს დაცვის თანამშრომელმაც, ეზოში გამვლელებმაც, კორპუსის ძირში მდებარე იმ ობიექტების თანამშრომლებმაც. გამოდის, რომ მკვლელობის დღეს, ავტოფარეხში არავის უსვრია. თუმცა, რჩება ერთი ვარიანტი – იარაღს უნდა ჰქონოდა მაყუჩი, რომელიც სროლის ხმას ჩაახშობდა და მაშინ მას ვერავინ გაიგებდა. ეს ვარიანტი კი მას შემდეგ გამოირიცხა, რაც ექსპერტიზამ იარაღზე მაყუჩის კვალი ვერ აღმოაჩინა.

ჩემს ვერსიას ერთი ფაქტიც ამყარებს. ეროსი კიწმარიშვილი იჯდა მძღოლის ადგილას, წინა, მარცხენა სავარძელში. მანქანის ოთხივე ფანჯარა ჩაწეული იყო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ 2 გვაინტერესებს – წინა ფანჯრები. თუ ეროსიმ თავი მოიკლა იარაღის საფეთქელზე მიბჯენით, და ეს იარაღი საფეთქლისკენ მიმართული იყო სწორი კუთხით, მაშინ რატომ არ აღმოჩნდა სისხლის კვალი მანქანაზე? არც მძღოლის, არც მეორე მხარეს სისხლის კვალი, სისხლის ლაქა ან მიკრონაწილაკი არ აღმოჩნდა, როგორ, საფეთქლიდან სისხლი შხეფად გამოვარდა და საწინააღმდეგო მხარეს ერთი წვეთი არ გადავარდა? პარკინგს თავი დავანებოთ, ძირს ვერ უწია, მანქანას ვერ გასცდა, მაგრამ მან-







### გივი თარგამაძე:

და მე? ბატონო პრემიერ-მინისტრო, ერთი, თუნდაც მკვახე, მადლობა არ მეკუთვნის? კაცმა ქურდი ტაშფანდურით შემოუშვა საზღვარზე, მერე სამი დღე სდია და სულ თაფლში ამოაწეთ, მე კი, ვინც სადევნებელი დაგანახათ, ერთიც არ გაგახსენდით? ეგრეა, ზოგის ბამბაც ჭრიალებს... ისე, ქურდი როგორ შემოვიდა გაინტერესებთ? რად გინდათ გამოძიება. კადრები ნახეთ. ლაღად. მკერდზე რომ ახატია, იმ ფრთაგაშლილი არწივივით. მე რომ არ მეთქვა, თქვენც დაგახატავდათ სადმე რამეს. ჰაკიმზეუკეთესობა ამოგეწურათ. ბეჭებზე ამოტვიფრული გლუვი სახეზე ამოგაცოცდათ. არადა, სირცხვილო, გლუვი შიშველია!




### თამაზ ჭეიშვილი:

წაქცეულს წიხლები აღარ უნდა ურტყა! ...მაგრამ თუ ფეხებზე კბენა დაგიწყო,ისე უნდა ,,ხიო,,რომ დროებით გათიშო! ამ დროს გაცლას მოასწრებ,რაც მთავარია ,,კოჰაბიტაციის,, სურვილი გაუქრება!შეიძლება მოგაძახოს-გიჟიაა,ოხერი?თქვაას რა!...შენც დაისვენებ და ისიც!:))



### დემურ გიორხელიძე:

ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან... პუტინის გამარჯვებააო! ტვინგაყინულებს აქაც და ოკეანის გაღმაც რა გამოლევს! დაებინდათ გონება მარაზმის თაყვანისცემისგან! პ.ს. მართლა ვერ ხვდებიან, რა პროცესი მიდის... პროცესი გაცილებით უკეთესი რეალობისკენ!

### ცოტნე გამსახურდია:

ქართველი იტყოდა: სწორედ ახლა, ამ რთულ დროს სჭირდება ქვეყანას ჩემი ხელმძღვანელობაო! თავს წასვლის უფლებას ვერ მივცემ, ვერ მიგატოვებთო... ან "მოქალაქედ" დარჩებოდაბოლობოლო :))))

ინგლისელები კი მიხედავენ თავს, ჩვენ რა გვეშველება, რას დავამსგავსეთ ეს ქვეყანა :(((

წეღან საპარიკმახეროში ვიჯექი და დედას ცხარე ცრემლით ატირებული ბავშვი შემოჰყავდა - მოოდი, კანფეტებს არიგებენ აქაო. ეგრევე კარსმომდგარი არჩევნები გამახსენდა! არა, ნუ მატყუებო, გულამოსკვნილი ტიროდა სამიოდე წლის ბალღი, და თქვენ რა ველარ ისწავლეთ.



Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

(თვით) მკვლელობა

ქანაზე სისხლის კვალი უნდა ყოფილიყო. არც მანქანის მარცხენა მხარეს იყო სისხლი, არადა, წესით, უნდა ყოფილიყო. წარმოიდგინეთ, სისხლი წამოვიდა შხეფად, მოხვდა ეროსის ხელს, მკლავს და უკურეაქციით, ერთი წვეთი არ გასცდა სალონს, არ წამოვიდა არც მარცხენა მხარეს და მანქანას არ მოხვდა? ეს წარმოუდგენელი ამბავია და დარწმუნებული ვარ, პროკურატურამ ექსპერიმენტი რომ ჩაატაროს იმის გასარკვევად, მანქანის წინა სავარძელში მჯდომი კაცი რომ თავს იკლავს საფეთქელზე იარაღის მიბჯენით, ჩაწეული ფანჯრებიდან გასცდება თუ არა სისხლი სალონს და მოხვდება თუ არა მისი შხეფები მანქანის ძარას, რასაც ვვარაუდობ, იმ შედეგს მიიღებს. ესეც ჩემს ვერსიას ამყარებს. ეროსი კიწმარიშვილი არ არის საკუთარ ავტოსადგომზე მოკლული.

ვინმე მეტყვის, თუ ეროსი საქმეზე შესახვედრად წავიდა, რატომ დატოვა სახლში მობილური ტელეფონი, საფულე, სადაც ყველა საბუთი და მათ შორის, მართვის მოწმობა ედო. კი, ბატონო, ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ეროსი მანქანით არსად გასვლას არ აპირებდა, არც გასულა, პარკინგზე ჩავიდა, შეხვდა ვიღაცას თუ ვიღაცებს და მათ საკუთარ მანქანაში მოკლეს. თუმცა, არც ამ შემთხვევაშია მოკლული საკუთარ ავტოსადგომზე, პარკინგზე ამის გაკეთება სხვა ადგილასაც შეიძლებოდა და მერე, ეროსის ცხედრით მანქანის ადგილზე დაყენებაც. თუ მკვლელობა პარკინგზე მოხდა, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო იმ პერიმეტრზე, რომელსაც ეროსის მიერ დამონტაჟებული კამერა არ აფიქსირებდა.

კი, მაგრამ დაქოქილი მანქანა და ეროსის გადაჭერილი ღვედი? თუ არსად წასვლას არ აპირებდა, პარკინგზე, საკუთარ მანქანაში მოკლეს, ვინ და რატომ დაქოქა მანქანა და ღვედი რატომღა გადაიჭირა? – ამასაც იკითხავს მავანი, აქ უკვე შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ეროსი ავტოფარეხში ჩავიდა ვიღაცებთან შესახვედრად, ჩასხდნენ მანქანაში და მოულოდნელად გადაწყვიტეს წასვლა. ეროსიმ დაქოქა მანქანა, შემოიჭდო ღვედი, გასცდა საკუთარ ავტოსადგომს და ამ დროს ესროლეს. ასეთ შემთხვევაშიც, სისხლის შხეფები ავტოფარეხშია მოსაძებნი, ვიმეორებ, იმ მიდამოებში, რომელსაც კამერა ვერ აფიქსირებს. თუმცა, ავტოფარეხის ამ მიზნით გამოკვლევა გამოძიებას არ უცდია, მათ მხოლოდ ეროსის ავტოსადგომის ახლომახლო ტერიტორია გამოიკვლიეს და ისიც არა თანამედროვე ტექნოლოგიებით. თუმცა, კიდევ გავიმეორებ, რომ ეროსის საკუთარ პარკინგში მოკვლის ვერსიას ძალიან ძლიერი არგუმენტი აბათილებს – მკვლელობის სავარაუდო დროს, სროლის ხმა არავის გაუგია, როცა ექსპერიმენტისას სროლის ხმა ავტოფარეხიდან ყველამ გაიგო, ვისაც უნდა გაეგო.




## რა ქონებას ფლობდა ეროსი კიწმარიშვილი?

ახლა მოკლედ იმის შესახებ, რომ ეროსი კიწმარიშვილი ფინანსური პრობლემების გამო არ მოიკლავდა თავს. პროკურატურის მტკიცებით, მან თავი მოიკლა 312 000 დოლარისა და 120 000 ლარის ოდენობის ვალის გამო, რაც, ჯამში, 366 000 დოლარია. ახლა ვნახოთ, რამდენად რეალურია პროკურატურის ეს თვითმკვლელობის მიზეზი. ეროსი კიწმარიშვილის ოჯახს, ვაკეში, ჭავჭავაძის №75-ში აქვს 5-ოთახიანი ბინა საკუთარი ავტოფარეხით, რომელიც, მინიმუმ, 200 000 დოლარი ღირს. ასევე, ჰქონდა აგარაკები გუდაურსა და ბათუმში და თითოეული, მინიმუმ, 100 000 დოლარი ღირს, კიდევ ფლობდა მშობლიურ სახლს რუსთავში და ეს სახლი მინიმუმ, 40-50 ათასი დოლარი ღირს. აგერ, 440-450 ათასი დოლარი მარტო იმ სახლების საფასურია, რომელთაც საქართველოში ფლობდა ეროსი. გარდა ამისა, მას ამერიკაში ჰქონდა სახლი, ერთხანს გაქირავებული ჰქონდა და შემდეგ, გაყიდა. ეს სახლი ეროსიმ 2 მილიონ 700 000 დოლარად გაყიდა 2013 წელს და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში დევს. ეროსი კიწმარიშვილი ფლობდა ფერწერული ტილოების კოლექციას, რომელიც ძალიან ძვირად ფასობს, ექსპერტებს ეს კოლექცია არ შეუფასებიათ. სამაგიეროდ, ზურაბ კიწმარიშვილმა დაგვიდასტურა, რომ მისი ძმის კოლექციაში ცნობილი ქართველი მხატვრების ტილოებია და მათ შორის ნამდვილად არის ლადო გუდიაშვილისა და ზურაბ კაკაბაძის, მინიმუმ, თითო ნამუშევარი. მოდით, დროებით, სხვა მხატვრებს თავი დავანებოთ და დავუშვათ, ეროსი კიწმარიშვილს ლადო გუდიაშვილის მხოლოდ ერთადერთი ფერწერული ტილო ჰქონდა. 2013 წლის 4 ივნისს, „სოტბის“ აუქციონზე ლადო გუდიაშვილის სურათი „ცდუნება“ 782 000 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა, იმავე „სოტბის“ აუქციონზე, 2012 წელს ლადო გუდიაშვილის ტილო „შავი ნაკადული“ გაცილებით ძვირად, 937 000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. დავუშვათ, ლადო გუდიაშვილის ის ტილო, რომელსაც ეროსი კიწმარიშვილი ფლობდა, ამდენად ძვირი არ ღირდა, მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ გუდიაშვილის სურათები ძალიან ძვირი ღირს და რაც ზემოთ მოგახსენეთ, ეს ამის დასტურია? 200 000 გირვანქა მაინც ხომ იქნება ეროსი კიწმარიშვილის ლადო გუდიაშვილის ტილოს სააუქციონო ფასი და ეს უკვე 350 000 დოლარია. ეროსის ჰყავდა „ერ“ კლასის 2007 წელს გამოშვებული „მერსედესი“, კიდევ ერთი, „ეს“ კლასის „მერსედესი“ და „ტოიოტა რავ 4“, მათი ჯამური ღირებულება 100 ათას დოლარს მაინც გადააჭარბებდა. ის ფლობდა რამდენიმე რესტორანს და ერთ კაფეს თბილისში, რომლებიც ნორმალურად მუშაობდნენ და მისთვის საკმაოდ სოლიდური შემოსავალიც შემოჰქონდათ. ამას დავუმატოთ მისი მეუღლის, ია კიწმარიშვილის კუთვნილი სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრი“, რომელსაც „მის საქართველოს“ ჩატარების ექსკლუზიური უფლება აქვს და ეს სააგენტო ძალიან ძვირად ღირებული ბრენდია. კაცი მილიონერი იყო და 366 000 დოლარის გამო თავს მოიკლავდა? ეროსი კიწმარიშვილს, ბანკების 366 ათასი დოლარი ვალი რომ გაესტუმრებინა, საკმარისი იყო, ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილო და ავტომობილები გაეყიდა, ვალს გაისტუმრებდა და აქეთ ფულიც დარჩებოდა.

ახლა პროკურატურა იცით, რას გვიმტკიცებს? ეროსი კიწმარიშვილისთვის ლადო გუდიაშვილის ტილო, „მერსედესის“ ავტომობილი და გუდაურისა და ბათუმის სახლები უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე სიცოცხლე, მათ ვერ შეელია, არ გაყიდა, ვალი არ გაისტუმრა და სიცოცხლე დათმოო. ან მეორეს გვეუბნება – ეროსი კიწმარიშვილმა ვერ მოიფიქრა, რომ საკუთარი ქონების მცირე ნაწილი გაეყიდა და ვალების გამო მოიკლა თავიო, ერთიც სისულელეა და მეორეც. ამ საქმეს ვინც იძიებდა, იმ ჯგუფიდან, იმაზე ვინმე დაფიქრებულა, რომ ეროსი კიწმარიშვილმა თუ, დავუშვათ, და თავი მართლა მოიკლა, რომ ამით უდიდესი, მოუშუშებელი ტრავმა მიაყენა საკუთარ ცოლ-შვილს? მეტიც, მათ ცხოვრება გაუმწარა. და ახლა პროკურატურას უნდა, დამაჯეროს, რომ შვილებზე გადამკვდარმა მამამ, ეროსი კიწმარიშვილმა, გასაყიდად ვერ გაიმეტა სახლები, მანქანები, ფერწერული ტილოები, თავიც მოიკლა და თავისი 3 შვილიც ასეთი საშინელი ტკივილისთვის გაიმეტა? კარგი, ერთი წამით დავუშვათ, რომ ბანკის ვალების გამო მოიკლა თავი, თანაც ბანკში ის სახლიც ჰქონდა იპოთეკით დატვირთული, სადაც ცხოვრობდა. თავი რომ მოიკლა, ბანკები ამ ვალის გასტუმრებას აღარ მოსთხოვდნენ თუ იპოთეკას მოხსნიან? ესე იგი, გარდა ამხელა ტკივილისა, ოჯახი ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, ვალები მათ აჰკიდა?! ამას არასდროს დაიჯერებს არც ერთი სრულ ჭკუაზე მყოფი ადამიანი. თანაც ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ეროსის „რუსთავი 2“-ის დაბრუნების სურვილიც არ ასვენებდა და ყველა ახლობელ-მეგობარს ამ თემაზე ელაპარაკებოდა და გეგმებს სახავდა. ეროსი, რომელმაც სიცოცხლეში ბევრჯერ მოახერხა სოლიდური თანხის შოვნა, ამას კიდევ შეძლებდა და ვინც კიწმარიშვილს პირადად იცნობდა, ყველა დამეთანხმება. მოკლედ, პროკურატურამ, უბრალოდ, საქმე ვერ გახსნა, პირველ ჩვენებას მიაწვა და თვითმკვლელობის მუხლით აღძრული საქმე მკვლელობის მუხლად არ გადააკვალიფიცირა. საამისოდ კი ის ფაქტებიც სრულიად საკმარისი იყო, რაც ზემოთ ჩამოვთვალე. ჩვენმა პროკურატურამ და ზოგადად, ხელისუფლებამ, გამოცდა ვერ ჩააბარა – ვერ გახსნა მისი მმართველობის პერიოდში მომხდარი ყველაზე გასაიდუმლოებული და ხმაურიანი მკვლელობა და საქმე მიაფუჩეჩა.

Facebook ამბები



**თარხან გასვიანი:**

გუშინ ღამის 03:50 წუთზე მეღვიძება ვიღაც ტიპი დგას კორპუსის ქვევით ყვირის: ბურუუუუუუუუუუუუუუს, ბურუუუუუუუუს, ბურუუუუუუუს, მევთქვი გაჩერდება ეხლა, გადის 5 წუთი არ ჩერდება ბურუუუუუუუს, ბურუუუუუუუუს, გავედი აივანზე მეგობარო ბურუსა არ ცხოვრობს აქ არავინ თუ დასარეკი არ გაქვს შენ მეგობართან მითხარი ნომერი დავურეკავ ძინავს ხალხსთქო, უცებ წინა კორპუსიდან ორმა მეზობელმა გამოყო თავი ძინავს ხალხს, ძინავს ხალხს!!! ამყვნენ))) "ბურუსას" ბრატი დაიძაბა და რაიყო ტო ბლოკს მიკრავთო??? მევთქვი ბლოკს ვინები კრავენ არიცი ბიჭოთქო?))) და შენ არა იმ მეზობლებს ვეუბნებიო)))))))) კაი ბურუს მიყვარხარ გაკოცეთქო შემოვედი ფანჯარა დავკეტე და გავაგრძელე ძილი, სად მაქვს ბურუსას ძმაკაცის ნერვები))))

ამ მონათხრობის მორალი: მორალი არ აქვს ამ მონათხრობს მაპატიეთ)))) უბრალოდ ძალით წაგაკითხეთ ის უაზრობა რაც გადამხდა გუშინ და კიდევ ერთხელ მაპატიეთ))))



**კახა ქაგანია:**

წლებს წინ როდესაც "ლეიბორისტული" პარტიის ერთერთი ლიდერი ვიყავი წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოსახლეობასთან შესახვედრად მისულებს თითქმის ყოველთვის "ნათელაშვილი მკვლელია"-ს ძახილით ზვიადის მომხრეების კონტრაქცია გვხვდებოდა. ერთხელაც გულუბრყვილოდ ვკითხე ნათელაშვილს რას გვერჩიან, რას გადაგვეკიდნენ თქო? შალიკომაც უმაკო სახით მიპასუხა წარმოდგენა არ მაქვსო. ეხლა გავიგე მაშინ როდესაც ზვიადის მომხრეები სიკვდილმისჯილთა საკნებში ისხდნენ და კარის გაჯახუნებაზე დახვრეტას ელოდნენ, მაგ დროს საქართველოს პარლამენტი სიკვდილით დასჯას აუქმებდა და მთელი პარლამენტი იყო ერთსულოვანი ერთის გარდა და ეს ერთი თურმე ყოფილა ჩემი ყოფილი მეგობარი და ამჟამად გვარამია-გაბუნიას მეგობარი შალიკო ნათელაშვილი

**იოსებ შატბერაშვილი:**

სააკაშვილმა პოლიციის უფროსს სახეში ხელი გაარტყა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა, შეურაცყოფა ვერ გადაიტანა! დაობლდა 3 არასრულწლოვანი ბავშვი! რატომ არ დასაჯა არავინ მიშა ამ დანაშაულის გამო? ბოკერიას ცემისთვის სასჯელია და პოლიციელის ცემისთვის არაფერი? ტფუი ასეთ სახელმწიფოს!!!



**ლევან ლომიძე**

მიკვირს და, ალბათ, მომავალშიც გამიკვირდება – რატომ ლაპარაკობენ ადამიანები უფრო მეტ სისულელეს მაშინ, როცა დეპუტატები, ან მაღალი თანამდებობის პირები ხდებიან? წესით და რიგით, მათ ხომ თანამდებობებთან ერთად ტვინიც უნდა მოემატოთ? ააა... თქვენ ამბობთ, რომ და მეორეც – თუ სახლს 30 მეტრის იქით მიუახლოვდები და ყვირილს დაიწყებ, ხმა მომეცითო, ეს უკვე ძალადობად ითვლება და ან დაგაჯარიმებენ, ან კიდევ ვირის აბანოში ამოგაყოფინებენ თავს. მთავარია, ვინმემ პოლიციაში დარეკოს პრეტენზიით, მავანი და მავანი სიმყუდროვეს მირღვევსო. რა ხდება ჩვენთან? მაგალითად, „ნაცებმა“ უკვე დაიწყეს კარდაკარ სიარული და კაკუნი, სვანაილის და საგვარეულო აკლდამას აშენებს, ყველა კაკაჩია ერთ ტერიტორიაზე უნდა დამარხოს. შარშან ვალერი გელაშვილის ცხოვრებაზე გადაღებული გადაცემა ვნახე, თურმე ეგეც აშენებს საგვარეულო აკლდამას. ესე იგი, ბატონო გრიშა კი არა და...

> ბატონო ვალერი, თქვენ ამბობთ, ხალხმა ხელი გაანძრიოს და

**მინუჯირნები**

ესე იგი, ბატონ ვიცე-პრემიერს დეგენერატები ვგონივართ და ჭკუაზე გვარიგებს, თქვენ არ გაქვთ სპეციალური „ცოდნები“ უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებით, როცა მაღალი კურსია, მაშინ ყიდულობთ, როცა დაბალი კურსია, მაშინ ყიდით და ამიტომაც ხართ ამ დღეშიო. თან

# ამ ქვეყანაში ხალხი 25 წელია „ანძრევს“, მაგრამ მაინც ყველაფერი თქვენთვის გამოდის... 2012-შიც „ვანძრიეთ“, როგორც შეგვეძლო, გვეგონა, გვეშველებოდა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის „წყალობით“ ისევ თქვენ და თქვენნაირებს გეშველათ...







**თუ ეკონომიკის მინისტრი ამბობს, ეს ერთჯერადი მოვლენააო, ესე იგი, რაღაც იცის, ანუ სპეციალურად გაუფასურდა, რათა ვიღაცამ მაგრად იხეიროს**

პირიქით, როცა ადამიანს დიდ თანამდებობას აძლევენ, უფრო ბრიყვდება და რას ლაპარაკობს, არ იცის, ხომ? პრინციპში, ასე გამოდის, შეიძლება ზოგი მანამდეც „ჭედავდა“, მაგრამ ახლა უკეთესად ჩანს. არ ვიცი, აი, თავად განსაჯეთ: როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერი, უმრავლესობის წევრი ზვიად ძიძიგური აცხადებს, საქართველო უკვე გადავიდა სხვა პოლიტიკური კულტურის რეჟიმში და ამიტომ წინასაარჩევნოდ პარტიების ქცევის კოდექსის მიღება არჩევნებს უფრო მეტად კვალიფიციურსა და მშვიდს გახდის. მოიცადეთ, ვიცი, ახლა კორცხელში მოსული ქვის სეტყვა გაგახსენდათ, მაგრამ ჯერ არ გაიცინოთ, მთავარი წინაა:

,,არჩევნები როცა ტარდებოდა სიძულვილის ენით, ეს თემა ვფიქრობ, უკვე ჩავლილია. საქართველო გადავიდა სხვა პოლიტიკური კულტურის რეჟიმში... ევროპაში ისე ტარდება არჩევნები, ვერც გაიგებთ, წინასაარჩევნო კამპანია რომ არის. ვფიქრობ, საქართველოშიც სწორედ ასეთი არჩევნები უნდა ჩავატაროთ“.

> ზვიად, გაიღვიძე, კაცო, დეპოში ვართ! ა, გღვიძავს? მაშინ მოდი, უცებ შეგახსენებ, რა ხდება დღეს საქართველოში: ეტყობა, გაზეთში მხოლოდ შენს ინტერვიუებს კითხულობ და ტელევიზორს მხოლოდ მაშინ უყურებ გადახვევით, როცა შენ გამოდიხარ, თორემ გეცოდინებოდა, რა სიძულვილი და დედის ტირილია გარშემო. აგერ გუშინ არ იყო, კორცხელში რომ თავ-პირი ამტვრიეს ერთმანეთს ვიღაცების დაქირავებულებმა?!

მეორე – მარსიდან ჩამოსულივით იძახი, ევროპაში წინასაარჩევნო კამპანია ისე ტარდება, ხალხი ვერ იგებს და ჩვენც ასეთივე არჩევნები უნდა ჩავატაროთო. უკაცრავად და... იცი, ევროპაში როგორი წესები არსებობს? ჯერ ერთი, ძალიან კარგადაც იგებენ

მენ შეკითხვას: ვის აძლევთ ხმას? ვითომ კვლევას ატარებენ. ახლა „ქოცებიც“ დაიწყებთ კაკუნს. მერე ათასი ჯურის მამაძაღლი აგყვებათ და ჩვენ კიდევ რომელ ერთს გავუძლოთ?! აგვისტო-სექტემბერში რომ დაიწყებთ უბან-უბან სირბილს მეგაფონებით, გავიგებთ კი არა, ტვინს წაგვაჭამთ და ვილოცებთ, რომ ყველაფერი დროულად დამთავრდეს! ერთი კითხვა მაქვს თქვენთან კიდევ

> ადამიანი ან ადამიანები რომ გძულს, იმას სიყვარულით როგორ უნდა ელაპარაკო? ახლა არ დამიწყო, მართლმადიდებლები ვართ და მიმტევებლებიო... მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრათ, სანამ ხალხს თავს შეაძულებდით. მაშინ მიშას დროსაც გაგხსენებოდათ ევროპა და „ნაცებთან“ გელაპარაკათ სიყვარულით... როგორც ეგ იყო შეუძლებელი იმ დროს, ასევეა ახლაც. ეგ თქვენ გგონიათ, რომ ბევრი რამე შეცვალა სასიკეთოდ ქვეყანაში. არაფერიც! დუბინკები და ცოცხები აღარ არის მხოლოდ ერთ ადგილას, დანარჩენი ვის რა ხეირი დაადგა? და ისიც არ არის გასაკვირი, რომ დაგჭირდეთ, ქუჩაში გამოსულ ხალხს ბიძინას ხელისუფლება ისევე მოექცეთ, როგორც სააკაშვილისა ექცეოდა.

აი, კიდევ ერთი „გენიოსი“... ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს, ვალერი გელაშვილს ეკითხებიან, ამ 4 წელიწადში რა პროექტი განხორციელდა თქვენი თაოსნობით ხაშურშიო? კინოთეატრი აღვადგინეო. ეს ხომ სანახაობაა, პური სად არისო? ხალხმა ხელი უნდა გაანძრიოს და პური თვითონ იშოვოსო! არა, მართლა „გენიოსია“ ეს ადამიანი და იცით, ვის მაგონებს? გრიშა კაკაჩია რომაა სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“. გრიშაც ზუსტად ასე მსჯელობს, ფული აქვს ოხრად, აღარ იცის, სად

> პური თვითონ იშოვოსო, არა? სწორედ ამაზეა ნათქვამი, ბევრი „ვანძრიე“ ჩემთვისა, გამამივიდა შენთვისაო. ამ ქვეყანაში ხალხი 25 წელია „ანძრევს“, მაგრამ მაინც ყველაფერი თქვენთვის გამოდის. აი, 2012-შიც „ვანძრიეთ“, როგორც შეგვეძლო, გვეგონა, გვეშველებოდა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის გამოისობით ისევ თქვენ და თქვენნაირებს გეშველათ.

ღმერთმა ყოველთვის დაგიფაროთ, რაც მიშა სააკაშვილმა დაგმართათ, მტერსაც არ ვუსურვებთ... თუმცა, მოდით, ვთქვათ სიმართლე, თქვენი ერთადერთი დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე ის არის, რომ სააკაშვილის ბიჭებმა გადაგიარეს. ახლა კი რას კადრულობთ, ხალხმა ხელი გაანძრიოსო? კი, ბატონო, იმედია, ოქტომბრის არჩევნებში ხალხი ისე „გაანძრევს“, თქვენი ადგილი აღარ იქნება პარლამენტში!

აი, ჯერ ვალერი გელაშვილის გამოხდომაზე არ მქონდა ნერვები დაწყნარებული, ახლა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, დიმიტრი ქუმსიშვილი გამოვარდა და ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით განაცხადა, ეს ერთჯერადი მოვლენაა და თავის კალაპოტში ჩადგებაო:

„მინდა, ყველას მოვუწოდო, განსაკუთრებით ჩვეულებრივ მოსახლეობას, ჩემნაირ ადამიანებს, ვისაც არ აქვს სპეციალური ცოდნები უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებით, ძალიან გთხოვთ, იყიდეთ მაშინ, როცა გჭირდებათ და გაყიდეთ მაშინ, როცა გჭირდებათ. არ შეიქმნათ არასწორი მოლოდინები, რომ რაღაც განსაკუთრებული მოხდება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან სამწუხაროდ, მოსახლეობა ყოველთვის აკეთებს პირიქით - ყველაზე მაღალ კურსზე, როგორც წესი, ყიდულობს და ყველაზე დაბალ კურსზე ყიდის“.

ძალიან გთხოვთ, მუთაქებში დოლარები და ევროები რომ გაქვთ, გამოღების დრო სწორად შეარჩიეთ, მაგრად იხეირებთო. ვაი, ამ ქვეყანას და ჯანდაბა, „ტაბურეტკა“ და მეტეორი, ჩვენ მეტი აღარაფერი გვიშველის! სადმე, ოდესმე, რომელიმე ქვეყნის მაღალჩინოსნისგან მოგისმენიათ, თავის მოსახლეობას მოუწოდებდეს, უცხოური ვალუტა ისე იყიდეთ და გაყიდეთ, რომ მოგება ნახოთო? ჯერ ერთი, სად აქვს ამ გაძვალტყავებულ ხალხს უცხოური ან სამამულო ვალუტა და მეორეც – რა გამოდის, მთელი საქართველო გადამცვლელ პუნქტად უნდა ვაქციოთ და მეტი აღარაფერი ვაკეთოთ? დაუკვირდით, ბატონი ქუმსიშვილი თავისებურად გვამშვიდებს, ლარი რომ ისევ გაუფასურდა, ეს ერთჯერადი მოვლენაა და ყველაფერი ისევ კალაპოტში ჩადგებაო. არაფერიც არ არის ერთჯერადი მოვლენა, ჩვენ ამ „მოვლენებს“ 2014 წლის ნოემბრიდან ვუყურებთ და ლართან ერთად ვინგრევით. ისე, თუ ეკონომიკის მინისტრი ამბობს, ეს ერთჯერადი მოვლენააო, ესე იგი, რაღაც იცის, ანუ სპეციალურად გაუფასურდა, რათა ვიღაცამ მაგრად იხეიროს. არააა...

> აქ სადღაც ძაღლის თავია დამარხული, როცა 1 დოლარის ფასმა 2 ლარსა და 50 თეთრს გადააჭარბა, ფასებმაც შესაბამისად აიწია, მაგრამ როცა 1 დოლარი მკვეთრად გაიაფდა, ფასებმა აღარ ჩამოიწია, პირიქით, საწვავის გაძვირებაც კი დაიწყო. საქართველო მართლა არ გახლავთ სახელმწიფო, ეს არის მხოლოდ ვალუტის გადამცვლელი ჯიხური და სწორედ ამიტომაც ბედავს ვიცე-პრემიერი ასეთ ლაპარაკს – იყიდეთ, გაყიდეთ, მეტი რა საქმე გაქვთო? პრინციპში, ესეც იგივეს გვეუბნება, ხელი გაანძრიეთო. „ვანძრევთ“, ბატონო, „ვანძრევთ“, მაგრამ თქვენს ხელში არაფერი გამოდის!

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები

facebook



**გია გაბრიჭიძე:**

ვაგზლებს ნოდარიკო მელაძე გადაკეტავს, ფოსტა-ტელეგრაფს დიკო აიღებს, ხიდებს აკაკი გოგიჩაიშვილს. მერე მთელი რუსთავი 2 გვარამიას მეთაურობით ფუნიკულიორზე ავლენ და იქედან გამოექანებიან!

facebook



**მერაბ შათირიშვილი:**

დავიჯერო, არ გაქვთ, ხალხო, გააზრებული, რას ნიშნავს რეფერენდუმის ჩატარება: „ოჯახი მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ერთობაა..." და რამხელა სიძნელეებთან, „ლიბერასტური" პოლიტიკის ზეწოლასთან, უსახსრობასთან და უზარმაზარ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული?.. ეს, ხომ ჩემი, ან ჩემი თანამოაზრეების ამოჩემება არ არის, ეს, საქართველოს მომავლისათვის - გადარჩენისათვის, ღვთისგან ნაკარნახევი აუცილებლობაა... საერთოდ, ამის ახსნა როგორ უნდა მჭირდებოდეს?! ამას ხომ პოლიტიკური კარიერისთვის, რაიმე სარგებლის მიღებისათვის არავინ აკეთებს?..

ეს, ჩვენი სასიქადულო ვალია და, თუ მართლა გაქვთ გაცნობიერებული 200 000 ათასი ხელმოწერას რამხელა გასაქანი სჭირდება, მაშინ მიხვდებით, რომ, ჩვენ, უანგარო ენთუზიაზმით შევჭიდებივართ ამ ისტორიულ საქმეს და, თუკი ხვდებით, სახლში ნუ ზიხართ, მოდით რუსთველის გამზირი,. 1-ში, მეტრო „თავისუფლების" წინ, (ყოფილი უნივერმაგის გადმოღმა მხარეს) სადაც ხელმოწერები გროვდება, ჩადექით ამ საერთო საქმეში და თითოეულმა მათგანმა გადაარჩინეთ საკუთარი გვარისა და ჯილაგის მეობა...

მოდით, ერთიანი ძალისხმევით დავანახოთ მსოფლიოს, რომ, ჩვენ, ქართველი ხალხი, ეშმაკის გეგმებს არ ვემორჩილებით და თავს არ გადავიშენებთ!...



**გიორგი გუგავა 21 ივნისი:**

თურმე ოპოზიცია "იგონებს" და "თხზავს" ლეგენდებს ქვეყანაში არსებული სიღარიბის შესახებ, თორემ ცხოვრება საამური ყოფილა და არ არსებულა: მილიონზე მეთი მოქალაქე რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება; 77 ათასი ბავშვი, რომელიც შიმშილობს; მილიონ ნახევარი ადამიანი ვინც ვერ იღებს აუცილებელ საკვებ პროდუქტებს და შიმშილობს; 40 ათასი სტუდენტი ვისაც შეუწყდა სტატუსი სწავლისათვის საჭირო სახსრების არ ქონის გამო; 70 % მოსახლეობისა ვისაც რეალურად არ აქვს სამუშაო; 200 ათასი ბანკის მოვალე ვისაც გასახლება ემუქრება და ა.შ......



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

რუსთავი 2 გავიდა სამართლებრივი სივრციდან. ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ ის და მისი ტელევიზია აპირებს სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყებას. მოვუწოდებ ხელისუფლებას მიიღოს პრევენციული ზომები, რათა აღკვეთილი იქნეს სახალმწიფო გადატრიალება.




**ლაშა ჩხარტიშვილი:**

ჩემთვის ნამდვილად არადამაჯერებელია ეროსი კინწმარიშვილის მიერ სიცოცხლის თვითმკლელობით დასრულების ვერსია ! მით უფრო თუ გავითვალისწინებთ,მისი ოჯახის და ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ადვოკატების პოზიციას, რომლებიც არ იზიარებენ პროკურატურის ვერსიას!

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

*გიორგი ჯიქიაშვილი*

ძვირფასო მკითხველო, გასულ კვირას, 22 ივნისს, საქართველოს ავადსახსენებელმა პარლამენტმა კიდევ ერთი მოღალატეობრივი და სახელმწიფოს დამანგრეველი საკანონმდებლო პაკეტი მესამე მოსმენით ისე დაამტკიცა, მიმდინარე პოლიტიკურ ბატალიათა ორომტრიალში მყოფ ქართველ საზოგადოებას ყურმოკვრითაც არ გაუგია და ხალხი, რომ იტყვიან, ბაიბურშიც არ არის, ის სკანდალური კანონპროექტი, რაზეც „ალია“ რამდენჯერმე წერდა, უკვე კანონად რომ იქცა.

> უსუფაშვილის სამპროცენტიანმა პარლამენტმა ხორცი შეასხა და საზაფხულო სესიის დასრულებამდე ორი დღით ადრე ჩუმად, მუხანათურად დაამტკიცა, სინამდვილეში „ქოც-ნახირის“ დასავლელ მენტორთა მიერ ნკარნახევი მორიგი საკანონმდებლო სიმყრალეა.

ამ ცვლილების შედეგი კი ამთავითვე შეგვიძლია ცხადად დავინახოთ, რადგან თვითონ „დემოკრატიულ“ დასავლეთს და განსაკუთრებით ევროკავშირს, რომელმაც მსგავსი ცვლილებები

ასე მაგალითად, თუ კი თქვენი შვილი მაქსიმუმ ორჯერ გააცდენს „სექსუალური განათლების გაკვეთილებს,“ (რომელსაც უახლოეს მომავალში აუცილებლად შეიტანენ საგანმანათლებლო სისტემაში), ან თანატოლებთან იჩხუბებს და გამოავლენს გარკვეულ აგრესიას, (რაც კონკრეტულ მომენტში შესაძლოა, სავსებით ადეკვატური იყოს), „სოცაგენტი“ ჩათვლის, რომ თქვენ მას არასწორად ზრდით. ან თუნდაც, საკმარისია, თქვენმა შვილმა თანაკლასელების თანდასწრებით პირჯვარი გადაიწეროს და ხმამაღლა თქვას,

*ქოც-ნახირი*

ბა და ცარიელი ადგილი უნდა დატოვოს... ისე, კაცმა რომ თქვას, რა არის ამაში გასაკვირი, უსუფაშვილი ის პოლიტიკანია, რომელიც ერთ-ერთ გამოსვლაში პირდაპირ აცხადებდა, ჩემს შვილს სამშობლოს სიყვარულს არ ვუნერგავო. სხვის შვილს რა უნდა ასწავლოს და შთაუნერგოს ამ სამპროცენტიანმა „ვანკა-სტანკამ,“ მაგრამ პრობლემა არც ესაა, უბედურება იმაში მდგომარეობს ძვირფასო მკითხველო, რომ ეს უსამშობლო და

# ეს წულუკიანისთვისაც და სერგეენკოსთვის პოლიტიკურ აღსასრულს და ჩაქვესკნელებას ნიშნავს!

## უსუფოვის ,,საქათმემ“ ქვეყანას საშინელი განაჩენი გამოუტანა!







> საუბარია იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივი ინიციატივით მომზადებულ დოკუმენტზე, რომელიც ე.წ. სოციალურ მუშაკს, არც მეტი, არც ნაკლები, ოჯახში თვითნებურად შეჭრისა და „ძალადობის“ შემთხვევაში, „მოძალადისგან,“ ანუ დედის, მამის ან ოჯახის სხვა წევრისგან, ბავშვის განცალკევების უფლებას ანიჭებს. იმავე კანონპროექტის თანახმად, „მოძალადის“ მხრიდან „სოცმუშაკის“ დაუმორჩილებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ან გამოსასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით. მეტიც, დოკუმენტში ხაზგასმით წერია, რომ 14 წლამდე მიღწეულ არასრულწლოვანს უფლება აქვს, საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოს მიმართოს და „მოძალადის,“ ანუ, მშობლის მიმართ „შესაბამისი“ სამართლებრივი ღონისძიებების გატარება მოითხოვოს...

ბატონებო, ცხადია, უჩემოდაც კარგად ხვდებით, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა სინამდვილეში არც უდღეური წულუკიანის გოგრაში მოხარშულა და არც ივანიშვილის დაკრულზე მოცეკვავე სერგეენკოს ტვინში. ცხადია, იგი დასავლეთიდან მიღებული მორიგი დირექტივაა და ამ დირექტივის შეუსრულებლობა, როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვისაც, ანუ წულუკიანისთვისაც და სერგეენკოსთვის პოლიტიკურ აღსასრულს და ჩაქვესკნელებას ნიშნავს. დიახ, საკანონმდებლო პაკეტი, რომელსაც წლების წინათ მიიღო, დიდი ხანია, იგი სერიოზულ თავსატეხად და მოუშორებელ ჭირად ექცა.

> მაგალითისთვის გერმანია ავიღოთ, ოფიციალური მონაცემებით, 2011-2014 წლებში გერმანიაში ე.წ. სოცმუშაკმა ძალის გამოყენებით 38500 ბავშვი გამოიყვანა ოჯახებიდან და მათი მშობლების დიდი ნაწილი „დაუმორჩილებლობის“ გამო სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ. მათ ასევე ჩამოერთვათ მშობლის უფლებაც და აეკრძალათ ბავშვის ნახვა.

მეტიც, ისინი გამოცხადდნენ სახელმწიფოსა და დემოკრატიული ღირებულებებისთვის საფრთხისშემცველ ელემენტებად და შესაბამისმა სამსახურებმა განსაკუთრებულ მეთვალყურეობაში აიყვანეს. მარტივად რომ ვთქვათ, ევროპაში იუვენალური დიქტატურა დამყარდა, მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც მერე მოხდა, გარკვეული ფსიქოლოგიური „რეაბილიტაციის“ შემდეგ ეს „ჩამორთმეული“ ბავშვები „ერთსქესიან ოჯახებს“ გადასცეს, ხოლო ის მშობლები, რომლებმაც გაბედეს და ამის გამო პროტესტი გამოთქვეს, ისევ სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ და კიდევ უფრო მძიმე მუხლებით გასამართლდნენ.

> ბატონებო, მიზეზი, რის გამოც ევროპელი „სოცმუშაკები“ ბავშვებს „ძალადობის“ მსხვერპლად მიიჩნევენ და მშობლებს თვითნებურად ართმევენ, ხშირად ისეთი აბსურდულია, რომ მსგავსი კრიტერიუმებით ასიდან ასი ქართველი მშობელი საკუთარი შვილის მტერი და სასტიკი მოძალადე გამოდის.

მორწმუნე ქრისტიანი ვარო, ჩაითვლება, რომ ეს არის თქვენი, როგორც მშობლის მხრიდან განხორციელებული ზეგავლენის შედეგი და გეტყვიან, რომ თქვენ მას არჩევანის უფლება წაართვით, როცა კონკრეტული რელიგიის რწმენა და სიყვარული შთაუნერგეთ. მოკლედ, ევროპაში ეს ტერორი კაი ხანია მძვინვარებს და ამ გაუსაძლისმა მდგომარეობამ ევროპელები უკვე საბოლოოდ დაარწმუნა ევროკავშირის დაშლის აუცილებლობაში.

> რაც შეეხება საქართველოს, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს კანონი უცხო ხილია, საზოგადოების დიდ ნაწილს ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენია, რა მზაკვრობა და მუხანათობა მზადდება. არადა უკვე ყველაფერი ნათელია, უსუფოვის „საქათმემ“ 22 ივნისს ერთხმად დაამტკიცა ის კანონი, რომელიც სულ მალე ქართულ ოჯახს დაანგრევს, შვილებს სამკვდროდ აუმხედრებს მშობლებს

და ისედაც გადაშენების პირას მყოფი ერის დემოგრაფიას განმგმირავ ლახვარს ჩასცემს. აქ უკვე წამითაც არ უნდა დავუშვათ ის გულუბრყვილო ალბათობა, რომ უსუფოვები და მისი სულიერი თანამეინახეები ამ ყველაფერს უნებლიედ, ანუ გაუცნობიერებლად აკეთებენ. არა ბატონებო, ეს არის მკაცრად განსაზღვრული, დროში გაწერილი და კონკრეტულ ამოცანაზე გათვლილი გეგმა. დიახ, ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელმაც, ქართულ ოჯახს, ფასეულობებს და ყველაფერ ქართულს მუსრი უნდა გაავლოს, ეს არის გეგმა, რომელმაც საქართველოსგან და ქართველისგან მხოლოდ სახელწოდე-

უეროვნებო სიმბიოზები ხელისუფლების სათავეში სხედან. კიდევ უფრო დიდი უბედურება კი ის გახლავთ, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე საღი ძალაც არ ჩანს და სამწუხაროდ არც საზოგადოებას შესწევს უნარი, ძირეული ცვლილებების მოსახდენად...

> დასასრულს იმ პოლიტიკანებზეც ვიტყვი, პარლამენტში ჩოხა-ახალუხით რომ სხედან ხოლმე და ცალი ხელი „სატევარზე“ უდევთ, მეორეთი კი მწვანე ღილაკს არიან შედუღაბებული, – ანტიდისკრიმინაციულ კანონს ხომ ხმა მისცეს, რეგიონული მოწყობის კანონსაც მისცეს, ახლა იუვენალურ იუსტიციას აძლევენ... საინტერესოა, კიდევ რას და რამდენჯერ უნდა მისცენ...

ან რითი განსხვავდებიან ისინი იმ „ლიბერასტი“ კოლეგებისგან, 17 მაისს „ლგბტ“ დროშას რომ აფრიალებდნენ პარლამენტის ფოიეში. მე ვფიქრობ, რომ უფრო საშიშებიც არიან, – „ლიბერასტები“ თვითონ მაინც იხსნიან ნიღაბს, ესენი კი ეროვნულობის მანტიაში გახვეული არანაკლებ აქტიური მესაჯდომეები და მაამებლები არიან. დიახ, ეს ხალხია, ეროვნული იდეოლოგიის ნომერ პირველი მტერი და გამმარგინალებელი, დიახ ეს ხალხია უწინარესად გასაპანღურებელი ხელისუფლებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ყოველთვის გამოჩნდებიან მათი ორეულები, ყოველთვის გამოჩნდებიან ახალ-ახალი არქიფოები და სეთურები, რომლებიც არც კი დაფიქრდებიან, ისე გაყიდიან ქვეყანას პირად კეთილდღეობაზე...




**თამაზ ჭეიშვილი:**

ძმურად,მამაშვილურად ვაფრთხილებ და ვევედრები ყველას! – რაც უფრო ვუახლოვდებით საარჩევნო თვეს მით უფრო მატულობს დაძაბულობა ,მით უფრო აქტიურდებიან ანტიქართული, ანტიეროვნული ძალები! გვიტევენ ყოველი მხრიდან: დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან, ს ა მ ხ რ ე თ ი დ ა ნ ! ძმებო,დებო,შვილებო! ადრე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ,ეს საპარლამენტო არჩევნები - ,,ჩვენი დიდგორი იქნება,,! უნდა გავიმარჯვოთ,უნდა დავიცვათ საქართველოს და ერის მომავალი!უკან დასახევი ყველა გზა მოგვიჭრეს! არც იფიქროთ,გულში არც გაივლოთ, არჩევნებზე არ მისვლა,ეს იქნება საკუთარი თავის და ოჯახის ღალატი! საქართველო უნდა მართონ ქართველებმა! არა ამერიკელებმა, არა ფრანგებმა, გერმანელებმა, ინგლისელებმა... ან რუსებმა, ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ მ ა , მ ხ ო ლ ო დ ქართველებმა,პატიოსანმა და მართალმა ქართველებმა ! არჩევნებამდე კიდევ ოთხი თვეა,თუ რვა ოქტომბერსაც ვერ გააკეთეთ არჩევანი,მიდით საარჩევნო უბანზე და წაშალეთ ყველა,ოღონდ თქვენი ბიულეტენი,თქვენი ხმა არავის დაუთმოთ,ნუ ასარგებლებთ თქვენი ოჯახის მტრებს! ხედავთ,საკუთარი თავის და უფლის იმედადღა დავრჩით! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!არ ვამბობ -,, გამარჯვება,ან სიკვდილი,,! ,მხოლოდ გამარჯვება, ქართველებო! სიკვდილი მტერს! ამინ!



**თამარა ჩერგოლეიშვილი:**

იმედის საინფორმაციო სამსახურის ახალი უ ფ რ ო ს ი ისაა, ჩემი და ჩემი უახლოესი მეგობრის ქმრის, გია ბარამიძის ცეკვა რომ ჩააკვეხა უკონტექსტოდ სიუჟეტში - ცეკვის გამო რომ ველანძლე ხალხს :)ეგეთი საინფორმაციოს უფროსი ყავს იმედს. ეგეთი ხარისხის.

იმ ვიდეოს მილიონ სამასი ათსი ნახვა აქვს და დღემდე ქოცების რკინის არგუმენტია.


ნანა სულავა
599 07-01-89

ორი კვირის განმავლობაში რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ვანო მერაბიშვილის საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მას შემდეგ უამრავმა ისეთმა ადამიანმა დამირეკა, რომელთა საქმეში უშუალოდ ვანო მერაბიშვილის ხელი იყო გარეული, რომლებმაც ათასი ჯურის სიბინძურით, ჩაშვება-დაბეზღებით და შანტაჟით, ხელისუფლების ჯურღმულებში გაატარეს წლები. ამჯერად, ერთ ისტორიაზე შევჩერდებით...

### » მოთმინების ფიალა აივსო!

**ამ ბედკრულ ქვეყანაში ასეთი უამრავი ისტორიაა... ხელისუფლება ამ ხალხს არც უსმენს და მათი ბედი არ ანაღვლებს... ამიტომ ,,ალია“ აგრძელებს რუბრიკას ,,მოთმინების ფიალა აივსო“. დაგვირეკეთ და თქვენს ტრაგიკულ ისტორიებს ქვეყანას გავაგებინებთ. 599070189 — ნანა სულავა.**

# რას უყვება „ალიას“ შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებულ საქმეთა ყოფილი გამომძიებელი?



**„მოსამართლე გიორგი ჩემია დღეს ისევ მოსამართლეა, ეს ზონდერი და კოჰაბიტირებული პროკურორი ქალი კუსრაშვილი, დღესაც პროკურორია. მე კი 9-წლიანი პატიმრობის შემდეგ მიწასთან გასწორებულ ადამიანს არც სახლი მაქვს და არც კარი. ინსულინს დღეში ხუთჯერ ვიკეთებ, გული ორჯერ მაქვს სტენდირებული. ერთი თვალების დახუჭვაღა მაკლია“**



**„ალიას“ ყოფილი პატიმარი, იურისტი შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, ნანა ხომერიკი დაუკავშირდა, რომელიც ვანო მერაბიშვილის აგენტის ცრუ დასმენით, ციხეში 9 წელი იყო გამოკეტილი.**

– როგორც კი „ნაციონალები“ შემოესია სელჩუკებივით ჩვენს ქვეყანას, ქვეყანაც და დავტოვე და ჩემი ხალხიც. ვგრძნობდი უსაშიშესი ძალა მოდიოდა ქვეყნის სათავეში და პეტერბურგში წავედი, იქ გავაგრძელე ცხოვრება. ჩემდა საუბედუროდ, 2004 წელს საქართველოში მომიწია ჩამოსვლა, რა ვიცოდი, ძებნაში თუ ვიყავი, თორემ ფეხს როგორ ჩამოვადგამდი. ეტყობა, იცოდნენ ბევრი რამე რომ ვიცოდი, 17 წელი სისტემაში ვმუშაობდი... აეროპორტში დამაკავეს და ჩუღურეთის პოლიციაში წამიყვანეს. ჩემს მიმართ ქალაქში ცნობილ მევახშეს, ზაირა ეპიტაშვილს ჩემს წინააღმდეგ საჩივარი შეეტანა, ერთი სიტყვით, სესხის გამო დამაკავეს. მერე გავერკვიე, ის ქალი ვანო მერაბიშვილის ოფიციალური აგენტი იყო, მას არც დაუმალავს პროცესზე ვანოსთან მეგობრობა, ეპიტაშვილს 3000 დოლარში 9 ათასამდე გადავუხადე და კიდევ უსინდისოდ, დარჩენილ პროცენტებს მთხოვდა, რაც შეგნებულად არ მივეცი, იმან კიდევ მიჩივლა... ახლა ყველაზე საინტერესო დეტალს გეტყვით. ჩემი საქმის მბრალმდებელი, ვაკე-საბურთალოს ერთ-ერთი პროკურორი დალი იმნაიშვილი გახლდათ. ის ადრე სამტრედიის პროკურორი იყო, ეს ზონდერი პროკურორი ქალი, მევახშის ზაირა ეპიტაშვილის მეგობარი აღმოჩნდა და გვიან გავიგე, რომ ეპიტაშვილი პროკურორ დალი იმნაიშვილის ფულს გასცემდა ვახშით და ასე ეწეოდნენ ე.წ. ბიზნესს. სამოქალაქო სასამართლოს დაწყებამდე, ანუ პირველ ინსტანციაში ჯანმრთელობამ მიმტყუნა და „რეზბალნიცაზე“ გადამიყვანეს. სასამართლოს სხდომები „რეზბალნიცაში“ ჩამიტარდა. პირველ სხდომაზე პროკურორი დალი იმნაიშვილი ტიმოშენკოს მსგავსი ნაწნავებით გამომეცხადა. მე ძლივს მიმიყვანეს პროცესზე, მაგრამ პროკურორისთვის ისეთის თქმა კი მოვასწარი, რამაც ის ძალიან დააფრთხო და შიშით და ადეკვატურად იძახდა, განსასჯელი ხომერიკი ძალიან ცუდად არის და სხდომა გადავდოთო. მახსოვს, ჩემი მოსამართლე ახალგაზრდა ბიჭი იყო, მის გვარს ვერ ვიხსენებ, ჩემს ნათქვამზე თავი მორცხვად დახარა. პროკურორ იმნაიშვილს იმდენი ჭკუა ეყო, რომ იმ ჩემი ნათქვამის გამო (ამას არც ახლა ვიტყვი საჯაროდ) თავდებში გავეთავისუფლებინე. მან კარგად იცოდა, რომ ჩემი დაჭერით მას პრობლემები შეექმნებოდა. ახლა ის ადვოკატობს. ჩემი თავისუფლება ხანმოკლე გამოდგა, ერთი წლის თავზე ისევ „მატროსოვზე“ მიკრეს თავი. მერაბიშვილის აგენტმა, ჩემმა მევახშემ ზაირა ეპიტაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ მე ციხეში დიდი ხნით გავემწესებინე. მათ ზურგს მერაბიშვილი და მთავარი პროკურატურა უმაგრებდა. პროცესზე არც დაუმალავს, რომ მერაბიშვილი პატრონობდა. როდესაც ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე მოსამართლე გიორგი ჩემიამ მოწმე ზაირა ეპიტაშვილს ჰკითხა, თქვენ ადვოკატი გყავთო? მან უპასუხა, – ჩემი ადვოკატები მერაბიშვილი და სააკაშვილიაო. მერე იქვე ჩემიას აჩვენა მერაბიშვილთან და სააკაშვილთან გადაღებული სურათი, სადაც ხელიხელგადახვეულები იყვნენ. მერაბიშვილის აგენტმა ზაირა ეპიტაშვილმა ესეც არ იკმარა და ერთ-ერთ პროცესზე ოთხი ცრუ მოწმე დამაყენა თავზე, როგორმე ჩემთვის ბრალი დაემძიმებინათ. ამ ქალებს საერთოდ არ ვიცნობდი და პირველად ვხედავდი სხდომაზე. იმ ოთხიდან ერთ-ერთმა ასეთი რამ თქვა, ნანა ხომერიკს ორივე ხელით სავსე ოქრო მივეციო. ჩემიამ ჰკითხა მოწმეს, ნანა ხომერიკს რა ნომერზე ურეკავდითო? რა თქმა უნდა, მან ჩემი ნომერი არ იცოდა. გაკვირვებულმა მოსამართლე ჩემიამ ჰკითხა, ამდენი ოქრო როგორ და სად გადაეცი, თუკი არც ტელეფონი იცოდი და არც სახლიო? რა უნდა ეპასუხა ამ ნაძირალას. ასე ამკვიდრებდნენ „ნაცები“ დემოკრატიულ ფასეულობებს და ევროპულ სტანდარტებს. სატანური მეთოდებით აბეჩავებდნენ ადამიანს და სასიცოცხლო უნარს უკარგავდნენ. ჩემი დაპატიმრება პროკურატურის ინტერესშიც შედიოდა და შეთითხნილი ბრალდებებით თავიანთი მოწმეებით ასაბუთებდნენ. ვანო მერაბიშვილს უფალმა მიუჩინა ბინა „მატროსოვზე“, სადაც მისი გამოისობით ჩემნაირებმა ღამე გაატარეს. მის აგენტს, ზაირა ეპიტაშვილს ჩემს გარდა მატროსოვზე კიდევ ხუთი ქალი ჰყავდა ასეთივე მეთოდით შემოყვანილი. ეს რომელიც მე ვიცი და კიდევ, ვინ იცის, რამდენი ჰყავს ჩემსავით გაუბედურებული. მერაბიშვილის აგენტი, ჩემი ცრუმოწმე ზაირა ეპიტაშვილი მაშინ 65 წლის ქალი იყო, ბენზინგასამართ სადგურში ბენზინს ასხამდა. სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდებოდა მერაბიშვილს, რომელიც ზუსტად ასეთ სიბინძურეზე აწერდნენ ხელს. მერაბიშვილი „მატროსოვზე“ კი არა, მსოფლიოში ყველაზე მკაცრ გუანტანამოს ციხეში უნდა იხდიდეს სასჯელს, იმდენი ცოდვა აქვს ჩადენილი. მახსოვს, მატროსოვზე შემოცვივდებოდნენ ჩემი პროკურორები და გამომძიებლები და თანამშრომლობას მთხოვდნენ. ქალი 17 წელი გამომძიებლად ვმუშაობდი და არ ვიცოდი მაგათთან თანამშრომლობა რას ნიშნავდა. მე ხომ თანამშრომელი ვიყავი-მეთქი, ვუთხარი. გვიან გავიგე, რომ მაგათ ენაზე სხვების ჩაშვებას მთხოვდნენ. ამაზე არ წავედი და დუმილის უფლებით ვსარგებლობდი. მოსამართლე ჩემიამ 9 წელი მომისაჯა, გამომძიებლები იყვნენ ზაზა მესხი, ირინა დეკანოსიძე. პროკურორ დალი იმნაიშვილის გარდა კიდევ ერთი ზონდერი პროკურორი ქალი კუსრაშვილი იყო, სახელი არ მახსენდება. მან ერთხელ ციხის უფროსის, მედიკო ალანიას კაბინეტში დამიბარა, იქ თავი ვერ შევიკავე და საფერფლე ავილე ხელში, რატომღაც ამ ნაძირლებს ეგონათ, რომ ბევრი ფული მქონდა. ჩემი სასამართლო პროცესები ციხის რეჟიმის უფროსის კაბინეტში ტარდებოდა, ეს იმიტომ, რომ მიშას სასამართლოს ბოიკოტი გამოვუცხადე და საერთოდ არ მივდიოდი. უსინდისო ჩემიამ „მატროსოვის“ ციხეში გამომიტანა სასჯელი 9 წელი. თავიდან ისე დავიბენი, რომ 9 თვე მეგონა, ეს ისეთი შოკი იყო, რომელმაც ჩემი ჯანმრთელობა დაანგრია. მოსამართლე გიორგი ჩემია დღეს ისევ მოსამართლეა, ეს ზონდერი და კოჰაბიტირებული პროკურორი ქალი კუსრაშვილი, დღესაც პროკურორია. მე კი 9-წლიანი პატიმრობის შემდეგ მიწასთან გასწორებულ ადამიანს არც სახლი მაქვს და არც კარი. ინსულინს დღეში ხუთჯერ ვიკეთებ, გული ორჯერ მაქვს სტენდირებული. ერთი თვალების დახუჭვაღა მაკლია, სხვა არაფერი... პარლამენტმა ახლახან მიიღო კანონი, ეს კანონი ყველას გვეხება იმ ხალხს, ვინც საკუთარ თავზე ვიწვნიეთ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი. კანონი სწორედაც ასეთი მტანჯველი პროკურორების მიმართ არის გამოტანილი, მათ პასუხი უნდა აგონ ხალხისა და ქვეყნის წინაშე. კანონს მაშინ აქვს ძალა, როცა ის მოქმედებაშია. ვანო მერაბიშვილი თუ პოლიტპატიმარია, მაშინ საქართველოში 90 პროცენტი ადამიანებისა ყველა პოლიტპატიმარია. მე 9 წელი მეკუთვნოდა და მერაბიშვილს 4 წელი?!..

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

**მერაბ შათირიშვილი:**

დღეს ქვემო ქართლში გახლდით, აღფრთოვანებული დავრჩი აზერბაიჯანელი მოსახლეობის მხარდაჭერით - რეფერენდუმთან დაკავშირებით - მათთვის წარმოდგენითაც შეუძლებელია ერთსქესიანთა ქორწინება, კეთილი შურით ვუსმენდი მოძმე ხალხის დამოკიდებულებას: - ოჯახი მხოლოდ კაცისა და ქალის ნებაყოფლობითი ერთობაა!.. როცა ამ ფრაზას ვამბობდი, გაოცებით მეკითხებოდნენ: აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება?!

აფერუმ ჩვენ მოძმე, მუსლიმ ქვემო ქართლელებს, ნოვატორული პათოსით ინაწილებდნენ სარეფენდუმო ბარათებს და მთელი ეთნიკური დასახლების ხელმოწერების დაფიქსირების პირობას დებდნენ!..

და, ისინი, ამ პირობას პირნათლად შეასრულებენ - ქედს ვიხრი მათ წინაშე, გაუმარჯოთ მათ!..



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**„გთხოვთ, მითხარით, რომ მძინავს და ეს მხოლოდ ღამის კოშმარია"! — ასე გამოეხმაურა ფინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალექსანდრ სტაბი დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებს. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა კი ამას ევროპისთვის და ბრიტანეთისთვის სევდიანი დღე უწოდა. ბრიტანელების არჩევანს მიესალმა საფრანგეთის „ეროვნული ფრონტის" ლიდერი მარი ლე პენი. მან სხვა ევროპულ ქვეყნებსაც მოუწოდა მსგავსი რეფერენდუმის ჩატარებისკენ. მოკლედ, ასეა თუ ისე, 23 ივნისს ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის მომხრეებმა ოფიციალურად გაიმარჯვეს — ამომრჩევლის 51,9%-მა გასვლას დაუჭირა მხარი, 48,1 % კი წინააღმდეგი იყო. პრემიერ-მინისტრი, დევიდ ქემერონი პრაქტიკულად უკვე გადადგა, 3 თვის განმავლობაში ეს ქვეყანა დატოვებს ევროკავშირს და ჩატარდება ვადამდელი არჩევნები. და მაინც, რა მოხდა, რატომ გახდა იძულებული ბრიტანეთის მოსახლეობა, ასეთი ნაბიჯი გადაედგა და რატომ აღმოჩნდა ეს ყველაფერი მოულოდნელი ევროპისთვის? არის თუ არა რეფერენდუმის შედეგი საბოლოოდ რუსეთის გამარჯვება და რა იქნება შემდეგ? ამაზე „ალიას" პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**

# „სამი გაკვეთილი უნდა გვესწავლა ბრიტანეთის ამ გადაწყვეტილებიდან!"



**„ასე თავქუდმოგლეჯილები რომ გავრბივართ უკანმოუხედავად, სად გავრბივართ? ხეირიანად არც ვიცით, რა არის ევროკავშირი"**

– სანამ მიზეზების განხილვაზე გადავალთ, უნდა ვთქვათ, რა გაკვეთილია ეს ყველაფერი ჩვენთვის.

> პირველი – აქ უნდა დავინახოთ, რა განსხვავებაა დემოკრატიულ ქვეყანაში საარჩევნო დაპირებასა და არადემოკრატიულ ქვეყანაში დაპირებას შორის. დევიდ ქემერონი 2013 წლის არჩევნების დროს ხალხს დაჰპირდა, თუ ამირჩევთ, მე ჩავატარებ რეფერენდუმს ევროკავშირიდან გასვლა-არგასვლის თაობაზეო.

მან აიღო ვალდებულება, 2017 წლის ბოლომდე ჩავატარებო, მაგრამ ეს გააკეთა წელიწად-ნახევრით ადრე.

**— 2013 წელს რატომ წამოიკიდა ასეთი ვალდებულება, რა საჭირო იყო?**

– იმიტომ, რომ ბრიტანეთში არის „შეერთებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია", რომელიც უკვე კატასტროფულად აგროვებს ქულებს, ამიტომ „ლეიბორისტებსა" და „კონსერვატორებს" ეშინიათ. „დამოუკიდებლობის პარტიის" ლოზუნგია: არავითარი ემიგრანტები ჩვენს კუნძულზე! 2013 წელს ქემერონმა ითამაშა დასწრებაზე, მოსახლეობას დაჰპირდა, ორ რეფერენდუმს ჩავატარებო და მოვიდა კიდეც ხელისუფლებაში. პირველი რეფერენდუმი იყო შოტლანდიის დამოუკიდებლობის თაობაზე და აქ ბრიტანელებმა გაიმარჯვეს, მეორე – ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე.

> საერთოდ, როდის ტარდება რეფერენდუმი? როდესაც პოლიტიკოსები ვერ იღებენ გადაწყვეტილებას და ბოლოს ეკითხებიან ხალხს, ეს არის დემოკრატიის უმაღლესი ფორმა.

ქემერონს ეგონა, რაც პირველ შემთხვევაში მოხდა, იგივე მოხდებოდა მეორეშიც, ანუ მოსახლეობა მხარს დაუჭერდა ევროკავშირში დარჩენას. ბოლო დროს ბრიუსელმა ძალიან ბევრი რამ დაუთმო ქემერონს და ის პირველი მომხრე იყო, რომ დარჩენილიყვნენ. ამბობდა, უკვე ყველაფერს მივაღწიეთ, მოლაპარაკებები წარმატებით დამთავრდაო, მაგრამ

> ინგლისელებს ყელში აქვთ ამოსული ჯერ ემიგრანტები, შემდეგ კი ეს მონსტრი, ანუ ბრიუსელის ბიუროკრატია. დაიღალნენ და აპროტესტებენ, ბრიუსელში წამომსხდარი ჩინოვნიკები არჩეულები არ არიან, შეგვიკლეს ხელში თავიანთი ბრძანებებით, რეგულირებებით და სტანდარტებითო.

ერთი კვირის წინ ბრიტანეთში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვები და ერთი ინდმეწარმე, რომელსაც აქვს პროფილაქტიკა, ჰყავს ერთი თანამშრომელი, დირექტორებიც თვითონ არიან, მუშებიც, ასეთ რაღაცას ამბობს: აგერ, ორი კაცი ვართ და პირდაპირ გავწამდით, ევროკავშირი დაახლოებით 90 ქაღალდის შევსებას გვთხოვს, ეს ქაღალდომანია უკვე ამოგვივიდა ყელში. ბიუროკრატია ინგლისელებისთვის უცხო ლაგამია, გავალთ და თავისუფლად ვიქნებითო. ამას დავანებოთ თავი, აქამდე

> დიდი ბრიტანეთი ევროკავშირს ყოველთვიურად უხდიდა 53 მილიონ გირვანქა სტერლინგს. კიდევ ერთი პრობლემა – ბრიუსელი ავალდებულებდა ინგლისს, რომ შესული ლტოლვილებისთვის უნდა ეხადა დახმარებები.

თან როგორ? დავუშვათ, არის ოჯახი, რომლის ორი წევრიც გადავიდა ინგლისში, სამი ან ოთხი დარჩა საფრანგეთში, რუმინეთში, ბელგიაში, ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში, ამ დარჩენილებისთვისაც უნდა ეხადათ დახმარება.

„აქ გადამწყვეტი როლი მაინც ემიგრანტების პრობლემამ ითამაშა – დევნილები ევროპაში შედიოდნენ და იქიდან მერე ყველა გადიოდა ბრიტანეთში, სადაც მათთვის სამოთხეა. მეორე გაკვეთილი ჩვენთვის: ასე თავქუდმოგლეჯილები რომ გავრბივართ უკანმოუხედავად, სად გავრბივართ? ხეირიანად არც ვიცით, რა არის ევროკავშირი. ახლა ნახე,

> რეფერენდუმის ჩატარებიდან თითქმის ერთი საათი იყო გასული და უკვე ჰოლანდიამაც გამოაცხადა, ჩვენც გვინდა რეფერენდუმიო, გავდივართო. ბელგიამ თქვა, გავდივართო.

**— არა, ევროკავშირის დაშლა რამდენად რეალურია? საბერძნეთმაც ჩაატარა რეფერენდუმი, ხალხმა გასვლას დაუჭირა მხარი, მაგრამ ფული მისცეს და დატოვეს. ბრიტანეთს ფული არ სჭირდება, აქ სხვა მომენტებია. თუმცა რამე ბერკეტები იქნება, რომ გამოიჭირონ და არ გაუშვან.**

– საბერძნეთი გააჩერეს, ფული მისცეს, ბელგიას, ჰოლანდიასა და ბრიტანეთს ფული არ სჭირდება. ბრიტანეთი მაინც კუნძულია, ინგლისელები მიჩვეულები არიან ცალკე ყოფნას და ვერ აიტანეს ბრიუსელის დიქტატი. მესამე გაკვეთილი ჩვენთვის: ფულს დიდი რამე შეუძლია, მაგრამ ყველაფერს არ წყვეტს დემოკრატიის პირობებში. ინგლისის ყველა დიდი კომპანია წინააღმდეგი იყო ევროკავშირიდან გასვლის.

**— რა თქმა უნდა, ახლა ყველას მოუწევს ახალი ხელშეკრულებების გაფორმება და იქნება ზედმეტი თავის ტკივილი.**

– ახლა ევროკავშირში დარჩა 27 ქვეყანა, ბრიტანეთმა ყველასთან ცალ-ცალკე უნდა გააფორმოს სავაჭრო ხელშეკრულებები. ეს 27 დაბოლმილი ქვეყანა რა პირობებზე დასთანხმდება, როგორ იქნება? ეს უკვე სხვა თემაა.

**— სავარაუდოდ, ბრიტანეთს ექნება დროებითი კრიზისი.**

– კი, იქნება დროებითი, ანუ რამდენიმეწლიანი კრიზისი, მაგრამ ეს ის არ იქნება, ჩვენ რომ ვართ მიჩვეული.

**— ეგ ვიცი, ფუნტი სტერლინგი დღეს 2,19 არ იქნება დოლართან მიმართებაში და ხვალ კიდევ 2,30. თქვენ როგორ ფიქრობთ, რაც ბრიტანეთში მოხდა, არის თუ არა ეს რუსეთის გამარჯვება? ფულის ტომარა სოროსი ამბობს, ეს პუტინის გამარჯვებააო.**

> – გამარჯვება ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ რუსეთისთვის კარგია, პუტინს სუსტი ევროკავშირი უფრო აწყობს.

ივლისში რუსეთს 6 თვით კიდევ გაუგრძელებენ სანქციებს, მაგრამ არ გამიკვირდება, თუ წლის ბოლოს გააუქმებენ. ამერიკა არა, მაგრამ ევროპა გააუქმებს. ახლა ზოგიერთი ექსპერტი პარალელებს ავლებს საბჭოთა კავშირის დაშლასთან, ეს სულ

ხათუნის ხანდოლი

სხვა მომენტია – საბჭოთა კავშირი დაიშალა მაშინ, როცა ფინანსურად გაკოტრდა. ევროკავშირს პრობლემებს უქმნიან ემიგრანტები, დაუფიქრებელი გადაწყვეტილებები და შეიძლება ვთქვათ, რომ

> ეს არის პოლიტიკური გაკოტრება და არა ფინანსური. ქალბატონი მერკელი, ყოფილი კომკავშირელი გამოდის და მოუწოდებს, ვისაც გინდათ, მოდით, კარი ღია გვაქვს, მუსლიმანებო, ჩამოდით, ფულს გაძლევთ, ბინებს, მობრძანდითო.

ბრიტანელები არ ტყუიან, ეს ხალხი იძახის, თავი დაგვანებეთ, ჩვენთვის წყნარად ცხოვრება გვინდა, 1957 წელს კი შევედით ევროკავშირში, მაგრამ მას მერე ბევრი რამე შეიცვალა, ამ პირობებით აღარ გვინდა თქვენთან ყოფნაო. ამ ეტაპზე შეიძლება დომინოს პრინციპით არ წავიდეს მოვლენები, მაგრამ ტენდენცია მაინც გაძლიერდება. ამის შემდეგ, როცა ბრიტანეთში დაიწყება დროებითი სირთულეები, ევროჩინოვნიკები ამას გამოიყენებენ და დაიწყებენ სხვა ქვეყნების დაშინებას, ნახეთ, გავიდნენ და პრობლემები შეექმნათ, თქვენ უარესი დაგემართებათო.

> იცი, ამ შემთხვევაში მთავარი რა არის? ევროკავშირი დაიშლება თუ არა, ამით ჩვენთვის ძირეულად რა იცვლება? ევროკავშირს გადასახადი რომ არ ვუხადოთ, ისე არ ვიცით, რომ ნეპოტიზმი დაუშვებელია და ეს გვღუპავს? ქრთამი რომ არ უნდა აიღო და მამიდაშვილობა არ იყოს, ამაშიც ფული ვიხადოთ? ჩემთან, ბაზალეთში, სადაც აგარაკი მაქვს, გარშემო არის ტყემლის ტყე. ჩამოდის ამდენი მოსავალი და ლპება, ყოველ წელს დაახლოებით 20 ტონა. ეს რაც ჩემი სახლის ფანჯრებიდან ჩანს. ამ დროს საქართველოში იყიდება ბრაზილიიდან და მექსიკიდან შემოტანილი ტყემალი. ამიხსენი, რატომ ღირს ვიეტნამიდან შემოტანილი კიტრის მწნილი 2,50 ლარი, ხოლო ადგილობრივი – 4,50 ლარი, მარნეულში წარმოება უფრო ძვირი ჯდება?

საერთოდ, ვიეტნამიდან აქ ბოსტნეული როგორ უნდა შემოდიოდეს? აღარაფერს ვამბობ თურქულსა და ირანულზე. რა გაჭირდა ამისთანა, ამას ევროკავშირი უნდა? ვსხედვართ და ველოდებით ვიღაცას, რას ელოდები, ვის ელოდები, ვერ ხედავ, რასაც ელოდები, იქიდანაც გარბიან?!

---

Facebook ამბები



**სანდრო ბრეგაძე:**

რატომ მოიგეს ნაცებმა კორცხელი???ეროვნულებმა ხელისუფლებას შეთავაზეს კანდიდატი,რომელიც 100%-ის ალბათობით მოიგებდა არჩევნებს.ადგილობრივმა ხელისუფლებამ და საარჩევნო შტაბმა უარი თქვა და დააყენა პორტირებული ნაციონალი.ერთი ნაციონალი მეორე ნაციონალის წინააღმდეგ.გაიმარჯვა ნაცმა.სხვათაშორის ის ხალხი ვინც ეს არჩევნები წააგო დააწინაურეს,ზოგიერთს მაჟორიტარ დეპუტატადაც აყენებენ.ყოველივეს ორი სახელი აქვს, ღალატი და პოლიტიკური მაზოხიზმი.იცოდეთ, რომ სამეგრელოს რეგიონს ნაცები მოიგებენ ოცნების ადგილობრივი ხელმძღვანელების ხელშეწყობით!!!!!! ეს არის სააკაშვილის ოცნებაც!!!!!



**ლევან ღვინჯილია 22 ივნისი:**

{ " დღევანდელ დღეს, ზუსტად 75 წლის წინ, ადოლფ ჰიტლერმა გადმოლახა იმ ქვეყნის სახელმწიფო საზღვრები, რომელსაც იოსებ სტალინი მეთაურობდა; ყველას კარგად მოგეხსენებათ, ეს ომი რითაც დამთავრდა. მაშ ასე!!!}

" ყურადღება, ყურადღება, ყურადღება !!!

" ძვირფასო "ფეისმეგობრებო"!

" ჩვენი ერთობლივი ბრძოლა "რომაელთა" წინააღმდეგ ახალ ფაზაში გადადის!!!

" 2016 წლის 1 ივლისიდან ვიწყებ ამ ბრძოლის მეორე, "საარტილერიო" ეტაპს, რომელიც იქნება სამართლიანი, დაუნდობელი და უკომპრომისო.

" ამიტომ ყველას გთხოვთ, საჯაროდ და პირადად მაცნობოთ: ვინ მოდის ამ "ომში" ჩემთან ერთად "საბოლოო გამარჯვებამდე"?!

" სამოქმედო სტრატეგიას გაგაცნობთ 1 ივლისს;

" მანამდე კი დავითვლი, რამდენი ნამდვილი ქართველი იქნება მზად თავისი დედაენისა და მისი უნიკალური ანბანის ღირსების დასაცავად!!!

" მასობრივი მობილიზაცია ამ წუთიდან დაიწყო!

" 22.06.2016. 22:45.

ა). გაერთიანებულ "არმიას" ამჯერად მე თავად ვუსარდლებ!

ბ) ჩემ პირველ მოადგილედ ვნიშნავ " ნატო ბექაურს.

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



# „კანეშნა“, რთულია ცხოვრება, როგორც კომუნისტების დროზე ვცხოვრობდით, ახლა ისეთი არ არის“



„პლანს“ ყოველთვის კარგად ვასრულებდი და „ნა დასკე პაჩოტა“ ყოველთვის იყო ჩემი სურათი გამოკრული... ახლა კიდევ ჩემი „პლანი“, ტუალეტში სუნი რომ არ დადგეს, ისაა...“

**დამლაგებელი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და დაუფასებელი პროფესიაა — ყველას უნდა სისუფთავეში იცხოვროს, იმუშაოს, მაგრამ ამ სისუფთავისთვის მომუშავე ადამიანისთვის შესაბამისი ანაზღაურების მიცემა — ცოტას... კიდევ უფრო მძიმეა, იყო საზოგადოებრივი ტუალეტების დამლაგებელი და თუ რატომ, ამას თავადაც ადვილად მიხვდებით. ჩვენი რუბრიკისთვის მორიგი რესპონდენტის მოსაძებნად ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე წავედი და შორიდანვე დავინახე ტუალეტის ლურჯი, ძველი შენობა, სადაც შესვლა 30 თეთრი ღირს. ახლოს რომ მივედი, ფიცრით აწყობილი პატარა დახლსუკან ასაკოვანი, სათვალიანი ქალბატონი იჯდა და რუსულ ჟურნალს კითხულობდა. თავიდან ვიფიქრე, რომ ის, ასე ვთქვათ, მოლარე იყო, თუმცა მასთან გასაუბრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის ტუალეტში ყოველი შემსვლელის შემდეგ, კაბინებს ალაგებდა, რეცხავდა და შეძლებისდაგვარად, მის სისუფთავეზე ზრუნავდა. როდესაც ინტერვიუ და მისი სამუშაოს ირგვლივ საუბარი ვთხოვე, მორიდებულად, რუსული აქცენტით მითხრა, — მე რა საინტერესო ვინმე ვარ, გოგონა, „ნე ტრატ ვრემია ნა მენია“-ო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, მაინც დამთანხმდა. ქალბატონი ვერა მიასოედოვა ძალიან საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა:**

– ეხლა ტუალეტს ვალაგებ, მაგრამ თავის დროზე „სვარშიკად“ ვმუშაობდი 33 წელიწადი. მერე მთელი ქარხანა გაუშვეს, არ გვჭირდებითო... იმ დროს 120 კილო ვიყავი და ერთ თვეში, ნერვიულობაზე, 80 კილო დავკარგე. ძალიან ძნელი დრო გავატარე...

**— ქარხანა რომ დაიკეტა, მას მერე სად მუშაობდით?**

– სად არ... ავადმყოფს ვუვლიდი ტფილისში, ფურნეშიც ვმუშაობდი პურს ვაცხობდი... სად აღარ ვიმუშავე, რომ ჩემს ოჯახს მოვეხმარებოდი. აქ უკვე ოთხი წელია ვარ. ცოტა-ცოტა ფეხზე დგები ახლა, ჩემი ფული მაქვს. პენსიას რომ ვიღებ, ყველაფერს რომ გადაიხდი, ნახევარიც აღარ რჩება და რაც რჩება, ის ჩემია. მე ყოფნის თუ არ ყოფნის, რა ვქნა? სხვა გზა არა მაქვს. „სვარკაზე“ ახლაც მეპატიჟებიან ხოლმე, მაგრამ ჩემი თვალები გავაფუჭე და ვერ ვიმუშავებ...

**— ეს სამუშაო თქვენით მოძებნეთ?**

– არა, ჩემი ნათესავი და მეზობელი აქ მომიყვანა, უმუშევარი ვიყავი და... ძნელია, „კანეშნა“, აქ მუშაობა, მაგრამ ნუ, რა ვქნა, გზა არაფერი არა მაქვს. პურის ფული მაინც აკეთებ ცოტა-ცოტა. თავის დროზე კარგად ვიყავი, მაგრამ ახლა ძნელია, შვილების მოვლა სჭირდება, შვილიშვილები, შვილთაშვილები... ყველა მთხოვს, ბებია, მომეხმარეო და მე საიდან?

**— რამდენია თქვენი შემოსავალი აქ?**

– 15 ლარი ერთი დღეში... სამი დღე მუშაობ, სამი დღე ისვენებ. ჩემი მოვალეობა ესაა – ტუალეტში რომ გადიან, მერე უნდა გარეცხო, ყოველ კაბინაში წყალს ვასხამ, ტუალეტი ძველია და ურემონტო და სისუფთავეს ვიცავ.

**— ეს რამე დაწესებულების ტუალეტი არ არის, ხომ?**

– არა, საკუთარი ტუალეტია, კერძოა და პატრონი ჰყავს. კომუნისტების დროს ააშენეს ეს და ერთი ადამიანი იყიდა, მერე გაიყიდა და ახლა სხვა პატრონი ყავს. ჩვენ, როგორც მუშა ხალხი, მოლარე და დამლაგებელი ვართ აქ, მეტი არა. დილის რვადან საღამოს ცხრა საათამდე ვარ. ახლა, „კანეშნა“, რთულია ცხოვრება, როგორც კომუნისტების დროზე ვცხოვრობდით, ახლა ისეთი არ არის. არც სამუშაოა ისეთი, რომ წაიმუშაო. ორი დიდი შვილიშვილები მყავს და არც ერთი არ მუშაობს.

**— გასაგებია... მინდა, თქვენს ძირითად პროფესიაზე გკითხოთ: როგორ და რატომ გადაწყვიტეთ თავის დროზე „სვარშიკობა“?**

– რვა კლასი რომ დავამთავრე, მამაჩემი იყო „სვარშიკად“ და ჩემ ძმას თხოვა, მაგრამ ძმამ უარი უთხრა. მერე მე, 16 წლისა რო გავხდი, მამას ვუთხარი, წაიყვანე და იმის მერე „სვარშიკად“ ვმუშაობდი.

**— თბილისელი ხართ?**

– არა, რუსეთში დავიბადე, მაგრამ აქ ვარ გაზრდილი და უკვე დაბერებული (იღიმის). მამაჩემი სოხუმელი იყო, დედა რუსეთიდან, მამა ომის ინვალიდი იყო. ბებიამ აქ მოიყვანა მერე და დავრჩით და დავრჩით, 1956 წლიდან აქა ვართ.

**— სახლი გაქვთ, თუ ქირით ცხოვრობთ?**

– სახლი მაქვს მე, მამაჩემის და დედაჩემის, ქირის გადახდა არ მიწევს, მაგრამ აუცილებლად ვიხდი შუქი, ნაგავი, ესა...

**— ოჯახში მარტო თქვენ მუშაობთ?**

– ბიჭი ჩემი მუშაობს, მაგრამ ნუ, ის თავისი ოჯახი აქვს, მე ჩემთვის ვარ. ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ მე ჩემი ოთახი მაქვს. ჩემი გოგო ცალკე ცხოვრობს.

**— სადმე სხვაგან რომ გემუშავათ, ალბათ, გიცდიათ, ხომ?**

– სხვაგან სად? ორივე ფეხი მოტეხილი მაქვს და აქ ჩემთვის ადვილია მუშაობა, კაბინებს რომ დავასუფთავებ, მერე დავჯდები, დავისვენებ ხოლმე. სხვაგან კიდევ უკვე საშუალება ისეთი არა მაქვს, წლოვანი ვარ და ასაკიც თავისას იღებს უკვე. აი, თუ ახალგაზრდა ვიქნებოდი, ისევ „სვარკაზე“ წავიდოდი, ჩემი ხელობა ძალიან მიყვარს (იღიმის).

**— რომელ ქარხანაშიც ადრე მუშაობდით, მარტო თქვენ ერთი ქალი „სვარშიკი“ იყავით?**

– ხო, მარტო მე და ერთი ქალი „კრანზე“ მუშაობდა. „სვარშიკობა“ ძალიან ლამაზი და კარგია (იღიმის). ადამიანი სუყველაფერი მიეჩვევა და ისევე ვიყავი მეც. თავიდან როცა არ ვიცოდი, მეშინოდა შუქის, იქით, აქეთ... მამაჩემი მეუბნებოდა ხოლმე – ეგრე გააკეთე, ეგრე გააკეთე, ნუ

## პროფესია

გეშინიაო და დავიწყე და დავიწყე.

**— ძირითადად, რას „სვარკავდით“ ხოლმე?**

– აი, დიდი დიღომი სულ ჩვენი ფორმებით არის აშენებული, რკინის ფორმებს ვაკეთებდით, „ბალკონებს“... ვარკეთილიც ჩვენი ფორმებით არის გაკეთებული. ჩვენს გაკეთებულ ფორმებზე მერე ბეტონს ასხამდნენ და მთლიანი კედელი აკეთებდნენ.

**— თქვენ მშენებლობაზეც მიდიოდით ხოლმე, თუ მხოლოდ ქარხანაში მუშაობდით?**

– არა, ქარხანაში ვაკეთებდი. სამტრედიის ქუჩაზე იყო ის ქარხანა ადრე, კაი ხელფასი მქონდა, კარგი სუყველაფერი... ახლა რა? სახლი მენგრევა, წყალი შემოდის. რო ვთხოვე ვისმე, მოდით, გამიკეთეთ, არავინ არაფერი არ მიკეთებს. სოციალურის დასანიშნად წავედი, მოვიდნენ, ნახეს, რომ ძველი „მებელი“ მაქვს, მაგრამ არ დამინიშნეს, მაღალი ქულები ჩამიწერეს.

**— რატომ, რა გითხრეს?**

– „ბაგატა ჟივიოშო“... სახლი თავზე მენგრევა და სოციალური არ მომცეს. გაზიც არ მაქვს მე და რომ ვითხოვე გაკეთება, არ მაძლევენ, რადგან სახლი დედაჩემზეა გაფორმებული, დედა კი რუსეთში ცხოვრობს, 92 წლის ქალი და ვერ ჩამომყავს აქ.

**— კერძო სახლში ცხოვრობთ?**

– ბარაკში, რამდენიმე ოჯახი ვცხოვრობთ. გაზი და ჭერი არის ჩემი პრობლემა, წყალი პირდაპირ ლოგინზე ჩამოდის. მეუბნებოდნენ, დარეკე ცხელ ხაზზეო, ვრეკავდი; მერიაში დავდიოდი, განცხადება დავწერე... გამგეობაში ჩვენი დეპუტატი შორენა იყო, გვარი დამავიწყდა იმისი... დიდი დიღომის დეპუტატი ქალი იყო და მგონი, ახლაც არის... არავინ არაფერს არ მეხმარება.

**— ქალბატონო ვერა, მოდით, პოლიტიკაზეც ვთქვათ ერთი-ორი სიტყვა.**

– თავის დროზე პარტიული ვიყავი, დეპუტატიც ვიყავი, მაგრამ ახლა პოლიტიკაში ჩართული არა ვარ და საუბარიც არ მიყვარს. 21 წლის ვიყავი, როცა „ნოვა ქალაქის“ დეპუტატი გავხდი, 1972 წელში. მერე როცა პარტიული ბილეთები ხევდნენ, მე არ დავხიე, შენახული მაქვს (იღიმის). ჩემი შვილები იცინიან ხოლმე, რად გინდაო... იყოს, დიდ ადგილს ხომ არ იკავებს. „ზა ტრუდავოე ატლიჩიე“ ჯილდოც მაქვს მიღებული, ვერცხლის მედალი. თვითონ გიორგაძე მოვიდა მოსკოვიდან და დამაჯილდოვა. „პლანს“ ყოველთვის კარგად ვასრულებდი და „ნა დასკე პაჩოტა“ ყოველთვის იყო ჩემი სურათი გამოკრული... ახლა კიდევ ჩემი „პლანი“, ტუალეტში სუნი რომ არ დადგეს, ისაა...

## Facebook ამბები



**ლადო ბედუკაძე:**

„შემაშფოთებელია, რომ საქართველოში რუსული ნარატივი (ნარატივი- სამყაროს აღქმის ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია) იზრდება", აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ყოფილი ექსპერტი მარგველაშვილი და ერთი -ერთში იმეორებს სააკაშვილის ფრაზეოლოგიას - „რუსული გავლენა, რუსული ფული.." სამწუხაროა, რომ დღემდე პრეზიდენტი სააკაშვილ - ბოკერიას აზროვნების ტყვეობაშია. პრეზიდენტი ღიად ეწინააღმდეგება ქართულ- რუსული მოლაპარაკების პროცესს. სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი პატივს არ სცემს საკუთარი მოქალაქეების განსხვავებულ აზრს და ნებას, რომლებიც, თუნდაც მისი მშობლიური NDI-ის კვლევების მიხედვით, ქვეყანაში სულ მცირე 31 %-ია. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლისას სწორედ, რომ ამ ფაქტორმა იქონია გარკვეული როლი. დღემდე იმედი, რომ მნიშვნელოვნად დარეგულირდებოდა სიტუაცია საქართველოსა და რუსეთს შორის დაუძლეველ სურვილად რჩება ,თუმცა არსებული ხელისუფლების დამსახურებაა, რომ იმპერიებს შორის კონფლიქტის ეპიცენტრმა საქართველოდან ჩრდილოეთით გადაინაცვლა. დრო, საქართველოს წინააღმდეგ მუშაობს, რუსეთის ხელისუფლება დღემდე ელის ქართული ხელისუფლების ნებას დაუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას .



**გიორგი ფოფხაძე:**

ეჰ, ევროპის ბაზრამდე ვერ შემოვახწიეთ თვარაა, ჩინელები რას გაგვიწევდენ კონკურენციას ფალშივკის და ტრუხას კეთებაში ჰაა?

**Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook**

**სოსო მანჯავიძე:**

მიხარია,რომ ნანა ლეჟავა დანიშნეს "იმედის"' საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელად. ის მართლაც მაღალი დონის ჟურნალისტია. საოცარია სიჭინავას, ტრაპაიძის,გეგელიას რეაქციები. ჯერ ერთი,მათ ავიწყდებათ,რომ ისინი არ არიან არხის მეპატრონეები. მეორე-მათ ავიწყდებათ,რომ წინასწარვე უსიამოვნო განაცხადებების გაკეთებით თანამშრომლობის შესაძლებლობას სპობენ. მესამე- "იმედი" ისევე როგორც მთელი ქართული ტელესივრცე, ტელევიზიების საინფორმაციო პოლიტიკა რადიკალურ ცვლილებებს საჭიროებს და პიროვნული კომფორტი და მაღალი ხელფასი,ისევე როგორც კავშირები ძველ თუ ახალ ხელისუფლებასთან არ უნდა გახდეს დაბრკოლება ამ ცვლილებებისათვის. მეოთხე-ბაია გადაბაძის მაგალითი ყველასთვის სახეზეა,არა მგონია, ის მიმზიდველი ყოფილიყო,ამიტომ გაუგებარია რატომ გახდა მისაბაძი სხვებისათვის..



Facebook ამბები

## facebook

**მალხაზ თოფურია:**



რა ხდება გურჯისტანში? ავისმომასწავებლად გაისმა ოდესის მახლობლად დაცემულ მიშან შაჰინის კარავში, ავისმომასწავლებელი დუმილი ჩამოვარდა, არ უყვარდა ოდესის მრისხანე მბრძანებელს ნეგატიური ამბების მოსმენა..... ყველაფერი კარგადაა ხალხს მხოლოდ შენ ენატრები, მთავრობა უნიათოა, შენ დროს გზები იგებოდა ქვეყანა ყვაოდა, პუტინს ნიღაბი მოხსენი.... ხმა ჩაიწყვიტე ძუკნავ! მე არ მითხოვია კურიერიდან საზეპიროები, მე ვიკითხე, რა ხდება გურჯისტანში? ო დიდო მბრძანებელო ცუდადაა საქმე, ამილახვარმა და ჯანდიერმა...აიმ სსორი ხაჩიძემ და ვაშაძემ! მიგატოვეს, ახალაია იმუქრება მატროსოვიდან გამოვალ დაკიდება როგორ უნდა განახებო, ვანოც რაღაცეებს იძახის, მაგრამ ჯერ ვერ გავშიფრეთ რა უნდა, მამაშვილი გაბაშვილი გიჟია ეგ გიულამოტ...იო, თარგამაზე ბოკერია შენ აძაღლებას ელიან......კმარა გაჩუმდი! კარგი სულ არაფერია,? ნუგზარი და აყუყიმ ჯოჯოხეთშიც ჩავყვებით იმამსო....ეგენი ვის რა ჯანდაბად უნდა? !! დიდო გუბერნატორო "პასილკაა" გურჯისტანიდან! შემოვარდა მალე მსრბოლელი..... სანდრას არ უთხრათ რისაც მეშინოდა ისაა(( რისი გეშინოდათ დიდო მბრძანებელო? პაატას თავია! რომელი პაატასი? ჩემი ერთადერთი და განუმეორებელი ბანიტონის! არა ეგ სხვა ზღაპრიდანაა, მაშ გველია,! რის გველი? კლეოპატრას რომ უკბინა! არა რას ბრძანებთ თქვენო მრისხანებავ.....ჰალსტუხების კოლექციაა თაყვანიმცემლებმა გამოგიგზავნეს,.. მასხრად მიგდებენ ხო ეგ დამპლები ! არა რას ბძანებთ უყვარხართ......გაეთრიეთ ყველანი ყველანი თავიდან მომწყდით., მე დიდ კიევს ავიღებ და გურჯისტანს შემოვიერთებ.... ესა და სხვა მრავალი სისულელე კიდევ დიდხანს ისმოდა მიშანხანის კარვიდან..... ვარდენი ისევ გაგიჟდა, ჩაილაპარაკა დამფრთხალმა გარემოცვამ და შაშინებულნი მიმოიფანტენ)

## facebook

**თამარ ჩერგოლეიშვილი:**



ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ რუსთავი ორის მიტაცების შემთხვევაში სანქციები დაეკისროს ყველას, ვინც ამ დანაშაულებრივ აქტში მონაწილეობას იღებდა.

აშშ სენატის მიერ მიღებული მაგნიტსკის გლობალური აქტი თუ თემთა პალატამაც დაამტკიცა (და დაამტკიცებს აუცილებლად - ჩვენი ვალია, დავაჩქაროთ), იმ მოსამართლეებსაც უნდა შეეხოთ სანქციები (სავიზო), რომლებმაც საქართველოში ერთადერთი მსხვილი პროდასავლური მედია დახურეს რუსი ოლიგარქის ბრძანებით.

ვფიქრობ, ეს გარკვეულწილად დაიცავს საქართველოს მოსახლეობას შემდეგი ხელისუფლების თავგასულობისგან. როდესაც მოსამართლეებს ეცოდინებათ, რომ მათ უმსგავსობას კონკრეტული შედეგი აქვს, მეტს იფიქრებენ, სანამ უმსგავსობაზე ხელს მოაწერენ.

**ჩვენ, პოეტები საქართველოსი!**



# ნება იბოძე, ბატონო გალაქტიონ, და უპასუხე გალაქტიონობაზე გამარჯვებულ ქალბატონ დიანას, შავ მიწაში არა გცივა?!

*გელა ზედელაშვილი*
*555 48-48-61*



უნიჭობა ყველგან უნიჭობაა – სოფელშიც, ქალაქშიც, მუნიციპალიტეტშიც, მერიაშიც, აკადემიაშიც და უნივერსიტეტშიც. უნიჭობას არც სახელი აქვს, არც გვარი და არც ეროვნება, მას ქმნიან უსახური ადამიანები, რათა შემდეგ თავზე მოახვიონ მასებს და გამოასირონ. ამის საუკეთესო ნიმუში გახლავთ 18-19 ივნისს ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშში მერვედ გამართული გალაქტიონობა, რომლის განრიგიც გახლდათ ასეთი:

08:00 სთ. გასვლა ქალაქებიდან და რაიონებიდან ვანის მიმართულებით; 11:00-18:00 სთ. კონკურსი სკოლის მოსწავლეებს შორის; 13:00 სთ. გალაქტიონის პოეზიაზე შექმნილი ნახატების გამოფენა; 14:00 სთ. სადილი; 18:00 სთ. კონკურსი 30 წლამდე ახალგაზრდებს შორის; 20:00 სთ. კონცერტი; 21:30 სთ. ვახშამი; 22:30 სთ. კოცონის ფონზე ახალგაზრდა პოეტების საღამო; 23:55 სთ. ძილი კარვებში.

მოკლედ, გავიდნენ „მავნები" ქალაქებიდან და რაიონებიდან ვანის მიმართულებით, ჩაატარეს კონკურსები, გამოფინეს, ისადილეს, 30 წლამდე ახალგაზრდებს ლექსები ათქმევინეს (ეტყობა, ვანში ახალგაზრდობის ცენზი 30 წლამდეა დაწესებული), ივახშმეს, დაანთეს კოცონი, თქვეს გალაქტიონისადმი მიძღვნილი ლექსები და დაიძინეს კარვებში 23 საათსა და 55 წუთზე. რა იყო, ხალხო, 24 საათზე რომ დაგეძინათ, ეს 5 წუთი წყვეტდა რამეს? პრინციპში, ეს ვანელების პუნქტუალობაზე მიანიშნებს და ნუღარ შევედავებით.

ასე იყო თუ ისე, გათენდა მეორე დღე. დასხდნენ ჟიურის წევრები და შეარჩიეს გალაქტიონისადმი მიძღვნილი ერთი ლექსი, რომელიც იქნებოდა საუკეთესო და დაიკავებდა პირველ ადგილს. ამ ნომინაციის ჟიურის „სასტავი" გახლდათ ასეთი:

თავმჯდომარე – ვახტანგ ჯავახაძე, წევრები – როინ აბუსელიძე, ლაშა ბიბიჩაძე, გურამ ჯახუტაშვილი, ვასილ ბესელია, ზვიად მეფარე.

ტაში, ამხანაგებო, ტაშიიიი! გამარჯვებულად გამოცხადდა დიანა ლომიძის ეს ლექსი:

**„მე დავრწმუნდი, მესაფლავემ**
**ჭეშმარიტად მართალი თქვა,**
**სამუდამოდ ასამარებს,**
**კაცის ხსოვნას სამარის ქვა.**
**ნეტავ ახლა რას იტყოდი?**
**როცა გამოსცადე თავად,**
**თუ დასტირის ვინმე ნეტავ,**
**შენს სამარეს გულსაკლავად.**
**თმა გაშლილი გსტუმრობს ვინმე?**
**ან ცრემლები ვინმეს სცვივა?**
**უნუგეშოს, მიუსაფარს,**
**შავ მიწაში არა გცივა?**
**განისვენე... განისვენე,**
**უკვდავია შენი ძილი,**
**დღეს აღარც შენს საფლავს რთავენ,**
**დიდებული ვარდ ყვავილით.**
**ხათრი მაქვს და თავს ვიკავებ,**
**არ მსურს ძვლები აგატკიო,**
**შენს პასუხებს ველოდები,**
**— მიპასუხე გალაკტიონ!**

დიახ, ნება იბოძე, ბატონო გალაკტიონ და უპასუხე შენს დღეობაზე ქალბატონ დიანას, შავ მიწაში არა გცივა? ნეტავ თუ გსტუმრობს ვინმე მთაწმინდაზე და დაგტირის გულსაკლავად? ადე, კაცო, თქვი, რატომ აღარ რთავენ შენს საფლავს დიდებული ვარდ-ყვავილით? მოკლედ, აღარ სურს დიანას, რომ ძვლები აგატკიოს, ხათრი აქვს, თავს იკავებს, თორემ ისეთებს გეტყოდა, საფლავში გადატრიალდებოდი და გადმოტრიალდებოდი. თუმცა ის მაინც გეაჯება, უპასუხე, უნუგეშოსა და მიუსაფარს არა გცივა? ბატონო გალაკტიონ, ვინაიდან შენ არ შეგიძლია პასუხების გამოგზავნა, ხომ შეიძლება, გამარჯვებულ პოეტს მე ვუპასუხო? იმედია, მკრეხელობაში არ ჩამითვლით.




**„ხათრი მაქვს და თავს ვიკავებ,**
**არ მსურს ძვლები აგატკიო,**
**შენს პასუხებს ველოდები,**
**— მიპასუხე გალაკტიონ!"**

პასუხები დიანა ლომიძეს გალაკტიონის მაგივრად: არა, შვილო, არ მცივა... არც უაზროდ ცრემლების ღვარღვარია საჭირო... თმაგაშლილები და კიკინებგაშლილები არც ჩემ დროს აკლდნენ საქართველოს და არც ახლა აკლიან, ადრეც საგიჟეთი იყო და ახლაც საგიჟეთია, სიწყნარე მინდა, აქ კი გაცილებით მეტი სიმშვიდეა: ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი! შვილო, გვირგვინები და დიადი ვარდები აღარ მჭირდება, თუ სამაგისო ფული გქონდათ, სანამ ცოცხალი ვიყავ, მაშინ უნდა მოგეცათ. რაც შეეხება შენს ლექსს, ამას ეს ფუნაგორია უფრო მოუხდება:

**„ჩვენს გაჭირვებულ „პროზას",**
**თუ გამოვაკლებთ „ოზას"**
**და დავუმატებთ „უწუნს" —**
**მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნს"!**

ესე იგი, პატივცემულმა ჟიურიმ (ვახტანგ ჯავახაძის მეთაურობით) პირველ ადგილზე გაიყვანა „პრუწუნ-პრუწუნი". ამას საზოგადოებაში მოჰყვა ძალიან უარყოფითი რეაქცია და ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც გრინ ბარეტის ფსევდონიმით წერს, სამართლიანი კუპლეტიც კი მიუძღვნა:

**„რაკი მგოსნებად თავი მოგაქვთ ამ ქვეყანაში,**
**ერთ გამოსავალს გეტყვით ამგვარ გართულებიდან:**
**თქვენ გალაკტიონს თუ აჯობებთ — მხოლოდ იმაში,**
**რომ გადმოხტებით უფრო მაღალ სართულებიდან"!**

არააა... გალაკტიონის დროს მეტი სართულები არ იყო, თორემ ვერც მაგაში აჯობებდნენ. ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, ლაშა ბიბიჩაძემ დიანა ლომიძის ლექსთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა:

„მე მქონდა ბედნიერება და მესამედ ვესწრებოდი ამ ფესტივალს, მოგეხსენებათ წლევანდელი ღონისძიება რაღაც არმოსალოდნელი ხარვეზების გამო სახეშეცვლილად ჩატარდა, თუმცა ამაში ორგანიზატორებს არაფერი დანაშაული არ აქვთ. პირიქით, ბოლომდე იბრძოლეს, რომ რაიმეს ხელი არ შეეშალა... რაც შეეხება კონკურსს მიძღვნებში. უნდა გამოვტყდე და არც ერთი ლექსი არ იყო ისეთი სიძლიერის, რომელიც ჩამრჩებოდა და დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. რა თქმა უნდა, ვულოცავ გამარჯვებულებს, მაგრამ ძალიან დამწყდა გული ერთ ლექსზე, რომელიც ჩემდა გასაკვირად სამეულშიც კი არ მოხვდა. ავტორი არ ვიცი, ვინ არის. ასევე, ძალიან დიდ პატივს ვცემ ჟიურის თავმჯდომარეს, ბატონ ვახტანგ ჯავახაძეს, თუმცა ამ სამეულმა და სამეულის გარეთ დატოვებულმა საუკეთესო ლექსმა, რაღა დაგიმალოთ და ეჭვები გამიჩინა. მოკლედ, ყველას წარმატებები, მაგრამ ეს უნდა მეთქვა".

აი, ხომ ხედავთ, თვით ჟიურის წევრსაც კი გაუჩინა ეჭვები ე.წ. საუკეთესო ლექსმა. რა თქმა უნდა, გაუჩენდა, როცა გაქვს ასეთი სტროფი და პირველ ადგილზე კი გაგყავს არა ლექსი, არამედ – უცნაური აბდაუბდა:

**„მაცარიელეთ, რომ შევავსო არსება იით,**
**რომ თეთრ ტილოზე ზღვას ნარევი დავხატო კერა,**
**აქამდე როგორ? — სიყვარულში ვცხოვრობდი ქირით,**
**და გადასახადს წვიმიანი დღეები კრეფდა".**

აი, ეს არის ნაღდი პოეზია, ამ ერთი სტროფისთვის უნდა მიეცათ პირველი ადგილი და შესაბამისად, ჯილდოც. მე წერილი გავუგზავნე ლაშა ბიბიჩაძეს და პასუხიც მივიღე:

– ლაშა, გამარჯობა, ვნახე გამარჯვებული ლექსი და გამიკვირდა. თურმე თქვენ ეჭვებიც გაგჩენიათ. გამოდის, არ ვცდები, აშკარად რაღაც მოხდა. მე ვაპირებ, ამაზე დავწერო „ალიაში", სადაც გამარჯვებულ ლექსს გამოვაცხადებ უსუსტეს ნაწარმოებად!

– გამარჯობა, მე, როგორც ჟიურის წევრი, ხმამაღლა ვამბობ, არ ვიცი, რა შეფასებები დაწერეს დანარჩენებმა, თუმცა ნამდვილად არ იყო სამეული არანაირი ლიტღირებულების მქონე. დაწერეთ, გამიხარდება ძალიან.

– პირველ ადგილზე გასულმა დიპლომის გარდა რა მიიღო, ფულადი ჯილდოც?

– არა, საჩუქრად მიიღო გალაკტიონის 25-ტომეული.

## facebook



**ცოტნე გამსახურდია:**

მოკლედ, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მიბურღავენ ტვინს ნაცნობები და უცნობები: არ მიდიხარ პოლიტიკაში? არ იქნები სიაში? და ეგეთები...

ადრეც მითქვამს, რატომ არ მინდა ამ ყველაფერში მონაწილეობა. ბევრი რამ მაწუხებს, მაგრამ მირჩევნია ჩემი პატარა საკეთებელი თავისუფალი ადამიანის სტატუსით ვაკეთო...

და კიდევ, რა არის იცით? არ ვიტყვი, რომ არასდროს მითქვამს ცხოვრებაში, მაგრამ ჭირის დღესავით მეზარება ტყუილების რახარუხი. ან დადექი ახლა და აპრავე სერიოზული სახით ვიღაცეები!

არ ვიზამ ამას, სანამ ცოცხალი და საღ ჭკუაზე ვარ! აქ კი სხვანაირად შეუძლებელია...

## facebook



**ვალერი კვარაცხელია 24 ივნისი:**

გილოცავ, ქართველო ერო! ევროკავშირი დაინგრა! ამერიკელთა მიერ შეკოწიწებულ ''ევროპის შეერთებულ შტატებს'' წერტილი დაესვა! სულ მალე, ასევე დაინგრევა ნატო! კითხეთ ამ რეგვენ ქართველ პოლიტიკოსებს, სად მიდიან ახლა, რომელ კავშირში?! გუშინწინ, 22 ივნისს, დიდი სამამულო ომის დაწყების 75-ე წლისთავზე, გორში, სახალხო მოძრაობა - ''სოციალისტური საქართველო'' დავაფუძნეთ. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა სახალხო წარმომადგენლებმა ამ ახალი, პროგრესული, დიდი სამომავლო მოძრაობის დაფუძნებას ერთხმად დაუჭირეს მხარი. ჩვენი დროშა წითელია! ჩვენი ჰიმნი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჰიმნია! ჩვენი დევიზია, - ''დედა-სამშობლო გვიხმობს!'' ჩვენი სლოგანია, - ''აჰყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე, ივერთ მხარეო!'' გიხმობთ, გეძახით, გეპატიჟებით! წითელი დროშებით გავრეკოთ ცისფერი და ცისარტყელას ფერების დროშებითა და უკანალის ფილოსოფია-იდეოლოგიით აღჭურვილი თახსირები ქართული პოლიტიკიდან! სატანის მოციქულები გავრეკოთ ქართული ტელეარხებიდან, ამერიკული ტელეარხები კი საქართველოდან! ევროკავშირის ნგრევის დღე საქართველოს გამოღვიძების დღეა! გილოცავთ!

Facebook ამბები



ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

# რა ვერდიქტს გამოუტანენ მაგდა







**გამომძიებელი: „თუ ბავშვის გაჩერება გინდა, მხოლოდ პირზე ხელის აფარება საკმარისია, ხოლო თუ განზრახ მკვლელობა გაქვს დაგეგმილი — პირზე და ცხვირზე უნდა ააფარო ხელი. პაპიძემ ხელი ცხვირზეც ააფარა“**

კარგა ხანია ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით მიმდინარეობს. ქვემოთ მაქსიმალურად ვეცდებით, სასამართლო პროცესის ყველაზე საინტერესო მომენტები და მოწმეების ჩვენებები შემოგთავაზოთ.

სასამართლო სხდომაზე პირველ მოწმედ ბრალდების მოწმე, ოთარ ბერძენიშვილი დაიკითხა – მამაკაცი, რომელთანაც, როგორც ბრალდება აცხადებს, პაპიძეს სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა და რომ სწორედ ამ ურთიერთობის გამო მოკლა პაპიძემ ქმარი, ომარ ქაფიაშვილი და 5 წლის შვილი, თორნიკე ქაფიაშვილი. პროკურატურამ მოითხოვა, რომ ბერძენიშვილის დაკითხვისას სხდომა დახურულიყო, რადგან პროცესზე მათი პირადი ცხოვრების დეტალებზე უნდა ესაუბრათ. შესაბამისად, რა ჩვენება მისცა ბერძენიშვილმა სასამართლოს, უცნობია. თუმცა მედიაში ვრცელდება წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ბერძენიშვილის ჩვენება:

„...თბილისში მშობლებთან და დასთან ერთად ვცხოვრობ. ძირითად დროს უბანში ვატარებ, რადგან ამჟამად არ ვმუშაობ. ჩემს უბანში მცხოვრებ ომარ ქაფიაშვილს ბავშვობიდან ვიცნობდი. ტოლები ვიყავით, ერთად ვიზრდებოდით და ნორმალური ურთიერთობა გვქონდა, თუმცა ახლო მეგობრები არ ვყოფილვართ... ოთარის მეუღლე მაგდა პაპიძე 2015 წლის ოქტომბერში გავიცანი. იგი ჩვენს უბანში ბენზინგასამართ სადგურ „ლუკოილის“ მაღაზიაში გამყიდველად მუშაობდა. სამ დღეში ერთხელ იყო „სმენაში“... მალევე მაგდას შევატყვე, რომ ყურადღებას იჩენდა ჩემდამი და სიმპათიით განეწყო. მწერდა მესიჯებს. ერთხელაც შემომთავაზა, ჩაი ერთად დავლიოთო. ვამჩნევდი, ჩემდამი ლტოლვა ჰქონდა, ერთხელაც მანქანით გასეირნება შემომთავაზა. წავიყვანე და... სისტემატურად მწერდა მესიჯებს, რომ მე ვიყავი მისი სუნთქვა და ჩემთან თავს ბედნიერად გრძნობდა. როცა მორიგე იყო, ვაკითხავდი, მიმყავდა მანქანით და მერე ისევ უკან ბრუნდებოდა. ღამე მუშაობის დროს, როცა გამომყავდა, მაღაზიას უტოვებდა ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორებს... მას ისე ვუყურებდი, როგორც რიგით ქალს. სხვანაირი გრძნობა არ მქონია. დამირეკავდა, მთხოვდა შეხვედრას, თუ მეცალა, ვხვდებოდი. მაგდასთვის არასოდეს მითქვამს, რომ მასთან ვაპირებდი ახლო ურთიერთობის დამყარებას. მისნაირ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ცოლად არასოდეს მოვიყვანდი... რაც შეეხება მის ფეხმძიმობას, მაგდას არასოდეს უთქვამს, რომ ჩემგან ფეხმძიმედ იყო. პირველივე ურთიერთობის დროს შევთავაზე, თავი დაეცვა, მითხრა, რომ სპირალი ედგა და თავს იცავდა. საერთო შვილის ყოლაზე არასოდეს გვისაუბრია. მე არანაირი გრძნობა არ მქონია, კიდევ ვამბობ, ჩემთვის ის ერთი რიგითი ქალი იყო და ნამდვილად არასოდეს მიფიქრია მისი ცოლად მოყვანა და მასთან ბავშვის ყოლა...“ – აცხადებდა მაშინ ბერძენიშვილი.

სასამართლო პროცესის ერთ-ერთ დღეს, ასევე, დაიკითხა მოწმე დიანა დიასამიძე – იმ მაღაზიის გამყიდველი, სადაც ბრალდებულმა პაპიძემ 25 ლარად ურო შეიძინა:

დიანა დიასამიძე: „19 დეკემბერს, დაახლოებით დილის 11 საათზე, მოვიდა მაგდა პაპიძე, მას ახლდა ბავშვი, დაათვალიერა იქ არსებული უროები, რაც ყველაზე დიდი იყო, ის იყიდა და წავიდა. მეორე დღეს ჩემთან მოვიდა ვიღაც მამაკაცი (გამომძიებელი) და მითხრა, ეს ურო ხომ არ გაგიყიდიათო და მაჩვენა სურათი, დავუდასტურე, რომ ჩემთან იყო ნაყიდი, მერე წამიყვანეს განყოფილებაში, ჩემს თვალწინ გახსნეს ურო და შევამჩნიე ტარზე სისხლის კვალი და უროზე ჩემი ხელით დაწერილი ფასი, 25 ლარი იყო მიკრული“.

დიასამიძის შემდეგ, დაიწყო საქმის გამომძიებლის, ნუგზარ ნათელაშვილის დაკითხვა, რომლის თქმითაც, მკვლელობის ღამეს შემთხვევის ადგილზე მისული იყო სხვა გამომძიებელი, თავად კი იმყოფებოდა პოლიციის განყოფილებაში, სადაც მიჰყავდათ მოწმეები, ის კი მათ ჰკითხავდა.

ნუგზარ ნათელაშვილი: „თანამშრომლებმა მაცნობეს, გარდაცვლილის გვამს ეტყობა თრევის კვალი, სისხლის კვალი იწყება სახლის ზღურბლზე, სისხლი აღმოჩენილია სახლშიც და მანქანასთანაცო. რაც მიუთითებდა იმაზე, რომ ეს დანაშაული ოჯახში იყო ჩადენილი. ოთახში სისხლი მოწმენდილი იყო, მაგრამ კვალი მაინც იყო დარჩენილი. მაგდა პაპიძე წარმოადგინეს პოლიციაში და რადგან ქალი იყო, ის გამომძიებელმა, თამარ ზედგენიძემ დაკითხა. პირველი ჩვენება, რაც მოგვცა პაპიძემ, რადიკალურად განსხვავდებოდა შემთხვევის ადგილზე ნანახი სურათისგან, რომლის მიხედვითაც სახლში იყო სისხლის კვალი და ამიტომ პირდაპირი ეჭვი იყო პაპიძეზე, მაგრამ რადგან ეჭვის საფუძველზე დაკავების უფლება არ გვქონდა, ვეძებდით სამხილებს დანაშაულის ადგილზე. ვიპოვეთ ურო...

22 დეკემბერს, როცა აღმკვეთი ღონისძიების სახით იკითხებოდა მაგდა პაპიძე, დამიკავშირდა ლანა პაპიძე და მითხრა, რომ ჩემთან შეხვედრა სურდა, აინტერესებდა, რა ხდებოდა ამ საქმეზე და ასევე, აინტერესებდა ოთარ ბერძენიშვილის სახლიდან ამოღებული ოქროს ბედი. შეხვედრისას, ლანა პაპიძემ მკითხა, დავუბრუნებდით თუ არა მას ოქროულობას, ვუპასუხე, რომ ამაზე ლაპარაკი ნაადრევი იყო და უტარდებოდა ექსპერტიზა, მან კი მითხრა, რომ იმ ოქროულობაში რამდენიმე მისი იყო“.

გამომძიებლის ამ სიტყვებზე სასამართლო დარბაზში მყოფმა მაგდა პაპიძის დამ, ლანა პაპიძემ, სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა, მოგვიანებით კი, ჟურნალისტებთან განაცხადა: გამომძიებელი იტყუება, ჩვენ ტალახს გვესვრიან. მე ასეთი რამ არ მითქვამსო...

გამომძიებლის, ნუგზარ ნათელაშვილის თქმით კი, მასთან მისული ლანა პაპიძე ემოციურად საშინელ მდგომარეობაში იყო:

„ლანას ვკითხე, ხომ არ ეჭვობდა, რომ ეს მაგდას ჩადენილი იყო, მან თქვა, ეს მაგდას ჩადენილიაო, როცა დედას დავურეკე თურქეთში, მანაც პირდაპირ მაგდაზე მიიტანა ეჭვიო. ლანა პაპიძემ ჩვენთან თქვა, რომ მის დას საყვარელი ჰყავდა და გაიხსენა ფაქტი, ერთ საღამოს „ლუკოილთან“, მაგდას მაღაზიაში რომ შევდიოდი, დავინახე ოთო, მისი გვარი იმ დროს არ ვიცოდა, ჩემს დაზე ეკიდა ხელი და ძალიან ტკბილად საუბრობდნენო, ამის გამო მაგდას შენიშვნა მივეციო. მოგვიანებით დავკითხეთ ოთარ ბერძენიშვილი, ბუნებრივია, მუშავდებოდა ვერსია, იქნებ, მაგდა პაპიძეს ჰყავდა თანამზრახველი. გადავამოწმეთ ბერძენიშვილის ჩვენება, როცა თქვა, რომ იმ დღეს იყო ორთაჭალაში და სახლში გვიან დაბრუნდა, ვნახეთ სატელეფონო ამონაწერები და სატელეფონო ანძების საშუალებით, ის მართლაც იმყოფებოდა იმ დროს ორთაჭალაში. ღამის 3 საათზე დაბრუნდა სახლში, 03:13 წუთზე კი მის ტელეფონზე მაგდა პაპიძის ზარი შევიდა.

შესწავლილია მაგდა პაპიძის ნომერიც, მისი სატელეფონო კავშირების გაშიფვრისას დავრწმუნდით, რომ პაპიძე იტყუებოდა, როდესაც ამბობდა, რომ მკვლელობის ღამეს ქმარს ტელეფონზე ელაპარაკა, თუმცა 19 დეკემბერს ინტენსიური სატელეფონო კავშირები ჰქონდა ოთარ ბერძენიშვილთან, ხოლო იმ დღეს ქმარს დაურეკა მხოლოდ ერთხელ, 15:20 საათზე. 17:00-დან 19:00 საათამდე მის ტელეფონზე ზარი არ შედის და 19:00 საათის მერე ინტენსიურად წერს მეზობელ ნანა ტუხაშვილს, რომლისთვისაც თმა უნდა შეეღება.

ასევე, გაიშიფრა დედამთილთან, დარეჯან მინდიკაურთან მიწერილი შეტყობინებები, მაგდა პაპიძე დედამთილს წერს, რომ ომარი და ბავშვი მოდიან, დაიძინეო, რეალურად კი, ამ დროს მეუღლესთან კავშირი ვერ ექნებოდა, რადგან ის უკვე გარდაცვლილი იყო. პაპიძე ჯერ 17:07 წუთზე ურეკავს ბერძენიშვილს და ბოლოს ურეკავს 03:13 წუთზე, მას სხვასთან არ დაურეკავს, არც ის დადასტურდა, რომ თითქოს მაგდა პაპიძემ პატრულში დარეკა. გაიშიფრა ასევე ომარ ქაფიაშვილის სატელეფონო საუბრები, ლანა პაპიძე თავის ჩვენებაში ამბობს რომ მის სიძეს ვიღაცამ დაურეკა და მისი

### სისხლიანი ქრონიკის

ზარის გამო გავიდა სახლიდანო, არც ეს დადასტურდა, რადგან 16:00 საათიდან ომარ ქაფიაშვილის ტელეფონზე არავის დაურეკავს.

25 დეკემბერს დამირეკა ომარ ქაფიაშვილის ძმამ, მალხაზ ქაფიაშვილმა, რომელმაც წარმიდგინა პატარა თორნიკეს ქურთუკები და პარკში ჩაწყობილი გირჩები, ბუმბული, ხელნაწერები, მონადირის ქანდაკება და მითხრა, რომ კარადაში აღმოაჩინა. ეს იყო პაპიძის სასიყვარულო ხელნაწერები, სადაც საუბარია ვიღაც მონადირეზე, და ამ მონადირეს პაპიძე ოთარ ბერძენიშვილს უწოდებდა“, – თქვა პროცესზე გამომძიებელმა.

მისივე ინფორმაციით, ბრალდებულმა მაგდა პაპიძემ შვილს სასუნთქი გზები გადაუკეტა და იცოდა, ამას რა შედეგიც მოჰყვებოდა. მან იმ მტკიცებულებებზე ისაუბრა, რომელიც მიუთითებს, რომ თორნიკე ქაფიაშვილი განზრახაა მოკლული.

„თუ ბავშვის გაჩერება გინდა, მხოლოდ პირზე ხელის აფარება საკმარისია, ხოლო თუ განზრახ მკვლელობა გაქვს დაგეგმილი – პირზე და ცხვირზე უნდა ააფარო ხელი. პაპიძემ ხელი ცხვირზეც ააფარა, სასუნთქი გზები გადაუკეტა და იცოდა, ამას შედეგად რა მოჰყვებოდა, ამიტომ ეს განზრახვა იყო. მანამდეც, მის მიერ გაკეთებულ ჩანაწერებში ეწერა – მოვუმზადო ტანსაცმელი ორივეს, გადავაფარო „სიდენიებს“ პარკები და ასე შემდეგ, რითაც ბავშვის მკვლელობის განზრახვამდე მივდივართ. ამასთანავე, შვილი დასთან ლანა პაპიძესთან შეეძლო დაეტოვებინა“, – განაცხადა ნუგზარ ნათელაშვილმა.

რამდენიმედღიანი სასამართლო პროცესის განმავლობაში ასევე დაიკითხა ექსპერტ-კრიმინალისტი გვანცა გუჯაბიძე, რომელიც შემთხვევის ადგილის დათვალიერებას აწარმოებდა და სახლში აღმოჩენილ სისხლის კვალზე ისაუბრა: „ბინაში, იატაკზე მოწითალო ფერის ლაქა იყო და ეს იმდენად ნათლად ჩანდა, რომ მისი დამუშავება და ხელოვნური ნათება არ იყო საჭირო. სისხლის ლაქა იყო დივნის სახელურზე, თავად დივანი არ დაგვიმუშავებია“.

პროკურორმა ექსპერტს ამ წინადადების განმარტება სთხოვა, ექსპერტმა კი დააკონკრეტა:

„ეს ხსნარი, რომელიც სისხლის აღმოსაჩენად გამოიყენება, აზიანებს ნივთებს და ვერიდებით, საყოფაცხოვრებო ნივთები არ გავაფუჭოთ. დივანი არ აგვიწევია, რადგან ვიზუალურად არ ჩანდა, რომ ის იწეოდა. იქვე იდგა პატარა მაგიდაც და იმაზეც აღმოჩნდა სისხლის კვალი. შპალერზე ლაქის მსგავსი არ შეგვიმჩნევია, რადგან ის მოწითალო ფერის იყო და თუ სისხლი ახალი იყო, შეიძლება არც გამოჩენილიყო. რაც შეეხება უროს, ის მე აღმოვაჩინე ქუჩის

მიმდებარე ნაგავსაყრელიდან. კარის სახელურზე და უროს თავზე იყო სისხლის ლაქები, ასევე, საწოლის ქვედა ზედაპირზეც. ჩვენამდე შემთხვევის ადგილი კინოლოგებმა დაათვალიერეს, ისინი ძაღლთან ერთად მუშაობდნენ, სუნის ანაბეჭდები რომ აეღოთ. კარის ზღურბლზე სისხლის კვალი დამუშავების შემდეგ გამოვლინდა... სისხლიანი ნივთები ორი სხვადასხვა ნაგავსაყრელიდან ამოვიღეთ, ისინი დაილუქა და საქმეს დაერთო, რაც შეეხება ბავშვის გვამს, ჩვენ გვამებს არ ვეხებით, მაგრამ მას სისველის მსგავსი ლაქა ჰქონდა", – განაცხადა გვანცა გუჯაბიძემ.

სასამართლოზე, ასევე, დაიკითხა ექსპერტი ელენე ჭითანავა, რომელმაც გვამები გამოიკვლია და რომლის ჩვენებაც მეტად საყურადღებოა:

„ომარ ქაფიაშვილის სიკვდილის მიზეზი ქალა-ტვინის მძიმე ტრავმაა. სიკვდილის დადგომიდან გასული იყო ფარგლებში, იმის დადგენა ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ მისთვის ურო რამდენჯერმე ჩაერტყათ.

სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მაგდა პაპიძის საქმის განხილვის პირველ სხდომაზე საქმის პროკურორმა ელენე ჩხაიძემ ბრალდება წაიკითხა და განაცხადა, რომ პაპიძის პირადი ჩანაწერი, რომელიც დედამთილმა იპოვა და გამოძიებას გადასცა, კალიგრაფიული ექსპერტიზით დადასტურდა, რომ სწორედ მაგდა პაპიძის გაკეთებულია.

რაც შეეხება მაგდა პაპიძეს, პროცესზე განცხადება მანაც გააკეთა და აქვე გთავაზობთ ნაწყვეტებს მისი სიტყვიდან:

„მე თავს არავის ვაცოდებ, გულწრფელად ვლაპარაკობ, ჩემი შვილი მიწაშია, დიდხანს მეგონა რომ ის ცოცხალი იყო, ბავშვი ხელში თბილი ჩემს მუცელს, სადაც დღემდე მეტყობა წიხლის კვალი, მაგრამ მერიდება. ვერ აღვწერ, რა ფიზიკური და მორალური ძალადობა გადავიტანე...

მე და ოთარ ბერძენიშვილი დიდი ხნის მეგობრები ვიყავით და არ ვაპირებდით ერთად ცხოვრებას, ამას, ალბათ, ისიც იტყვის სასამართლოზე, ამ თემასთან დაკავშირებით ველარ ვაზროვნებ, ჩვენ კარგი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, რაც შეეხება ნივთებს მე მას მივეცი და ვუთხარი, რომ 2 კვირაში გამოვართმევდი. მე არაფერი დამიგეგმავს", – განაცხადა პაპიძემ.

სასამართლოში ჩვენებები მისცეს ასევე მოკლული ომარ ქაფიაშვილის ძმამ და დედამ, დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვა კი მომავალი კვირიდან დაიწყება.

მანამდე კი, ბრალდებულის დედა ლია შამუგია სკანდალურ ინტერვიუს აძლევს „ამბები.ჯი"-ს, რომელიც არ

## სისხლიანი ტრაგედია

ლებული გახდა, მეგობარი ჰყოლოდა, რომ თანაგრძნობა მისგან ეგრძნო. ამ ბიჭს (ოთო ბერძენიშვილი) რა შეეშალა, იცი? თანაკლასელის ცოლთან არ უნდა გაებედა ურთიერთობა. გესმით, ეს რა არაკაცი და არაადამიანია?

– თქვენ რამდენიმე დღის წინ თქვით, რომ მომხდარის თქვენებური ვერსია გაქვთ...

– რაც არ დამინახავს, ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ ყველა საკითხს შეიძლება გამოვეკიდოთ. ომარის ძმა მახო დაკრძალვის წინა დღეს გამოჩნდა ოჯახში. სად იყო მანამდე, არავინ იცის, რამდენიმე დღით ადრე სტამბულშიც ეძებდნენ და აქაც. გვაჩვენოს პასპორტი, რა დროს გადმოკვეთა საზღვარი. ასევე, ერთი საეჭვო ფაქტი – იმ ტრაგიკულ დღეებში მე ვრეკავდი ხოლმე

# პაპიძეს ნაფიცი მსაჯულები?



მაგდა პაპიძე: მე და თორნიკეს უბრალო დედაშვილობა არ გვქონია. 2 თვე გვერდიდან არ მოვცილებივარ, ჩემს შვილს ჩემს ნაშიერს ვეძახდი..."



ოთარ ბერძენიშვილი; „მაგდასთვის არასოდეს მითქვამს, რომ მასთან ვაპირებდი ახლო ურთიერთობის დამყარებას. მისნაირ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ცოლად არასოდეს მოვიყვანდი..."

არანაკლებ 6 საათი და არაუმეტეს 14 საათი. ამ გამოთვლით დანაშაული საღამოს 17:25 საათიდან და 02:25 საათამდეა მომხდარი".

ექსპერტის დაკითხვა ფოტოების ფონზე მიმდინარეობდა. ის დეტალურად აღწერდა დაზიანებებს. მოკლული ომარ ქაფიაშვილისა და თორნიკე ქაფიაშვილის ფოტოების ეკრანზე გაშუქებისას ბრალდებულმა მაგდა პაპიძემ განაცხადა, რომ ექსპერტების დაკითხვას ვერ მოუსმენდა და მოსამართლის ნებართვით დარბაზი დატოვა.

ექსპერტ ჭითანავას თქმით, გარდაცვლილ ომარ ქაფიაშვილს, გარდა თავისა, დაზიანება ჰქონდა მარცხენა წვივზე და მკერდის მარცხენა მხარეშიც, ასევე ფეხზეც აღენიშნებოდა ნაჭდევები, მოტეხილობა არ ჰქონია. თორნიკე ქაფიაშვილის სხეულის დაზიანებებზე კი შემდეგი განაცხადა:

„ბავშვის გარდაცვალების მიზეზია ასფიქსია – ცხვირ-პირის შესავლების გადაკეტვა, ბავშვს აღენიშნებოდა წერტილოვანი სისხლჩაქცევები ტუჩის, ცხვირ-პირის, თვალბუდის არეში, ასევე შიგნით ორგანოებში და ეს ყველა დაზიანება ასფიქსიამ გამოიწვია... მარცხენა ყურის უკან ჰქონდა ხაზოვანი დაზიანება, მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით მიყენებული".

კითხვაზე, შესაძლოა თუ არა ეს სისხლჩაქცევები ფრჩხილს გამოეწვია, ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს სრულიად შესაძლებელი იყო.

თორნიკე ქაფიაშვილს გამოკვლევით დაუდგინდა ბრონქიტი და ქრონიკული ტონზილიტი, ანუ გარკვეული სახის ალერგიული ფონი, თუმცა მძიმე პათოლოგია ბავშვს არ ჰქონია.

დაკითხვისას ექსპერტ ელენე ნაჭყებიას კითხვით ნაფიცმა მსაჯულებმა მიმართეს. ისინი დაინტერესდნენ, რამდენჯერ შეიძლება ჰქონოდა ქაფიაშვილს ურო დარტყმული, რაზეც ექსპერტმა თქვა, რომ პირველად ჩატარებული ექსპერტიზის მყავდა. მე და ომარი სიყვარულით დავქორწინდით. რაც შეეხება ჩვენს დედაშვილობას, თორნიკე ჩემი პირველი შვილი იყო, შვიდთვიანი დაიბადა, გულის უკმარისობით, ტემპერატურის ვარდნით, ინკუბატორში უნდა გადაეყვანათ... არსებობს ფოტოები, სადაც კარგად ჩანს, როგორ წევს ბავშვი ჩემს გულზე, ექიმს ვთხოვე, ტემპერატურის ასაწევად ინკუბატორში წაყვანამდე ჩემს მკერდზე დაეწვინათ. ზუსტად 2 წუთში აეწია ბავშვს ტემპერატურა. ჩემი თორნიკე, ფაქტობრივად, ჩემს მკერდზე გაიზარდა. ამის თვითმხილველია ჩემი დედამთილი. ბავშვს ალერგიული ფონი ჰქონდა გაზაფხულზე და არანაირი ასთმა არ ჰქონია. მის განვითარებასა და განათლებაში ბევრი ინვესტიცია ჩავდე... მე და თორნიკეს უბრალო დედაშვილობა არ გვქონია. 2 თვე გვერდიდან არ მოვცილებივარ, ჩემს შვილს ჩემს ნაშიერს ვეძახდი...

რაც შეეხება ჩემს გამომწვევ ფოტოებს სოციალურ ქსელში, რაზეც აპელირებენ, ეს ჩემი ქმრის გადაღებული ფოტოებია. მე პარალელურად სარეკლამო სააგენტოებში ვმუშაობდი და პიარისთვის მჭირდებოდა... ცოლ-ქმარს იდეალური ურთიერთობა გვქონდა, მართალია, პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა, მაგრამ ეს ოჯახში არ გამოუხატავს. იდეალური და ვაჟკაცური მამაკაცი იყო, ფიზიკურად ძლიერი. რაც შეეხება უროს, მისი ყიდვა ჩემმა ქმარმა დამავალა. მე ხარჯთაღრიცხვას ყოველთვის ვაკეთებდი, შესაბამისად, ამ რვეულის მოძებნა თვითონ ვთხოვე გამომძიებელს, მასში აღმოჩენილი ჩანაწერი მე არ მეკუთვნის. ჩემს ქმარს 1000 ლარამდე თანხა მოჰქონდა ყოველთვე შინ, მისგან 500 ლარამდე მიდიოდა საბანკო ვალდებულებებში, მეც ვმუშაობდი, იმიტომ, რომ თორნიკეს წამალი არ მოკლებოდა, მას სასუნთქი გზების პრობლემების გამო სულ წამლები სჭირდებოდა.

მოვითხოვ, ჩემზე ძალადობის ფაქტის გამოძიებას... გაჩვენებდით გამორიცხავს, რომ გარდაცვლილი ომარის ძმა, მახო ქაფიაშვილიც იყო გარეული, რადგან, მისი თქმით, ძმებს ბოლო პერიოდში ურთიერთობა დაეძაბათ:

– მე მაგდას და ოთოს ურთიერთობის შესახებ არაფერი ვიცოდი. იცით, რომ თურქეთში ვმუშაობ. როდესაც ჩამოვდიოდი, მაგდასგან არ მიგრძვნია, რომ მას მეგობარი მამაკაცი ჰყავდა. თუ დედამთილმა ამის შესახებ რამე იცოდა, ეთქვა და იქნება დავლაპარაკებოდი ჩემს შვილს და გამომესწორებინა ეს ყველაფერი. თურმე ამას სცოდნია და მალავდა. ხომ შეიძლებოდა, გზაზე დაგვეყენებინა ეს ბავშვი და არ დანგრეულიყო ოჯახი, ეს საშინელება არ მომხდარიყო. კიდევ ვამბობ, მე არაფერი ვიცოდი, არც ლანამ იცოდა, თორემ მაგდას არ აპატიებდა. ისე ღრმად მწამს, რომ ოთო ბერძენიშვილი მკვლელობასთან არაფერ შუაშია. არც იმის შესახებ მსმენია, რომ ეს პიროვნება იყო მაგდას და ომარის ურთიერთობის დაძაბულობის მიზეზი. ომარს რომ ეს გაეგო, ამას არ აპატიებდა. ჩემთვის ძნელია ამ თემაზე ლაპარაკი. მე რომ მცოდნოდა, ქმარიც ჰყავდა და მეგობარი მამაკაციც, თავს მოვაჭრიდი, მაგრამ ხომ არის რაღაც მიზეზი, რის გამოც ვთქვათ და უღალატა. მე როგორც ვიცი, ომარს სიმთვრალეში ბევრი ეშლებოდა. ემოციური და ფიცხი ბიჭი იყო. მათი კამათი უკავშირდებოდა იმას, რომ ომარს სახლიდან ოქრო და ფული გაჰქონდა, სად მიჰქონდა, არავინ იცის. მაგდა ამბობდა, რომ მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ომართან ორი პირი მოსულა და სახლიდან გაუყვანიათ, რომ დაბრუნებულა, სახეზე ფერი არ ედოო. მე ეს ამბავიც არ ვიცოდი.

რაც შეეხება მეზობლების ჩვენებებს, ახლა გახდა მაგდა ცუდი დედა? მანამდე ამბობდნენ, რომ კარგი დედა იყო. ლილიც მანამდე ამბობდა, რომ კარგი დედა იყო, ძალიან კარგად უვლიდა ქმარ-შვილს. ესე იგი რაღაც მოხდა ადამიანში, რომ იძულილისთან, თუმცა გამორთული იყო. იცით, როგორი შთაბეჭდილება დამრჩა? კარტას ცვლიდა და სხვა ნომრიდან მიკავშირდებოდა. ვხედავდი, რომ ტელეფონზე ლაპარაკობდა, მაგრამ ტელეფონში თავისი ნომერი არ ჰქონდა ჩადებული. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ლილი მახოს ხელს აფარებს.

– როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ბოლო პერიოდში მახოსა და ომარს?

– ძმებს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. „ფეისბუკზე" იყო მიმოწერა, ჩემი თვალით მაქვს ნანახი. ომარი ეუბნებოდა, არ დაგინახო აქ ჩამოსულიო. ვიღაც გოგოს მოყვანას უშლიდა. არსებობს გოგონა, რომელიც მახოსთან მეგობრობდა, შემდეგ დაშორდნენ. ეს გოგონა ლანასა და მაგდასაც იცნობდა. მახომ ეს არ იცოდა. რომ გაიგო, დაურეკავს ამ გოგოსთვის და უთქვამს, მოგკლავ, ყელს გამოგჭრი, მოგზავნილი ხარო. ერთი თვის წინ მოხდა ეს ამბავი. ძალიან შეეშინდა ამ გოგონას, მუქარის მესიჯები ჩაწერილი გვაქვს. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ლანას და კიდევ მის სამ მეგობარს მახო ძალიან ემუქრება. იცით, მე გაგებული მქონდა, რომ მახო „ისლამურ დაჯგუფებაში" შესვლას აპირებდა. სურათებიც მოვიპოვეთ, სადაც უცნაურად გამოიყურებოდა, წვერიან ბიჭებთან ერთად იყო. საბრძოლველად უნდოდა თურმე წასვლა, ომარი სულ ეჩხუბებოდა ამაზე. ძმებს შორის დიდი ომი იყო, ეუბნებოდა ნუ მარცხვენო. უშლიდა „ისლამურ დაჯგუფებაში" წასვლას. მე რომ ძმების დიალოგი წავიკითხე, გული დამეწვა. ომარმა ძალიან დაჩაგრა მახო", – აცხადებს ლია შამუგია.

ამ სკანდალური საქმეზე სულ რამდენიმე დღეში ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტს გამოიტანენ და ბოლო დროის ყველაზე სასტიკი ტრაგედიის სამართლებრივი მხარე დასრულდება...



## facebook



დავით საყვარელიძე ირაკლი გილაურზე:

ეჰ ირაკლი ირაკლი.... ჩვენი გამარჯვების შემდეგ ისევ გულანთებული ნაციონალი გახდებით დარწმუნებული ვარ .... შემდეგ დრო გავა და ვინც გაიმარჯვებს იმისი და ასე....

არაა საწყენი, სამწუხარო რეალობაა ბიზნესის სიტუატიურ-კომფორმისტული ანატომიის...

მაინც ერთ შტრიხს მოვიყვან, 2012 წლის აგვისტოში რესტორან ქალაქურში იყვნენ შეკრებილი მსხვილი ბანკების და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები/პრეზიდენტები. ერთმა იმჟამიდელმა მოქმედმა მაღალჩინოსანმა მიმიწვია, როგორც მაჟორიტაროების პერსპექტიული კანდიდატი, რათა ბიძინას შეყრილი პოლიტიკური ნაგავსაყრელის შემყურე შეშინებული ბანკირები დამემშვიდებინა (ციხის კადრებამდე). მახსოვს ყველაზე აქტიური სწორედ ირაკლი გილაური გახლდათ, ყოფილი ენერგეტიკის მინისტრის და პრემიერ-მინისტრის ძმა, რომელსაც ლადო გურგენიძის აწყობილი და დავარცხნილი საბანკო მონსტრი გადაებარა. მახსოვს ყველას გასაგონად როგორ თქვა: "რამდენჯერ გამჩენია სურვილი, რომ ყველა ბანკირს საერთო იმეილი დავუგზავნო და მოვუწოდო თქვენ მოგცეთ ხმაო!". აღშფოთებული ისმენდა, როდესაც ქათული ოცნების კანდიდატებს ვუსახელებდი.

არავის მოეთხოვება და არც ირაკლის ვინმეს ქება-დიდება, თუმცა გილაურები ზოგადად და მათი ბიზნესი არასოდეს ყოფილა რომელიმე უსამართლობის ან ძალოვანების წნეხის ობიექტი, პირიქით, საბანკო სისტემის გადასარჩენად 2008 წლის ომის დროს, სწორედ იმ "პირსისხლიანი რეჟიმი"-ს პროკურორები და პოლიციელები დაატარებდნენ საქართველოში შემოსატანად საკუთარი რისკის ფასად და მოძმე სახემლწიფოების გვერდში დგომის შედეგად, საინკასაციო მანქანებით 200-300 მილიონ დოლარს მეზობელი ქვეყნების საზღვრებიდან რათა სისტემა გადერჩინათ. მეტს არაფერს დავამატებ. დრო და წინსვლის ახალი ტემპი თუ უშველის ჩვენ სიბნელეში და სრულ უპერსპექტივობაში ჩავარდნილ ქვეყანას. 55555

პს. ისე ნუგზარ ფოფხაძის საინფორმაციო საიტსაც ხატავს

## 27 ივნისი–3 ივლისის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული** – ეს პერიოდი არც-თუ კარგი დროა ვნებიანი რომანებისთვის. გადაჭარბებული ლტოლვა სიყვარულის მიღება-გაცემისკენ შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანიც კი გახდეს. საბედნიეროდ, დიდია იმის ალბათობა, რომ იმდენი საქმე გექნებათ, სიყვარულისთვის ვეღარც მოიცლით. ცოტა ხნის წინ გაბმულ რომანს გარკვეული პაუზა დადებით შედეგებს მოუტანს, მით უმეტეს, რომ საყვარელი ადამიანისთვის საკმარისი დროის გამონახვა ისედაც ძალიან გაგიჭირდებათ.

**სამსახური** – სირთულეებთან ბრძოლა გადასარევად გამოგდით და ამ კვირაში ეს თვისება ძალიან გამოგადგებათ.

**სასიკეთო დღეები:** 27, 29 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 1-ლი ივლისი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული** – მოსაწყენად დრო არ დაგრჩებათ. შემოქმედებითი აქტიურობა ყოველდღიურ რუტინას დაგაძლევინებთ და დროს სიყვარულისთვისაც გამოგანახვინებთ, რაც საქმიან ადამიანებს, სამწუხაროდ, ყოველთვის არ გამოსდით. მთავარი მაინც ის არის, რომ თქვენს გრძნობებს დადებითად უპასუხებენ, უბრალოდ, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სერიოზულად უდგებით ურთიერთობებს.

**სამსახური** – თქვენი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გამოგდით სილამაზის შექმნა.

**სასიკეთო დღეები**: 27, 28 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 ივლისი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული** – არ არის ხმაურიანი წვეულებების დრო, უმჯობესია, პარტნიორთან პირისპირ იურთიერთოთ. მოაგვარეთ საყოფაცხოვრებო საკითხები, შეიძინეთ რაიმე სახლისთვის, ან უკეთესს იზამთ, თუ რემონტზე იზრუნებთ. ეს ყველაფერი დადებითად იმოქმედებს პარტნიორთან ურთიერთობაზე. გამონახეთ დრო მშობლებისა და მშობლიური ადგილების მოსანახულებლად.

**სამსახური** – არცთუ საუკეთესო დროა ახალი წამოწყებებისთვის, თუმცა წარმატებული პერიოდია უძრავი ქონების შეძენის მხრივ.

**სასიკეთო დღეები:** 29, 30 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 28 ივნისი.

## ანომალია






მაია იასეშვილი
599 94-64-58


# „თუ თქვენ რომელიმე მკურნალმა შემოგთავაზათ ძველი სლავური ლოცვებით დახმარება და ციმბირიდან მოტანილი საშუალებები, შეგიძლიათ, თამამად ენდოთ!“

**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი მათიკო კანდელაკი ფიტოთერაპიითა და სიტყვის ენერგიით უამრავ დაავადებას კურნავს. მან ეზოთერული და ფსიქოლოგიური განათლება უცხოეთში მიიღო და მისი კურნების უნიკალური სისტემაც ფართო სპექტრს მოიცავს. გარდა ავადმყოფობათა განკურნებისა, მას შეუძლია, დაგეხმაროთ ცხოვრებისეულ პრობლემათა მოგვარებაში, რაც მთავარია, გასწავლოთ ურთიერთობა თქვენს ქვეცნობიერ სამყაროსთან. როგორც ჩვენი რუბრიკის სტუმარი განგვიმარტავს, ქვეცნობიერს ყველაზე უკეთესად შეუძლია, ადამიანს აპოვნინოს ის გზა, რაც მას ბედნიერ და ჰარმონიულ ცხოვრებას მოუტანს.**

– ჩემი მკურნალობის მეთოდებსა და მიმართულებას არ მიმართავენ მკურნალები საქართველოში, იშვიათ გამონაკლისთა გარდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომიწია როგორც პარაფსიქოლოგიისა და ეზოთერიკის, ასევე ფიტოთერაპიის შესწავლა. სამკურნალო ბალახების, რომელსაც სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ ვიყენებთ, ძირითადად ციმბირიდან ჩამომაქვს, იქიდანვე მომაქვს სამკურნალო მასალების დასამზადებლად კედრის ზეთი, რომელიც უნიკალური სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. აგრეთვე, ვიყენებ ლოცვით გაჯერებულ და წმინდა ადგილებიდან აღებულ სამკურნალო ზეთებს. ბევრმა არ იცის, რომ ყველა დაავადებას თავისი ლოცვა აქვს, რომელიც აორკეცებს პათოლოგიებთან ბრძოლას. მქონია შემთხვევები, რომ მხოლოდ ლოცვით და სიტყვის ენერგიით გამიკურნავს პაციენტები, ფიტოთერაპიული საშუალებების ჩარევის გარეშე.

**— თქვენს საქმიანობაში დიაგნოსტიკაც შედის?**

– ზოგჯერ პაციენტები ექიმის დიაგნოზით მოდიან, ზოგჯერ მე მიწევს დიაგნოზის დასმა. როცა ადამიანი იწყებს პარაფსიქოლოგიის შესწავლას და პაციენტებთან მუშაობას, ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევს, თუ მას არ აქვს რენტგენული ხედვის უნარი და აურის აღქმის შესაძლებლობა. ეზოთერული ცოდნის გარეშე შეუძლებელია კარმული დიაგნოსტიკა, რომელიც არცთუ იშვიათად იწვევს მთელ რიგ დაავადებებს. ჩემი მუშაობის ძირითადი საყრდენია ძველი სლავური ლოცვები, რომელიც ებრძვის როგორც ორგანულ დაავადებებს, ასევე სულიერ მდგომარეობას. აიოლებს და ხსნის გათვალვასა და ჯადოს,





ასევე საუკეთესოა ბიზნესში გასაძლიერებლად და, ზოგადად, ბარაქისა და წარმატების მოზიდვას ემსახურება. თუ თქვენ რომელიმე მკურნალმა ძველი სლავური ლოცვებითა და ციმბირიდან ჩამოტანილი ფიტოთერაპიული საშუალებებით დახმარება შემოგთავაზათ, შეგიძლიათ, თამამად ენდოთ. ჩემი ფიტოთერაპიული საშუალებები სწორედ ამ ლოცვებზე დაყრდნობით მზადდება. ამ ლოცვებს ვაძლევ ჩემს პაციენტებს და შემდეგ უკვე ჩემი დახმარება აღარაფერში სჭირდებათ, თვითონ შველიან საკუთარ თავს, ჩვენი საყოველთაოდ მართლმადიდებლური ლოცვების პარალელურად. არავინ იფიქროს, რომ ძველ სლავურ ლოცვებს, რომლებიც ჩვენს ხელთაა, რაიმე საერთო ჰქონდეს მაგიურ ცოდნასთან. მე მყავს ახლო ნათესავი, მდუმარებაში მყოფი ბერი, რომელიც, კურთხევით, სწორედ ამ ლოცვებს კითხულობს და რამდენადაც ვიცი, სხვა ღ ვ თ ი ს მ ს ა ხ უ რ ე ბ ს ა ც უზიარებს. გარდა ამისა, თუ თითოეული თქვენგანი საკუთარ ქვეცნობიერს აიძულებს, თქვენს სასარგებლოდ იმუშაოს, არ არსებობს პრობლემა, რომელიც თქვენ შეგაწუხებთ და ცხოვრების სირთულეებს არ დაგაძლევინებთ. მე ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც სჯერა, რომ ადამიანი ტანჯვისთვის კი არ შეიქმნა, არამედ სიხარულის, სიკეთისა და ბედნიერებისთვის. არადა, ყველაზე მეტად ამ ზემოხსენებულის დეფიციტს განიცდის კაცობრიობა და არც





ჩვენი ქვეყანა არ არის გამონაკლისი. ამას ემატება ფინანსური გაჭირვებით გამოწვეული წნეხი და დღითი დღე მცირდება ბედნიერ ადამიანთა რიცხვი. ამიტომაც არის, რომ, თუკი ვინმეს ხელი მიუწვდება, ცდილობს, ჩვენი ქვეყნიდან გაიქცეს. არადა, გამოსავალი მარტივია, ადამიანები გაემიჯნონ ნეგატიურ აზროვნებას, პოზიტიური ფიქრებით, რწმენითა და იმედით შეხედონ დღევანდელ და ხვალინდელ დღეს, ღმერთს ყოველდღე ლოცვით შეეხმიანონ. ასეთ დროს მცირდება შეცდომების დაშვების ალბათობა, მით უმეტეს, რომ უბრალო მოკვდავნი და ცოდვის შვილები ვართ და არავინაა დაზღვეული შეცდომებისა და შეცოდებებისგან. ახლა კი იმ მარტივ მეთოდებს გაგანდობთ, რომლითაც თქვენს ქვეცნობიერს აიძულებთ, მხოლოდ და მხოლოდ სასიკეთოდ და სასარგებლოდ იმუშაოს. პირველი, რაც უნდა გავითავისოთ, არის ის, რომ ჩვენი ქვეცნობიერი სულ მუშაობს. ანუ აქტიურია დღისითაც და ღამითაც, იმისგან დამოუკიდებლად, მასზე ზემოქმედებთ თუ არა. ქვეცნობიერი თქვენი ორგანიზმის მშენებელია, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ, ეს შინაგანი რთული პროცესი მოისმინოთ, თუნდაც ამისთვის თქვენს გონებას ძალა უნდა დაატანოთ. თქვენთვის ხელმისაწვდომი სფერო ცნობიერი გონებაა და არა ქვეცნობიერი. თქვენი ცნობიერი საუკეთესო მოვლენების მოლოდინში ამყოფოთ, შეეცადეთ, თქვენთვის ყოველდღიურად დამახასიათებელი აზროვნება რწმენას, სამართლიანობასა და სიყვარულს ემყარებოდეს. თქვენს ცნობიერზე აუცილებლად ზრუნვა უნდა დაიწყოთ, ეს იმიტომ, რომ მთელი სულითა და გულით უნდა გახსოვდეთ, ქვეცნობიერი ყოველთვის იმას გამოხატავს, შთანთქას და წარმოქმნას, რაც თქვენი აზროვნების სტილს შეესაბამება. რწმენა და დარწმუნება, ქვეცნობიერის ფიქრებია, თუ გწამთ, გამოდის, რომ რაღაცას ჭეშმარიტებად მიიჩნევთ, თქვენ მიერ რეალობად მიღებული აზრი ავტომატურად შესრულდება. გაიხსენეთ მაცხოვრის ნათქვამი, შენი რწმენისამებრ მოგეზღოს შენო. ყველა განცდა შეუსრულებელი სურვილების შედეგად წარმოიშობა, თუ რამე პრობლემაზე ან რაიმე სურვილზე ჩაიციკლებით, მაშინ თქვენს ქვეცნობიერს საპასუხო რეაქცია ექნება. ასე რომ, თუ თქვენ კეთილდღეობის გზას თვითონვე უღობავთ, ეს თქვენი ნეგატიური ფიქრების ბრალია. ცხოვრების პრინციპები თქვენი გავლით ყოველთვის რიტმულად და ჰარმონიულად იდენს. ასეთი ინფორმაცია გაცნობიერებულად ხშირად გაიმეორეთ ხოლმე. მე მჯერა, რომ ქვეცნობიერის ძალა, რომელმაც ჩემში სურვილი დაბადა, ასრულდება. შფოთით, შიშებითა და მღელვარებით, შეგიძლიათ, სუნთქვის, გულისძგერისა და სხვა ორგანოების მუშაობის ბუნებრივი რიტმი დაარღვიოთ. მიმართეთ თქვენი ქვეცნობიერის ფიქრები ჰარმონიაზე, სიმშვიდეზე, ჯანმრთელობასა და ორგანიზმის ყველა ფუნქცია დარეგულირდება. წარმოისახეთ თქვენი პრობლემების ბედნიერი გადაწყვეტა, ანდა კეთილად დაბოლოება. თქვენი არსებით შეიგრძენით ამბის სიხარული, თქვენს ფანტაზიებსა და შეგრძნებებს ქვეცნობიერი ჯერ მკაფიოდ აღიქვამს და როცა საჭიროდ ჩათვლის, აუცილებლად აასრულებს. არც ერთი დღე არ განეშოროთ ღმერთთან შეხმიანებას ლოცვებით.

## 27 ივნისი–3 ივლისის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული** – ეს პერიოდი საკმაოდ ხელსაყრელია ნაცნობობისთვის და ურთიერთობის გაბმისთვის. შესაძლოა, პირველ ეტაპზე ყველაფერი ზ ე დ ა პ ი რ უ ლ ა დ მოგეჩვენოთ, თუმცა დროთა განმავლობაში დაინახავთ, რომ ცდებით და რომ ურთიერთობას ნამდვილ გრძნობაში გადაზრდის პერსპექტივა აქვს. მართლაც გონიერი ადამიანი ხართ და ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებას მაქსიმალურად ერიდებით.

**სამსახური** – ძალიან ნაყოფიერი იქნება საქმიანი მივლინებები და მოლაპარაკებები.

**სასიკეთო დღეები:** 1 ივლისი; **არახელსაყრელი დღეები:** 28 ივნისი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული** – წარმატებული დროა ნაცნობობისთვის და ურთიერთობისთვის არაფორმალურ გარემოში. გაანებივრეთ რჩეული ყურადღებით, გამონახეთ დრო რესტორანში წასვლისთვის. არ დაგავიწყდეთ, რომ საჩუქრები – ეს არის ის, რაც მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება. ზოგადად, მიმდინარე კვირაში საპირისპირო სქესისგან ყურადღება და საჩუქრები ლომებს არ მოაკლდებათ.

**სამსახური** – შეგიძლიათ, გადაჭრათ სერიოზული ფინანსური საკითხები, გააკეთოთ მსხვილი შენაძენები.

**სასიკეთო დღეები:** 1, 3 ივლისი; **არახელსაყრელი დღეები:** 30 ივნისი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული** – ქალწულებს მიმდინარე კვირაში ყოველმხრივი წარმატება ელით. მოცემული მომენტის ყველა წამოწყება პოზიტიურ განვითარებას ჰპოვებს. პირად ცხოვრებაში ცვლილებები გელით, რა თქმა უნდა – სასიკეთო! კარგი პერიოდია პაემნებისთვის, ასევე, ურთიერთობის განახლებისთვის. ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, თქვენს შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. არ ჩაიკეტოთ საკუთარ თავში, იყავით გახსნილი და გულღია.

**სამსახური –** გარკვეული სირთულეების მიუხედავად, ახალი პროექტების წამოწყებაზე უარი არ უნდა თქვათ.

**სასიკეთო დღეები:** 27, 28 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 1 ივლისი.

## 27 ივნისი–3 ივლისის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული** – ცოტა ხნით დაივიწყეთ რომანტიკა, სექსუალური აქტიურობა და გმირობები სასიყვარულო ფრონტზე. ნაცნობობისა და ურთიერთობის წამოწყებისთვის ახლა ყველაზე ცუდი პერიოდი დგას. თუკი ძველი ურთიერთობა ზედმეტ ტვირთად გაწვებათ, უმჯობესია, განშორებაზე დაფიქრდეთ, თუ, რა თქმა უნდა, დაქორწინებული არ ხართ. თუმცა, ცოლქმრულ კავშირსაც ამ პერიოდში სერიოზული გამოცდების ჩაბარება მოუწევს. მოსალოდნელია წყენა, გაუგებრობა და როგორც შედეგი – დეპრესია.

**სამსახური** – შედეგების შეჯამებისა და ადრე დაწყებულის დასრულების დრო დადგა.

**სასიკეთო დღეები:** 28 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 ივლისი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული** – თუკი პირადი ცხოვრების გამრავალფეროვნება და განახლება გსურდათ, ზუსტად ეს დროა დამდგარი. ცვლილებებს არ შეუშინდეთ. ტრადიციონალიზმი ახლა თქვენთვის დამღუპველია, ეძიეთ არასტანდარტული მიდგომები, შეეცადეთ, პარტნიორი გააკვირვოთ. მოულოდნელი საჩუქრები და შეხვედრები ახალ ადგილებში თქვენს ურთიერთობას ახალ ტონებს შესძენს. შესანიშნავი კვირაა მეგობრებთან ერთად დასვენებისთვის.

**სამსახური** – მოსალოდნელია ავანტიურული გადაწყვეტილებების მიღება, შედეგების წინასწარ განსაზღვრა კი შეუძლებელი იქნება.

**სასიკეთო დღეები:** 27, 28 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 ივნისი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**სიყვარული** – არ არის გამორიცხული, საყვარელმა ადამიანმა ბრალდებები წამოგიყენოთ.



მორალურად მზად უნდა იყოთ ურთიერთობის გამძაფრებისთვის, განსაკუთრებით კვირის ბოლოსკენ. არ გიყვართ საკუთარი თავისუფლების შეზღუდვა და ღიზიანდებით, როცა პარტნიორი ზეწოლას ცდილობს, მაგრამ მომდევნო კვირებში მოგიწევთ, ამ უსიამოვნებას შეეგუოთ. შესაძლოა, კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სამსახურში შექმნილი სიტუაცია გახდეს – ძალიან დაკავებული იქნებით.

**სამსახური** – წარსულში დასახულ მიზანს სწორედ ახლა მიაღწევთ.

**სასიკეთო დღეები:** 29, 30 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 ივნისი.



მაია იასეშვილი
599 94-64-58



# „ჩემი შვილი დაბადებამდე ზუსტად ისეთი ვნახე სიზმარში, როგორიც ახლაა“

**რუბრიკის სტუმარია პოეტი ეკა ბაქრაძე.**

– როცა იღბალსა და სასწაულებზე ვმსჯელობთ და ვსაუბრობთ, ხშირად მეუბნებიან გარშემომყოფნი, მეტი იღბალი და ვსაუბრობ, რაზეც წარმოდგენაც არ აქვთ ბავშვებს. ახლაც კი მიკვირს, რა ძალამ მათქმევინა 11 წლისას თქვენი ახლანდელი კითხვის პასუხი ბედისწერაზე: „თუ ბედის წიგნი ცაში ჰკიდია, რისთვის დავეძებთ იღბალს მიწაზე, სიცოცხლე მაინც ბეწვის ხიდია, ამორანდული გულის ფიცარზე“... როცა ამ პოემას ვწერდი, მეგონა, რამდენი კაქტუსიც გამოესხმებოდა მცენარეს, იმდენი სული ჩნდებოდა მიწაზე.

**— ბავშვობაში იყო თუ არა შემოქმედებითი პროცესი თქვენთვის შეხვედრა შეუცნობელთან?**

– შეუცნობელი პროცესი იყო ზეძალის ჩარევა, – ზოდიაქოს ნიშნით თევზები ვარ და ძალიან მაინტერესებს ასტროლოგია. 20 წლის ვიყავი, როცა მიხეილ ცაგარელმა პირადი ჰოროსკოპი შემიდგინა და საკუთარი პერსონის შესახებ, მანამდე უცნობი ბევრი რამ გამაგებინა. ისიც მითხრა, რომ ჩემი კარმული ვალი ყოფილა ოჯახის შექმნა და დღემდე მომდევს ეს ვალი. ჩემს პირად ჰოროსკოპში მითითებული იყო მოსალოდნელ შემთხვევათა შესახებ, რომელიც მაინც ვერ ავიცილე. ის აუდიოკასეტა ხშირად რომ მომესმინა, ალბათ, ავიცილებდი იმ შეცდომებს. დღემდე ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ასტროლოგიურ რჩევებით ვიღებ. წიგნების პრეზენტაციებსაც ასტროლოგიური რჩევით ვმართავ. ასევე, ვითვალისწინებ ფენ-შუის. ფენ-შუის მიხედვით მაქვს ავეჯის განლაგება, ფერთა შეხამება, სარკეების ადგილი.



სასწაული რა გინდა, 11 წლის ბავშვი წიგნის ავტორი გახდი და თბილისში ბინა გაჩუქა ხელისუფლებამ. არ შემიძლია, დავივიწყო ირაკლი აბაშიძის როლი, რომელმაც ხელისუფლებასთან მიშუამდგომლა და მისი ინიციატივით დამასაჩუქრეს თბილისში ბინით, მაგრამ არც მაშინ და არც ახლა არ მივიჩნევ ამ ფაქტს არც სასწაულად და არც ბედის საჩუქრად. თვითონ პოეტური ნიჭი არ მიმაჩნია იღბლის დამსახურებად, პოეზია და შემოქმედებითი პროცესი, უბრალოდ, აბალანსებდა იმ მძიმე ჯვარს, რომელიც ცხოვრებისგან მივიღე... მისტიკითა და შეუცნობელი სამყაროთი ბავშვობიდანვე დავინტერესდი. პირველი, რისმა გაცნობიერებამაც ბევრჯერ დამაფიქრა, ეს არის მეზობლის გარდაცვალება. ვიღაც ბავშვმა თქვა მასზე, მოკვდაო, უფროსებმა შეუსწორეს, მოკვდა კი არა, გარდაიცვალაო. მაშინ დავინტერესდი, რაში გამოიხატებოდა გარდაცვალების უპირატესობა სიკვდილთან შედარებით. მაშინ ამ თემაზე სერიოზულად არავინ მესაუბრებოდა. 11 წლის რომ ვიყავი, 5 წლის ბიძაშვილი გარდამეცვალა, არ მინდოდა იმ აზრთან შეგუება, რომ ის ალარსად არის. იმის გაცნობიერება, რომ გარდაცვალება რაღაც ზეგანზომილებაში გადასვლის დასაწყისია, მიმსუბუქებდა მისი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს და მას 11 წლის ასაკში მივუძღვენი პოემა „კაქტუსი“, სადაც იმ თემებზე და ამოუცნობ მოვლენებზე თუმცა ამას ახლა ვხვდები. ბავშვობაში ლექსები მზამზარეული ფორმით მოდიოდა. როცა გავიზარდე, რაც უფრო მეტს ვფიქრობ სათქმელზე, ფორმაზე, სიტყვის ჩუქურთმაზე, ისე რაკრაკით აღარ მოდის სალექსი სტრიქონები. ბავშვობაში ბევრად უფრო იოლი იყო ჩემთვის წერა.

**— ფილოსოფიური აზრებით დატვირთულს არ გიჭირდათ თანატოლ ბავშვებთან თოჯინებით თამაში?**

– თოჯინებით თამაში ძალიან მიყვარდა, მაგრამ უფრო მარტოს, ვიდრე თანატოლებთან. მათ ჩემი სამყარო არ აინტერესებდათ, უფროსებთან უფრო მომწონდა ურთიერთობა, მაგრამ გარკვეულ მოთმენათა ხარჯზე მაინც არ გავმიჯვნივარ თანატოლებს და მათსავით ვიქცეოდი, როცა მათთან ერთად ვიყავი. უბრალოდ, რაღაც მოვლენათა აღქმა მქონდა ჩემი თანატოლებისგან განსხვავებული და უფროსების მსგავსი, სულ ეს იყო.

**— ზოდიაქოს ნიშნით ვინ ხართ და ითვალისწინებთ თუ არა ვარსკვლავთა რჩევებს.**

**— თუ გჯერათ გათვალვის, ან მსგავსი ნეგატიური პროგრამების?**

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არსებობს და აფერხებს ადამიანთა წარმატებებს. ჩემი დაკვირვებითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით მივხვდი, რომ ამ პროგრამების გარდა, არსებობს კარმული ბედისწერა, გენეტიკური ბედისწერა, რომელიც გინდა რომ შეცვალო და წინაპართაგან მოგდევს ეპოქის, აზროვნების, სულიერი და მენტალური ცვლილებების მიხედვით და გინდა მისი შეცვლა. ამისთვის არსებობს პარაფსიქოლოგიური და ბიბლიური ცოდნა. თუ ადამიანმა შენი წარუმატებლობის მიზეზს მიაგნე, მერე მისგან თავის დაღწევა ადვილია და წარმატებით ჩანაცვლდება უიღბლობის პერიოდიც.

**— ენერგოზემოქმედების მარწუხები თუ გამოგიცდიათ?**

– მაქვს ძლიერი ბიოველი და ჩემამდე ადვილად ვერ აღწევს ხილული თუ უხილავი ენერგეტიკული თავდასხმები, იმიტომ, რომ ყოველდღე ღმერთს ვაბარებ ჩემს ჯანმრთელობას, სიმშვიდეს, უსაფრთხოებასა და ჩემს შვილს.

**— ცრურწმენებთან როგორ ხართ, თარს ციფრებს თუ ერიდებით?**

– ცრურწმენებზე არ ვრეაგირებ და ძალიან მიყვარს რიცხვი 13, რომელიც რატომღაც თარს რიცხვადაა მიჩნეული. ძალიან მიყვარს წყალი, მდინარე, ზღვა, არც ცურვა ვიცი და გარუჯვა მომწონს, მაგრამ ზღვის ტალღებს ისე ვესაუბრები, როგორც სულიერ არსებას, რომელსაც ჩემი ესმის, ჩემს ნათქვამზე შეუძლია რეაგირება და ძალიან პოზიტიურ ენერგიას მანიჭებს.

**— სიზმრებს თუ აქცევთ ყურადღებას?**

– მე მაქვს განსაკუთრებული სიზმრები, რომელიც პირდაპირ მიცხადდება. რასაც ვნახულობ, ისე ხდება. თუ კარგად ვისწავლი სიზმრის ახსნას საკუთარ ცხოვრებაზე დაკვირვებით და მოვუსმენ განგების სიზმრისეულ მითითებებს, უფრო მარტივი გახდება ცხოვრება. სხვათა შორის, ჩემი შვილი დაბადებამდე ზუსტად ისეთი ვნახე სიზმარში, როგორიც ახლაა. როცა ბებიას ვნახავ სიზმარში, ეს არის მინიშნება, რომ რაღაც საფრთხე მელოდება.

**— როგორი ინტუიცია გაქვთ?**

– მაქვს ძლიერი ინტუიცია, მაგრამ ჯიუტი ხასიათის გამო ზოგჯერ არ ვუსმენ ინტუიციას. ყოველთვის ვგრძნობ, როცა ჩემს მოტყუებას ცდილობენ, მაგრამ არ ვიმჩნევ. გარდა ამისა, მაქვს ჩემი სხეულის ენა და მინიშნებები. ელდასა და მოსალოდნელ ფორიაქს ყოველთვის მამცნობს ჩემი ხელები, ასეთ დროს ხელები მაქვს ცივი და სველი, ეს არის მინიშნება, რომ რამე ცუდი უნდა მოხდეს. როგორც კი მოხდება, მერე ხელები შრება.

**— ციფრულ მაგიაზე რა აზრის ხართ?**

– ციფრების რა გითხრათ, მაგრამ მგონია, რომ სიტყვებს ფერები აქვს. ერთხელ მკითხეს, შურს როგორი ფერი აქვსო და ვუთხარი ძმრის ფერი და გემო აქვს-მეთქი.

## 27 ივნისი–3 ივლისის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული** – რომანტიკული მოგზაურობისთვის უკეთეს დროს ვერ გამონახავთ. ზაფხულისთვის შესაფერისი განწყობა გექნებათ და დიდ სიამოვნებასაც მიიღებთ. მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია, როგორ მიაწოდებთ თქვენს თავს გარშემომყოფებს და რაც მთავარია – საპირისპირო სქესს. არ დაივიწყოთ გარეგნობა და გარდერობის განახლება – ახლა თქვენ მოწონების სიმაღლეზე უნდა იყოთ.

**სამსახური** – თუ უცხოელებთან თანამშრომლობას აპირებთ, ყველაფერი გამოგივათ.

**სასიკეთო დღეები:** 30 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 ივნისი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული** – შესაძლოა, თქვენი თავისუფლების მოყვარული ხასიათი მთელი თავისი პლუს-მინუსებით გამოჩნდეს, რაც პირად ცხოვრებაში პრობლემებს მოგიმატებთ. არ არის გამორიცხული, თავგადასავლების სურვილმა იმძლავროს, რაც ცუდი ნამდვილად არ არის, თუ, რა თქმა უნდა, თავისუფალი ხართ და პარტნიორს ეძებთ, აი, დაოჯახებულ მერწყულებს კი ცოტა გაუჭირდებათ.

**სამსახური** – მოსალოდნელია კონფლიქტები და საკუთარი მოსაზრებისა და ინტერესების მთელი ძალებით დაცვა.

**სასიკეთო დღეები:** 28, 30 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 ივლისი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული** – როგორი ურთიერთობა გექნებათ საყვარელ ადამიანთან, დიდწილად დამოკიდებულია არა იმდენად თქვენზე, რამდენადაც მასზე. შესაძლოა, თქვენი მოსაზრებები გარკვეულ პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით, დიამეტრალურად განსხვავებული იყოს, რასაც არცთუ სასიამოვნო შედეგები მოჰყვება. უფრო მეტიც, განშორებაც კია მოსალოდნელი. დაძლიეთ სიამაყე და პირველმა დაიხიეთ. თევზები მშვიდობისმოყვარე ნიშანია და თქვენი საუკეთესო თვისებები მაქსიმალურად უნდა გამოავლინოთ.

**სამსახური** – მოლაპარაკებებს მიმდინარე კვირისთვის ნუ დანიშნავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდ დათმობებზე წასვლა მოგიწევთ.

**სასიკეთო დღეები:** 27, 28 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 30 ივნისი.

## facebook



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

რატომ უნდა ავიღოთ დასავლეთისგან ნებართვა დამნაშავეების დასჯაზე? რამდენიმე დღის წინ გერმანიაში გაასამართლეს 92 წლის კაცი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ოსვენციმის ბანაკის დარაჯი იყო. მას 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. გერმანელები ლოგინად ჩავარდნილ ნაცისტებსაც კი ასამართლებენ და ჩვენ რატომ გვიშლიან დამნაშავეების დასჯას, არ მესმის. ნაციონალებს ნაცისტებზე უარესი დანაშაულობები აქვთ ჩადენილი. აქ ვინმემ ნაციონალს ცუდად რომ შეხედოს, ამერიკის ელჩი გამოვარდება და ყვირილს იწყებს. კორცხელში მომხდარი ინციდენტი დღემდე სალაპარაკო თემად აქვს იან კელის. ნაციონალები რომ გალახეს, ეგ კარგად დაუნახავს, მაგრამ ვერ შეამჩნია, როგორ სცემდნენ იმავე კორცხელში ყოფილი ხელისუფლების ზონდერები ოპონენტებს ხელკეტებით. იმავე პერიოდში ამერიკაშიც მოხდა კორცხელზე უარესი ინციდენტი. ტრამპის მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს სასტიკად სცემეს. ამის გამო რატომღაც არავინ შეშფოთებულა, მათ შორის, არც ევროპა.

ამერიკისთვის ყველაფერი დასაშვებია, ჩვენ კი არაფრის უფლებას არ გვაძლევენ. დონალდ ტრამპი ამერიკელებს სამართლიანობის აღდგენას და ჰილარი კლინტონის დაჭერას ჰპირდება. ტრამპი ამბობს, რომ კლინტონის ხელისუფლებაში ყოფნის დროს საბიუჯეტო სახსრები არამიზნობრივად იხარჯებოდა და კორუფციულ გარიგებებს ჰქონდა ადგილი. ასეთი განცხადებების გამო ჩვენს ხელისუფლებას ეუბნებიან, წარსულის ქექვას თავი დაანებეთო. ტრამპს კი არავინ არაფერი უთხრა. არადა ეს კაცი ხვალ შეიძლება ამერიკის პრეზიდენტი გახდეს.

## facebook




**გიორგი ფოფხაძე:**

ბოლო სამი თვის თითქმის ყველა სტატია და ნიუსი ამოვქექე კანადაზე და..... ქერო კანადამ ცხოველებთან სექსი დააკანონა ეგ ნიუსი ვერ ვიპოვნე ვერსად... ვინ იგონებთ ამ ტექსტებს ვიიინ?.... ბჯოოს

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური სენსაციური

## ინდოეთში ძროხების სამინისტროს შექმნა სურთ



ინდოეთში ძროხების დაცვისა და გადარჩენის სპეციალური სამინისტროს შექმნა სურთ.

სამინისტროს შექმნის ინიციატივა მემარჯვენე მსოფლიო ინდუისტურ საბჭოს ეკუთვნის, რომელმაც სპეციალური მიმართვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ნარენდრა მოდის უკვე გადაუგზავნა.

ინდოეთის პარლამენტი აღნიშულ ინიციატივას მიმდინარე წლის ივლისში, ახალი სესიის დაწყებისას განიხილავს.

„ძროხა სიცოცხლის სიმბოლოა, ჩვენი კულტურის სულია. მას სათანადო ყურადღება არ ეთმობა", – აცხადებს ერთ-ერთი მალალჩინოსანი.

*pia.ge*

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური სენსაციური

## ჩინელი კაცი, გახდომის მიზნით, თავზე დამაგრებული ქვით სეირნობს



ვისაც როგორ ხელეწიფება, ისე ზრუნავს თავსა და ჯანმრთელობაზე. აგერ 54 წლის ჩინელი ცუნ იანი ყოველდღე 3 კილომეტრს ფეხით დადის. ყოველდღე სამი კილომეტრი რა ბედენაა, მეც გავივლიო, ალბათ, დაიკვეხნით, მაგრამ ცუნს თავზე 40-კილოიანი ქვა ადევს და ისე დასეირნობს.

თავიდან თურმე, 15-კილოგრამიანი ქვით დაუწყია და პირველ წელს 30 კილოც წარსულისთვის ჩაუბარებია. მერე საკუთარ თავში მეტი ძალა აღმოაჩინა და ქვის წონაც თანდათანობით გაზარდა.

მსგავსი ფიზიკური დატვირთვის გადაწყვეტილებამდე ზედმეტმა წონამ მიიყვანა, რომელიც მის სიმაღლეს საერთოდ არ შეესაბამებოდა. ცუნი 163 სანტიმეტრია და 115 კილოს იწონიდა.

„მივხვდი, რომ სპორტი გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე გასახდუნებელი აბები", – განაცხადა ცუნ იანმა.

გარდა იმისა, რომ შედეგი მიიღო და თავს უფრო ჰაეროვნად გრძნობს, ცუნს უფრო დიდი მიზნებიც ამოძრავებს – გახდომის უჩვეულო მეთოდის დამსახურებით გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა უნდა.

*lenta.ru*

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური სენსაციური

## არაფრის კეთება სპორტად იქცა – ჩემპიონატი სეულში



სამხრეთ კორეაში, კერძოდ კი სეულში ჩემპიონატი არაფრის კეთებაში გაიმართა.

სულ 70 ადამიანი მონაწილეობდა შეჯიბრში, რომლებიც ერთ-ერთ პარკში იმისთვის შეიკრიბნენ, რომ 90 წუთის განმავლობაში არაფერი გაეკეთებინათ.

ღონისძიებას Space Out Competition ჰქვია და ის 2014 წლიდან მხატვარ ვუპს იანის ინიციატივით იმართება.

მონაწილეებს ეკრძალებათ ტელეფონით სარგებლობა, ლაპარაკი, დროის შემოწმება, ძილი, სიცილი და ა.შ. დამკვირვებლები მათ პულსს 15 წუთში ერთხელ ამოწმებენ, ხოლო გამარჯვებული ის ხდება, ვისი გულისცემაც ყველაზე სტაბილურია.

იანის განცხადებით, 70 ადგილზე მოხვედრის სურვილი 2 ათასზე მეტმა პრეტენდენტმა გამოთქვა, კონკურსანტების სწორად შერჩევისთვის კი მას კვალიფიციური რაუნდების ჩატარება დასჭირდა.

*daijesti.pia.ge*

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური სენსაციური სენსაციური ამბები...

## რატომ არ შეიძლება კვერცხის მაცივარში შენახვა და მისი გარეცხვა?



ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებისას, კვერცხის გარსი ირღვევა, რაც მასზე სახიფათო ბაქტერიების დაგროვებას იწვევს. რადგანაც ნაჭუჭი ნახევრად გამტარია, შესაძლებელია, რომ ბაქტერიები შიგნითაც მოხვდეს.

კვერცხის შესანახად იდეალური ტემპერატურა 19-დან 21 გრადუსამდეა ზამთარში, ხოლო ზაფხულში – 21-დან 23 გრადუსამდე ცელსიუსი. ოთახის ტემპერატურაზე კვერცხის შენახვა 7-10 დღე შეიძლება, ხოლო მაცივარში – 30-45 დღემდეც ინახება, მაგრამ, თუკი გსურთ, კვერცხისგან მიიღოთ ის სარგებელი, რაც მას აქვს, შეინახეთ ის ოთახის ტემპერატურაზე, ოღონდ შეძენისას დარწმუნდით, რომ ის ახალია!

და კიდევ ერთი. არასოდეს გარეცხოთ კვერცხი! ასე თქვენ ხელს შეუწყობთ ისეთი ბაქტერიების კონტამინაციას, როგორიც არის სალმონელა. ამიტომაც მაღაზიებსა და მწარმოებლებს კატეგორიულად ეკრძალებათ კვერცხის გარეცხვა. საქმე ისაა, რომ კვერცხის ნაჭუჭს აქვს სპეციალური დამცავი ფენა, რომელიც შიგთავსს იცავს მავნე ბაქტერიების შიგნით შეღწევისგან. თუ თქვენ კვერცხს გარეცხავთ, უბრალოდ, ჩამორეცხავთ ამ დამცავ ფენასაც და შესაძლოა, ხელი შეუწყოთ ბაქტერიის შიგთავსში შეღწევას!

დაბოლოს, მოერიდეთ საკვებში უმი კვერცხის გამოყენებას, თუ დარწმუნებული არ ხართ მის ხარისხსა და ვადაში.

*postalioni.com*

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური სენსაციური სენსაციური ამბები...

## ჰომოსექსუალი ცხენი სიკვდილით დასაჯეს



არაბულენოვანი კულტურის მტარებელი ქვეყნები ყოველთვის განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევიან.

კიდევ ერთი შოკისმომგვრელი ამბავი საუდის არაბეთში მოხდა, სადაც ქვეყნის სასამართლომ ცხენს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

ამ შოკისმომგვრელმა ამბავმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. ცხოველთა დაცვის ორგანოებმა თითქმის ყველაფერი გააკეთეს ცხენის გადასარჩენად, მაგრამ უშედეგოდ!

საუდის არაბეთში შეამჩნიეს მამრი ცხენი, რომელსაც სექსუალური აქტივობის მცდელობა სხვა მამრ ცხენთან ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ცხენი სიკვდილით დასაჯეს!

როგორც აღმოჩნდა, ცხენის ღირებულება 12 მილიონ დოლარს შეადგენდა, თუმცა ერთმა მცდელობამ, მას, სიცოცხლესთან ერთად, ყველა გამარჯვებული ტიტულიც დააკარგვინა.

საუდის არაბეთში დღემდე მოქმედებს სიკვდილით დასჯა, მაგრამ ეს მხოლოდ ჰომოსექსუალებს ეხებათ. ჰომოსექსუალი ცხენის ამბავიც მალევე გასაჯაროვდა და ქვეყნის სასამართლომ ცხენის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. საცოდავი ცხოველი სიკვდილით დასაჯეს!

ამ მოვლენასთან დაკავშირებით, ევროპული და ამერიკული ქვეყნებიდან ცხენის შესაძენად რამდენიმე შემოთავაზება იყო, თუმცა არაბეთმა ყველა შემოთავაზება უარყო და ეს უსაყვარლესი ცხოველი მოკლა!

მომხდართან დაკავშირებით, ქვეყნის მმართველმა პირებმა შემდეგი განაცხადი გააკეთეს:

„არაბულ მიწებზე დაუშვებელია ერთსქესიანთა შეჯვარება. ეს იქნება ქალი, კაცი თუ ცხოველი, ჩვენთვის უმნიშვნელოა. ყველა სიკვდილით დაისჯება! ეს ჩვენი სამართალია".

*intermedia.ge*

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური სენსაციური

## ქალს ერთ დღეში 919 კაცთან ჰქონდა სექსი



მისი ცხოვრების ეს 24 საათი მსოფლიოს ყველაზე შეშლილი სექსუალური ისტორიების ათეულშია შესული. საუბარია პორნოვარსკვლავ ლიზა სპარკსზე, რომელსაც ერთ დღე-ღამეში 919 სხვადასხვა მამაკაცთან ჰქონდა სექსი.

დაუჯერებელია, მაგრამ მას 24 საათის განმავლობაში ყოველ ორ წუთში სექსი ჰქონდა. ამ დღის შემდეგ ლიზა მსოფლიო რეკორდსმენი გახდა. ცნობისთვის: ამ რანგში მის წინამორბედ მსოფლიოს ჩემპიონს ერთ დღე-ღამეში 759 კაცთან ჰქონდა სექსი.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ახალი საფრთხე სმარტფონისგან



ბრიტანელმა ექიმებმა სიბრმავის ახალი ფორმა – მხედველობის დროებითი დაკარგვა აღმოაჩინეს. ორი, 22 და 40 წლის ქალი ჩიოდა, რომ ხანდახან 15 წუთის განმავლობაში მხედველობას კარგავდნენ.

ქალებს ყველანაირი სამედიცინო პროცედურა ჩაუტარეს, მაგრამ მხედველობის დაკარგვის ვერანაირი მიზეზი ვერ აღმოაჩინეს. ერთ-ერთ ოფთალმოლოგს კი გაუჩნდა მოსაზრება, რომ შესაძლოა, ქალებს ღამით, ბნელ ოთახში სმარტფონების ხშირი გამოყენების გამო აღენიშნებოდათ თვალთან დაკავშირებული პრობლემები. თურმე, მაშინ, როცა სმარტფონებში ცხვირჩარგულები ღმერთმა უწყის, რას აკეთებენ, ერთი თვალი დახუჭული აქვთ, მეორეზე კი, ბალიშს იფარებენ. სმარტფონის ეკრანის გამორთვის შემდეგ კი, თვალს დრო სჭირდება, რომ სიბნელეს შეეგუოს. სწორედ ეს იწვევს დროებით სიბრმავეს. იმისთვის, რომ მსგავსი დისკომფორტი არ შეგვექმნას, თუ მაინცდამაინც სიბნელეში გვინდა სმარტფონით სარგებლობა, ორივე თვალი მაინც გავახილოთ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ავსტრიაში სულელ დედას ბავშვები წაართვეს



თაობათა აღსაზრდელად, ჯერ აღმზრდელნი აღზარდეთო. საკითხავია, რა უნდა ასწავლოს დედამ, რომლის IQ 34 წლის ასაკში 64 ბალია. ამიტომაც ავსტრიის სპეციალურმა სამსახურმა ქალს ბავშვები წაართვა, დროებით საერთო საცხოვრებელში გადაიყვანა და მათთვის კარგ ოჯახს ეძებს, რომ ბავშვები უფრო ინტელექტუალურ გარემოში გაიზარდონ. თავის მხრივ, დედამ დასახმარებლად საქველმოქმედო ორგანიზაციას მიმართა და მისი ადვოკატობაც ქვეყნის ცნობილმა იურისტმა იკისრა, რომელიც აცხადებს, რომ დედას საშუალო განათლება მიღებული აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფლება აქვს, ბავშვები იყოლიოს და გაზარდოს.

ავსტრიაში სპეციალურმა სამსახურმა ბრიტანელი წყვილისგან ბავშვი წამოიყვანა. თურმე, წყვილს კომპიუტერული თამაშები გადაჭარბებით ჰყვარებია და სპეცსამსახურს ეჭვი გაუჩნდა, რომ ბავშვი არასრულფასოვან გარემოში გაიზრდებოდა, ვინაიდან მშობლები მისთვის ვერ მოიცლიდნენ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## სიბერის შემაფერხებელ პრეპარატს მალე გამოცდიან



აი, რა გვაკლდა სრული ბედნიერებისთვის! დაბერების საწინააღმდეგო პრეპარატი გამოგონებულია. იაპონელი და ამერიკელი მეცნიერების ჯგუფმა პრეპარატი მღრღნელებზე უკვე გამოსცადა და წარმატებული აღმოჩნდა. მარადიული ახალგაზრდობის ელექსირს ნიკოტინამიდმონონუკლეოტიდი ჰქვია (მეორედ წაკითხვას ნუეცდებით).

ჰოდა, ცნობილია, რომ ექსპერიმენტში 10 ადამიანი მონაწილეობს. ივლისიდან ახალგაზრდობის ელექსირის მიღებას დაიწყებენ და ადამიანებზეც თუ ისეთი გამართლებული აღმოჩნდა, როგორც მღრღნელებზე, ზემოხსენებული პრეპარატი ახალგაზრდობის გამახანგრძლივებელ წამლად ოფიციალურად გამოცხადდება.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## მამებისგან გადასარჩენად დედა დათვებს ბელები ადამიანებთან მიჰყავთ



მურა დათვებთან საშინელი ტრაგედიები ხდება: ხვადები ბელებს კლავენ, რათა ძუები აღწარმოებისთვის კვლავ მზა გახდნენ. ამის გამო ძუ დათვები ხვადებსა და ბელებს შორის ადამიანების ფარს ქმნიან.

ნორვეგიის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის ეკოლოგიის პროფესორ სემ სტეიერტის ხელმძღვანელობით მურა დათვების (Ursus arctos) ქცევაში „შიში ეკოლოგიის" თეორიის დადასტურებას ეძებდნენ. ამ თეორიის თანახმად, ცოცხალი არსებები ხშირად არახელსაყრელ ტერიტორიაზე სახლდებიან, თუკი ეს ტერიტორია სახიფათოა მათი მტრებისთვის.

ბელების სიცოცხლეს ხვადი დათვები ემუქრებიან. დათვებში ინფანტიციდი ფართოდაა გავრცელებული. საქმე ისაა, რომ სანამ ძუ დათვს ბელები ჰყავს, მას გამრავლების უნარი არ აქვს. ხვადებს ორი გზა რჩებათ, ან ელოდონ 18-დან 30 თვემდე, სანამ ბელები წამოიზრდებიან და დამოუკიდებელ ცხოვრებას შეძლებენ, ანდა ბელები დახოცონ და მაშინ ძუ დათვი რამდენიმე დღის შემდეგ შეწყვილებისთვის მზად იქნება.

იმისთვის, რომ მძუნვობის პერიოდში – მაისიდან ივლისის ჩათვლით – ბელები გადაარჩინონ, ძუ დათვები საცხოვრებლად ისეთ ადგილს ირჩევენ, სადაც სხვა დროს ნამდვილად არ დასახლდებოდნენ: ადამიანთან ახლოს.

თავისთავად ადამიანი დათვისთვის საკვებ ჯაჭვში ყველაზე დაბალი რგოლია, მაგრამ მთელი ქალაქი, ავტომობილებითა და თოფიანი მონადირეებით – ნამდვილი ზემტაცებლები არიან. მეცნიერები ძუ დათვების გადაადგილებას GPS-საყელურებით აკვირდებოდნენ და შეიტყვეს, რომ მძუნობის პერიოდში ბევრი ძუ ბელებთან ერთად ქალაქთან ახლოს იდებს ბუნაგს, იმ ადგილას, რომელსაც ხვადი დათვები სათოფეზე არ ეკარებიან. იმ ძუ დათვებს კი, რომლებიც თავის ჩვეულებრივ საცხოვრებელ არეალში რჩებიან, დიდი ალბათობით, ბელების დაკარგვის საფრთხე ეზრდებათ.

*alioni.info*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## შამპანურის გაყინული კუბიკები — გაგრილების ახალი საშუალება



პაპანაქებაში გაგრილების ახალი საშუალება – ჩვეულებრივი ყინულის მაგივრად მოამზადეთ შამპანურის გაყინული კუბიკები.

რეცეპტი უმარტივესია: ყინულის ფორმაში ჩაასხით შამპანური და ღამით მოათავსეთ საყინულეში. დილით შამპანურის კუბიკები მზად იქნება. შუშხუნა კუბიკები შეგიძლიათ წვენში, ხილის სხვა სასმელში, ან კოქტეილში დაამატოთ. სასმელს განსაკუთრებული გემო ექნება. ვიზუალურადაც თქვენი კოქტეილი ორიგინალურად იქნება გაფორმებული.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## უმაღლესი განათლება სიმსივნეს იწვევს?



ესღა გვაკლდა! ისედაც არ ვიკლავთ თავს სწავლა-განათლებისთვის და ადამიანის გონება ისედაც სიზარმაცისკენ არის მიდრეკილი და ახლა უკვე მეცნიერულად გვისაბუთებენ, რომ გონებრივ გარჯას მაინცდამაინც კარგი შედეგები არ მოაქვს.

1993 წლიდან 17 წლის განმავლობაში, 1911-1961 წელს დაბადებული 4.3 მილიონი ადამიანის მონაცემი შეისწავლეს. 5.7 ათას მამაკაცსა და 7.1 ათას ქალს თავის ტვინის სიმსივნე აღმოაჩნდა. გარდა ამისა, მამაკაცებს, რომლებიც უნივერსიტეტში 3 წელი მაინც სწავლობდნენ, თავის ტვინის სიმსივნის რისკი 19 პროცენტით მეტი ჰქონდა, ვიდრე მათ, ვინც ცხრა კლასი დაამთავრა და მას მერე მისი შრომა მხოლოდ ფიზიკური დატვირთვით შემოიფარგლებოდა. იმავე მაჩვენებელმა ქალებში 23 პროცენტი შეადგინა.

მეცნიერებმა, გაგიკვირდებათ, და არ იციან მიზეზი, რატომ ემტერება სიმსივნე განვითარებულ ტვინს. მხოლოდ იმის თქმა შეუძლიათ, რომ ფაქტი ჯიუტია და არჩევანი თავად უნდა გავაკეთოთ.

*lenta.ru*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძემ 593 19-85-99

Facebook ამბები

**მალხაზ თოფურია:**



ისტორია მეორდება რომელი თქვენში სპარტაკი? ჰკითხა მრისხანე რომაელმა სარდალმა ტყვედჩავრდნილ აჯანყებულ მონებს, ....მე! გაისმა ტყვეების შუაგულიდან, ერთ მეს 1000 მე მოყვა, რომ თავიათი ლიდერი საშინელი წამებისგან ეხსნათ.... რომელია თქვენში გვარამია? ჰკითხა მრისხანე პროკურორმა სახელმწიფო გადატრიალებისთვის დაკავებულ გაურკვეველი სქესის არსებებს. ეს! წამოიყვირა გაბუნიამ მის გვერძე მდგომზე...ეგაა ეგ ჩათლახი ვინც აგვიყოლია და გაგვასულელა აჰყვა ყველა გაბუნიას)

**ლადო სადღობელაშვილი მერაბ მეტრეველზე:**



იქნებ ეხლა მაინც ავირჩიოთ ისეთი პარლამენტარები რომლებმაც ელემენარულად ის მაინც ეცოდინებათ EBRD, BSEC-და ნაბუკოს პროექტი რა არის ... ))) ხო და MAP -ის კიდე...))) ან იქნებ წინასწარ დაჩქარებული კურსი მაინც გავატაროთ სანამ კანონების წერას ინციირებას და განხილვას დაიწყებდნენ ...))))) არ შეიძლება მოიძებნოს ისეთი ჟურნალისტი რომელიც ამ "პალტუხიანი ხვლიკის" შნორს ასეთი კითხვით მიმართავდა - ვინ იყავი მანამ სანამ შენი მამა მარჩენალი და მერაბიშვილის ნომრიანი აგენტი გიორგი თარგამაძე ტელე იმედში მიგიყვანდა და მის ხელის ბიჭად გაქცევდა! იყავი შნორი და დღესაც ასეთი შნორი ხარ! როგორც მინიმუმ უხერხულია შენგან ვერ შემდგარი ჟურნალისტისგან და ვერ შემდგარი პოლიტიკოსისგან საუბარი ირაკლი გურჩიანზე! წესით შენ ბუუტურს ყურადღებას არ უნდა ვაქცევდე მაგრამ ვეღარ მოვითმინე! ნუთუ გაუგებარია რატომ დატოვა ამ კაცმა ეგ თქვენი ნაცმ პარტია?! იმიტომ რომ თქვენგან ყველასგან განსხვავებით ერთი მარტივი მახასიათებელი აქვს - კაცია! სამართლიანი კაცი! სწორედ ეს არის ის განმასხვავებელი რაც თქვენ ყველას და გურჩიანს ანსხვავებს! ესე მონურადაც არ შეიძლება გაიმეორო ის რაც შენმა მამობილმა დაგავალა!!! ეგ კი არა მხოლოდ შენ აღმოჩნდი მაგ პარტიაში ისეთი უთავმოყვარეო რომელმაც ამ თემაზე საერთოდ კომენტარი გააკეთე! სხვებს იმის ჭკუა მაინც ეყოთ გაჩუმებულიყვნენ!

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ბიზეს ოპერა
2. მწვადი ამერიკულად
3. ვირას საპირისპირო ბრძანება
4. ზამთრის სპორტის სახეობა
5. ჯეიმს კამერონის ფილმი
6. ბერძნ. ანბანის პირველი ასო
7. კურორტი ბულგარეთში
8. ...-კლარ-ჯეთი
9. შაბლონური სამუშაო
10. მოჭადრაკე ქეთევან ...
11. კონტინენტი
12. მსახიობი ჯულია ...
13. ქალაქი ეგვიპტეში
14. ჩოგბურთის მოედანი
15. თმის წითელი საღებავი
16. გულის მთავარი სისხლძარღვი
17. თბილისის ძველი უბანი
18. ყაზახეთის დედაქალაქი
19. მსახიობი ... დიტრიხი
20. ხელის საგრილებელი
21. კენკროვანი ნაყოფი
22. რუსი ფიზიოლოგი
23. დროის მონაკვეთი
24. ნარდის სათამაშო კუბები
25. ვაზის ჯიში
26. დიუმა. „ოცი წლის შემდეგ“ კარდინალი
27. ქართული წარმოების შოკოლადი
28. ინის საპირისპირო
29. ჯილდოს ფორმა
30. მარჯნის კუნძული
31. ტყის მასივი ციმბირში
32. დაბა ადიგენის რაიონში
33. ლარნაკი
34. ...-ქრისტიან ანდერსენი
35. ერთ-ერთი თითი
36. კანის ინფექც. დავადება
37. მღრღნელი ცხოველი
38. მსახიობი მარლონ ...
39. ფოლგა
40. მოწნული ჭურჭელი
41. მხ/ფ „... 11 მეგობარი“
42. ცისარტყელას ფერი
43. საგრაფო ინგლისში
44. ბგერის გრაფიკ. გამოსახ.
45. ციტრუსი
46. მიმიკის უქონლობა
47. მსახიობი ... ბლუმი
48. შხამი, ამზადებენ ინდიელები
49. გერმანული ავტომობილი
50. ბალეტ „დონ კიხოტის“ კომპოზ.
51. მსახიობი ჟერარ ...
52. მსახიობი ... ასტერი
53. სოფელი თერჯოლის რაიონში
54. ბენ აფლეკი ფილმში
55. სირაქლემას სახეობა
56. ყვავილების კონა
57. ყაიმი



58. ომლეტი
59. ჯალათის ფიცარნაგი
60. მსახიობი რობერტ დე ...
61. კომპოზიტორი ... გაბუნია
62. მსახიობი ... დელონი
63. მსახიობი ... რიშარი
64. ტუჩი
65. გადაბრუნებ. ასო დელტა
66. ქიმიური ელემენტი
67. მსახიობი ... ჭიჭინაძე
68. სასკოლო ინვენტარი
69. იაპონური მულტიპლიკაცია
70. ბერძნ. ანბანის ასო
71. მხატვარი სალვადორ ...
72. რომენ როლანი. „... ბრუნიონი“
73. ... ხრენნიკოვი
74. ... ძედუნი
75. მტაცებელი ფრინველი
76. ... გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია
77. მხ/ფ „... ჭაბუკი“
78. ქალაქი ბელორუსში
79. თეთრი მინერალი სკოლაში
80. მსახიობი ... ჰოუკი
81. ძალა, ღონე
82. მწერალი ... ტოლსტოი
83. მუხის ნაყოფი
84. მსახიობი ... არტმანე
85. მსახიობი ჩარლზ ... ჩაპლინი
86. ჭრიჭინას ბებია
87. პულსის ადგილი ხელზე
88. ქრთამი ... ანათებს
89. მსახიობი ... კერი
90. შვედური ავტომობილი
91. ზოდიაქოს ნიშანი
92. „გაზაფხული შემოსულა ...“
93. ძვ. ქართ. თამაში ქამრებით
94. მსახიობი ... ანთაძე
95. ტროპიკული ბუზი
96. მოსამართლის მოსასხამი
97. ქინქლა
98. „სამი მუშკეტერი“ არამისის როლში იგორ ...
99. დიდი ციგა
100. ქალაქი ავსტრალიაში
101. ბოსტნის მავნებელი მწერი
102. ნაბიჯი ბალეტში
103. ქორეოგრაფი მარის ...
104. ზღაპრული კაციჭამია
105. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
106. ... სულაკაური
107. იაპონური ორთაბრძოლა
108. თურქეთის დედაქალაქი
109. ქალაქი ფლორიდაზე
110. ნიშნავს ცივს
111. სანელებელი
112. სარწმუნოება ზოგადად
113. კატის კუდური
114. მდინარე გერმანიაში
115. იაპონური ფულის ერთეული
116. ... გათეთრდების ყორანი
117. მწნილი
118. მზის ღმერთი ეგვიპტეში
119. მწერალი გი ... მოპასანი
120. ფეთქებადი ნივთიერება
121. ბანდეროლი
122. ანჩხლი



პასუხები: 1. „კარმენი“; 2. ბარბეკიუ; 3. მაინა; 4. ბიათლონი; 5. „ავატარი“; 6. ალფა; 7. ვარნა; 8. ტაო; 9. რუტინა; 10. არახამია; 11. ამერიკა; 12. ორმონდი; 13. სუეცი; 14. კორტი; 15. ინა; 16. აორტა; 17. აბანოთუბანი; 18. ასტანა; 19. მარლენ; 20. მარაო; 21. მოცვი; 22. პავლოვი; 22. პავლოვი; 23. წამი; 24. კამათელი; 25. პინო; 26. მაზარინი; 27. „ბარამბო“; 28. იანი; 29. სიგელი; 30. ატოლი; 31. ტაიგა; 32. აბასთუმანი; 33. ვაზა; 34. ჰანს; 35. ნეკი; 36. მუნი; 37. თრია; 38. ბრანდო; 39. კილიტა; 40. გოდორი; 41. ოუშენის; 42. იისფერი; 43. კენტი; 44. ასო; 45. ლიმონი; 46. ამიმია; 47. ორლანდო; 48. კურარე; 49. „მერსედესი“; 50. მინკუსი; 51. დეპარდიე; 52. ფრედ; 53. სიმონეთი; 54. „პერლ-ჰარბორი“; 55. ემუ; 56. თაიგული; 57. ფრე; 58. ერბოკვერცხი; 59. ეშაფოტი; 60. ნირო; 61. ნუნუ; 62. ალენ; 63. პიერ; 64. ბაგე; 65. ნაბლა; 66. კობალტი; 67. დოდო; 68. დაფა; 69. ანიმე; 70. იოტა; 71. დალი; 72. კოლა; 73. ტიხონ; 74. მაო; 75. ორბი; 76. რასაცა; 77. საბუდარელი; 78. ბრესტი; 79. ცარცი; 80. იტან; 81. ქანცი; 82. ლევ; 83. რკო; 84. ვია; 85. სპენსერ; 86. ელპიტე; 87. მაჯა; 88. ჯოჯოხეთს; 89. ჯიმ; 90. „ვოლვო“; 91. კურო; 92. ლენ; 93. ლახტი; 94. ლეო; 95. ცეცე; 96. მანტია; 97. მუმლი; 98. სტარიგინი; 99. მარხილი; 100. ადელაიდა; 101. მახრა; 102. პა; 103. ლიეპა; 104. ოგრი; 105. ესე; 106. ზაალ; 107. კარატე; 108. ანკარა; 109. მაიამი; 110. კრიო; 111. დარიჩინი; 112. რელიგია; 113. თათი; 114. რაინი; 115. იენა; 116. არ; 117. მარინადი; 118. რა; 119. დე; 120. დენთი; 121. ამანათი; 122. ავი. იკითხება: ნიკე. აპოლონი. არტემიდე.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ლაიზა მინელი ფილმში
2. ფილმი ამ მსახიობების მონაწილეობით
3. ღვინის არომატი, ანუ ...
4. ძაღლის ჯიში
5. „ეზოში ... ძაღლია“
6. მომღერალი ენრიკე ...
7. დახვეული გზა მთებში
8. ნაჭრის გასაშლელი ოთახი
9. ვერცხლისწყლის ნაერთი ოქროს-თან (ლითონ-თან)
10. იაკობ გოგებაშვილის სოფელი
11. მწვანილი
12. ზღაპარი „... მუსიკოსები“
13. ... შეჯდა მწყერი ხესა
14. საესტრადო სიმებ. ინსტრუმ.
15. სამშობლოს მოყვარული
16. ბუდისტური ღვთაება
17. მომღერალი დაიანა ...
18. პირველი სამნიშნა რიცხვი
19. რეჟისორი ალფონსო ...
20. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
21. მომღერალი ლედი ...
22. საზოგადოების რჩეული ფენა
23. ორგანო მუცლის ღრუში
24. ღორების ჯოგი
25. სვიფტის ჯუჯა
26. ზაზა, იგივე ზუმბა ...
27. სისხლნაკლებობა
28. ... და ობელიქსი
29. გიორგი სააკაძის სოფელი
30. მსახ. ... ვერტინსკაია
31. ვიოლინოს ჯოხი
32. ქიმიური ელემენტი
33. ფილოსოფოსი კასრში
34. ძვ. ბერძენი მეიგავე
35. ტბა დუშეთის რაიონში
36. მსახიობი ... ჰედრენი
37. სვირინგი
38. ოხუნჯი მოლა
39. მოწნული ჭურჭელი
40. მსახიობი ხავიერ ...
41. სპილენძის დოქი
42. მახრჩობელა გველი
43. ... ხაიამი
44. მსახ. ... ლი ჯონსი
45. წყლის მოლუსკი
46. სამშენებლო მასალა
47. ხელოვნური ენა
48. ნიშნავს საწინააღმდეგოს
49. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
50. ...-კლარ-ჯეთი
51. რა ააგო ნოემ
52. მწვანე მინერალი
53. ძალიან ჭკვიანი ბავშვი
54. მომღერალი ... სოხაძე
55. ტყის სული
56. საოცრება: როდოსის ...
57. მსახიობი ჯენიფერ ...
58. უსინათლოთა ანბანი
59. მგზავრის ადგილი ვაგონში
60. ახლადგამოჩეკილი თევზი
61. მხ/ფ „... ვალსი“
62. მსახ. ... ბეგალიშვილი
63. ინფექციური დაავადება
64. კათოლიკ. დედათა მონასტ. წინამძღ.
65. მწერალი ... ლომოური
66. მხატვარი ავთო ...
67. „სამგროშიანი ...“
68. ემინემის სტილი
69. ბარდი ... ოკუჯავა
70. დიდი სამგზავრო ჩანთა
71. სამკუთხედში გავლებ. ხაზი
72. უნგრელი კომპოზიტორი
73. ... ულენშპიგელი
74. მუხის ნაყოფი
75. თურქული ფულის ერთეული
76. ორი ადამიანის საუბარი
77. მსახიობი ... ლონგორია
78. ... ფონ ბისმარკი
79. „ომი და მშვიდობა“ ნატაშა ...
80. მხ/ფ „უძინართა ...“
81. ვაზის ჯიში
82. შაქარში ათქვეფილი კვერცხი
83. ნაჭრის თოჯინა
84. რუს მეფეთა დინასტია
85. ასტრონავტი ... არმსტრონგი
86. კომპოზიტორი ედვარდ ...
87. ჯუჯა კამეჩი
88. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
89. მსახ. ... კოლელიშვილი
90. მხატვარი ... ახვლედიანი
91. გარდაცვლილის ბოლო სურვილი, რომელიც მან წერილობით დატოვა
92. ხის ჯამი
93. სცენაზე დადგმული პიესა
94. კათოლიკური სამღვდელოება
95. „... ალბას სახლი“
96. მწერალი კობო ...
97. დისნეის ნახატი ძაღლი
98. რუსი ილუზიონისტი
99. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
100. მსახიობი ... სტრიპი
101. კავშირებითი დიტყვა
102. ყვავილი
103. მწნილი
104. მდინარე გერმანიაში
105. ურჩხული ლომის თავით
106. მსახ. ... ფრეინდლიხი
107. მოწაფის მაგიდა
108. ... ანანიაშვილი
109. მსახიობი შერონ ...
110. სასიმინდე
111. „ქეთო და კოტე“ ვაჭარი
112. მშობიარობის დამხმარე
113. ძველებური იალქნიანი გემი
114. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
115. რეჟისორი ... იოსელიანი
116. მომღერალი ... კალასი
117. ბერძნ. ანბანის პირველი ასო
118. ნიავი
119. მსახიობი ... ჰეპბერნი
120. მსახიობი ჟან ...
121. ყველაზე ღრმა ტბა

პასუხები: 1. ქარვასლა; 2. კაშხალი; 3. „ანტიგონე“; 4. „ნირვანა“; 5. მანგანო; 6. მანანა; 7. მორო; 8. კოლოფი; 9. ტრინიტი; 10. ასკინკილა; 11. ტარანტინო; 12. ომარ; 13. ბიბილო; 14. როენა; 15. კალიმანტანი; 16. სპელეოლოგია; 17. კალა; 18. ნიკა; 19. აგრა; 20. ნატანები; 21. ალფა; 22. ლილიფარა; 23. ალი; 24. აზდაკი; 25. აფთარი; 26. ალან; 27. ლაფი; 28. ნეაპოლი; 29. პლანქტონი; 30. ბიო; 31. „ავიატორი“; 32. კელა; 33. ლილი; 34. ფიონა; 35. არადანი; 36. ოფელია; 37. კამბალა; 38. არნოლდი; 39. დრო; 40. ლომი; 41. ზოო; 42. ფარდა; 43. მელ; 44. ედემი; 45. ქონი; 46. ტირიფი; 47. კოლა; 48. ფული; 49. ერინ; 50. ივრითი; 51. სიდედრი; 52. ტარო; 53. ნიკო; 54. ნინო; 55. თარი; 56. იოდი; 57. იანძი; 58. დრიუ; 59. ძმა; 60. ფალიაშვილი; 61. ოთარ; 62. ლევ; 63. აკელა; 64. ნიკ; 65. დელ; 66. რაზდანი; 67. ვიტრინა; 68. კულაკი; 69. ალა; 70. ფარადეი; 71. თივა; 72. ეარი; 73. ავი; 74. ეტნა; 75. აყიყი; 76. ლაიფციგი; 77. კლავიატურა; 78. ფლავი; 79. კვადრიგა; 80. რულეტი; 81. განიმედი; 82. ირისი; 83. ტომი; 84. ლავსანი; 85. კილიტა; 86. მინორი; 87. ყური; 88. „ისკრა“; 89. ბურატინო; 90. ასკეტი; 91. ნონ; 92. ნეო; 93. ტაო; 94. რაჭა; 95. ნარვალი; 96. ბაიკალი; 97. კვებეკი; 98. ნარგილე; 99. ჰობოი; 100. ფიფქია; 101. ყვავი; 102. სინდი; 103. კუბერტენი; 104. მარკო; 105. კრონი; 106. იელი; 107. გემა; 108. ალამი; 109. ტიფი; 110. ირი; 111. კაკა; 112. ამ; 113. კლიო; 114. მია; 115. კალია; 116. კიი; 117. ვალი; 118. მაიკო; 119. მირეი. იკითხება: ვაშლი. მსხალი. ლეღვი. მარწყვი. ყურძენი.

Facebook ამბები

## facebook



**მიხეილ ჯიბუტი -ნიკა გვარამიას განცხადებაზე:**

აჯანყება დიდი ხანია დაწყებული გაქვთ.... მაგრამ არ გამოგდით... ვერ დაქოქეთ .. არ ამოიქოქა.... ვერ ათუხთუხდით ....!!! გგონია რამე ახალი თქვი.......??? ფული გაქვთ... ტელევიზიები გაქვს...... ზონდერ - ჯქუფები გყავთ.... არასამთავოებები ( დიდი უმრავლესობა ) თქვენია..... და მაინც ვერ შვებით ... მე გეტყვით რატომ.......!!! ომიტომ რომ პიდარასტები ხართ.......იმიტომ რომ გაწყალებული გაქვთ სისხლი...იმიტომ რომ სიმართლე არ გაქვთ.....იმიტომ რომ მაგას ალარავინ ჭამს თქვე გველებო...... !!!

## facebook



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

დავით გერლიანის დაკავება და მით უფრო, აღკვეთის საპატიმრო ღონისძიების გამოყენება მის მიმართ არის უკანონო! ის არის უკრაინის მოქალაქე, უარყოფს ქურდული სამყაროს წევრობას, არის მნიშვნელოვანი დარღვევებით დეპორტირებული უკრაინიდან, რადგან 1993 წლის მინსკის კონვენცია უკრაინასა და საქართველოს შორის სამართლებრივი დახმარების კონტექსტში ავალდებულებს მხარეებს დეპორტაციის საქმისწარმოების მასალების თანხლებას გამოძიების პროცესში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად შს მინისტრის მღებრიშვილის კომენტარიც, რომ ეს იყო პროვოკაცია უკრაინის მხრიდან, არის სამართლებრივად სწორი!

აქ გასაკვირი ის არის, ოდესაში ხორცშესხმულ პროვოკაციას რატომ წამოეგო შსს, პროკურატურა და სასამართლო! თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ მაინც იმსჯელეთ აღკვეთის ლეგიტიმურ საფუძვლებზე, რადგან გერლიანს არაფერში არ მიუძღვის ბრალი და ის არის უდანაშაულო!!

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ექიმის პასუხი ეჭვიან ქმარს



ბავშვის დაბადების შემდეგ პანიკაში ჩავარდნილი მამა ექიმთან მივარდა.

– ექიმო, – უთხრა მან. – არ ვიცი, როგორ გითხრათ,...მაგრამ ცოტა გაბრაზებული ვარ, იმიტომ, რომ ჩემი ქალიშვილი ჟღალთმიანია! არ შეიძლება ეს ჩემი იყოს!

– სისულელეა, – უპასუხა ექიმმა. – მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-ქმარს შავი თმა გაქვთ, შესაძლებელია, რომ რომელიმე თქვენს წინაპარს ჟღალი თმა ჰქონოდა.

– ეს შეუძლებელია, – ამტკიცებს მამა. – უკვე რამდენი თაობაა, ჩვენს წინაპრებში ყველას კუპრივით შავი თმა აქვს.

– მაშინ, ნება მომეცით, ერთი პიკანტური კითხვა დაგისვათ. რა სიხშირით გაქვთ სექსი?

კაცმა ცოტა გაჭირვებით უპასუხა:

– სამსახურში ძალიან ვილლები, ამიტომ მე და ჩემი მეუღლე სიყვარულით რამდენიმე თვეში ერთი-ორჯერ ვკავდებოდით...

– ააი, თურმე რა ყოფილა! – დარწმუნებით თქვა ექიმმა. – ეს ჟანგია!

*galanews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მავნებელია თუ არა ფეხმძიმობისას თმის შეღებვა?



შეიძლება თუ არა თმის შეღებვა ორსულობის პერიოდში? ეს კითხვა მრავალ ქალს აწუხებს, მაგრამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. არანაირი სამეცნიერო გამოკვლევა, რომელიც თმის შეღებვის უარყოფით მხარეებს დაასკვნიდა – ჯერჯერობით არ ჩატარებულა. მიუხედავად ამისა, რეკომენდებულია თუ არა თმის შეღებვა ორსულობის პერიოდში? საღებავში შემავალმა ნივთიერებებმა შეიძლება ალერგია გამოიწვიოს, თანაც მნიშვნელობა არ აქვს, იწვევდა თუ არა იგივე საღებავი ალერგიას ორსულობამდე. ამის მიზეზია ორსულობის პერიოდში ჰორმონალური ფონის საგრძნობი ზრდა.

თუ მიიჩნევთ, რომ თმის შეღებვა გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია, სწრაფად ჩამოცილებადი საღებავი გამოიყენოთ. აუცილებელია თმის ბალზამის გამოყენება, ვინაიდან საღებავი აშრობს თმას, ხოლო ორსულობის პერიოდში თმა ისედაც მშრალია.

მცდარია შეხედულება, რომ თმის საღებავში არსებული ამიაკი და სხვა ქიმიური ნივთიერებები შეაღწევს ორსულის ორგანიზმში და მავნე ზემოქმედებას მოახდენს ნაყოფზეც. უნდა შეგახსენოთ, რომ ეს ნივთიერებები ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს მხოლოდ მათი ჩასუნთქვის გზით. პროფილაქტიკისთვის სასარგებლო იქნება, თუ თმის შეღებვის პროცესში ორსული პირბადეს გაიკეთებს.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## გენიალური ხრიკი, რომ დიდხანს გაგყვეთ სუნამოს სურნელი



ალბათ, შეგიმჩნევიათ, როგორ კარგავს თქვენი სუნამო სურნელს შეძენიდან რამდენიმე კვირაში ან ერთ თვეში.

ეს სიმართლეა – ყველაზე ძვირად ღირებული პარფიუმიც, დეოდორანტის ჩათვლით, დროთა განმავლობაში „ფუჭდება“. ამის მიზეზი, მფრინავი ნივთიერებებია, რომლებიც სუნამოს დახვეწილ არომატს სძენს, ნადგურდება. ნაწილი ორთქლდება, ნაწილი კი ქიმიურ დონეზე იხრწნება და სხვა ნივთიერებად გარდაიქმნება.

როგორ შეინახოთ სუნამო სწორად:

Victoria's Secret-ის პროდუქციის განვითარებისა და ინოვაციების უფროსი ვიცე-პრეზიდენტი, მარკ კნიტოვსკი ამტკიცებს, რომ, რაც უფრო თბილა ოთახში, სადაც სუნამოები ინახება, მით უფრო მალე იფიტება თქვენი საყვარელი არომატები.

„სუნამოს სურნელებისა და სრულფასოვანი ეფექტის შესანარჩუნებლად, საუკეთესო გზა, მისი მაცივარში შენახვაა, რადგან უნდა იპოვოთ გრილი ადგილი, სადაც მზის სხივები ვერ აღწევს.

*mediamall.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ვინ გახდა საუკეთესო მამა და რა მსხვერპლი გაიღო მან კიბოთი დაავადებული შვილისთვის



სიმსივნით დაავადებული 8 წლის გაბრიელის მამამ ჯონ მარშალმა სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა ცენტრის მიერ გამოცხადებულ ნომინაციაში „საუკეთესო მამა" გაიმარჯვა. მან საუკეთესო მამის წოდება იმის გამო დაიმსახურა, რომ 28 წლის ჯონმა, კიბოთი დაავადებული შვილის მსგავსად, თავი გადაიპარსა და თავზე ისეთივე შრამის ტატუ გაიკეთა, როგორიც გაბრიელს ოპერაციის შემდეგ დარჩა. საუკეთესო მამამ ტატუს გაკეთება შვილის სიტყვების შემდეგ გადაწყვიტა. გაბრიელი ქირურგიული ჩარევის შედეგად დარჩენილი შრამის გამო თავს მონსტრად თვლიდა. ჯონ მარშალმა სოციალურ ქსელში სტატუსიც დაწერა კონკურსის შესახებ:

„ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო 2016 წლის საუკეთესო მამა, მაგრამ სხვა კონკურსანტებზე მეტი არაფრით ვარ, მთავარია, ჩვენ ერთად გაგვიმართლა, რადგან ჩვენმა შვილებმა კიბო დაამარცხეს. გაბრიელს ახლაც აქვს პრობლემა, მაგრამ იმედია, ყველაფერი კარგად იქნება".

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მსოფლიოში ყველაზე ტატუირებული პენსიონერი გარდაიცვალა



შოტლანდიაში მსოფლიოში ყველაზე ტატუირებული პენსიონერი ტომ ლეპარდი გარდაიცვალა. ლეპარდი 80 წლის იყო. მისი სხეულის 99.9 პროცენტი ტატუებით იყო დაფარული. ნახატები ლეოპარდის ტყავს იყო მიმსგავსებული.

ერთ-ერთ ინტერვიუში პენსიონერმა აღიარა, რომ გაკეთებული ტატუების გამო არ ნანობს. სხეული ლეპარდმა ფულისთვის მოიხატა. ტომმა, ასევე, განაცხადა, რომ ტატუებმა მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება შეცვალა.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## პაციენტების ხოცვა — სანიტრის უჩვეულო გართობა



გერმანიაში, ერთ-ერთი საავადმყოფოს სანიტარს მასობრივი მკვლელობა ედება ბრალად.

სანიტარს ორი პაციენტის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა უკვე მისჯილი ჰქონდა, თუმცა ახლა გაირკვა, რომ ორი კი არა, მინიმუმ 33 პაციენტი იმსხვერპლა.

როგორც თავად მედმუშაკი აცხადებს, მკვლელობებს სამუშაო ადგილზე მხოლოდ იმიტომ სჩადიოდა, რომ „მოწყენილი" იყო და „საქმე არ ჰქონდა".

სანიტარი გერმანიის ორი ქალაქის საავადმყოფოში მუშაობდა. მას პაციენტებისთვის ინიექციები შეჰყავდა, რომ სიკვდილის მდგომარეობამდე მიეყვანა, მერე კი ისინი რეანიმაციაში გადაჰყავდა „საშველად", რომ კოლეგებისა და ხელმძღვანელობის თვალში ამაღლებულიყო.

*daijesti.pia.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

# კვანტური რეალობა — ადამიანის შესაძლებლობები შეუზღუდავია



ფიზიკოსები უკვე დიდი ხანია, ამტკიცებენ, რომ მატერიალური სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ენერგიის უზარმაზარი ზღვა, რომელიც გამუდმებით ვიბრირებს. სიმყარე არ არსებობს, ის ილუზიაა – ესაა კვანტური ფიზიკის საფუძველი.

საინტერესოა, რატომ ვხედავთ ადამიანს, ნაცვლად ვიბრირებადი ენერგიისა? – ისინი ამბობენ, რომ ამას ჩვენი ფიქრები აკეთებს.

მაინც როგორ მუშაობს ყველაფერი ეს? გავიხსენოთ კინოფირი, სადაც წამში 24 კადრია, რომლებიც ერთმანეთისგან პატარა სიცარიელით გამოიყოფა, მაგრამ იმ სიჩქარის გამო, რითაც ერთი კადრი ენაცვლება მეორეს, ჩვენი თვალი მოტყუებული რჩება და მას აღვიქვამთ, როგორც მოძრავ გამოსახულებას.

ტელევიზორის შემთხვევაშიც იგივე პრინციპი მუშაობს – ელექტრონების დიდი რაოდენობა განსაზღვრული წესრიგით ეხეთქება ეკრანს და ქმნის ფორმებისა და მოძრაობის ილუზიას. სწორედ ასეა საგნებიც ჩვენს ირგვლივ. ის, რაც სიმყარედ გვეჩვენება, სულაც არაა მყარი.

ყველამ ვიცით 5 გრძნობის შესახებ – ხედვა, სმენა, შეხება, სუნი და გემო. ყველა მათგანს აქვს განსხვავებული დიაპაზონი (მაგ: ძაღლს სმენის სხვა დიაპაზონი აქვს, გველი კი ხედავს სინათლის განსხვავებულ სპექტრს და ა.შ.). სხვა სიტყვებით, ჩვენი შეგრძნებები აღიქვამს ენერგიის ამ ულევ ზღვას მეტისმეტად ლიმიტირებული გადმოსახედიდან და საბოლოო სურათს სწორედ ამის მიხედვით ვაწყობთ.

ყველა ჩვენი ინტერპრეტაცია, უბრალოდ, დაფუძნებულია რეალობის ხედვის შინაგან რუკაზე და არა უპირობო სიმართლეზე. ეს რუკა ადამიანთა მოდგმის კოლექტიური გამოცდილების შედეგადაა შედგენილი.

ფიქრები მიბმულია ამ უხილავ ენერგიაზე და ახდენს მის ფორმირებას. ისინი პირდაპირი მნიშვნელობით ცვლიან სამყაროს ნაწილაკურ დონეზე და საბოლოო ჯამში, ქმნიან ჩვენივე ფიზიკურ, მატერიალურ არსებობას.

მიმოიხედეთ! რასაც ირგვლივ ხედავთ, დაიწყო იდეიდან, ყველა ფიზიკური ნივთი ესაა გაზიარებული და გამოხატული იდეა, ის ფიქრიდან ამოიზარდა და გახდა საგანი, ამისთვის კი გაიარა რამდენიმე ეტაპი.

კვანტური ფიზიკა გვეუბნება, რომ სამყარო სულაც არაა უცვლელი და მყარი, არამედ მდინარეა, რომელიც იშლება და იგება განუწყვეტლივ ჩვენი ინდივიდუალური და კოლექტიური ფიქრების საშუალებით.

ის, რაც სიმართლე გვგონია, უბრალო ილუზიაა, თითქმის მაგიური ტრიუკი.

დაფიქრდით, რისგან შედგება თქვენი სხეული?

ადამიანის ორგანიზმში გამოყოფენ ძვლოვან, კუნთოვან, საჭმლის მომნელებელ, გულ-სისხლძარღვთა, ნერვულ, სასუნთქ, ენდოკრინულ, გამომყოფ და რეპროდუქციულ სისტემებს.

და რისგან შედგება ეს ყველაფერი? ქსოვილებისა და ორგანოებისგან. ქსოვილები და ორგანოები – უჯრედებისგან. უჯრედები – მოლეკულებისგან. მოლეკულები – ატომებისგან. ატომები – სუბატომური ნაწილაკებისგან. სუბატომური ნაწილაკები – ენერგიისგან!

რომ შეგეძლოს საკუთარი თავის ხილვა გაძლიერებულ ელექტრონულ მიკროსკოპში და ჩაატარო სხვადასხვა ექსპერიმენტი მასზე, ნახავდი, რომ არაფერი ხარ, თუ არა პატარა, მუდმივად ცვალებადი ენერგიის გროვა, რომელიც ვიბრირებს და ქმნის ელექტრონებს, ნეიტრონებს, პროტონებს და ა.შ.

მე და თქვენ, ჩვენ ყველანი, ვართ წმინდა მანათობელი ენერგია, მისი ყველაზე მშვენიერი და ინტელექტუალური კონფიგურაცია. ასევეა აგებული ყველაფერი გარშემო.

ეს მყარი საგნები იმიტომ არიან სწორედ ასეთები, როგორებიც არიან, რომ ჩვენი აღქმა ანიჭებს მათ გარკვეულ ფორმებსა და ფუნქციებს. ამდენად ადამიანური დაკვირვებაც კი შემოქმედებითი აქტია. ისინი სულაც არ არსებობენ დამკვირვებლებისგან დამოუკიდებლად, ანუ თავისთავად.



ეს მეცნიერული და დამტკიცებულია!

აქ სამი მოთამაშეა – სული, გონება და სხეული.

ყველას აქვს თავისი უნიკალური ფუნქცია, რომლებსაც სხვები ვერ ანაცვლებენ. სხეული და, ზოგადად, მატერიალური სამყარო არის ეფექტი, რომელიც გარკვეული მიზეზით შეიქმნა,... ეს მიზეზი კი არის ფიქრი.

სხეულს თავად არ შეუძლია, იყოს შემქმნელი (მიუხედავად იმისა, რომ ეს ილუზია არსებობს და ბევრი იმედგაცრუების მიზეზი ხდება). ის მხოლოდ გამოცდის და გამოიცდება თავად – ეს მისი უნიკალური მისიაა. სხეული უბრალო ეფექტია, რომელსაც რეალურად არანაირი რესურსი არ გააჩნია ქმნადობისთვის.

ფიქრი არ გამოცდის,... მას მხოლოდ შექმნა შეუძლია, ქმნის და აკეთებს ინტერპრეტაციას, ექსპრესიისთვის სწორედ მატერიალურ სამყაროსა და სხეულს იყენებს.

სული არის ყველაფერი, რაც არის, იგი გვანიჭებს სიცოცხლეს ფიქრისა და სხეულისთვის.

ახლა შეგვიძლია, სამყაროს განსხვავებულად შევხედოთ:

**ყველა ჩვენგანი ხდება სწორედ ის, რაზეც ყველაზე ბევრს ფიქრობს.**

**ჩვენი ცხოვრება კი გადაიქცევა სწორედ იმად, რასაც ყველაზე მძაფრად წარმოვიდგენთ, რაც ყველაზე ვნებიანად გვსურს და რისიც განსაკუთრებით გვჯერა.**

**სამყარო პირდაპირი გაგებით ჩვენი სარკეა, პირადი სიმართლე წარმოჩინდება ჩვენს წინაშე, როგორც შემდგარი ფაქტი,... ვიდრე არ შევცვლით მას, ეს ასე გაგრძელდება.**

*mental.ge*

# რა მოხდება, თუ იოდის ბადეს ქუსლებზე გაგიკეთებთ!




მათ, ვისაც დიდი ხნით ფეხზე დგომა და სიარული უწევს, ეს ინფორმაცია ნამდვილად გამოადგებათ. იოდის ბადე (ქუსლებზე) სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს, ეს კი ფეხების შეშუპებას აგვარიდებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იოდი სხეულის ტემპერატურას მაღლა სწევს. ამიტომ სურდოს დროს, თუ არ არის ფეხების დათბილვის საშუალება, ღამით ქუსლებზე გაიკეთეთ იოდის ბადე და თბილი წინდები ჩაიცვით.

გარდა ამისა, ასეთი პროცედურით შეიძლება გაიგოთ, რა დონეზეა იოდის შემცველობა თქვენს ორგანიზმში. თუ დილით იოდის კვალიც აღარ იქნა ქუსლებზე, ეს ნიშნავს იმას, რომ ორგანიზმში იოდის დეფიციტია და თქვენი რაციონი ზღვის პროდუქტებითა და იოდის შემცველი სხვა ინგრედიენტებით უნდა გაამდიდროთ.

როგორ გავიკეთოთ იოდის ბადე?

სანამ იოდს წაისვამთ, დარწმუნდით, რომ მასზე ალერგია არ გაქვთ. ამისთვის ხელის შიგნითა ზედაპირზე ზოლად იოდი წაისვით და 15-20 წთ დაელოდეთ. თუ ეს ადგილი არ გაწითლდა და არანაირი სხვა შეგრძნებები არ დაემატა, ე.ი. ყველაფერი წესრიგში გაქვთ და შეგიძლიათ, შემდეგ ეტაპზე გადახვიდეთ.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაისხათ იოდი სხეულის ამა თუ იმ ნაწილზე, რადგან დამწვრობას მიიღებთ. ხის ჩხირზე დაახვიეთ ბამბა, ჩაყავით იოდში და წვრილი ზოლებით ქუსლებზე ბადე დახატეთ – დაახლოებით 1:1 სმ. ექიმის რეკომენდაციით, იოდის ბადის გაკეთება კვირაში მხოლოდ 3-4 ჯერ არის რეკომენდებული.

*mshoblebi.ge*

# რატომ უნდა ჭამოთ 6 კბილი შემწვარი ნიორი 3 დღეში ერთხელ




ყველამ იცის, რომ ნიორი ძლიერი ბუნებრივი ანტიბიოტიკია, ჭამიდან 24 საათის შემდეგაც კი აქტიურად მოქმედებს ორგანიზმზე – კლავს პარაზიტებს და ეხმარება მას ტოქსინებისგან განთავისუფლებაში.

სასარგებლოა ტაფაზე ან ჰაერღუმელში შემწვარი ნიორი, შეგიძლიათ, ის შემდეგ სადილის მოსამზადებლადაც გამოიყენოთ. ამ მეთოდით მომზადებულ ნიორს არა აქვს მძაფრი გემო და სუნი, მაგრამ მთლიანად ინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს.

თქვენი ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლო იქნება, თუ მიეჩვევით და 2-3 დღეში ერთხელ მიირთმევთ შემწვარ ნიორს. ეს ხელს შეუწყობს სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირებას, გაასუფთავებს არტერიას და მოაწესრიგებს მაღალი წნევის პრობლემას.

შემწვარი ნიორი ძალიან სასარგებლოა დიაბეტის დროს, ასევე, ის რეკომენდებულია მათთვის, ვისაც კუჭისა და ზედმეტი წონის პრობლემები აწუხებს.

*medimall.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

## Facebook ამბები



**რომან გოცირიძე:**

არჩევნევს პარტიები გამოფხეკილი ჯიბეებით ხვდებიან. მხოლოდ ორი პარტიაა, რომელიც ამ ეტაპზე საკმაოდ ფულიანად გამოიყურება, მათი ზომა-წონის პროპორციულად თუ ვიანგარიშებთ: ესაა ქართული ოცნება და გირჩი. ქართულ ოცნებას საიდან აქვს ფული, გასაგებია, ლიბერტარიანულ გირჩს თუ რატომ ყავს ამდენი დამფინანსებელი წილხვედრში, ალბათ ამას რომელიმე ისტორიკოსი გამოიკვლევს მომავალში. ერთი-ორი პრორუსული პარტიაც ალბათ რაღაც ფინანსებს გამოჰკრავს ხელს. დანარჩენები ტყუილად ელოდებიან ქართული ბიზნესისაგან მხარდაჭერას: ისინი ფულს აძლევენ იმათ, ვისიც ეშინიათ ( ხელისუფლებას) და ფულს არ აძლევენ ოპოზიციას, რადგან ეშინიათ (ხელისუფლების).

ქართული ოცნების მიერ დახარჯული ფული ვერაფრით ეტევა( ჩაეტევა) კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. უბრალოდ, დამფინანსებელი იქნება ერთი, შემტანი კი უამრავი.

აქედანვე ნათელია, რომ ეს არჩევნები ვერ იქნება ვერც სამართლიანი და ვერც თავისუფალი (იხ. რუსთავი 2 და სხვა).

გუშინწინ, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე, ცნობილი ბიზნესმენები თავს იკლავდნენ იმის მტკიცებით, რომ ასე თავისუფლად არასდროს უსუნთქიათ. მაშინ ადგნენ, გაბედონ და თქვან ხმამაღლა, რომ აფინანსებენ ამა თუ იმ ოპოზიციურ პარტიას.

იმდენი არ აგიდგათ გვერდები :)




**ნიკა გვარამია:**

ერთი ის გამაგებინა, არჩევნებით ბიძინა რომ გადაშენდება ოქტომბერში, ეს ვალერა ცერცვაძე (სააპელაციოს თავმჯდომარეა, ვინც არ იცის) სად მიდის თავის ურთმელიძე-გუჯაბიძეებით? ვკვდები, ისე მაინტერესებს, პასტას მე მივცემ, არ დავზარდები, ბევრი რომ წეროს. ამგვარად შეიძლება გადარჩეს. მარა მაშინ ბიძინა ველარ მიდის. ნუ წულუკიანი ისეც და ასეც კვალიფიციური სუბიექტია. საარჩევნო არა, სისხლის სამართლის გაგებით

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ვერცხლის ნაწილაკებს უნაყოფობის გამოწვევა შეუძლია?



ნორვეგიელი მეცნიერები რეკომენდაციას აძლევენ ქალებს, რომლებსაც შვილის გაჩენა აქვთ გადაწყვეტილი, დროებით უარი თქვან ვერცხლის სამკაულების ტარებაზე.

მიზეზი ის გახლავთ, რომ როგორც აღმოჩნდა, ვერცხლის ნანონაწილაკები ჯანმრთელობას ძალიან დიდ საფრთხეს უქმნიან. კერძოდ, შესაძლებელია, უნაყოფობაც კი გამოიწვიონ.

სპეციალისტების სიტყვები ექსპერიმენტითაა გამყარებული, რომელიც სულ ახლახან ჩატარდა.

როგორც ირკვევა, მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ვერცხლის ნანონაწილაკები ორგანიზმზე ტოქსიკურ ზემოქმედებას ახდენს. უფრო რომ დავაზუსტოთ, უარყოფითად მოქმედებენ უჯრედულ ზრდასა და გამრავლებაზე. ამასთანავე, მათი ზემოქმედება გაცილებით მაღალია, ვიდრე ტიტანის დიოქსიდის ნანონაწილაკების.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და კვლევები მომავალშიც გაგრძელდება. ერთი კია, უკვე მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ვერცხლის სამკაულები არც ისე უსაფრთხო ყოფილა, როგორც ეს აქამდე გვეგონა.

*myjane.ru*

## „პლეიბოის" სტრიპტიზი... კოსმოსში?



ზოგს მოსწონს ეროტიკული ცეკვების ყურება, ზოგი დიდად არ იხიბლება, ან უბრალოდ, არ აღიარებს. ერთი კია, „პლეიბოის" ისეთ „ბომბს" ამზადებს, რომელიც აბსოლუტურად ყველას დაინტერესებას გამოიწვევს.

ორბიტალური ტურიზმის სფეროს განვითარებით შთაგონებულმა „პლეიბოიმ" „ვირჯინ გალაქტიქსთან" ერთად პირველი კოსმოსური სტრიპტიზ-კლუბის გახსნის იდეა გააჟღერა.

წარმოიდგინეთ, მომხიბვლელი გოგონები, რომლებიც კოსმოსის ფონზე დაიწყებენ ტანის ნაზად რხევას...

წინასწარი ინფორმაციით, პირველი კოსმოსური სტრიპტიზ-კლუბის ფუნქციას ორბიტალური სადგური შეასრულებს, რომელშიც რესტორანიც იმოქმედებს. უწონადობა და პანორამული ხედები დედამიწაზე, დაწესებულების კლიენტებს აშკარად დაუვიწყარ შეგრძნებებს აჩუქებს.

თავიანთ ამბიციურ პროექტს „პლეიბოისა" და „ვირჯინ გალაქტიქსი" „უფროსების საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს" უწოდებენ.

როდისთვის მოხდება ჩანაფიქრის რეალიზება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცნობია.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ „ვირჯინ გალაქტიქსს" უკვე გაყიდული აქვს დაახლოებით 400 ბილეთი 46 ქვეყნის მოქალაქეზე, რომლებსაც, სავარაუდოდ, უკვე მიმდინარე წლის ბოლომდე გაიყვანს დედამიწის ფარგლებს გარეთ. თითო ბილეთის ღირებულება დაახლოებით 200 ათასი აშშ დოლარია.

*vk.com*

## სენსორული სამაჯურ-კომპიუტერი



ფრანგმა მეცნიერებმა სენსორული სამაჯური შექმნეს, რომელსაც კომპიუტერის შეცვლა ძალიან ადვილად შეუძლია.

ერთი, რომ სამაჯური საკმაოდ მომხიბვლელია და მეორე — მას ადამიანი ბევრი მიზნისთვის გამოიყენებს.

სამაჯურ-კომპიუტერი აღჭურვილია 13 ეკრანით, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია სოციალურ ქსელებში შესვლა, კორესპონდენციების მიღება და კითხვა. ასევე, მუსიკის მოსმენა, მარშრუტების შედგენა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

რაც მთავარია, სამაჯურის მოხმარება შეიძლება არა მხოლოდ სახლში, არამედ სასწავლებელში, სეირნობისას და ვარჯიშის დროსაც კი. ამ მიზნით მას დაყენებული აქვს სპეციალური მრიცხველი, რომელიც ადამიანის პულსს ითვლის და შეუძლია ნაბიჯების დათვლაც.

რა ღირს ფრანგების გამოგონება, უცნობია.

*membrana.ru*

## რა უპირატესობა აქვს ურეკს და რატომ უნდა დავისვენოთ „ევკალიპტში"?

როგორც მსოფლიოს კურორტოლოგები აღნიშნავენ, ურეკი უნიკალურია დასასვენებლად და განუმეორებელია სამკურნალო შესაძლებლობებით. ურეკში ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი სახლია „ევკალიპტი", რომელსაც ხშირად სტუმრობს უცხოელი დამსვენებლები, ქორეოგრაფიული ანსამბლები, სპორტული კლუბები. დასასვენებელი სახლი მდებარეობს ზღვიდან 150 მ-ში მდებარეობს და იზოლირებულია ქუჩის ხმაურისა და მტვრისაგან. გარემოცულია. დასასვენებელი სახლი გარემოცულია ევკალიპტებით, ზღვის სიო და ეზოში მდგარი ევკალიპტები ქმნიან განუმეორებელ მიკროკლიმატს. დასასვენებელ სახლში 85-მდე დამსვენებელს ერთდროულად შეუძლია დაისვენოს. დასასვენებელი სახლის ნომრები შეესაბამება საზღვაო კურორტის ყველა მოთხოვნას. ეზოში მოწყობილია გადახურული სცენა ხის იატაკით, მინდვრისაფარიანი მინის სტადიონი. აქ თქვენ გაგიმასპინძლდებიან ეკოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქტებით და გაგაცნობენ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას და გაზიარებენ საქართველოს წარმტაცი ბუნების სიდიადეს. იხ: **www.ureki-evkalipti.ge**. ტელ. 599-51-61-42.

## კვება მოთხოვნის შესაბამისად, ბავშვების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ზრდის



ბევრჯერ უთქვამთ ხოლმე სპეციალისტებს, რომ კვებაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული და როგორც აღმოჩნდა, ადამიანის ინტელექტუალურ განვითარებაზეც კი ახდენს გავლენას.

ბრიტანელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უმჯობესია, ბავშვები მათი მოთხოვნის შესაბამისად ვკვებოთ, ვიდრე სხვადასხვა გრაფიკის მიხედვით.

– ეს არა მხოლოდ უფრო ფიზიოლოგიურია, არამედ პატარების აიქიუსაც ამაღლებს, – განმარტავენ ბრიტანელი მკვლევარები.

ცნობილია ისიც, რომ მათ 10 ათასზე მეტი ბავშვის მონაცემი შეისწავლეს და დაადგინეს, რომ კვების ხერხები პირდაპირ კავშირშია მოსწავლეების წარმატებულობაზე.

ეს ფაქტორი უმნიშვნელოვანესია იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გამოვრიცხავთ სხვა მახასიათებლებს – ბავშვის ასაკს, მშობლების ჯანმრთელობას, განათლებასა და შემოსავლებს.

მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ კვება მოთხოვნის შესაბამისად ბავშვებს ყველაფერს გაცილებით უკეთ უკმაყოფილებს.

*woman.ru*

## საათი... 5 მილიონ დოლარად



შვეიცარიული კომპანია „ჰუბლოტის" სპეციალისტებმა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული საათი შექმნეს, რომლის ღირებულებაც 5 მილიონი აშშ დოლარი გახლავთ.

როგორც ირკვევა, საათი თეთრი ოქროსგანაა დამზადებული და ბრილიანტებითაა გაფორმებული. რომ დავაზუსტოთ, საათზე სულ 1822 ბრილიანტის ქვაა გამოყენებული.

საინტერესოა ისიც, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული საათის შექმნას 14 თვე და 14 სპეციალისტის მუშაობა დასჭირდა.

ანალიტიკოსების აზრით, მიუხედავად ეკონომიკური პრობლემებისა, გასულ წელს შვეიცარიელმა მესაათეებმა მაინც არცთუ მცირე შემოსავალი მიიღეს. პირველ რიგში, ძვირადღირებული საათები აზიის ქვეყნებში იყიდებოდა.

„ჰუბლოტი" ერთ-ერთი ყველაზე ძველი საათების მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც ძვირადღირებულ და პრესტიჟულ საათებს უშვებს.

*rokf.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## მაღვიძარა ადამიანს... აშტერებსო

მაინცდამაინც მაშინ იწყებს რეკვას, როცა ყველაზე მაგარი სიზმრის ყველაზე განსაკუთრებული მომენტია. ჰოდა, ალბათ, რამდენჯერ გადაგიწევიათ 5 წუთით. კიდევ 5 წუთით, კიდევ და კიდევ...

მოკლედ, ბევრს უშლის ნერვებს და უტეხს დილის ძილს მაღვიძარა, თუმცა მას კიდევ უფრო დიდი ზიანის მოყენებაც შეძლებია. მეცნიერების თქმით, ადამიანს, რომელიც ყოველდღიურად მაღვიძარას ხმის ქვეშ იღვიძებს, ორგანიზმში ადრენალინის მკვეთრი რაოდენობა გამოუმუშავდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დილიდანვე ის აგრესიული და გაღიზიანებულია.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს სიმპტომები დღის განმავლობაში კი არ ქრება, პირიქით, უფრო მეტი უსიამოვნება ემატება. მაგალითად, მეხსიერების დაქვეითება, კონცენტრაციისა და ყურადღების დარღვევა, ინტელექტუალური ქმედითუნარიანობის დასუსტება და ასე შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი სიტუაცია ყოველდღიურად მეორდება, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი მუდმივი სტრესის მდგომარეობაში იმყოფება. ამას კი სერიოზული ნერვულ-ფსიქიკური აშლილობების გამოწვევა შეიძლება მოჰყვეს, მათ შორის, გონებრივი შესაძლებლობების დაზიანება.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სპეციალისტების რჩევაა, მაღვიძარა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გამოვიყენოთ.

*dr20.ru*

## სამხრეთ კორეის ციხეებს რობოტები გააკონტროლებენ

იქნებ, პატიმრების სასტიკი წამება ამით მაინც დასრულდეს, თუ, რა თქმა უნდა, რობოტებსაც არ ასწავლეს, როგორ უნდა გაუმწარონ ადამიანს სიცოცხლე.

როგორც ირკვევა, სამხრეთ კორეის ერთ-ერთ ციხეში საინტერესო ექსპერიმენტი დაიწყო: ადამიანების ნაცვლად, წესრიგსა და დისციპლინაზე რობოტი ზრუნავს.

ცნობილია ისიც, რომ რობოტი აღჭურვილია სამგანზომილებიანი კამერით და სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით.

პროექტი დაახლოებით 870 ათასი აშშ დოლარითაა დაფინანსებული და წარმატების შემთხვევაში, რობოტები არა მხოლოდ სამხრეთ კორეის, არამედ დანარჩენი მსოფლიოს ციხეებსაც გააკონტროლებენ.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პლუსი, რომელიც რობოტ „ნადზირატელს" აქვს, ის არის, რომ მას შეუძლია პატიმრების უჩვეულო და საეჭვო ქცევების ამოცნობა და ოპერატორისთვის ინფორმაციის წამიერი მიწოდება.

*infan.ru*

სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 110)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

გაზეთი „ყოველკვირეული ალია"

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

Facebook - ამბები – ლაურა აბრამია
574 41-16-95

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ზანეთიშვილი

გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში" გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.30